კვირის პალიტრა
N52
ფასი 60 თ.
„სექსუალური“ ინდაური და „ნაღდი“ გოჭი ანუ რეპორტაჟი ბაზრიდან
თოვლის პაპის თბილისელი „მოადგილე“ „გზის“ ყველაზე ლამაზი ჟურნალისტების პირისპირ
1168
2006
ანუ რა სამსახური შესთავაზა კოზა სუბელიანმა ირინა ონაშვილს და ანა კოშაძეს
პოპულარული ქართველების წერილები თოვლის ბაბუას
სოფო ხალვაში ძალლმა გააბედნიერა, ღორს კი სახლში არ შეუშვებს
დუტა, გიგი თუ გალაკტიონი... ვის ირჩევენ თბილისელები მეკვლედ!
„წელს მერიასთან ვხვდებით ახალ წელს...“
„გზის“ რეალური შოუ – ზურა საახალწლოდ გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა

საუკეთესო ევროპული სათამაშოები

«პეპელა» გთავაზობთ ასოციმენტის ფასთან ერთად. ოთხ ათასზე მეტი დასახელების საქონელი შეესაბამება ევროპული ხარისხისა და უსაფრთხოების უმაღლეს ნორმებს.

მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური სათამაშოები.

დღევანდელ სამყაროში, სადაც მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდება, ტრადიციული სათამაშოები თქვენს ბავშვებს შეუქმნის სითბოს, სტაბილურობისა და სიმყუდროვის შეგრძნებას.

კლასიკური ტიპის სათამაშოების გარდა «პეპელა» გთავაზობთ ევროპაში დიდი ხნის დამკვიდრებულ «განვითარების» თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის როგორც შემოქმედებითი, ასევე ნარმოსახვითი უნარის გაღვივებას.

* დასავლეთ ევროპის ტრადიციული საუკეთესო სათამაშოების 15 ფირმასთან დადებული ექსკლუზიური დისტრიბუციის ხელშეკრულება

- ხის სათამაშოები
- რბილი სათამაშოები
- მინიატურული პერსონაჟები
- კრეატიული (შემოქმედებითი) საქმიანობა
- ექსტერიერის სათამაშოები
- «განვითარების» თამაშები
- საბავშვო აქსესუარები და ბიჟუტერია
- საკანცელარიო ნივთები
- იმიტაციის სათამაშოები
- წიგნები

კუპონის მფლობელი 31 იანვრამდე მიიღებს ფასდაკლებას მაღაზია "პეპელა" - ში

ფასდაკლება 10%

თბილისი, აბაშიძის ქ. 2 (მრგვალ ბაღთან)
ტელ/ფაქსი : (+995 32) 25 30 55
ელ.ფოსტა : contact@pepela.ge

კვირის პალიტრა
ფეია
№52 (342)
28 - დეკემბერი
4 - იანვარი. 2006
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
„ნახვამდის, ძაღლო და გამარჯობა, ღორო!..“ ანუ გილოცავთ ახალ, 2007 წელს 3
■ ოცნების სამყარო
„ლამაზად შეფუთული მამაკაცი“ და ნამდვილი პრეზიდენტი ანუ წერილები თოვლის ბაბუას 4
■ თამადა
„სანამ ჩვენს ქვეყანას გავაერთიანებთ, ტკივილი გავაერთიანოთ, ქართველებო!..“ 5
■ შემოვდგი ფეხი...
ვინ სურთ მეკვლედ თბილისელებს — დუტა, გიგი თუ გალაკტიონი? 6
■ რეპორტაჟი
სახეში შეყრილი ფქვილი, „სექსუალური“ ინდაური და შოლტივით „ვიჩინა“ 8
■ სახე
სოფო ხალვაში ძაღლმა წარმატებული გახადა... 10
■ ჟურნალისტის როლში
ვეებერთელა ხაჭაპური, გოზინაყი და საცივი ანუ ახალი სამსახური მშვენიერი მოდელებისთვის 12
■ დაიჯესტი
✓ თიკა კანდელაკი ახალ წელს სულეიმან ქერიმოვთან ერთად შეხვდება 14
✓ სად რას უძღვნიან საჩუქრად ახალ წელს 14
■ კრიმინალი 15
■ გულშემატკივარი
„ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მახსენდება“ 16
■ რეალური
ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი... 17
■ განწყობილება
შოუბიზნესური ახალი წელი ანუ გვერდზე გადადებული პირადი ცხოვრება 20
■ სამშვენისი
უალტერნატივო შუშის ნაძვის ხე 25
■ გზავნილები
უპასუხო კითხვები 26

ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი...

— ოჰო! ეგ მერამდენე ცოლი იყო?

— ნუ ხარ ენამწარე, მეორე ცოლი იყო...

— მე „მესამე და სამართალი“ ვიქნები? — ვთქვი და გულიანად გავიცინე.

— ნატალი, მარგო მაგით თუ იწუნებ, რომ 2 ცოლი ჰყავდა, გაგახსენებ, რომ შენც გყავდა 2 კაცი... დაფიქრდი, იქნებ, ოჯახზე გეფიქრა... არ არის დრო, თუ რა?

17

უალტერნატივო შუშის ნაძვის ხე



„ბისერებისგან მოქსოვილი სამკაულები, ნაძვის ხეები, სუვენირები, სათამაშოები უალტერნატივოა“.

25

შოუბიზნესური ახალი წელი

„ჩვენი ოჯახის მეკვლე ყოველთვის მე ვიყავი, მაგრამ ამ ბოლო დროს, ოჯახში პირველი, ლუკა შემოდის. ბარბარობასაც ლუკა იყო მეკვლე“.

20

როგორ შევხვდეთ წითელი ტახის წელიწადს

წითელი ტახის პერიოდს, შვიდი სახეობის საჩუქარი უნდა დახვდეს, მათ შორის, შეიძლება იყოს ლობიო, ბარდა, სანთლები, საკმეველი, არომატული ბალახები, ყურძენი.

30

თეთრი სიკვდილი

— ჰო, „ფირმაში“ ხშირად დადიოდა, — დაუდასტურა ბიბილურმა, — უბანში „ბაზრობდნენ“, პარფიუმერიით „ბარიგობსო“.

— მეტი არაფერი იცი მის შესახებ?

— არაფერი.

— სხვა საქმეში თუ გადიხარ?.. — ჰკითხა ნიკამ.

— რა საქმეს გულისხმობ?

— რომელიმე გამოძიებაში ხომ არ ფიგურირებ? — დააზუსტა ნიკამ.

კითხვამ აშკარად დააბნია ბიბილური.

50

■ ანტიდეპრესანტი 28
■ მამები და შვილები
ცისკარიშვილების ოჯახის ექსტრემალი მამაკაცები 28
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ შევხვდეთ ნითელი ტახის წელიწადს 30
✓ ორიგინალური და ხალისიანი
საახალწლო სუფრა 30
✓ სად დავპატიჟოთ საყვარელი
ადამიანი ახალ წელს 31
■ სასიძო
როდის უსდება ბერძენას „სიყვარულის ბუშტი“
და როგორი უნდა იყოს მისი საცოლე 32
■ ჯანმრთელობა
✓ „სადღესასწაულო უსაფრთხოების“ ზომები 34
✓ აუცილებელი ცნობები ჭარბწონიანთათვის 34
✓ ვიზრუნოთ გარეგნობაზე 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ ვარსკვლავები
✓ საშობაო ზღაპარი ამერიკულად 42
✓ წლის ყველაზე ხმაურიანი განქორწინებები 43
✓ იმედგაცრუება ახალი წლის ღამეს 44
■ ავტო 45
■ მოდის დედოფალი
„მადმუაზელ მაკრატელი“, რომელმაც ქალის
გათავისუფლება მოახერხა 46
■ ასპარეზი
„ალქმაარელთა“ ლიდერი
და ლიტველი ემიგრანტი ბიჭის კერპი 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე. თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ ცხოვრება
უკანასკნელი მოპიკანის
ლეგენდად ქცეული სიყვარული 54
■ წმინდანები
ჩემი ცოდვების გამო ულირსი ვარ მლოცველობისაო... 56
■ თინეიჯერული პონტები
ნაძვის ხედ გადაქცეული კოსტა
და „გაბოზებული“ შეყვარებული 57
■ მესიჯომანია
პოეტ სიყვარული მხოლოდ სიყვარულში 62
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პოროსკოპი
2007 წლის ასტროლოგიური პროგნოზი 66
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

იმედგაცრუება ახალწლის ღამეს

მაგრამ ზოგჯერ ყველაფერი თავდაყირა დგება და სასიხარულო მოლოდინს იმედგაცრუება ცვლის. ასეთი რამ კინოვარსკვლავებსაც ემართებათ...

44

რას სწერენ თოვლის ბაბუას ცნობილი ადამიანები?

„საყვარელო თოვლის ბაბუ! ძალიან გთხოვ, საქართველოს მოსახლეობას გაუკეთო კარგი საჩუქარი. 15 წელია, ქალაქში ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ კარგად შეფუთული, ხეზე ჩამოსაკიდებელი კი არა, ნამდვილი პრეზიდენტი“.

4

ნაძვის ხედ გადაქცეული კოსტა, „გაბოზებული“ შეყვარებული

„პირველსავე კლასში შემიყვარდა გოგო, რომლის გამო, ერთხელ სახლში ატირებულიც კი მივედი. დედაჩემმა რომ მკითხა – რა მოგივიდაო? სლუკუნით ვუთხარი: შეყვარებული „გამიბოზდა“, სხვა კლასელ ბიჭს ტრუსიკი აჩვენა-მეთქი“.

57

ველური წაბლის ხეივანი

მურადმა საქმეს წამოავლო ხელი და კარისკენ გასწია.

– ვინა ვარ, მემატიანე ვარ თუ გამომძიებელი, ვეღარ გავიგე, რა!.. – ჩაილაპარაკა მან გზაში.

– ჰო, არ დაგავიწყდეს – ბარები, რესტორნები, ქალები, გარშემოწერილობები, მკერდის, ტრაკის... ყველაფერი დაწვრილებით ჩაწერე... „დინამისტკები“, „მინეტჩიცები“, არავინ გამოგრჩეს! – დაადევნა ზაურმა.

მურადი გავიდა და კარი გაიკეტა.

38

„ნახვამდის, ძველო და გამარჯობა, ლირო!..”

ანუ გილოცავთ ახალ, 2007 წელს!

ორიოდე დღეც და ყველანი დავემშვიდობებით ძველ, 2006 წელს. რა თქმა უნდა, გული დაგვწყდება, რადგან ძალიან კარგი წელიწადი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. მიკვირს კიდეც, ამდენი რამ როგორ მოვასწარით სულ რაღაც 365 დღეში, მაგრამ ძაღლის წელიწადი იყო და ძაღლი ხომ (ძაღლსაც გააჩნია) სწრაფია.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ „გადავთხარეთ 100 ქუჩა“. ეგ არაფერი, ღორის წელიწადი მოდის და ქუჩების გადათხრა-გადაჩიჩქნა აწი ნახეთ თქვენ!.. გამოვცვალეთ მიწაში ჩაფლული წყლის ძველი მილები, თორემ როდემდე უნდა ჩასვლოდა ჩვენგან წყალი ამერიკას, საცოდავმა მერამდენედ გააკეთა რემონტი. ამასთან ერთად, დავაგეთ ახალი გზები მთელ(?) თბილისში. ახლა, თქვენ თუ გურამიშვილზე ცხოვრობთ, შარზე ხართ და ყოველ დილა-საღამოს

გიწევთ მანქანით სახლში მისვლა-მოსვლა, ეგ სხვა საქმეა, თორემ ვაკე-საბურთალოელები კმაყოფილები არიან.

აღვადგინეთ ქართული მამაპაპური პატიოსნება: გავანათეთ ეზოები და სახლში მოსული დაღლილი მამაკაცები უკვე ისე იოლად აგნებენ თავიანთ სადარბაზოებს, რომ აღარ უწევთ სხვა სადარბაზოში შესვლა და მეზობლის ცოლებთან დაწოლა; ამითვე აღმოიფხვრება შვილის მეზობელზე დამსგავსების მავნე ტრადიცია... ქუჩებში დავდგით ნაგვის ბუნკერები და თუ აქამდე არ ვიცოდით, სად დაგვეყარა ქუჩაში გატანილი ან ფანჯრიდან გატყორცნილი ნაგავი, ახლა უკვე ვიცით, რომ ბუნკერისკენ უნდა ვისროლოთ, რაც კალათბურთის პრინციპს ძალიან ჰგავს და სახალისოც კია... მალე შეიძლება, უბნებს შორის ჩემპიონატების ჩატარებაც.

კიდევ უფრო გავზარდეთ „03“-ის მედპერსონალი, მივიღეთ საუკეთესო, პროფესიონალი და რაც მთავარია, არაკორუმპირებული ექიმები, რომლებიც უკვე უფასოდ ეუბნებიან პაციენტს, მოითმინეთ და გაგივლითო; გავაიაფეთ საავადმყოფოში ოპერაციების ფასები და თუ გადაიხდით თირკმლისა და ელენთის ამოკვეთის საფასურს, საჩუქრად, უფასოდ ამოგკვეთენ ბრმა ნაწლავს...

შემოვიღეთ უბნის ინსპექტორების სამსახური: თუ თქვენი მეზობელი ყოველ ღამით თვრება, ეზოში ხმამაღლა გინებას იწყებს და არ გაძინებთ, დაურეკავთ უბნის ინსპექტორს, რომელიც იმავე ღამეს მოვა და იმ მთვრალ მეზობელს აგინებს...

რაც შეეხება პოლიტიკურ მიღწევებს, აღვადგინეთ დედაქალაქის „ტერიტორიული მთლიანობა“ — თბილისს ისევ შემოვუერთეთ გლდანი და ვარკეთილი; ავუსრულეთ მოსახლეობას დაპირება სკვერებისა და პარკების სიმრავლის შესახებ და ახლა, ყოველ ქარიან ამინდში, თბილისის ცა და მიწა სავსეა ათასფერი ცელოფანის პარკებით; ბოლო მოვუღეთ შეურაცხმყოფელ, მათხოვრულ გადასახადებს და გავზარდეთ დენისა და გაზის ტარიფი...

ტრიუმფული მიღწევები გვაქვს საგარეო ურთიერთობებში: უკვე უპრობლემოდ დადიან ქართველი მაღალჩინოსნები საზღვარგარეთ და ისიც იციან, რომ ბრიუსელში ნატოა და სტრასბურგში — ევროსაბჭო. ნატოს რაც შეეხება, ისე დავუახლოვდით, რომ თუ აქამდე დეიდა ნატოს ვეძახდით, ახლა დედას ვეძახით... გადავუკეტეთ რუსეთს ეკონომიკური გზები და თამამად შევუწყვიტეთ ღვინისა და „ბორჯომის“ მიწოდება; ყველა ქართველი გამოვიყვანეთ რუსეთიდან და დავაცარიელეთ მისი ტერიტორია; გუდა-ნაბადი ავუკარით მის ბაზებს და ძაღლის წელიწადთან ერთად დავახვევინეთ.

ავაყვავეთ ქართული ესტრადა: მართალია, წელს ბევრი ახალი სიმღერა და კლიპი არ ჩაგვიწერია, მაგრამ ერთი ჩავწერეთ და — მსოფლიო დონის, რომელიც შეიძლება, თავისი სიმბოლური დატვირთვით ქვეყნის ჰიმნადაც კი გამოდგეს: მოდრეიფე, უნიჩბო ნავში ჩაწოლილი შიშველი კაცი — ანუ გვცივა, გვშია და არ ვიცით, საით წაგვიღებს წყალი. ხომ უდავოდ ჩვენი სტრატეგიაა გამოხატული ამ ერთ კადრში?! ეს არის ქართული ხელოვნების გენია. საკმარისია, უცხოელებს აჩვენოთ და ნახეთ, რა დახმარებები წამოვიდეს...

ამაზე მეტი, რაც მე ჩამოვთვალე (და ვინ იცის, რამდენი გამომრჩა), რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო ერთ წელიწადში, მით უმეტეს, ძაღლის წელიწადში?! მიღწევები აწი ნახეთ, ღორის წელიწადი რომ დადგება: ყეფას მოვრჩებით და თქვლეფაზე გადავალთ, მერე ტყეში გაგვიშვებენ, რკოთი და წაბლით მოგვასუქებენ და მერე...

გილოცავთ ახალ, 2007 წელს! ბედნიერი ჩლიქით შემოღრუტუნებულიყოს გოჭი ჩვენს ცხოვრებაში!..

პროვოკატორი

ოცნებათა ნუსხა – „ლაჟვარდ ულოცავ ულოცავ“ და ნამდვილი პრეზიდენტი ანუ რას სწერენ თოვლის ბაბუას ცნობილი ადამიანები?

შარშან, ახალი წლის წინა დღეებში, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება — ჩვენი სამსახურის თანამშრომლებმა უშგულში, ნამდვილ თოვლის ბაბუას მიაკვლიესო, ალბათ, ყველას გვახსოვს. მაშინ ამ განცხადებამ საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვია, ბევრმა ნათქვამი არ დაიჯერა. განცხადებიდან რამდენიმე ხანში, თავისუფლების მოედანზე ვერტმფრენი დაეშვა და... უშგულელი თოვლის ბაბუა იქ შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა, ბედნიერი ახალი წელი უსურვა, შემდეგ კი ბავშვებისთვის საჩუქრების დასარიგებლად ბინა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სვანურ კოშკში დაიდო. ხოლო ახალი წლის შემდეგ კი, როგორც ხდება ხოლმე, იგი გაუჩინარდა, მაგრამ სად უნდა წასულიყო? ბევრი ვეძიეთ თუ ცოტა, უშგულელ თოვლის ბაბუას ახალი წლის წინა დღეებში ახლა ჩვენც მივაკვლიეთ...

თამუნა კვინიკაძე

— თოვლის ბაბუვ, გამარჯობა, როგორ ხარ?

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოთ, ნურც თქვენ და ნურც ჩვენს ქვეყანას! მე განსაკუთრებით მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ბავშვებს სურვილებს ვუსრულებ. მათ გაბრწყინებულ თვალებს ვხედავ. მე ხომ მთელი წლის მანძილზე იმისთვის ვმრომობ, რომ საახალწლოდ ყველა ბავშვს ოცნება ავუსრულო.

— შარშან სვანურ კოშკში ცხოვრობდით. როგორ გაიხსენებდით იქ გატარებულ დღეებს?

— ძალიან ლამაზი დღეები იყო. ჩემთან უამრავი ბავშვი მოდიოდა, მეფერებოდნენ, ვეფერებოდი და... იცით? ყველა ბავშვს არ სჯეროდა, რომ ნამდვილი თოვლის ბაბუა ვიყავი. ხელში რომ ავიყვანდი და ამბებს მოვუყვებოდი, მერე მშობლებს ეუბნებოდნენ — „მართალი თოვლის ბაბუ“ ყოფილაო. სვანურ კოშკში ცხოვრებისას 5000-მდე ბავშვი დავასაჩუქრე.

— თოვლის ბაბუვ, ვინ იყვნენ შენი წინაპრები, ან სად ცხოვრობ?

— მე მთაში ვცხოვრობ. ჩემი წინაპრებიც თოვლის ბაბუები იყვნენ. ეს ულამაზესი ტრადიცია გვაქვს. მახსოვს, მე რომ პატარა ვიყავი, ჩემი ბაბუა ყოველი ახალი წლის დილას ადრიანად ადგებოდა, მოამზადებდა ხონჩას, შუაში ჩადგამდა თაფლით სავსე ქილას, სახლს შემოუვლიდა, მერე შემოვიდოდა, ყველას გაგვაღვიძებდა, თითო კოვზ თაფლს გვიწილადებდა და დაგვლოცავდა. მერე მამაჩემიც ასე იქცეოდა. დღეს კი მე ვარ მათი ტრადიციის გამგრძელებელი.

— ბავშვობაში რაზე ოცნებობდით, რის ასრულებას სთხოვდით თოვლის ბაბუას?

— ბავშვობაში წერილების წერა არ მიყვარდა. თოვლის ბაბუა თვითონ ხვდებოდა, რა გამახარებდა და ჩემთვის ყოველთვის ის საჩუქარი მოჰქონდა. ყველა თოვლის ბაბუმ იცის, რაზე ოცნებობენ პატარები. ოღონდ, მათ საჩუქრები კარგად სწავლით, ზრდილობიანად მოქცევით უნდა დაიმსახურონ.

— შარშან სვანურ კოშკში რომ ცხოვრობდით, ერთ საღამოს გაუჩინარდით. სად იყავით?

— ეგონათ, რომ თოვლის ბაბუა დაიკარგაო? არა, არ დავკარგულვარ. იმ საღამოს პრეზიდენტმა, პარლამენტის წინ, საახალწლო ნაძვის ხის ასანთებად წამიყვანა.

— ვიცი, რომ საახალწლო საჩუქრები წელსაც გაქვთ მომზადებული. სად შეიძლება განახონ ბავშვებმა?

— წელს, მე თვითონ მივალ მათთან და რაზეც ყველაზე ძალიან ოცნებობენ, იმას მივუტან.

— ახალი წლის ღამეს, საჩუქრებით ბავშვებს ძალიან ახარებთ, მაგრამ რომ ვერ განახულობენ, გული სწყდებათ.

— რა ვქნა, ჩემო კარგებო, ღამით საჩუქრები ჩუმად იმიტომ მომაქვს, რომ ყოველი ახალი წლის დილა თქვენთვის სიხარულით დაიწყოს და მთელი წლის განმავლობაში გახარებულები იყოთ. თქვენს გაღვიძებას იმიტომ ვერ ველოდები, რომ ვჩქარობ, მინდა, ყველა ბავშვთან მისვლა მოვასწრო. ახლა შენც დაგემშვიდობები. საჩუქრები მაქვს გასამზადებელი და უნდა წავიდე. ყველას ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, გჯეროდეთ ჩემი და დამელოდეთ!!!

ბავშვობაში თითოეულ თქვენგანს ალბათ არაერთი წერილი მიუწერია თოვლის ბაბუისთვის და ყოველი ახალი წლის ღამეს ოცნებების ასრულების მოლოდინში ჩასძინებია. ღამით, თოვლის ბაბუა ჩუმად მოპარულა, საჩუქრები თქვენი ბალიშის ქვეშ ან ნაძვის ხესთან დაუტოვებია და წასულა... ასე ბავშვობაში ხდებოდა. რომ ვიზრდებით, მერე რატომღაც თოვლის ბაბუაც გვავიწყდება, მისი ხურჯინიც და ისიც, მთელი წლის განმავლობაში კარგად როგორ უნდა მოვიქცეთ — თუ გვინდა, რომ ყველა სურვილი აგვისრულდეს. თქვენ რომ ახლა თოვლის ბაბუას წერილს სწერდეთ და იცოდეთ, რომ ამ სურვილს ახალი წლის ღამეს აუცილებლად აგისრულებთ, რას მისწერდით? — ამ კითხვით, საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს მივმართე.

ლევან ბერძენიშვილი

„ლაპლანდია. თოვლის ბაბუას! თბილისი. ლევან ბერძენიშვილი.

საყვარელო თოვლის ბაბუვ! ძალიან გთხოვ, საქართველოს მოსახლეობას გაუკეთო კარგი საჩუქარი. 15 წელია, ქალაქში ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ კარგად შეფუთული, ხეზე ჩამოსაკიდებელი კი არა, ნამდვილი პრეზიდენტი. ძალიან გთხოვთ, ამერიკულ, ინგლისურ და ფრანგულ მოდელებს ნუ შემოგვთავაზებთ.

პატივისცემით, ლევან ბერძენიშვილი“.

ვანიკო თარხნიშვილი

„თოვლის ბაბუვ!

მე ძალიან მიყვარს ახალი წელი. ვიცი, რომ ნამდვილად არსებობ, მაგრამ გული მწყდება, წელიწადში ერთხელ რომ გამოჩნდები ხოლმე. რა არის, არ გენატრებით? ხშირად შემოგვიარე რა?! აგვისტოში თუ ვერ მოახერხებ, კარგი, მაგრამ ივლისში მაინც მოდი! თოვლის ბაბუვ, გთხოვ, ისეთი საქმეები, რომლის მოსაგვარებლადაც დრო არ მრჩება, მომიგვარე ხოლმე. თუ ამ სურვილს შემისრულებ, მთელი წლის მანძილზე აღარაფერს გთხოვ“.

— ვანიკო, ალბათ ბავშვობაში

გაგრძელება იხ. გვ. 6

„სანამ ჩვენს ხვეყანას გავაერთიანებდეთ, ტკივილი გავაერთიანოთ, ქართველებო!..“

კარგმა თამადამ სადღეგრძელო სიტყვებით ისე უნდა მოაჩუქურთმოს, რომ სასიამოვნო იყოს მოსასმენად, დაგამახსოვრდეს და დაგაფიქროს. წინასაახალწლო ნომერი „თამადის“ რუბრიკის გარეშე როგორ იქნებოდა?! ამიტომ არჩევანი ენამჭევრ მომღერალსა და ჩვენს კოლეგაზე — თემურ ჭკუასელზე შევაჩერეთ და არც შევმცდარვართ. „ქართული სუფრა ძირძველი ტრადიციებისა და მრავალხმიანი სიმღერის ნაკრძალია; როცა ამ ნაკრძალში იმყოფები და მის დიდებულებას შეიგრძნობ, მერე სადღეგრძელო მუზასავით მოდის, ხელში ჭიქას აგაღებინებს და რასაც განიცდი, რაც გულში გაქვს, იმას გათქმევინებს“, — მითხრა უფალმა თამადამ და თან, ფანჯარაში გამახედა — ნახე, რა ლამაზად თოვსო!.. (ეს 24 დეკემბრს იყო). ასეთმა ამინდმა მას ერთი დაუვიწყარი სუფრა გაახსენა და თხრობაც დაიწყო:

თამუნა კვინიკაძე

— მაშინაც დეკემბერი იდგა. ლამაზად თოვდა... მე, თემურ ქევხიშვილი და მიშა მცურავიშვილი გორში, მიშას სოფელში — მეჯვრისხევში წავედით. მანქანიდან რომ გადმოვედით, ჩვენ ფეხქვეშ თოვლი აჭრაჭუნდა. გაუკვალავ თოვლზე ბილიკი გავაკეთეთ და პატარა ბავშვებივით გახარებულები შევედით სახლში. ოჯახში მიშას დედა დაგვხვდა. ღუმელი დაანთო, წამში ავარვარდა ცეცხლი, მერე აგურები შეაწყო, აგურებზე ზემოდან შაშხი დაალაგა. უნდა გენახათ, იქ რა სურნელი დატრიალდა!.. საქეიფო განწყობილება შეგვექმნა. მიშამ საუკეთესო წითელი ღვინო შემოიტანა და პატარა სუფრას შემოვუსხედით. გარეთ თოვდა... თოვდა ძალიან ლამაზად და ბარაქიანად. ღვინომ და ღუმელმა ერთად შემოგვიტია. ოთახში დაცხა და ფანჯარა გამოვაღეთ. შემოგვესივნენ თოვლის ფიფქები, მაგრამ ფანჯარს გამოსცილდებოდნენ თუ არა, ქრებოდნენ. მაინც გვიტევდნენ, მოდიოდნენ და მოდიოდნენ დაუსრულებლად... ქართული სუფრა — სიმღერის გარეშე?!. და ჩვენც „ზამთარი“ შემოვძახეთ. აბა, იმ დღის დავიწყება შეიძლება?!.

— საიდან მოდის სიტყვა „თამადა“?

— ამაზე არ დავფიქრებულვარ, მაგრამ იმდენად შესისხლხორცებულია ქართულ გენთან, კოხტასთავს რომ შეიკრიბნენ ქართველები, მონღოლების წინააღმდეგ შეთქმულების დროს, ცხადად მესიზმრება — იქაც სუფრას გაშლიდნენ და ერთ-ერთი მათგანი ითამადებდა.

— რა როლს თამაშობს თანამეინახე?

— სუფრა კარგად წარიმართება თუ არა, ეს 90%-ით თამადაზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ თანამეინახე არ გივარგა, იქ ძნელია თამადობა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იღბლიანი კაცი ვარ.

— ჩვენი წინაპრები პირველ სადღეგრძელოდ საქართველოს ლოცავდნენ და უფალს ადიდებდნენ. თქვენ რომელი სადღეგრძელოთი იწყებთ თამადობას?

— გურიაში დღემდეა შემორჩენილი ძველი სიმღერა — საგალობელი „ყოვლადწმინდისა მან შეგვკრიბნა ჩვენ“, რომელსაც ჩვენი წინაპრები სუფრაზე დასხდომის დროს მღეროდნენ. მეც მათი ტრადიციის გამგრძელებელი ვარ: უფალს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შეგვკრიბა.

— კარგმა თამადამ წინასწარ მოფიქრებული სადღეგრძელო არ უნდა თქვას, სათქმელი ფეხზე წამოდგომის დროს უნდა დაიბადოსო, — ამ აზრს ეთანხმებით?

— ამას ბევრი კარგი თამადა ამბობს და მეც ვეთანხმები. გააჩნია, როგორი სუფრის თამადა ხარ. ზოგი სუფრა მოითხოვს სადღეგრძელოებს, რომლებიც აუცილებლად უნდა ითქვას, მაგრამ თამადამ, თუ ის კარგი თამადაა, ათასჯერ ნათქვამიც კი, განსხვავებულად უნდა თქვას, იმპროვიზაცია უნდა შეეძლოს, გაუკვალავ ბილიკს გაჰყვეს. როცა მეგობრებთან ერთად ხარ და თავისუფალი სუფრაა, წინასწარ არ უნდა ფიქრობდე სადღეგრძელოზე. სუფრაზე აუცილებლად იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც გიბიძგებს, სადღეგრძელომდე მიგიყვანს. შეიძლება ითქვას, რომ სადღეგრძელოს თქმის ორი მეთოდი მაქვს: პირველ მეთოდს, ვიქტორინა-სადღეგრძელოს დავარქმევდი: ამ დროს, ხელში სასმისს ვიღებ და სათქმელს შორიდან ვიწყებ, თანამეინახე ინტერესდება — ნეტავ, რა უნდა თქვასო? — და ბოლოს, კვანძს ვხსნი, — ამას და ამას გაუმარჯოს-მეთქი! მეორე მეთოდით, თავიდანვე ვამბობ სადღეგრძლოს და მერე ვამბობ, თუ რატომ ვადღეგრძელებ ამა თუ იმ კაცს.

— სახელგანთქმულ ქალ-თამადებს თუ იცნობთ?

— (*იცინის*) როგორ არა. ასეთი ქალბატონი გახლავთ მზია დადიანი. ჩვენ სუფრაზეც შევხვედრივართ ერთმანეთს. მან ითამადა, მიუხედავად იმისა, რომ მანქანით იყო მოსული, ძალიან ბევრი ღვინო მირთვა და შეირგო კიდეც. სუფრიდან მისი მანქანით წამოვედით, ჩემს სახლთან გამაღვიძა — უკვე მოვედითო...

— თქვენ ხშირად მოგზაურობთ. უცხო ქვეყანაში, უცხოელ თანამეინახეებთანაც ისევე კარგად თამადობთ, როგორც საქართველოში?

— ჰოლანდიაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ქართველმა ახალი წლის წინა დღეებში რესტორანი დაიქირავა, სუფრა გაშალა და ბილეთები გაყიდა. დარბაზის შუაში ქართველები ვისხედით. თამადა მე გახლდით და ჩემი ნათქვამი სადღეგრძელოები ითარგმნებოდა. უცხოელები დიდი გულისყურით გვისმენდნენ. ბოლოს, ყველა ჰოლანდიელი ჩვენს სუფრასთან მოვიდა, ფეხზე იდგნენ და გვისმენდნენ. ხალხის გარემოცვაში აღარ ვჩანდით. ერთ-ერთი მათგანი საქართველოში ნამყოფი აღმოჩნდა, ყოველი სადღეგრძელოს თქმის დროს, ჭიქას გვიჭახუნებდა და — ბუჩქი, ბუჩქიო! — გაიძახოდა ქართულად. არც ერთხელ ამდენი შამპანური აქ არ გახსნილაო, — აღნიშნა რესტორნის მეპატრონემ. კარგი ქართული სუფრის, ქართული ლხინის მიმართ ვერავინ რჩება გულგრილი. ერთხელ, საქართველოში ფინელი ცოლ-ქმარი მოგზაურობდა. ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგ, ცივი გონებით, მათ გაყრა გადაუწყვეტიათ და უკანასკნელი ერთობლივი მოგზაურობისთვის საქართველო შეურჩევიათ. ჩვენ გულთბილად გავუმასპინძლდით. მცხეთაში, არაგვისპირში ყოფნის დროს, აღფრთოვანებულმა ქალბატონმა სიტყვა ითხოვა, ფეხზე წამოდგა. ჩვენც ავდექით. ამ ჟესტმა აიკრძალა და — მთვარია, ადამიანური ურთიერთობა; წლების მანძილზე ცივი გონებით ნაფიქრი და მრავალჯერ აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება თქვენმა ემოციურობამ შემაცვლევინაო, — გვითხრა. საქართველოსა და ქართული ლხინის ხილვის შემდეგ, ის ცოლ-ქმარი ერთმანეთს აღარ დაშორდა.

— ბატონო თემურ, წარმოიდგინეთ, რომ 31 დეკემბერია, 12 საათს სულ რამდენიმე წუთი უკლია, თქვენ ქართველების სუფრის თამადა ბრძანდებით, ხელში სასმისი გიჭირავთ და... რომელ სადღეგრძელოს შემოგვთავაზებდით?

— სანამ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენდეთ, სანამ ჩვენს ქვეყანას გავაერთიანებდეთ, ჯერ ყველა ქართველმა ერთმანეთის ტკივილი გავიზიაროთ, ერთმანეთის ტკივილი გავაერთიანოთ, ხალხნო! რომ ერთ მუშტად შეკრული ქართველობა ვეღარასოდეს, ვერავინ დაგვამარცხოს! ■

დასაწყისი იხ. გვ. 4

გასწავლეს, თოვლის ბაბუამ სურვილები რომ აგისრულოს, მთელი წლის მანძილზე კარგად უნდა მოიქცეო. წელს როგორ იქცეოდი, იმსახურებ სურვილების ასულებას?

— (*იცინის*) ოოო!.. მე მგონი, ცუდად არ ვიქცეოდი. ბავშვობაში უფრო ამბიციური სურვილები მქონდა. მინდოდა, რომ ამერიკის პრეზიდენტი გამოვსულიყავი, მხოლოდ ამერიკის. ამას ყველგან ვამბობდი, თოვლის ბაბუასაც მივწერე ერთხელ. მაგრამ... ბავშვები მაფრთხილებდნენ, არ გინდა, ამერიკის პრეზიდენტობა, მერე სამათაშოებით ვეღარ ითამაშებო.

ნინაკა გელაშვილი

„თოვლის ბაბუ!

ძალიან გთხოვ, ჩვენს ქვეყანაში და მთელ ქვეყანაზე ყოფილიყოს სიკეთე, სიყვარული და სილამაზე. მზის სხივი ისეთი ყოფილიყოს, რომ ყოველთვის ყველას გული გაეთბოს. ადამიანებს ერთმანეთის ესმოდეთ. აი, ეს არის ჩემი სურვილი“.

— და მეტი არაფერი?

— სხვა, ყველაფერი, რაც მინდოდა დღეს, მომიტანა ჩემმა „თოვლის ბაბუამ“. მაგრამ ვინ არის იგი, ამას ვერ გეტყვით.

კახა აგუაშვილი (კაბუ)

„თოვლის ბაბუ!

ამ ზამთარში გაზი და სინათლე არ მოგვაკლდეს, ძალიან გთხოვ. მინდა, კარგი ხელფასი და მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლში თამაში. ყველაზე დიდი სურვილი კი ჩემი შვილების კარგად ყოფნაა“.

— შენმა შვილებმა რა სთხოვეს თოვლის ბაბუს?

— უფროსს „სპაიდერმენის“ ფორმა უნდა, პატარას კი — ბევრი თოჯინა.

კოგა დავითაშვილი

— რას მივწერდი თოვლის ბაბუას? რა ვიცი, არაფერსაც არ მივწერდი.

— რატომ?

— არ მჯერა და იმიტომ.

— არც ბავშვობაში გჯეროდათ?

— ეგ დრო არ მახსოვს. ალბათ არ მჯეროდა.

ცუცა კაპანაძე

— თქვენ გაიხარეთ, რამდენი ხანია, თოვლის ბაბუისთვის წერილის მიწერაზე არ მიფიქრია. იცით, რამდენი სურვილი მაქვს?! (*ფიქრობს*) მოდი, წერილს ასე დავიწყებ.

„თოვლის ბაბუ!

ძალიან გთხოვ, თუკი სადმე უპატრონო ბავშვია, ყველას საჩუქრები ჩამოურიგე. თუ მარტო ვერ შეძლებ და დახმარება დაგჭირდება, მე გამოგყვები და იმ ბავშვებთან ერთად გავიხარებ. ისე, თოვლის ბაბუ, ჩემთვისაც მინდა რაღაც გთხოვო, იმედია, შემისრულებ: ძალიან მინდა, დავოჯახდე და გავიხარო. იქნებ, ახალი წლის ღამეს ლამაზად შეფუთული მამაკაცი მომიყვანო...“ (*იცინის*).

— ვინ გინდა, იყოს ის მამაკაცი?

— ოო!!! მელ გიბსონი თუ იქნება, ძალიან გამიხარდება.

„თოვლის ბაბუ, ბავშვობაში ხომ გახსოვს, როგორი ქალაბიჭა ვიყავი, ვერ

შევიცვალე, ახლაც ისეთი ვარ. და როგორც მაშინ მიტოვებდი საჩუქარს ბალიშის ქვეშ, ახლაც ისევე მოიქეცი, რა, ძალიან გთხოვ!

შენი ცუცა“.

დავით ხურცილავა (ჯაპანა)

— თოვლის ბაბუას არაფერს ვთხოვდი. მე ვილოცებდი, რომ ჩემი ქვეყნის გაძლიერების, გამთლიანებისა და აღმავლობის წელი დამდგარიყოს. ■

ვინ სურთ მეკვლედ თბილისელებს დუტა, გიგი თუ გალაკტიონი?

იმას, თუ ვინ იქნებოდა ახალ წელს ოჯახის მეკვლე, ქართველები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. „კლოვიარე“, „მაკვრიელი“, — ასე მოიხსენიებდნენ მას ძველად. თუ მეკვლე კარგი ფეხის გამოდგებოდა, მომავალ წელსაც მიიპატიჟებდნენ, თუ არა და, შეცვლიდნენ... საინტერესოა, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის, ვის აირჩევდნენ მეკვლედ თბილისელები? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, წინასაახალწლო გამოკითხვა ჩავატარეთ.

თამუნა კვინიკაძ'

მარიკა, 29 წლის:

— ვისურვებდი, ჩემი ოჯახის მეკ' ლე რეზო გაბრიაძე იყოს. ძალიან მიყვარს ეს პიროვნება. ის ნიჭიერი შემოქმედი და საინტერესო ადამიანია. ღმერთმა დამიფაროს, რომელიმე პოლიტიკოსის მეკვლეობისგან.

მირანდა, 25 წლის:

— მეკვლედ ვის ავირჩევდი? — დუტას! ის მხიარული ადამიანია და გამართობდა.

— პოლიტიკოსებიდან?

— იმ ადამიანს, რომელიც უკვე პოლიტიკაში აღარ არის (თუ შეიძლება, ასე ითქვას) — ირაკლი ოქრუაშვილს. მომწონს მისი პოლიტიკური ხედვა. ის თავისზე ძლიერად ჩათვალეს და მოიშორეს...

მედეა, 18 წლის:

— მსახიობებიდან — მეკვლედ გივი ბერიკაშვილს, ხოლო პოეტებიდან, ანა კალანდაძეს მოვიპატიჟებდი; პოლიტიკოსებიდან — გიგი წერეთელს, რადგან ის „მისტერ ზრდილობაა“; ამ წოდებას ნამდვილად იმსახურებს.

ია, 48 წლის:

— დუტა, დუტა და კიდევ, დუტა. იმიტომ, რომ არ მინდა, ახალ წელს მოვიწყინო.

— პოლიტიკოსებიდან?

— შორს ჩემგან, ყველა პოლიტიკოსი!..

ნინო, 41 წლის:

— მეკვლედ გოგა ხაინდრავას ავირჩევდი. ის უმრავლესობაში ყველაზე პატიოსანი იყო, ვერ „გასვარეს“, ისე წამოვიდა. ის ღირსეული კაცია და ამიტომაც მსურს მისი მეკვლეობა.

ეთერი, 52 წლის:

— ოჯახში ძალიან კარგი მეკვლე გვყავს, მაგრამ სიამოვნებით მოვიპატიჟებდი

დუტასაც. ერთხელ მასთან ერთად მოვხვდი სუფრასთან და ის საღამო, დაუვიწყარ მოგონებად მექცა. თუ ჩემთან მეკვლედ მოვა, მჯერა, რომ ჩემი ოჯახისთვის წარმატებული წელი იქნება.

თენგო, 37 წლის:

— ამ თემაზე არ მიფიქრია. რა საინტერესო კითხვაა (*იცინის*). მეკვლედ „ფესვების“ ბიჭებს ვისურვებდი.

სოფო, 22 წლის:

— ჩემი დიდი სურვილია, მეკვლედ ირაკლი კაკაბაძე მოვიდეს.

— **რატომ?**

— ძალიან მიყვარს. ასევე მეკვლედ ვისურვებდი დათო ტურაშვილს, რადგან ის გულწრფელი პატრიოტია და ქვეყნის მომავალზე ფიქრობს.

— **პოლიტიკოსები არ ფიქრობენ ქვეყნის მომავალზე?**

— მათი „ურა-პატრიოტიზმის“ არ მჯერა!..“

ნათელა, 64 წლის:

— მეკვლედ თამაზ გამყრელიძეს ვისურვებდი. ის ყველაზე ჭკვიანი ადამიანია. ასევე, ძალიან მიყვარს გურამ საღარაძე. პოლიტიკოსებს შორის არავის ავირჩევდი.

ირინა, 33 წლის:

— მეკვლედ ლაშა ბუღაძეს მოვიწვევდი. მისი თვალთახედვა ჩემთვის მისაღებია. ნიჭიერი ახალგაზრდაა. ლაშასთან ერთად, ზურა ყიფშიძეს მოვიპატიჟებდი. ის ჩემი მეზობელია და ძალიან ვაფასებ.

— **პოლიტიკოსებიდან?**

— მე თქვენ გეკითხებით: სახლში შემოშვებას რომელი მათგანი იმსახურებს?

მერაბი, 48 წლის:

— ჭაბუა ამირეჯიბს. დღეს საქართველოში მასზე დიდი ადამიანი არ მეგულება.

— **პოლიტიკოსებიდან?**

— ძალიან გთხოვთ, ახალ წელს მაინც ნუ ვახსენებთ მათ.

ჯულიეტა, 49 წლის:

— მეკვლედ ნინო ბურჯანაძეს ვისურვებდი. მომწონს მისი დინჯი, გაწონასწორებული ხასიათი და დიპლომატია.

ლალი, 50 წლის:

— მეკვლედ გიგა ლორთქიფანიძეს ავირჩევდი. მე რუსთავიდან ვარ. მამა თეატრში მუშაობდა და ბავშვობა მარჯანიშვილის თეატრის დასთან ერთად მაქვს გატარებული. გიგა უნიჭიერესი რეჟისორია. პოლიტიკოსებიდან გიგი წერეთლის მეკვლეობა მსურს, იგი წყნეთში ჩემი მეზობელია.

— **როგორი მეზობელია გიგი?**

— თბილი და ყურადღებიანი.

ხათუნა, 24 წლის:

— მეკვლედ დუტას ვისურვებდი. აუ, რა მაგარი იქნებოდა! შენც დაგპატიჟებდი და ერთად ვიმხიარულებდით. თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ. მინდა, მადლობა გითხრათ ყველა იმ სიახლისთვის, რასაც გვთავაზობთ.

— **პოლიტიკოსებიდან მეკვლედ ვის აირჩევდით?**

— მიხეილ სააკაშვილთან მსურს 5 წუთით შეხვედრა, მინდა ვკითხო, ღირსების გრძნობა არ გააჩნია?

გიორგი, 33 წლის:

— მეკვლედ „შაბათის შოუს“ ბიჭებს ვისურვები. დედაჩემს ერთი წითელი ხალათი აქვს, მოვპარავდი და მიშა-ნანულის ვაჩუქებდი.

— **პოლიტიკოსებიდან?**

— შალვა ნათელაშვილს. მაგარი კაცია, „ხოხმაა“. მას სააკაშვილზე და ნოღაიდელზე ვალაპარაკებდი და კარგად გავერთობოდი.

სოფია, 20 წლის:

— მინდა, რომ ახალ წელს ჩემს ოჯახში მეკვლედ დუტა მოვიდეს. მისი გაცნობის ძალიან დიდი სურვილი მაქვს. გავუმასპინძლდებოდი და ჩუმად ყურში რაღაცას ვეტყოდი.

— **ჩვენ არ გვეტყვი?**

— არა, მხოლოდ მას (*იცინის*).

— **პოლიტიკოსებიდან ვის აირჩევდი?**

— გია თორთლაძეს. მასთან ერთად

ექსპედიციაშიც სიამოვნებით წავიდოდი.

ნატა, 38 წლის:

— ძალიან გამიხარდება, თუ ჩემთან მეკვლედ ნიკო გომელაური მოვა. მისი ფანი ვარ. ყურებამდე გახლავართ შეყვარებული და არა მარტო ახალ წელს, სხვა დროსაც სიამოვნებით გავუწევდი მასპინძლობას.

— **პოლიტიკოსებიდან ვის ისურვებდი მეკვლედ?**

— გიგი წერეთელს. ამ ადამიანზე ბევრი კარგი რამ მსმენია. მას სიამოვნებით გავიცნობდი.

აი, ასეთია ჩვენი გამოკითხვის შედეგები. I ადგილზე დუტა გავიდა, II-ზე — გიგი წერეთელი. რამდენიმე რესპონდენტისგან უცნაური პასუხიც მივიღე. მაგალითად, მათ მეკვლეებად სურდათ ივანე ჯავახიშვილი, ზვიად გამსახურდია და გალაკტიონი...



ახალი წლის წინა დღეებში ალბათ, ყველაზე საინტერესო სიტუაცია ბაზარშია, რადგან ქართული ტრადიციისამებრ, ყველა ოჯახში საცივი და გოჭის ხორცი თუ არ იქნება, ის რა ახალი წელია?! ჰოდა, გადავწყვიტე, ბაზარში გამევლო და შემეტყო, როგორ ემზადება ხალხი წინასაახალწლოდ, რომელ პროდუქტს იძენს და რა ღირს წელს გოჭი (მიუხედავად იმისა, რომ ღორის წლის დადგომისას, ის თურმე, საახალწლო სუფრაზე არ უნდა იყოს).

სახეში შეყრილი ფქვილი, „სექსუალური“ ინდაური და ფოლტივით „ვიჩინა“...

ნათია ქივიძე

...დეზერტირების ბაზრისკენ მიმავალ ავტობუსებში უამრავი მგზავრია. „საცობებიც“ გმირთა მოედნიდან, ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან იწყება და ბაზრამდე ვიდრე მიხვალ, რამდენიმე საათი გიწევს ტრანსპორტში ყოფნა. ბაზარი კი ხალხს ვერ იტევს. უამრავი ადამიანი ირევა.

ზოგი მოვაჭრე ცდილობს, საკუთარ პროდუქტს ცოცხალი რეკლამა გაუწიოს და მთელი ხმით ყვირის: „კარგი გურული ლობიო!“, „უმაღლესი ფქვილი!“, „მშვენიერი ძროხის ენა!“ — და ა.შ. თავდაპირველად, ჩემი ყურადღება ფქვილის დახლთან ატეხილმა ჩოჩქოლმა მიიქცია. ერთ-ერთ გამყიდველს მომხმარებელი წონაში მოუტყუებია. მყიდველს გადაუწყვეტია, რომ უკვე ნაყიდი ფქვილი საკუთარ სასწორზეც აეწონა და დაუნახავს, რომ ერთი კილო დააკლეს. ამის გამო, საყვედური უთქვამს გამყიდველისთვის. მან კი, უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, მუჭით აიღო ფქვილი და კლიენტს სახეში შეაყარა. ისეთი ჩხუბი გაიმართა, ყველა იქით გარბოდა. მერე ვიღაც ღვთისნიერმა ის ქალბატონი დახლს მოაშორა და სიტუაციაც დაწყნარდა, თუმცა, გამყიდველი კიდევ კარგა ხანს „დებდა კუბოში“ წინასაახალწლოდ, კლიენტს. როგორც კი იქ სიმშვიდემ დაისადგურა, გოჭებისა და ინდაურების სექციას მივაშურე.

— მოდი, გენაცვალე, ნაღდი გოჭები მაქვს, თან იაფად მოგცემ! — დამიძახა ერთ-ერთმა გამყიდველმა ბიჭმა. ჩემი ყურადღება რატომღაც, სხვა დახლმა მიიქცია, რამაც ბიჭის უკმაყოფილება გამოიწვია და მომძახა:

— „გენაცვალეს“ ვამბობ, ზედ არავინ მიყურებს, არ მოგეფერებით და მერე — უხეში ხარო, მეუბნებით. როგორღა უნდა მოგიტყუოთ ჩემს დახლთან?

— აქეთ მოდი, გენაცვალე, დიდებიცა გვაქვს და პატარებიც! — მომიპატიჟა ერთ-ერთმა მამაკაცმა, მაგრამ მის ნაცვლად, მეორე დახლთან მივედი, რადგან საკმაოდ უცნაური გოჭები დავინახე: რატომღაც, ლურჯები იყვნენ, შავად „დაკოპლილები“. ჩემს მისვლამდე დახლდთან ერთი ქალბატონი მივიდა და ჰკითხა:

— რა მოსვლიათ ამ უბედურებს?

— ესა, ქალბატონო, ტყი ღორებია, — ჩაუკახურა მოვაჭრემ. — იაფათ მოგცემ, შენ ოღონდ წაიღე, იცი, რა გემრიელია?!

— ტყი ღორი რომ ძვირი ღირს და არც ასეთი ფერი აქვს?! — პასუხი დაუბრუნა მყიდველმა და შემდეგი დახლისკენ გადაინაცვლა. მე კი გადავწყვიტე, ამჯერად, მოვაჭრე ქალისგან შემეტყო გოჭების ფასი.

— 30 ლარიდან 50 ლარამდე ღირს, გენაცვალე. ნახე, რა ხარისხიანი გოჭებია! თუ გინდა, ხელი შეუყავი და კარგად გასინჯე.

— რა უნდა გავუსინჯო, ქალბატონო? — ვკითხე გაოცებულმა.

— ხორცი, სხვას რას უსინჯავენ?.. ნახავ, რომ უმაღლესი ხარისხისაა.

— ამ წელს სუფრასთან გოჭის მიტანა არ შეიძლებაო, რომ ამბობენ, მაინც იყიდება თქვენი გოჭები? — ამ კითხვის დასმისას დავუშვი თურმე, დიდი შეცდომა: შემომიბრუნდა ის გამყიდველი და სულ ჩინელი მეძახა — მაგას როგორ იმეორებ, შე არაეკლესიურო, ეშმაკი გყავს შეჩენილიო!.. სასწრაფოდ გავშორდი, მაგრამ კიდევ დიდხანს მესმოდა მისი ყვირილი — შენნაირებმა წალეკეს ეს ქვეყანაო(?)!.. მივხვდი, რომ ის გოჭები მართლაც, არ ეყიდებოდა იმ ქალს და საბაბი მიეცა თუ არა, მაშინვე გადაწყვიტა, ჯავრი მყიდველზე ეყარა. გოჭებიდან ინდაურებისკენ გადავინაცვლე და ახლა მათი ფასით დავინტერესდი.

— ეს დიდი ინდაური, გოგონა, 80 ლარი ღირს. ნახე, რა ცხიმიანია! ამისთანას ამ ფასად ვერ იშოვი. გამოშიგნულიც არის და სუფთაც, — მიქებდა ინდაურს ქალი. ჩემი ყურადღება იმავე დახლთან მდგომი ორი მამაკაცის დიალოგმა მიიპყრო. ერთი მეორეს შეწუხებული ხმით ეუბნებოდა:

— გუშინ ცოცხალი ინდაური ვიყიდე, 60 ლარი გადავიხადე. მეთოთხმეტე სართულზე ვცხოვრობ. ავდექი და ეს ინდაური აივანზე დავსვი. ააფრიალა ფრთები და საწყალი, მეთოთხმეტე სართულიდან გადახტა. თან საბურთალოზე, ცენტრალურ ქუჩაზე ვცხოვრობ და წარმოიდგინე ხალხის რეაქცია, ძირს მკვდარი ინდაური რომ დაენარცხებოდა!.. ახლა გადავწყვიტე, დაკლული ვიყიდო — თავს მაინც აღარ მოიკლავს...

— გოგონა, აბა, ეს ინდოური ნახე, 60 ლარი ღირს. ნახე, რა სექსუალურად გამოიყურება! — სიცილი ვერ შევიკავე და გეზი ნიგვზის რიგისკენ ავიღე. იქ კი, უფრო სასაცილო ფაქტს წავაწყდი. რაჭული ნიგვზის გამყიდველებს მათი კერპი — ლელა წურწუმია ბაზარში მუშაობის დროსაც არ დავიწყებიათ და ბოძზე მისი პლაკატი გაუკრავთ.

— რა გაცინებს, გოგო? მშვენიერი ქალია! თან როგორ მღერის?! — მიმიხვდა სიცილის მიზეზს გამყიდველი. — მოდი, საუკეთესო ნიგოზი მაქვს, 20 ლარად გაგატან. კარგი, 18 იყოს, ოღონდ წაიღე... რა იყო, გოგო, ახალ წელს გოზინაყი არ გინდა? — მიხვდა, რომ მყიდველი არ ვიყავი...

სულგუნის სექციისკენ გავწიე. ხელში დიქტოფონი მეჭირა. 25-28 წლის ბიჭი მოვიდა ჩემთან და მოწიწებით მკითხა — მუშა ხომ არ გნებავთ, გოგონა? წამოგიღებთ მაგ რაღაცასო (დიქტოფონი იგულისხმა)... „მარტვილის სულგუნი“, „აბაშის სულგუნი“, „სოფელი სალხინო, გამყიდველი ნანა წოწორია“, — თვალები ამიჭრელდა ამდენი წარწერის დანახვაზე.

— მოდი, გენაცვალე. გასინჯე, უმაღლესი სულგუნია! 10 ლარად გაგატან, სულ თოთხმეტებში მაქვს დაყიდული...

— მოდი აქეთ, გოგო! კარგი უმარილო ყველი მაქვს. თუ გენდომება, დაგიმარილებ... — მომიპატიჟა მეორემ, მაგრამ ხორცის სექციაში გასეირნება გადავწყვიტე. ჩემ წინ ქალბატონი მიდიოდა, რომელიც ერთ-ერთ დახლთან გაჩერდა. გამყიდველმა ბიჭმა მაშინვე თავისთან მიიხმო:

— მობრძანდით, ქალბატონო, კარგი ტვინები მაქვს.

— როგორი კარგი, ინგლისური და ფრანგული იცის?

— ეგ როგორ ეცოდინება?! — გაიოცა გამყიდველმა.

— აბა, ტვინი რითი ფასდება, არ იცი? — არ დაუთმო ქალბატონმა.

— საქონლის ტვინია, მეცნიერის ხომ არა! — ნაწყენი ხმით ჩაილაპარაკა გამყიდველმა.

იქვე თაფლის განყოფილება იწყებოდა. ერთი ახალგაზრდა ბიჭი მთელი ხმით ყვიროდა —

— ამ წელს სუფრასთან გოჭის მიტანა არ შეიძლებაო, რომ ამბობენ, მაინც იყიდება თქვენი გოჭები?..

კარგი კახური თაფლი მაქვს, აქეთ მობრძანდითო! ქალბატონი მიუახლოვდა:

— შვილო, რატომ მატყუებ?! როდის იყო, რომ ამ დროს კახური თაფლი გაყინული არ იყო?!

— გაყინვაი გააჩნია... — სხვა ვერაფერი მოიფიქრა გამყიდველმა.

— გაყინვაი გააჩნია — რას ჰქვია?! ეს იქნება შარშანდელი თაფლი, რომელიც წელს გაადნეთ. შენ მასწავლი?!

— მართალი ხართ, ქალბატონო, — მაშინვე გამოტყდა ის ბიჭი. — ამ თაფლში 10 ლარს ყვარელშივე გვაძლევდნენ, მაგრამ არ გავყიდე, დედაჩემმა ფული არ მამცა, მავპარე და მე წამოვიღე. იმიტომ ვყიდი თავის ფასში.

— მოდი, გოგონი, ნახე, რა „ვიჩინა“ მაქვს, შოლტივით ნაჭერია! — შემიქო საკუთარი პროდუქტი ვიღაც ბიჭმა. აბა, შოლტივით „ვიჩინაზე“ უარს როგორ ვიტყოდი, თანაც — ჩალაღაჯით გაკეთებულზე?! მიუხედავად იმისა, რომ მარხვის პერიოდია, ოჯახის დანარჩენ წევრებზე მანც ვიზრუნე და ერთი კილო შევიძინე.

— „დროგა“, ახალი წელი მოდის! — იღრიალა ამ დროს მუშამ და ურიკა გაარიხინა. მას მეორეც მოჰყვა, რომელიც ხალხმა ველარ დაინახა და ამის გამო, განწირულმა დაიძახა: — გზა, გზა!..

— რას ლაპარაკობ, ხალიჩა გაუფინეთ!.. — გამოეპასუხა ერთი ქალბატონი. ისევ ფქვილის სექციასთან მოვხვდი. ჩემ წინ მიმავალ ქალს ერთ-ერთმა ფქვილით მოვაჭრე ქალმა დაუძახა და აბსოლუტური სერიოზულობით ჰკითხა — პეტრიაშვილს ეძებ, ქალბატონო? — ქალბატონი ამ კითხვამ დააბნია და კითხვითვე უპასუხა — ეგ ვინღააო? — მე ვარ — გამოეპასუხა გამყიდველი. — არა, ჯანიაშვილს ვეძებო, — უმალ იპოვა გამოსავალი გამვლელმა. — მასეთი აქ არავინ არისო, — „გაანათლა“ გამყიდველმა. — მე ვარ, ქალბატონოო, — გამარჯვებული ხმით მიუგო გამვლელმა. იქვე კიტრი იყიდებოდა. რატომღაც შუაზე გადაჭრილ კიტრებს ყიდდნენ, რომელსაც საკმაოდ უცნაური ფერი ჰქონდა.

— ეს კიტრი გაყინულია? — მორიდებით შეეკითხე მოვაჭრეს.

— ცხვირი გაქვს გაყინული!.. — გაბრაზებულმა მომიგო გამყიდველმა და იქით გაიხედა. უნებლიეთ, საკუთარი ცხვირი მოვისინჯე და მართლა გამყინვოდა იმ სიცივეში...

თევზის სექციასაც მივადექი. იქვე, კარში სამი საკმაოდ შილიფად ჩაცმული ბავშვი იდგა და მღეროდა. გამვლელები ფულს ჩუქნიდნენ. იქაც საკმაოდ ბევრი წარწერა იყო: „ზღვის მოივა“, „ოკეანის მოივა“, „ბარაბულკა“, „ფოთის შავთვალა კეფალი“ და ა.შ. სწორედ ამ კეფალის გამყიდველი 100 გრამით ატყუებდა მყიდველს, რომელმაც ნაყიდი თევზი უკან დააბრუნა. გამიხარდა, გამყიდველმა იმ მეფქვილესავით სახეში რომ არ სთხლიშა გაყინული თევზი კლიენტს... თევზებს შორის, მოხუცი ქალბატონი ივჯდა და გამვლელებს ეძახდა: „ბიჭებო, გოგონებო, „ნასკები“ წავაყოლოოოთ!..“ ვიღაცებმა გადაწყვიტეს — სოფლიდან ამხელა გზაზე ჩამოსულ გლეხებს ახალი წლის მოახლოება ხომ უნდა ვაგრძნობინოთო?! — და ხშირად ისმოდა სალუტების ხმა, რომელსაც იქვე, ბაზარში უშვებდნენ...

სურსათის სექციები სულ რომ შემოვიარე და ჩემთვის საინტერესო ყველაფერი გავარკვიე, გადავწყვიტე, საჩუქრების სექციაშიც შემევლო. დამაინტერესა, ხალხი რას ყიდულობს ახლობლებისთვის საჩუქრად. იქაც საკმაოდ ბევრი ადამიანი ირეოდა. განსაკუთრებით დიდი რიგი ტკბილეულის დახლთან დამხვდა.

— „გრილიაჟი“ მიიღეთ, თუ კიდევ რამდენიმე დღე უნდა ველოდოთ? — რიგის ბოლოდან ყვიროდა ვიღაც ქალბატონი. დანარჩენები კი, ჭურჭელსაც ყიდულობდნენ საჩუქრად, სამკაულებსაც, მაგრამ ყველაზე დიდი ვაჭრობა სათამაშო გოჭების სექციაში იყო გაჩაღებული. ნაძვის ხეზე ჩამოსაკიდი, პატარა, 50-თეთრიანი გოჭიდან დაწყებული, ნაძვის ხის ძირში დასადგმელი, 500-ლარიანი ღორით დამთავრებული, — თითქმის ყველა ზომისა და ფასის გოჭები ჩამწკრივებულიყო. ნაძვის ხეების ფასებმაც (რა თქმა უნდა, ხელოვნურის) კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: საშუალო ზომისა — 150-180 ლარი ღირს... ჩიჩილაკებს გაცილებით მეტი მყიდველი ეტანებოდა. ალბათ იმიტომ, რომ უფრო მოსახერხებელი და იაფია. მისი ფასი 2-დან 4 ლარამდე მერყეობდა.

ასე დავამთავრე ჩემი წინასაახალწლო ვაჭრობა ბაზარში და ჩემი შოლტივით „ვიჩინით“ ხელდამშვენებული, შინ დავბრუნდი...

■

იპრიში ართროზზე

ჯეოვიტი

წოეუწფკეკწჭშთ ეფტფქუგკწმუ ეუკფზშფთშ უკე-უკე ნმუდფჭუ უაუღეგკ ზკუზფკფეთ ცფკქწფვპუტთ)მუვ ფრი ედვენსდი(ყ ფქ აწკქგდშთ თუქფვპუტდწიფთშ თუფშთ თფჩკშთ თუქფვპუტუდშ თუქფუკეუუდშ ღთწშმდშთ ნმუდფ ლწქზწტუტეშყ)მუვ ფრი“-ს ფჩფდშ აწკქგდფ თფჩთფკთ ვფლფკპგდ)ვფჭუეშმთ(გტფკთ ვფგიკგტუუთობ პფგშწდუეთ ქწჯკფწიფთ ვფ ვფშსფმთ ჩკეშდთ ვფეშმკეშეუიშთპფტყ თუვუპფვბ ქსშკეუიფ ელშმშდშ ვფ შჭკეუიფ თფჩთფკთშ ქწჯკფწიშთ თშაფკეუყ

ზკუზფკფეშ ლფთგდუიშთ თფჩშთფფყ ქლგკტფდწიშთ ლგკთშბ სმუგდუკშმბ —„ ეშუთ თუფვპუტთყ უაუღეშ აშღთშკეუიფ კფქვეუტშქუ ეშმთ ქფტჯშდჭუბ ჭწპოუკ ცუდშცფვშყ ნმუდფაუკშ)ვფფშფვეუიშთ ფთფლჭუფ(ვფქწლშეუიდშყ თფგლუეუთწ თუვუპუიშ ფკეკწჭშთ თფცნშთ თეფვშუითშ ქშმკცუშფ ქლგკტფდწიშთ უკეშ ლგკთშ თფჩთფკთშ ელშმშდშთ ვფშმცნუიშთ თუთფჯდუიდწიფთ კფქვეუტშქუ ცდშშ შჭდუშყ

თწკთ ცფთგდშ თუქეჩმუეშთფთ ლგკთშთ სფფკეუიფ უაუღეგკშფ ფკფტფლდუი ცუდშკფვშთ —ოკეკ ზკუზფკფეთ ფკ პფფკტშბ ელგსმუტეუეშ შკფკეწიფ წლეფტშთ ქწდგოლეუიშთპფტყ

ფეშეფტ სჩკფ პფქწლშეჩგდშ ფქეკშლეუდშ ეღშქშ გზშკფეეუთწიფთ ფტშ(პეუიფ)მუვ ფრი ედვენსდი(ვფტჯშთშტფფთყ

—??“ცკ ღყ ქფშფქშთშ სფფკეუიგდქფ ზზკუზფკფეშთ ლდშტშლგკქფ პფქწლშდეშმფქ კფტეფქშეჭშკეუიგდშბ წკქფკშ იკქფ ზდფსეუიწ-ლწტეკწ-დშკეუიფეშ ქეუქწვშიბ ქწპშსფ თუვუპშქ

- თფჩთკეუიშთ ლწქაწკეგდწიშთ ქფეეუიფ „5ყ
- ვკშგკშ ფღეშშწიშთ ქფეეუიფ „5ყ
- აშჭშლგკშ ვფეშმკეშშთ ქფეეუიფ „—5ყ



1. „მუვ ფრი ედვენსდის“ შემადგენლობაში შემავალი ჰიალურონის მჟავის წყალობით, სინოვიალური სითხეს ჟელესებრ სტრუქტურას უბრუნებს, აღადგენს მის „დაზეთვის“ უნარს, დარტყმის ძალის შემამცირებელ და გამფილტრავ თვისებებს.

2. გლუკოზამინი აღადგენს სახსრის დამცავ ზედაპირს, ქონდროიტინი იზიდავს წყლის მოლეკულებს ხრტილოვან ქსოვილში, რითაც აღადგენს ხრტილის ამორტიზაციულ თვისებებს.

3. უნიფლექსი — მცენარეული ექტრაქტების კომპლექსი, რომელიც სახსარში ანთებით პროცესებს ახშობს, რის შედეგადაც ნორმას უბრუნდება სასახსრე ჩანთის შიდა გარსი.

„მუვ ფრი ედვენსდი“ -მიღებული და რეკომენდებულია ამერიკის ართრიტის ფონდის მიერ.

„მუვ ფრი ედვენსდი“-ს წამსშფდგკშ ვშოეკშიგეწკშფ „ჯეოვიტი“

„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრია

„ჯეოვიტი“ მის: ი. ჭავჭავაძის გამზ. №41, ☎ 29-20-91; 899-10-99-20

ყოველდღიური უფასო კონსულტაცია

ასევე აფთიაქებში: თამარაშვილის 1, აღმაშენებლის 104, თამარ მეფის გამზ. 19, თამარ მეფის გამზ. 32, ჰიპერმარკეტი „გუდვილი“

ადამიანები ახალ წელს ყოველთვის იმედის თვალით შეჰყურებენ, მაგრამ მიუხედავად მათი მონდომებისა და სურვილებისა, შეიძლება, ზოგს არც გაუმართლოს და წელმა მისთვის უშედეგოდ, უნაყოფოდ ჩაიაროს. ახალგაზრდა მომღერალი სოფო ხალვაში 2006 წელზე ამას ნამდვილად ვერ იტყვის, რადგან ის მისთვის წარმატებული აღმოჩნდა. სოფომ კონკურსზე — „იურმალა 2006“ მესამე ადგილი დაიკავა. დამდეგ წელს კიდევ ერთ კონკურსზე მოუწევს გამოსვლა, ეს „ევროვიზია 2007“ გახლავთ.

წარმატებულ მომღერალს 2006 წლის მიწურულს ვესტუმრეთ და იმის გარკვევას შევეცადეთ, თუ ვინ იყო მისი ფეხბედნიერი მეკვლე და ვინ დააბედა სოფოს წარმატება.

სოფო ხალვაში ძალიან წარმატებული გახდა და გულის სწორიც აჩუქნია

ეკა მინდაძე

— სოფო, 2006 წლის გარდა, კიდევ რომელი წელი იყო შენთვის იღბლიანი?

— არც ერთი. 2006 წელს ჩემს შემოქმედებაში ისეთი რაღაცები მოხდა, რაზეც ვოცნებობდი, იმედია, 2007 წელიც წარმატებული იქნება.

— საინტერესოა, ვინ იყო შენი მეკვლე?

— ძაღლი... ბათუმელი ვარ, თბილისში დეიდასთან ვცხოვრობ. მათ, ოჯახში, გერმანული ნაგაზი ჰყავთ. ვინაიდან ძაღლის წელი დგებოდა, გადავწყვიტეთ, ბარბარობას სახლში პირველად ძაღლი შემოგვეშვა.

— მერე, ვინმეს იმ ძაღლის მეკვლეობის სურვილი ხომ არ გასჩენია?

— კი, მაგრამ ახლა ხომ ღორის წელი დგება!

— აბა, რას აპირებთ?

— ღორს სახლში ნამდვილად ვერ შემოვუშვებთ *(იცინის)*.

— თავად თუ ყოფილხარ ოდესმე ვინმეს მეკვლე?

— როგორ არა. რამდენჯერმე ვიყავი ჩემი მეგობრის ოჯახის მეკვლე.

— როგორი ფეხი გაქვს?

— მგონი, კარგი. მან, ჩემი წყალობით, სურვილი აისრულა. ამჟამად, სასწავლებლად საფრანგეთშია წასული.

— ბავშვობაში თოვლის ბაბუის თუ გჯეროდა?

— როგორც ყველა ბავშვს, მეც მჯეროდა, რომ ის ნამდვილად არსებობდა. თოვლის ბაბუისთვის წერილი არაერთხელ მიმიწერია. საოცარი ის არის, რომ მე მას კონკრეტულ ნივთს არ ვთხოვდი. თოვლის ბაბუას ვთხოვდი, რომ ძალიან ცნობილი მომღერალი გავმხდარიყავი...

— როგორ ხვდები ახალ წელს, რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ?

— ახალ წელს ყოველთვის ბათუმში, ჩემს ოჯახთან ერთად ვხვდებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, მესამე წელია, აქ მიწევს ყოფნა. საქმის გამო ახალი წლის შეხვედრა ხან სად მიხდება და ხან — სად.

— შარშან ახალ წელს სად და როგორ შეხვდი?

— ქუჩაში *(იცინის)*. კონცერტი მქონდა თელავში და იქიდან მივდიოდი სხვა კონცერტზე. ისე მოხდა, რომ 12 საათზე, შუა გზაში ვიყავით. როგორც კი 12 შესრულდა, მაშინვე გავაჩერეთ მანქანა, გავხსენით შამპანური და აღვნიშნეთ ახალი წლის დადგომა.

— საახალწლოდ საჩუქრებს გიძღვნიან?

— კი. ძალიან მიყვარს, როცა ახალ წელს ვინმე რაიმეს მჩუქნის ან პირიქით, მე ვჩუქნი.

— ნაძვის ხის მორთვა გიყვარს?

— ძალიან, ოჯახში ნაძვის ხეს ყოველთვის მე ვრთავდი და ამ საქმეს არავის ვანდობდი. იმ შემთხვევაში, როცა მე ვერ ვახერხებ ბათუმში ჩასვლას, ამ საქმეს უჩემოდ აგვარებენ.

— საახალწლო სუფრისთვის კერძების მომზადებაში თუ მონაწილეობ?

— უი, არა. კერძების მომზადება ნამდვილად არ მეხერხება, ერთადერთი, შეიძლება სალათა მოვამზადო. ჰო, კიდევ ნამცხვრის გამოცხობაც ვიცი, სხვა არაფერი. გოზინაყი არასდროს გამიკეთებია.

— საახალწლო კერძებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვარს?

— მიყვარს „მამაკაცური“ კერძები. მაგრამ ამ ახალ წელს ვერაფერს შევჭამ, რადგან საშობაო მარხვას ვინახავ. საერთოდ, ძალიან მიყვარს შემწვარი გოჭის ხორცი.

— ზამთრის კურორტებზე დადიხარ ხოლმე?

— ბაკურიანი მიყვარს და ხშირადაც დავდივარ. ამ ზამთარს არ ვიცი, რას ვიზამ. თუ მოვიცალე, აუცილებლად წავალ.

— თხილამურებზე სრიალი იცი?

— არა. ყოველთვის მეშინოდა თხილამურებზე დადგომა. იმედია, მალე შიშსაც გადავლახავ და თხილამურზე სრიალსაც ვისწავლი.

— სოფო, გჯერა თუ არა, რომ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ასრულდება?

— აუცილებლად. სურვილებს ჩავიფიქრებ ხოლმე, როცა საათი 12-ჯერ ჩამოჰკრავს, იმ იმედით, რომ სურვილი ამისრულდება. ისე, 2006 წელს, გარდა იმისა, რომ შემოქმედებით წარმატებას მივაღწიე, გულის სწორიც ვიპოვე. ხედავ, ეს წელი რა ნაყოფიერი იყო ჩემთვის?!

— დაბოლოს, რას ინატრებდი 2007 წელს?

— „ევროვიზიის“ საკონკურსო წესების თანახმად, მომდევნო წელს ფესტივალი წლევანდელი გამარჯვებულის სამშობლოში იმართება. ამიტომ, ძალიან მინდა, 2007 წელს ფესტივალზე გავიმარჯვო და შემდეგი ფესტივალი საქართველოში ჩატარდეს.

ძალიან მიყვარს შემწვარი გოჭის ხორცი

„ელიტ ელექტრონიქსი“ ნიჭიერ მოზარდებს აჯილდოებს

სოფო ჭონიშვილი

კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“, გარდა იმისა, რომ მრავალფეროვანი საოჯახო ტექნიკითა და საყოფაცხოვრებო ნივთით გვანებივრებს, ახალგაზრდებს აძლევს სტიმულს, რომ მეტი იკითხონ, მეტად იაზროვნონ — შესაბამისად კი, კომპანია მათთვის პრიზებსა და საჩუქრებს არ დაიშურებს. ამ მიზანს ემსახურება მოზარდთა ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი — „ალუბლობა 2006“, რომლის ორგანიზატორები — კავშირი „ახალი ხელოვნება“ და კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“ არიან. ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ საპრეზენტაციო დარბაზში, ამ კონკურსის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. გამარჯვებულთა და ნომინანტთა გამოვლენასთან ერთად, წიგნის — „ალუბლობა 2006“ — პრეზენტაცია მოეწყო. ***ირინა ეგაძე,*** *„ელიტ ელექტრონიქსის“ პროექტების მენეჯერი:*

— „ელიტ ელექტრონიქსის“ მიზანია, ახალგაზრდა, მოზარდი თაობა მსგავსი პროექტებით დააინტერესოს, რათა მათი განათლებისა და ინტელექტის დონე ამაღლდეს. კონკურსი „ალუბლობა 2006“ 16 მაისს გამოცხადდა. მასში სულ 373-მა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

— ეს კონკურსი მარტო თბილისელი მოზარდებისთვის ჩატარდა თუ რაიონების მცხოვრებნიც მონაწილეობდნენ?

— ამ კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთ შეეძლოთ — 13-დან 19 წლამდე. კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი“ კონკურსში მონაწილე ყველა ახალგაზრდას აჯილდოებს, ვინც იშრომა, იწვალა და თავისი ნამუშევარი ჩვენამდე მოიტანა.

— მათი ნაშრომები თქვენამდე რა გზით აღწევდა?

— ყველა წიგნის მაღაზიაში, სპეციალური ყუთები იყო დადგმული, სადაც შეეძლოთ, თავიანთი ნამუშევარი ჩაეგდოთ. კომპანია — „ელიტ ელექტრონიქსმა“ 30-მდე მონაწილე დააჯილდოვა. კონკურსი ორ ეტაპად გაიმართა. პირველ ეტაპზე სპეციალურმა კომისიამ შემოსული მასალა გადაარჩია და ნამუშევართა პაკეტი მოამზადა, რომელიც შემდეგ ჟიურის წევრებს გადაეცა.

ჟიურის ობიექტურობის შედეგად, განსაკუთრებულად ნიჭიერი ახალგაზრდები გამოვლინდნენ, რომელთაც „ელიტ ელექტრონიქსმა“ სოლიდური საჩუქრები გადასცა. პირველ ადგილზე გასულ ალექსანდრე ნეგურიშვილს ერთი წლით, ყოველთვიურად, 100-ლარიანი სტიპენდია დაუნიშნა, მეორე ადგილზე გასული გიორგი ორბელაშვილი 80-ლარიანი სტიპენდიით დაჯილდოვდა, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა კახი მრელაშვილმა 70-ლარიანი სტიპენდია მიიღო. მეოთხე და მეხუთე ადგილზე გასულ მოზარდებს კომპანიამ პრიზად 500 ლარი გადასცა, 16 მონაწილეს — მობილური ტელეფონი, დანარჩენებს — დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები. ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა“ წელს მეორედ გაიმართა, კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ: ლელა ოჩიაური, თეონა დოლენჯაშვილი, რეზო გეთიაშვილი და შალვა ბაკურაძე.

კონკურსის „ალუბლობა 2006“-ის თანამდგომი ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემების შენარჩუნების ფონდი; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; წიგნის მაღაზიათა ქსელი „პარნასი“; გამომცემლობა „საარი“; „წიგნის სახლი“ და ნინო ქადაგიძე-ჟვანია; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და მაღაზია „სანტა ესპერანსა“; გამომცემლობა „დიოგენე“; გამომცემლობა „ლიტერა“; გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“; გამომცემლობა „ნეკერი“; პირველი ელექტრონული გამომცემლობა; კავკასიური სახლი; გამომცემლობა „ბალმი“; ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“.

ვეებერთელა საჭაპური, გოზინაყი და საცივი

ანუ ახალი სამსახური მუვენიერი მოღელებისთვის

ლალი ფაცია

თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, კობა სუბელიანს სამუშაო კაბინეტში ერთ დილას, ორი მშვენიერი ქალბატონი ეწვია: „მის საქართველო 2003“ — ირინა ონაშვილი და მოდელი — ანა კოშაძე, გოგონების მიზანი იყო, კობა სუბელიანისგან წინასაახალწლოდ, სპეციალურად ჩვენი რუბრიკისთვის, ინტერვიუ ჩამოერთმიათ, რადგან ჩვენს ქალაქში საახალწლო გრანდიოზულ სამზადისს სწორედ ის უდგას სათავეში: პირველად საქართველოში, კეთდება 25 კგმ ხაჭაპური და გოზინაყი, ასევე — 2 ტონა საცივი (კობა სუბელიანს ჩვენში თოვლის პაპის „მოადგილესაც“ ეძახიან). მასპინძელმა მშვენიერ ქალბატონებს დრო სიამოვნებით დაუთმო, მათთან საუბრით გული ოვერა და არა მარტო გრანდიოზულ ღონისძიებაზე, არამედ ბევრ სხვა საკითხზეც ელაპარაკა.

ქრონიკაბი – ირინა ონაშვილი, ანა კოშაძე
რესპონდენტი – კობა სუბელიანი

ანა:

— როგორც ვიცი, განათლება სასულიერო სასწავლებელში გაქვთ მიღებული, ხომ?

— დიახ, დამთავრებული მაქვს სასულიერო სემინარიაც და აკადემიაც. კათოლიკოს-პატრიარქის სტიქაროსანი ვიყავი 15 წლის განმავლობაში...

ირინა:

— მომწონს, რომ ჩვენი ქალაქი მშვენდება, სუფთავდება, მაგრამ მაქვს ინფორმაცია — რომ თავისუფლების მოედანზე წმინდა გიორგის ქანდაკების დასადგმელად, საპატრიარქომ ნებართვა არ მოგცათ, ძეგლი კი მაინც დადგით. წმინდა გიორგი მხოლოდ ხატზე უნდა იყოს გამოსახული და მას მხოლოდ ერთი მხრიდან უნდა უყურო; მისთვის გარს შემოვლა არ შეიძლებაო...

— არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა. წმინდა გიორგის ამ ძეგლს კანონიკური სახე არა აქვს — ეს უფრო თავისუფლების სიმბოლოა.

ირინა:

— ახალი წლის გრანდიოზულად შეხვედრას გეგმავთ, არა?

— წინა წლებისგან განსხვავებით, წელს ჩვენთან საახალწლო ღონისძიებები 25 დეკემბრიდან დაიწყო. ყოველდღე იმართება კონცერტები — რიყეზე, პუშკინის სკვერში, გლდანში, ატრაქციონების ტერიტორიაზე, ვარკეთილში. ამისთვის სცენებია გაშენებული. იქვე იმართება საშობაო-საახალწლო ვაჭრობა. ამ ადგილებში შესაძლებელი იქნება ცხელი ყავის დალევა და სხვადასხვა ნუგბარის დაგემოვნება. ამ საქმეში ჩართულები არიან ცნობილი ბრენდები; მათ თავიანთი ჯიხურები დადგეს.

ანა:

— ქუჩები საახალწლოდ რომ მორთეთ, არ დაიღალეთ?..

— ქუჩების ფიფქებით, გირლანდებით, ნათურებით მორთვას დიდი ენერგია შევალიე. ვითვალისწინებდი როგორც მოქალაქეების, ასევე ჩემი ზემდგომების სურვილებსაც. კინაღამ გავგიჟდი.

ირინა:

— ნათურები საიდან ჩამოიტანეთ?

— ჩინეთიდან. ზოგიც ჩვენ გვქონდა — საწყობში შენახული, შარშანდელი. მორთვის პროცესში ყველას საკუთარი აზრი ჰქონდა: ამ ხეზე ეს ნათურა ასეთნაირად და ამდენი მიამაგრე, იქ — ისეო... წარმოიდგინეთ, ქალაქში რამდენი ხეა და რა დღეში აღმოჩნდებოდი! მგონი, შემძულდა ახალი წელი.

ირინა:

— პარლამენტის წინ დადგმული ნაძვის ხე არ მომწონს. მიმაჩნია, რომ სხვანაირი უნდა ყოფილიყო.

— რატომ? პირამიდული ნაძვის ხეა, განსხვავებული. შედით ინტერნეტში და ნებისმიერ საიტზე ნახავთ, რომ ეს ნაძვის ხე ძალზე თანამედროვეა. „დონე“ ნაძვის ხე გვაქვს *(იღიმება)*.

ანა:

— მე მომწონს, ორიგინალურია. ქუჩებში რომ დგამთ ნაძვის ხეებს, სახლში თუ გამართეთ ის?

— არ დამიდგამს. ჩემმა ცოლმა მითხრა, — მოდი, დავდგათო. ნაძვის ხე არ მიხსენო-მეთქი, — ვუპასუხე: ქალაქში ხუთი ნაძვის ხე დავდგი, საკმარისია *(იცინის)*, სახლში რაღად მინდა, მაინც ქუჩაში უნდა შეეხვდე ახალ წელს.

ანა:

— წარმოშობით სვანი ხართ, ხომ?

— წარმოშობით კი არა, სვანი ვარ *(იცინის)*.

ანა:

— სვანებზე ანეკდოტები იცით?

— სვანებზე ანეკდოტებს თვითონ ვიგონებ ხოლმე.

ირინა:

— მგონი, მეგრულიც იცით. სად ისწავლეთ?

— გიგი უგულავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი რომ იყო, მე მაშინ გუბერნატორის ფონდის დირექტორი გახლდით. 11 თვე მომიწია იქ ყოფნამ და „ჭიჭე მარგალურ მიჩქუ“ *(ცოტა მეგრული ვიცი. — ავტ.)*...

ირინა:

— როგორც შევიტყვეთ, ვეებერთელა საცივისთვის 40 ინდაური უკვე დაიბეგეთ და მათგან 2 ტონა საცივი უნდა გაკეთდეს?

— კიდევ 100 ფრთა ინდაური უნდა შევიძინოთ, რომელთაგან 2 ტონა საცივი მომზადდება. ამ ყველაფერს ის მიზანი აქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოვხვდეთ. იქვე იქნება გინესის რეკორდების საააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში — გვანჯი მანია, რომელიც დააფიქსირებს ამ ფაქტს. ამასთან, ეს ღონისძიება მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გაშუქდება. ასევე იქნება 25 კგმ გოზინაყი და ამავე ზომის ხაჭაპურიც. ამ აქციით, ქართული სამზარეულოს პოპულარიზაცია მოხდება. ქართულმა კერძებმა გერმანულის, ჩინურის, თურქულის, იტალიურის გვერდით, მსოფლიოში ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს.

ანა:

— მერე საცივთან ერთად, ღომი არ გვინდა?! ისე როგორ უნდა ვჭამოთ?

— ჯერჯერობით ხაჭაპური უნდა მივაყოლოთ, შემდგომ წლებში შეიძლება ღომიც გაკეთდეს. ერთი კარგი ანეკდოტი გამახსენდა: კახელი და მეგრელი მატარებლის კუპეში ერთად სხედან. კახელს მოშივდა და თავისი ხურჯინიდან ხაშლამა, ყველი და დედასპური ამოალაგა. მეგრელმა ცივი ღომი ამოიღო. კახელმა იკითხა — ეს რა არისო? — ეს გონებას ხსნისო. — მოდი, გავცვალოთო, — შესთავაზა კახელმა. გაცვალეს. ცოტა ხნის შემდეგ, კახელმა უთხრა — დამიბრუნე ჩემი პურმარილიო. — უკვე გაგეხსნა გონებაო?... — ჰკითხა მეგრელმა.

ირინა:

— ვეებერთელა ხაჭაპური სად უნდა გამოცხვეს და ვინ უნდა გააკეთოს?

— მას კულინარიული ფირმა „ჩემი სახლი“ გააკეთებს. მომზადდება 25 კგმ „ჟარონა“, მას ღუმელი არ დასჭირდება — ცეცხლს შეუნთებენ, ზემოდან ფოლგას გადააკრავენ, რომ შიგნით სიმხურვალე დაატრიალოს.

ანა:

— ის იქვე, ქუჩაში უნდა გაიჭრას?

— დიახ, რიყეზე. იქიდან გარკვეულ ნაწილს, მზრუნველობამოკლებული და უნარშეზღუდული ბავშვებისთვის შევინახავთ. ნაწილს, რა თქმა უნდა, მოქალაქეები მიირთმევენ. ხაჭაპური ჩვეულებრივი რეცეპტით დამზადდება. გვპირდებიან, რომ ის ძალიან გემრიელი გამოვა.

ირინა:

— რიყეზე ეს წვეულება იმ ადგილას იქნება, სადაც საწნახელი იდგმება ხოლმე?

— ეს ყველაფერი ყინულის მოედანთან ახლოსაა დაგეგმილი. ყინულის მოედანიც სპეციალურად წინასაახალწლოდ მოვაწყვეთ.

ირინა:

— რამდენ კაცს ელოდებით რიყეზე?

— საერთოდ, რიყეზე 100000 კაცი ეტევა, ხოლო სცენის წინ, სადაც ღონისძიების ეპიცენტრია, ყინულის მოედანთან — 5000 ადამიანი დაეტევა.

ანა:

— თქვენ კი თქვით, — ახალი წელი შემოგვარდაო, მაგრამ ამას ვერ დავიჯერებ. მაშინ, ასეთი მონდომებით არ იქნებოდით შემართული მის შესახვედრად.

— *(იცინის)* შარშან ისეთი მონდომებული ვიყავი, რომ წუთ-ნახევრით ადრე ვასროლინე საახალწლო ფეიერვერკი. ე, ბიჭო, გახდა 12 საათი და დასცხეთ ფეიერვერკი-მეთქი!.. ასე რომ, ახალი წლის ღამეს ორი რაცია მიჭირავს ხელში და დავრბივარ.

ირინა:

— სანამ ამ სამსახურში მოხვდებოდით, როგორ ხვდებოდით ახალ წელს?

— საპატრიარქოში, კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად. ეს ტრადიცია 1989 წლიდან მომყვებოდა. ძველით ახალ წელსაც მივდიოდი ხოლმე საპატრიარქოში.

ირინა:

— სულ რაღაც ორი თვეა, რაც დაოჯახდით. მეუღლისთვის რომ ვერ იცლით, ეს პრობლემებს არ გიქმნით?

— 29 ოქტომბერს ჯვარი დავიწერე და საქორწინო მოგზაურობაში რომში წავედით. ყოველთვის მეგონა, რომ თაფლობის თვე ერთ თვეს გრძელდებოდა, მაგრამ ჩემმა თაფლობის თვემ „სეკვესტრი“ განიცადა და ათდღიანი გამოვიდა. სასაცილო ის იყო, რომ რომში ყოფნისას სულ მეძინებოდა. იმ პერიოდისთვის არჩევნები ახალი დამთავრებული იყო და დაღლილ-დაქანცული ვიყავი. ჩემი ცოლი კი ყოველდღე მექაჩებოდა — წამოდი, ის დათვალიეროთ, ეს დავათვალიეროთო. რომში ყველაფერი სანახავია... ჩემი მეუღლე შეგუებულია ჩემს დაძაბულ სამუშაო გრაფიკს. სანამ მოვიყვანდი, ადრეც სულ განვიცდიდით ერთმანეთის ნახვის დეფიციტს. ახლა ერთადერთი იმედი ის არის, რომ საღამოობით მაინც ვნახულობ *(იცინის)*.

ირინა:

— გაგვაცანით, ვინ არის თქვენი მეუღლე?

— თამუნა სულაბერიძე — სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს, სტუდენტია...

ანა:

— ოდესმე ვინმეს მეკვლე თუ ყოფილხართ?

— როგორ არა, შესანიშნავი ფეხი მაქვს. სადაც მივდივარ, იმ ოჯახში თუ გასათხოვრები არიან, თხოვდებიან ხოლმე. ერთხელ ჩემი მეგობრის სახლში მივედი და და გაუთხოვდა. მერე მეხუმრებოდა — კინაღამ დედაჩემიც გათხოვდაო *(იცინის)*..

ჟურნალისტი – კობა სუბელიანი
რესპონდენტები – ირინა ონაშვილი, ანა კოშაძე

— სიმართლე გითხრათ, თქვენმა სტუმრობამ ძალიან გამახარა. დიდი ხანია, შორიდან (ტელევიზია, პრესა) გადევნებდით თვალყურს. სულ მქონდა თქვენი გაცნობის სურვილი... ანა, ირინას მსგავსად, შენც რატომ არ მიიღე კონკურსში „მის საქართველო“ მონაწილეობა?

ირინა:

— *(ასწრებს პასუხს)* კონკურსზე რომ გასულიყო, „მის საქართველო“ აუცილებლად გახდებოდა. არ გავიდა, რატომღაც, არ მოინდომა. ახლა უკვე დაგვიანებულია, რადგან გათხოვდა.

— ქუჩაში რომ გცნობენ, გიყურებენ, ამ დროს რას განიცდით?

ირინა:

— ხალხის სიყვარული ჩემთვის ყველაზე დიდი წარმატებაა, დამიჯერეთ, იმაზე მეტიც, ვიდრე „მის საქართველოს“ ტიტული.

ანა:

— ტყუილია, რომ ამბობენ — პოპულარობა სამინელება და შემაწუხებელიაო. პოპულარობა სასიამოვნოა და ადამიანს ბევრ რამეში ეხმარება.

— გეთანხმებით. გარდა იმისა, რომ მოდელები ხართ, ალბათ, სხვა საქმითაც ხართ დაკავებული, არა?

ანა:

— სტუდენტი ვარ. სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ.

სიმართლე გითხრათ, თქვენმა სტუმრობამ ძალიან გამახარა

ირინა:

— მეც ვსწავლობ, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ვარ. „ლუკოილის“ სარეკლამო სახე ვარ, ერთ-ერთი ახალი ჟურნალის რედაქტორობაც შემომთავაზეს, რომელსაც მალე „ალბატროსი“ გამოუშვებს.

— კარგად სწავლობთ?

ირინა:

— საკმაოდ. ლექციებზე ბოლო დროს სიარულს ვეღარ ვახერხებ, მაგრამ გამოცდებს კარგად ვაბარებ. არავის ეგონოს — რადგან „მის საქართველო“ ვარ, შეღავათებს მიწევენ.

— მომავალში რას აპირებთ?

ანა:

— სამოქალაქო სამართალს ავირჩევ. ადვოკატობა მინდა.

ირინა:

— მე იმ ეტაპზე ვარ, როცა მომავალი სპეციალობა უკვე არჩეული მაქვს — სამოქალაქო სამართლის განხრით.

— რომელიმე თქვენგანი შემდგომში მუშაობას აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ხომ არ აპირებს?

ირინა:

— გამორიცხული არაფერია. თუმცა ვცდილობ, პოლიტიკას არ გავეკარო. ჩემში აგრესიას იწვევენ ის ადამიანები, რომლებიც პოლიტიკაში სპორტიდან, ხელოვნებიდან, შოუბიზნესიდან მოდიან. ვფიქრობ, რომ პოლიტიკა მათი საქმე არ არის.

— რატომ ფიქრობ ასე? ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს იურისტს, უნდა ჰქონდეს აზრი, რომ ქვეყნის მართვაში მონაწილეობდეს.

ანა:

— თქვენთვის სასიამოვნო და კომფორტულია ის სამსახური, სადაც დღეს მუშაობთ?

— სრული დისკომფორტია, რადგან ლამის თავდაყირა დავიწყო სიარული, მაგრამ გულის კუნჭულში მსიამოვნებს, როცა ქუჩაში ადამიანები მაჩერებენ და მადლობას მიხდიან — გაკეთებული გზებისთვის, განათებული ქუჩებისთვის.

ანა:

— ვისაც ჩვენი ქალაქი დიდი ხანია არ უნახავს, ახლა ძალზე მოსწონს: თბილისი დღითი დღე უკეთესობისკენ იცვლება.

— ახლა გამიჩნდა იდეა: ცნობილი ადამიანებისგან რაღაც საზოგადოება ხომ არ ჩამოვაყალიბო, სადაც თქვენნაირ ხალხს გავაერთიანებ?! სადისკუსიო თემები როცა წამოიჭრება, მოხვალთ და თქვენს პოზიციას დააფიქსირებთ ხოლმე... ახლა ის მითხარით, რას აპირებთ ახალი წლის ღამეს და ამ საახალწლო დღეებში არ მიიღებთ მონაწილეობას ჩვენს ღონისძიებებში? თუნდაც რომელიმე კონცერტი რომ წაიყვანოთ... ხალხს თქვენი დანახვა გაუხარდება. ფაქტობრივად, სამსახურს გთავაზობთ.

ანა:

— *(იცინის)* ისე აღგვიწერეთ ახალი წლის ღონისძიება, რომ რიყეზე ახალი წლის ღამეს გასეირნება მომინდა...

— აბა, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს!

— დიდი მადლობა!

■

თიკა კანდელაკი ახალ წელს სულეიმან ქერიმოვთან ერთად შეხვდება

ტელეწამყვან თინა (თიკა) კანდელაკისა და ბიზნესმენ სულეიმან ქერიმოვის გარშემო ატეხილი სკანდალი არა და არ ცხრება. გაზეთ Комсомольская правда-ს ცნობით, ტელეარხ CTC-ის კულუარებში უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ თიკა და მისი მეუღლე — ანდრეი კონდრახინი ახალი წლის აღნიშნავს მილიარდერთან ერთად აპირებენ და ამ მიზნით, მას ბელგიაში (შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ, ქერიმოვი სწორედ ამ ქვეყნის ერთ-ერთ ელიტურ კლინიკაში მკურნალობს) ეწვევიან. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, ჟურნალისტები თინას და მის მეუღლეს პირადად ესაუბრნენ. „ორ იანვარს, — განუცხადა მათ ანდრეი კონდრახინმა, — მე და თინა შვილებთან ერთად, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში

მივფრინავთ და იქ ერთ კვირას დავყოფთ. ახალ წელს კი, ჩემს მეუღლეს საჩუქრად ძვირფას სამკაულს მივუძღვნი“. „ახალ წელს საამიროში, ქმართან ერთად შევხვდები, — ანდრეის არ ჩამორჩა თინაც, ხოლო როცა აბეზარმა ჟურნალისტებმა ისევ ბელგია უსესენეს, ცოტა კიდეც განაწყენდა: — რაც არ უნდა გითხრათ, მაინც თქვენს ინფორმაციას დაბეჭდავთ. რატომ არ გჯერათ ჩემი? ან რატომ უნდა გაგაცნოთ ჩემი გეგმები?! მე ხომ საერთოდაც, აკრძალული მაქვს თქვენთან ლაპარაკი...“

შექმნილ სიტუაციაში სიცხადის შეტანა თინა კანდელაკის ახლო მეგობარმა, მსახიობმა სადალსკიმ სცადა: „თინა მეუღლესთან ერთად, ნამდვილად ბელგიაში მიფრინავს, — ეჭვი დაუდასტურა მან ჟურნალისტებს. — მეტსაც გეტყვით, თინამ მეც მათთან ერთად გამგზავრება მთხოვა. იმიტომ, რომ კერძო თვითმფრინავში, რომელსაც 31 დეკემბერს ქერიმოვი ჩვენს წასაყვანად გამოგზავნის, მისი ცოლი ფერუზაც იქნება. თავადაც ხვდებით, ალბათ, თუ ის რა თვალითაც უყურებს თინას. ასე რომ, მე მხოლოდ თინასა და მისი ქმრის — ანდრეის თხოვნით მივფრინავ, რათა კანდელაკსა და ქერიმოვის ცოლს შორის ერთგვარი ბუფერის როლი შევასრულო...“ ჟურნალისტის კითხვაზე — იცნობს თუ არა ქერიმოვის მეუღლეს? — სადალსკიმ უპასუხა: „პირადად არ ვიცნობ. მხოლოდ ტელეფონით გვქონდა ურთიერთობა. თინამ მთხოვა, ფერუზა ჩვენთან ერთად წამოსვლაზე დამეყოლიეინა. გესმით ალბათ, როგორ არ სიამოვნებს თინას, რომ დამნაშავედ მაინცდამაინც ის გამოიყვანეს. საქმე ისაა, რომ სულეიმანმა თავად სთხოვა მას — ნიცაში მომხდარის დეტალებზე არაფერი ეთქვა. შედეგად კი, თინა ტყუილ-მართალში ისე გაიხლართა, რომ მეორე ქსენია სობჩაკად იქცა. ისე, როცა თინას ვუთხარი — იმ გამონაგონი ყბაყურით მხოლოდ საკუთარ თავს თუ ავნებ, — გაეცინა და გამომწვევად მიპასუხა: სობჩაკზე The New Iork Post-ში არასდროს არაფერს დაწერენ, აი, კანდელაკზე კი დაწერესო...“

■

სად რას უძღვნიან საჩუქრად ახალ წელს

როგორც ირკვევა, საახალწლო საჩუქრებს ერთმანეთს ჯერ კიდევ ძველი რომაელები უძღვნიდნენ. მას შემდეგ, ამ სასიამოვნო ტრადიციამ არაერთი საინტერესო ცვლილება განიცადა და ბევრ ქვეყანაში სრულიად უნიკალურ წესჩვეულებებშიც გადაიზარდა. მაგალითად:

შოტლანდიაში ახალი წლის ღამეს მეგობრებისა და ახლობლების ოჯახებში სტუმრობისას, თან ღვეზლის ნაჭერი, ჭიქა ღვინო და ნახშირის ნატეხიც მიაქვთ. ძველი გადმოცემის თანახმად, ამის შემდეგ, ოჯახს საკმელ-სასმელი და სითბო მთელი წლის მანძილზე არ მოაკლდება.

დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი თოვლის ბაბუის, უფრო ზუსტად კი — შობის მამის (Father Christmas) სახელზე საჩუქრების ჩამონათვლიან წერილს წერენ, შემდეგ მას ბუხარში აგდებენ და სჯერათ, რომ საბუხრიდან ამოსული კვამლის მეშვეობით, ის პირდაპირ ჯადოსნურ ადრესატთან მოხვდება. ისე, უქმად არც ნამდვილი ფოსტაა გაჩერებული, რადგან ინგლისელები ყველა ნაცნობს მისალოც ბარათს უგზავნიან. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ინგლისელები ერთმანეთს ზუსტად ერთნაირი ღირებულების საჩუქრებს უძღვნიან, ოჯახებში კი — კენჭისყრით ანაწილებენო.

ამერიკელები ჯერ საჩუქრის ფორმით ინტერესდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ — მისი შინაარსით. ამიტომაც, ამ ქვეყანაში ერთმანეთს, როგორც წესი, ლამაზად შეფუთულ, სხვადასხვა ფორმისა და ზომის კოლოფსა თუ ფუტლარში მოთავსებულ ნივთებს უძღვნიან.

საფრანგეთში საჩუქრების შერჩევის საგანგებო წესებს იცავენ. მაგალითად, ქმარს შეუძლია, ცოლს სუნამო აჩუქოს, მაგრამ თუ იმავეს სხვა მამაკაცი შეეცდება, ეს უკვე უწესო საქციელად ჩაითვლება.

გერმანელები საკუთარ ოჯახებში სადღესასწაულო სუფრასთან იკრიბებიან და „ბეშერგურნს“ ანუ საჩუქრების გაცვლა-გამოცვლის ცერემონიას მართავენ. გერმანელთა სადღესასწაულო სუფრას კარგა მოზრდილი თაფლაკვერიც აუცილებლად ამშვენებს.

ესტონეთში, შოტლანდიასა და **ავსტრიაში** მიაჩნიათ, რომ ყველა, ვინც ქუჩაში მებუხრეს შეხვდება, ბედს ეწევა. ამიტომაცაა, რომ ამ ქვეყნებში შობის ღამეს ერთმანეთს, არცთუ ისე იშვიათად, თიხის ან ქსოვილის მებუხრეებს მიართმევენ.

გრენლანდიაში ახალ წელს ახლობლებსა და ნათესავებს ყინულისგან გამოკვეთილ, ცხოველების პატარ-პატარა ფიგურებს უძღვნიან. ადგილობრივი კლიმატის წყალობით, ასეთი საჩუქარი საკმაოდ დიდხანს ძლებს.

შვეციაში ერთმანეთს თვითნაკეთი სანთლებით ასაჩუქრებენ. ზამთარში ხომ იქ ძალიან მალე ღამდება და ამიტომაც, სანთლის შუქი მარტო სინათლის კი არა, მხიარულებისა და მეგობრობის სიმბოლოდაც მიიჩნევა. შვედი ბავშვებისთვის კი საჩუქრები იქაურ თოვლის ბაბუას — იულ ტოტმენს მიაქვს.

გაგრძელება იხ. გვ. 68

ლადო გუდიაშვილის წახალი ნაპოვნია

შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ქალაქ თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ლევან ბოკერიას ბინის ქურდობაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება დააკავეს. ესენი არიან: 1966 წელს დაბადებული ბესიკ შუბითიძე, 1971 წელს დაბადებული დავით შაროიანი და 1976 წელს დაბადებული შალვა ფანჩვიძე. ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა მათ, ლევან ბოკერიას ბინიდან მოპარული ტილო — გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული სურათი — „ნანა ზამბახით“ აღმოუჩინეს. ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მომავალ წელს ტრეფიკინგს აქტიურ ბრძოლას გამოუცხადებენ

2007-2008 წლებისთვის შემუშავებულია ადამიანით ვაჭრობის — ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის პროექტი. გენერალური პრუკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი საქართველოს ხელისუფლების, ადამიანით ვაჭრობის პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა. ეს პროცესი, როგორც ამბობენ, ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში, ჯგუფმა 6 შეხვედრა მოაწყო, სადაც პროექტის ძირითადი ამოცანები და მიზნები განიხილეს. გეგმის თანახმად, უნდა მოხდეს ადამიანით ვაჭრობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, ასევე საჭიროა ამ სახის დანაშაულის ჩამდენთა სამართლებრივი დევნის გააქტიურება. სამოქმედო გეგმის პროექტი საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად უახლოეს მომავალში წარედგინება.

სასამართლომ კანონიერ ქურდს 30-მილიონიანი ქონება ჩამოართვა

ე.წ. კანონიერ ქურდს — ზაქარია კალაშოვს სასამართლოს გადაწყვეტილებით, წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები ჩამოერთვა. ამ ფაქტს გენერალურ პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგიც მიუძღვნეს. როგორც გენპროკურორის მოადგილემ — კახა კობერიძემ განაცხადა, პროკურატურამ კანონიერი ქურდის უკანონოდ შეძენილი ქონების შესახებ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საკითხის გარკვევა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კრიმინალური ავტორიტეტისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ სარჩელი საქალაქო სასამართლომ 21 დეკემბერს დააკმაყოფილა.

„სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და კანონიერ ქურდს, მიხეილ მდინარაძის სახელზე გაფორმებული მიწა და შენობა-ნაგებობები ჩამოართვა. ეს ქონება საბაზრო ღირებულებით, 30 მილიონ ლარს აჭარბებს. სასამართლოში ჩვენ მიერ შეტანილია სხვა სარჩელებიც, რომლებიც კონკრეტული კრიმინალური ავტორიტეტების უკანონო ქონების ჩამორთმევას ეხება. ამ ავტორიტეტებს შორის არიან: ტარიელ ფოცხვერია, გაიოზ ზვიადაძე, გია კვარაცხელია და გიორგი გოგოლაძე. რაც შეეხება კალაშოვს, ის იმ ქართული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერად მიიჩნევა, რომლის მიმართაც, დაახლოებით ერთი წლის წინ ესპანეთში სპეცოპერაცია განხორციელდა. კალაშოვი არაბთა გაერთიანებული საამიროების სამართალდამცველებმა 2006 წლის 7 მაისს, კრიმინალური დაჯგუფების შეკრების დაწყების წინ დააკავეს. აღსანიშნავია, რომ დაკავებულს ორმაგი — საქართველოს და რუსეთის მოქალაქეობა აქვს. დადგენილია, რომ მას კონტაქტები ჰქონდა რუსეთის ყველაზე მსხვილ და გავლენიან კრიმინალურ დაჯგუფებებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან“, — განაცხადა გენპროკურორის მოადგილემ.

კალაშოვმა ესპანეთი 2005 წელს დატოვა — მაშინ, როცა ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია იგეგმებოდა. ის სამართალდამცველებს ხელიდან დაუსხლტა.

ბიძინა გიორგობიანის საქმეს საქალაქო სასამართლო განიხილავს

თბილისის საქალაქო სასამართლო სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის — ბიძინა გიორგობიანის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს. სასამართლო პროცესი განსასჯელის გარეშე მიმდინარეობს. სხდომაზე მოწმეები იკითხებიან. საქმეს მოსამართლე ეკა არეშიძე განიხილავს, ხოლო განსასჯელის ინტერესებს ადვოკატი გოგმარ გაბუნია იცავს.

ბიძინა გიორგობიანს ბრალად ედება სახელმწიფო ქონების მითვისება და გაფლანგვა. მუხლი, რომლითაც მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული, 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სატყეო მეურნეობის ყოფილ ხელმძღვანელს წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად, ერთი წლის წინ შეუფარდეს. შეგახსენებთ, რომ გიორგობიანმა საქართველო 2005 წლის მარტში დატოვა. ემიგრაციაში წასვლის მიზეზად კი, შს მინისტრთან — ვანო მერაბიშვილთან პირადი უთანხმოება დაასახელა. გიორგობიანის თქმით, მასა და მინისტრს შორის უთანხმოება ხეტყის ბიზნესს უკავშირდებოდა. კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი — ნუგზარ ნაჭყებია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა ბიძინა გიორგობიანს ყალბი აქტების შედგენა დაავალეს. აღნიშნულ სასამართლო პროცესს ოპოზიციაც ეხმაურება. ოპოზიციის ლიდერები პარლამენტში შს მინისტრის, გენერალური პროკურორისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მისვლას მოითხოვენ.

პოლიციის ინსპექტორი ძრომის აღებისშვის დააკავეს

ამ კვირაში გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე, მარნეულის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი — მამუკა ალავიძე დააკავეს. სამართალდამცველების ინფორმაციით, მან განსასჯელებისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში დახმარებისთვის, მოქალაქეს 500 დოლარი გამოსძალა. სისხლის სამართლის საქმე ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლითაა აღძრული და მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებს.

მეორადი ტანსაცმლის უკანონოდ შემოტანა ინდმეწარმეს მილიონ 300 ათასი დაუჯდა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველომ ლიტვიდან კონტრაბანდული ტვირთის არაერთგზის შემოტანის ფაქტზე ინდმეწარმე დააკავა. ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების დროს, პოლიციელებმა გამოარკვიეს, რომ მან 2004-2005 წლებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მეორადი მოხმარების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შემოიტანა, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით კი, საბაჟო გადასახადი თვითნებურად შეამცირა. საერთო ჯამში, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, აღნიშნულმა პირმა ბიუჯეტს 741.288 ლარი დაუმალა. ახლა კი, ჩადენილი დანაშაულის გამო, სანქცია-საურავების ჩათვლით, მთავრობისთვის მილიონ 300 ათასზე მეტი ლარი აქვს გადასახდელი. ინდმეწარმე უკვე წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 214-ე მუხლით აღძრეს, რაც „საბაჟო წესის“ დარღვევას ითვალისწინებს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

„ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მასსენდება...“

„მარი, ზურასა და ნატალის რეალურობაში ეჭვი მეპარება და თუ შეგიძლია, დამარწმუნე, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ“, — ასეთი მესიჯი მივიღე ერთ-ერთი მკითხველისგან. მინდა, პატივცემულს ვუთხრა, რომ ჯერ ერთი, მკითხველის მოტყუება „გზის“ წესი არ გახლავთ; მეორეც, ნატალის ინტერვიუ და ფოტო ჯერ კიდევ რომანის დასაწყისშივე შემოგთავაზეთ და მეტი რაღა ვქნათ?! თუ დამაჯერებელი იქნება, დედასაც დავიფიცებ– არ ვიცი, ამის შემდეგ დაიჯერებს თუ არა სკეპტიკოსი მკითხველი ონლაინ-რომანის გმირების რეალურობას, ამიტომ, ისღა დამრჩენია, გაგახსენოთ ძველი ანეკდოტის ფინალი — ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო...

მარი ჯაფარიძე

„დედაააა... დამტანჯა ამ ხალხმა. ეს ნამდვილი საჟურნალო სერიალია, „საპნის ოპერა“ ქართულად. ხან ზურას მოსდის რაღაც, ხან — ნატალის. ჩემი დეიდაშვილი მოკვდა ნერვიულობით. საინტერესოა, ახლა რაღა მოხდა? ოჰ, ზურა, ზურა, სულ ტყუილად გვანერვიულებ... მარი, ეს ამბავი ერთ დიდ წიგნად რომ დაწერო, იცი, როგორ გამდიდრდები?.. ამ წყვილს ბედნიერებას ვუსურვებ! პუპსიკუნა“.

„ახლა დავამთავრე პანდორასა და ზურას ამბის კითხვა, ყველა ნომერი წავიკითხე. რაღაც, რომანს ჰგავს და მაგარი მუღამი აქვს. საინტერესო ადგილზე რომ წყდება, აღარ ელოდები ხუთშაბათის მოსვლას, იქვე გიდევს მომდევნო ნომერი და განაგრძობ კითხვას. ახლა ყველა დავნომრე, „დავასტეპლერე“ და ფაილში ჩავდე, დიდი მოწიწებით“.

„ნატალია და ზურიკო, უმაგრესები ხართ. აუ, ხალხო, იქნებ, ვინმემ მოკლედ მომწეროთ, ბაჩომ რომ ნატალის დაურეკა, მერე რა მოხდა? „გზის“ ეგ ნომერი ვერ ვიშოვე“.

„ნატალი და ზურა, თქვენი ფანი ვარ, იბრძოლეთ თქვენი ლამაზი სიყვარულისთვის! იმ წინასწარმეტყველს კი მივმართავ — იქნებ, მეც მიწინასწარმეტყველო რამე? გიჟი მაკუნია“.

„უკვე მეორედ გწერთ. ძალიან მჭირდება ნატალის რჩევა, მაგრამ ვინ მაქცევს ყურადღებას?.. ერთი ბიჭი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთი პრობლემაა — ერთმანეთი მესიჯებით შეგვიყვარდა, ის ჯერ არ მინახავს. ჩემი გაცნობა ძალიან უნდა, მაგრამ არ ვხვდები, მეშინია, რომ არ მოვეწონო?.. ძალიან კომპლექსიანი და ზედმეტად მორცხვი ვარ. დარწმუნებული გახლავართ, როცა შევხდები, მისი შემრცხვება და გავწითლდები. ნატალი, ვიცი, რომ „გზას“ კითხულობ, გემუდარები, მირჩიე, როგორ დავძლიო ავადმყოფური სიმორცხვე? ყველაფერზე ვწითლდები და მგონია, რომ არავის მოვეწონები, საკუთარი თავის ფასი არ ვიცი. ნატალი, გევედრები, ნუ დაგეზარება ერთი მესიჯის მოწერა. მორცხვი სვანი, 17 წლის“.

„ნეტავ, მართლა უყვართ თუ არა ნატალის და ზურას ერთმანეთი? ან თუ არსებობს საერთოდ სიყვარული?.. სამწუხაროდ, გათხოვილი ვარ, მაგრამ სიყვარულის მაგივრად, მძულს“.

„მინდა, ნატალის ვუთხრა, რომ არასწორად იქცევა. ღმერთს ვთხოვ, ერთხელ თვითონაც აღმოჩნდეს ზურას ცოლის ადგილზე, რათა გაიგოს, რა მწარეა ღალატი. ქალებო, შეჩერდით! სხვისი ქმრები რად გინდათ, ქვეყნად კაცები დაილია? „განადგურებული“.

„მარი, ძალიან საინტერესო რუბრიკებს იგონებ და კარგი ჟურნალისტი ხარ. მინდა, ნატალის ბედნიერება ვუსურვო, მაგრამ ზურას სიყვარულის მარადიულობაში ეჭვი მეპარება. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ კაცი, რომელიც ერთი ღამით ვერ იტყვის უარს სიამოვნებაზე და მეძავს „ეტაკება“, სანდო ვერც მომავალში იქნება. ბაჩო ბევრად უფრო მესიმპათიურება, მიუხედავად მისი კრიმინალური ცხოვრებისა. ის ნამდვილი მამაკაცი ჩანს. თუმცა, ნატალი ფსიქოლოგია და გულიც მისია. თათია“.

„აუ, მარი, რა ცუდ ადგილზე წვეტ ხოლმე თხრობას! სერიალს ჰგავს — იქაც მაგარ მომენტზე წყვეტენ ხოლმე ფილმს და ხალხი სულმოუთქმელად ელოდება, მაგრამ ჩვენ გაცილებით ცუდ დღეში ვართ, რადგან ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე გვიწევს ლოდინი. მერე კიდევ ასეთ ადგილზე გაჩერდები და გვტანჯავ, რა! ნატ, გამაგრდი!“

„მარი, ნატას მსგავსად, მეც ცუდ დღეში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ქმარიც მყავს და შვილებიც, მაინც შემიყვარდა. რამდენიმე წლის მანძილზე მალულად ვხვდებოდით ერთმანეთს. გამოჩნდა სხვა ქალი, რომელმაც შვილი გაუჩინა. მეგონა, სიცოცხლე დამთავრდა, მაგრამ მოხდა სასწაული და უჩემოდ ვერ გაძლო. მოვიდა და მომიბოდიშა, მაგრამ მე მიჭირს პატიება. ნატ, თუ ნამდვილი სიყვარულია, ის აუცილებლად შენთან დარჩება. გაუფრთხილდი და იბრძოლე. მე ოჯახმა შემაჩერა. ნებიერა“.

„ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ამ ნათელმხილველს რაღა უნდა?!.“

„მარი, ვიცი, ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, მაგრამ მაინც გეტყვი. შენი დონის ჟურნალისტი არ უნდა ცდებოდეს მრუში ადამიანების ისტორიის გამომზეურებით. ეგ სიყვარული არაა. ვ.დ“.

„მარი, მე ძალიან მინდა, რომ „გზა“ გაფერადდეს და შენი, ნატას და ზურას პლაკატებით გაივსოს. ელე“.

„მარი, ასე რატომ გვტანჯავ ზურას და ნატალის ფანებს? „აღ გეჩოდებით“, ასეთ საინტერესო ადგილზე რომ წყვეტ „ქოლმე“? „ჩოდოები აღ ვალთ“? ჭინკა“.

„აუ, ზურა არ მევასება. ნატა და სონა მაგრები არიან. ბაჩო მაგარი კაცია. მინდა, რომ ეგ და ნატა ერთად იყვნენ“.

„მარი, ამ სიბოროტით დაბრმავებული ხალხის აზრს არ აჰყვე. ყველამ საკუთარ სულში ჩაიხედეთ და ისე განსაჯეთ ნატალი და ზურა. მათ ბედნიერებას ვუსურვებ. ორივე ძალიან მიყვარს. მარი, ნატალი და ზურა, „გულაკებში“ გენაცვალეთ“.

„ზურას ცოლის ადგილზე რომ ვიყო, ყველაფერში საკუთარ თავს დავადანაშაულებდი. ალბათ, ხათუნა თავის ქმარს ცივად ექცეოდა. იმანაც გადაწყვიტა, რომ სიყვარული და სითბო სხვაგან მოეძებნა. ჰოდა, ამ ძიებაში „განძიც“ მოძებნა. თქვენკენ ვართ, გუგულებო! ვისაც თქვენი საქციელი არ მოსწონს, ჩვენთან ექნებათ საქმე“.

„ნატალი და ზურა, აღარ ვიცი, თქვენზე ვინერვიულო თუ ჩემს კოლოკვიუმებზე: იმის მაგივრად, რომ ვიმეცადინო, ვდგავარ და მარის ვუმესიჯებ“.

„ეჰ, ჩემო ნატალი, მაგრად გაგიმართლა, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს შენი და ზურას სიყვარული. მასთან შედარებით, შენ გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებ. როგორც ვატყობ, არც მარი სწყალობს ზურას. მასზე ძალიან ცივად წერს, ხოლო ბაჩოს დადებით თვისებებს უფრო ხშირად ახსენებს. ასეა, მარი?.. რატომ არ გიყვარს ზურა?“

„მთელი ყურადღებით ვკითხულობ ნატალისა და ზურას ამბავს. ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი მომწონს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კარგი ტიპები არიან. თითქოს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზურა თამაშობს და ნატალი არ უყვარს. საინტერესოა, რაში უნდა სჭირდებოდეს? თუ არ თამაშობს და როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხანია, ცოლთან მხოლოდ სხვისი თვალის ასახვევად ცხოვრობს, მაშინ ოფიციალურად რომ გაშორდეს და ნატალიზე დაქორწინდეს, არ უნდა? რა ვიცი, რა ვიცი... ვნახოთ, რა მოხდება შემდგომში“.

„ათენიდან გიმესიჯებთ. ყურადღებით ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მახსენდება, იმ განსხვავებით, რომ მე ბერძენ, ცოლშვილიან კაცთან მაქვს რომანი. ძალიან ვუყვარვარ და უზომო პატივს მცემს. მეც მიყვარს, მისმა ბელგიელმა ცოლმა თუ გამიგო, თმით მითრევს, ისეთი გიჟია, მაგრამ რა ვქნა? რისკი — რისკია...“

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-51

ნატალიმ, როგორც იქნა, გაბედა და დასთან ზურაზე საუბარი გადაწყვიტა. ის მის ოჯახში მივიდა და სანამ ოჯახის სხვა წევრები შინ მივიდოდნენ, დებმა გულახდილი საუბარი დაიწყეს. ქეთინო, სონასგან განსხვავებით, ზურას მოწყალე თვალით არ უყურებს და ნატას საყვედურობს დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის გამო. სწორედ ამ დროს, ნატალის მობილურმა ტელეფონმა დარეკა, რომლის ეკრანზეც ზურას ნომერი დაფიქსირდა, მაგრამ ნატალის უცხო ხმამ სთხოვა: ზურას აღარ დაელოდო და ნურც მასთან დარეკვით შეიწუხებ თავსო.

მარი ჯაფარიძე

გაოგნებულმა დავხედე ტელეფონს და ვერაფრით მივხვდი, რას ნიშნავდა ეს ზარი. წამიერი შეყოვნების შემდეგ, სასწრაფოდ ავკრიბე ზურას ნომერი, მაგრამ ოპერატორის „უსიცოცხლო“ ხმამ მაუწყა, რომ ის მომსახურების ზონიდან იყო გასული.

— უხ, შენი! — ვთქვი და ტელეფონი მაგიდაზე დავაგდე.

— რა იყო, რა მოხდა? — შეწუხებული ხმით მკითხა ქეთინომ.

— მგონი, ზურას რაღაც პრობლემა აქვს — ვუპასუხე და გონება დავძაბე, მაგრამ თავში არანაირი აზრი არ მომდიოდა. გონებაში მხოლოდ ცალკეული სიტყვები ირეოდა, მათ შეერთებას კი ვერ ვახერხებდი. ის კაცი გამახსენდა, ზურას დილით, ჩემი სამსახურის ეზოში რომ შეხვდა. მართალია, ზურამ ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა კიდეც, მაგრამ მაინც, ის რაღაცით არ მომეწონა. ახლა ისიც გამახსენდა, რომ იმ კაცს, ხელში გასაღები ეჭირა. გამოდის, მანქანით იყო მოსული. მაშ, ზურას რატომ გაჰყვა? როგორც იქნა, რაღაც ძაფს ჩავავლე ხელი, მაგრამ აზრის განვითარება შეუძლებელი იყო, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის კაცი და რა კავშირი უნდა ჰქონოდა ამ უცნაურ ზართან.

— ნატა, გამაგებინე, რა მოხდა? — ფიქრებიდან ჩემი დის ხმამ გამომარკვია.

— არ ვიცი, ქეთო... არ ვიცი... ვიღაცამ ზურას ნომრიდან დარეკა და მთხოვა, რომ არ დაველოდო და არც დავურეკო, — ვთქვი და სწორედ ამ დროს, მობილურმა ისევ დარეკა. იმედმოცემულმა ტელეფონს ხელი ვტაცე, მაგრამ სულ ტყუილად, პაციენტი რეკავდა. ეს ახალგაზრდა ქალი გახლდათ, რომელსაც ქმარიც ჰყავდა და საყვარელიც, მაგრამ ეს 2 კაცი რომ გადაგედნოთ, ერთსაც ვერ მიიღებდით, წესიერს. ამიტომ, არც იყო გასაკვირი, რომ ჩამოყალიბებული ნევროზი ჰქონდა, თან საკმაოდ რთულ ფორმაში. უკვე მესამე წელი იყო, ის ჩემი პაციენტი გახლდათ და სულ პატარა პრობლემაზეც კი, მე მირეკავდა ხოლმე. დღეში შეეძლო, 20-30-ჯერ დაერეკა, ეტირა, ევიშვიშა და რჩევა ეკითხა. თუმცა, ამ რჩევებს არასოდეს ითვალისწინებდა. ახლა მასთან საუბრის თავი არ მქონდა, ამიტომ არც ვუპასუხე. ისიც არ მომეშვა და იმდენჯერ დარეკა, რომ გაღიზიანებულმა ტელეფონი საერთოდ გამოვრთე. ალბათ, ყველას ჰგონია, რომ რადგან ფსიქოლოგი ვარ, მე ჩემი საკუთარი ცხოვრება, პრობლემები არ გამაჩნია და მუდმივად, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს, პაციენტების წუწუნს უნდა ვუსმინო და რჩევები ვარიგო. აბა, მე მკითხონ!.. — სამუშაო საათების შემდეგ, ყველას მკაცრად ავუკრძალავ ჩემთან დარეკვას! — გავიფიქრე და თითქოს გულზე მომეშვა.

— ნინო! ნინოს დავურეკავ! — წამოვიძახე ხმამაღლა, მაგრამ უმალ გამახსენდა, რომ ჩემივე უყურადღებობის გამო, მაშინ მისი ნომერი არ ჩავიწერე. ვიფიქრე, რომ ნებისმიერ წუთს შემეძლო, ზურასთვის მეკითხა. ახლა კი ძალიან ვინანე, რომ ასე წინდაუხედავად მოვიქეცი. ის ფაქტი, რომ უძლური ვიყავი და გამოსავალს ვერ ვპოულობდი, უფრო მაღიზიანებდა.

— სარკეში ჩაიხედე, როგორი შეშლილი სახე გაქვს, — ისევ სცადა ქეთინომ ჩემი ფიქრებიდან გამორკვევა. — აი, ამიტომ გსაყვედურობდი 2 წუთის წინ. ახლა მიხვდი, როგორი პრობლემები შეგექმნება ყოველი ფეხის ნაბიჯზე? რა გინდოდა, რატომ აიწეწე დალაგებული ცხოვრება?

— ქეთი... — მავედრებელი თვალებით შეეხედე დას — შენ მაინც ნუ „დამგრუზავ“, რა!

— რას ჰქვია, „დაგგრუზავ“? თუ სიმართლეს გეტყვი, „გგრუზავ“ და თუ თავზე ხელს გადაგისვამ, მაშინ საყვარელი დაიკო ვარ, არა? არ გინდა, რომ სიმართლეს თვალებში შეხედო? გახსოვს, ბაჩოზე რა ამბავი გადავიტანეთ და ახლა კიდევ, ზურა... გუშინ იცი, ვინ დამირეკა?

— ვინ? — კი ვკითხე, მაგრამ უაზრო თვალებით შეეხედე. ჩემი გონება სხვაგან ქროდა.

— თინამ! — ამ სახელში რაღაც მრავალმნიშვნელოვანი ჩააქსოვა.

— ეგ ვინღაა?

— ჩემი ძველი მეზობელი, თინიკო, არ გახსოვს? შენ რომ ბებერი თინეიჯერი შეარქვი.

— ა�ა... თინა კი არა, თიკა... — გამეღიმა — რაო, თინამ?

— ისევ იმ ამბავთან დაკავშირებით დარეკა... — იდუმალი მზერით მიმანიშნა, რომ რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე დარეკა.

— რომელ საკითხზე, გოგო?

— სარძლოდ რომ მოსწონდი, გახსოვს?

— კი, მაგრამ მაგის „ბაბნიკ“ ბიჭს ცოლი ხომ უკვე ჰყავს?

— არა, სადღა ჰყავს ცოლი? — გაუშვა! — ისეთი სახით მითხრა ქეთინომ, რომ ალბათ, ფიქრობდა, სიხარულისგან ჭყლოპინს დავიწყებდი.

— ოჰო! ეგ მერამდენე ცოლი იყო?

— ნუ ხარ ენამწარე, მეორე ცოლი იყო...

— მე „მესამე და სამართალი“ ვიქნები? — ვთქვი და გულიანად გავიცინე.

— ნატალი, მარტო მაგით თუ იწუნებ, რომ 2 ცოლი ჰყავდა, გაგახსენებ, რომ შენც გყავდა 2 კაცი... დაფიქრდი, იქნებ, ოჯახზე გეფიქრა... არ არის დრო თუ რა?

— ქეთი, საყვარელო, ერთი კაცი მყავდა. მეორე და უკანასკნელი კი, ახლა მყავს. პირველიც სიგიჟემდე მიყვარდა და მეორეც ასევე მიყვარს. ზურას საყვარლობა მირჩევნია ვაჟას ცოლობას. თანაც, გამიმართლებს ზურასთან თუ არა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. თუ ის წავა, გპირდები, ჩემს ცხოვრებაში აღარავის შემოვუშვებ, შენს შვილ-

იშვილს ვიშვილებ და გავზრდი. თუ თქვენ წინააღმდეგი იქნებით, ერთ მაწანწალა ბავშვს ვიშვილებ, ან სულაც, ხელოვნური ჩასახვის გზით გავაჩენ.

— ...და რატომ? რის გამო იღებ ასეთ მსხვერპლს? ბაჩოს და ზურას გამო?

— შენ კარგად იცი, მე და ბაჩოს რომ გაგვმართლებოდა, თუნდაც ის ცხოვრების ბოლომდე ციხეში მჯდარიყო, მე მისი ერთგული ვიქნებოდი, შვილებსაც გავუჩენდი და ცოლობასაც გავუწევდი, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი...

— და ახლა ზურას მიეკედლე?

— რას ჰქვია, მივეკედლე? შენ არ იცი, ზურა როგორი კარგი ადამიანია. რა ქნას, თუ ცოლი ჰყავს?

— რა უნდა ქნას? ამას მე მეკითხები? ოჯახისა და ცოლ-შვილის ერთგული რომ უნდა იყოს, ეს მე უნდა ვასწავლო?

— ცხოვრება ყოველთვის ისე არ არის მოწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა, — უფრო ჩემთვის ჩავიბურტყუნე, ვიდრე ქეთინოს გასაგონად. მან კი ჩემს სიტყვებზე მხოლოდ თავი გადააქნია. — ყავა მომიდუღე, რა! — ვთხოვე ქეთინოს და იქვე, თაროზე დადებულ სიგარეტის კოლოფს მივწვდი. — ეს „კენტი“ ვისია? — ისე ვიკითხე, თითქოს, ნებართვას ვთხოვდი, რომ ერთი ღერი ამეღო.

— შენი საყვარელი სიძის. შენ ხომ 3 წელია, არ მოგიწევია, ისევ დაიწყე?

— არა, ახლა მოვწევ, 3 წლის განმავლობაში პირველ სიგარეტს.

— არ გინდა, ნატ! — მითხრა და კოლოფის გამოსართმევად გამოიწია.

— მინდა! — მტკიცედ ვთქვი და ხელი, რომელშიც სიგარეტის კოლოფი მეჭირა, ზურგს უკან დავმალე.

— ბავშვობაშიც ზუსტად ასე აკეთებდი ხოლმე, როცა რამის წართმევას ვაპირებდი. — გაიღიმა ქეთინომ. ის ჩემზე 15 წლით უფროსია და ფაქტობრივად, მისი გაზრდილი ვარ. ამიტომ, დედასავით კარგად ახსოვს ჩემი ბავშვობა. ქეთინო ყავის მოდუღებას შეუდგა, მე კი ერთი ღერი ამოვაძვრე კოლოფიდან, მოვუკიდე და კვამლი ღრმად შევისუნთქე.

— აი, ასე! — ვთქვი კმაყოფილმა ხმამაღლა, რადგან თითქოს, კვამლთან ერთად, შიგნიდან საწუხარიც „გამოვაბოლე“. — ახლა შემიძლია, ტელეფონი ჩავრთო და კიდევ ერთხელ დავრეკო ზურასთან, — ხმამაღლა ვფიქრობდი. ჩემდა გასაოცრად, ზარი გავიდა. კარგა ხნის შემდეგ, ვიღაცამ მიპასუხა.

— რომელი ხართ? — ვიკითხე დაძაბულმა.

— თქვენ ვინ ხართ? — შემიბრუნა კითხვა მამაკაცის ბოხმა ხმამ.

— ნატალი.

— ნატალი, გოჩა ვარ.

— გოჩა! — ისე შევყვირე, თითქოს მამლუქი ხვიჩა ვიყავი. გამიხარდა, ზურას მძღოლის ხმა რომ გავიგე. ის ხომ ზაფხულში გავიცანი და ასე მეგონა, ძალიან ახლობელ ადამიანს ველაპარაკებოდი. — სად არის ზურა?

— საავადმყოფოში, ნატა...

— რა�ა? რა დაემართა? რა უნდა საავადმყოფოში? — მივაყარე კითხვები და ფეხზე წამოვხტი. ყველაფერს ველოდი, ამის გარდა. — ავარია?

— არა, ისევ გული...

— სად წევს? — გული მეც ისე გამალებით მიცემდა, ღამის გამსკდომოდა. პასუხი მივიღე თუ არა, მაშინვე უბოდიშოდ გავთიშე ტელეფონი და ქეთინოს უმწეოდ შევხედე.

— რა ვქნა, წავიდე?

— ვაიმე, ბავშვს რა ვუყო? მეც წამოვიდოდი, დედამისი შინ რომ იყოს, — შეწუხდა ქეთი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნდა წავსულიყავი. ხელში შერჩენილი სიგარეტი საფერფლეში ჩავსრისე, ქურთუკი მოვიცვი და კიბეზე დავეშვი. პირველსავე ცარიელ ტაქსის ხელი ავუწიე და სავადმყოფოს მისამართი ვუთხარი. — „ისევ გული“ რას ნიშნავს? — ვფიქრობდი გზაში. ნუთუ, გული აწუხებს? ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს? ღმერთო, დაეხმარე, ღმერთო... — „ანჩისხატთან“ მძღოლს ვთხოვე, გაეჩერებინა. სირბილით მივედი ეკლესიასთან, მაგრამ კარი დაკეტილი დამხვდა, უკვე გვიანი იყო. ცუდად მენიშნა ეკლესიის დაკეტილი კარი. — ღვთის სახლი მუდამ ღია უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე და ის იყო, უკან გამობრუნებას ვაპირებდი, რომ ეზოში გამოსულმა მოძღვარმა შემნიშნა. როგორც ჩანს, საკმაოდ შეშლილი სახე მქონდა, რადგან ჩემკენ გამოემართა. ღამპიონის შუქზე კარგად ჩანდა მისი თვალები.

— რა გაგჭირვებია? — მკითხა მამამ.

— კარი გამიღეთ, მამაო, გთხოვთ, სანთლის დანთება მინდა. — იმედი მომეცა. ტაძარში შევედი თუ არა, თვალით ღვთისმშობლის სატი მოვძებნე და მის წინ მუხლებზე დავეშვი. ეკლესიიდან გამობრუნებული, როდესაც მანქანაში ჩავჯექი, გაცილებით მშვიდად ვგრძნობდი თავს. — შეისმენს კი ღვთისმშობელი მრუში ქალის ვედრებას? — მხოლოდ ამას ვფიქრობდი და მძღოლს ისე ვაჩქარებდი, თითქოს ზურას მხსნელი ვიყავი. ძლივს მოვძებნე კარდიოლოგიური განყოფილება და მიმღებში, როგორც იქნა, ისიც დავადგინე, სად იწვა პაციენტი. დერეფანში უამრავი ხალხი დამხვდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. პალატის კარი შევაღე, იქ მხოლოდ ერთი ადამიანი იწვა, მაგრამ სახე ვერ დავინახე, რადგან ექიმი იდგა საწოლის თავთან და მთლიანად ფარავდა მას. კარი გამოვხურე და დალოდება გადავწყვიტე. მხოლოდ ამის შემდეგ მიმოვიხედე ირგვლივ. რამდენიმე ცნობისმოყვარე თვალი მიყურებდა და მათვალიერებდა. მათ შორის, ერთი საკმაოდ კარგად ჩაცმული მანდილოსანიც, რომელსაც პირზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. ის გარს შემოხვეული ადამიანების შუაში იდგა და ჩანდა, რომ ყველა მოწიწებით ექცეოდა. ახლაღა გამახსენდა, რომ წინდაუხედავად მოვიქეცი და შესაძლოა, აქ ხათუნასაც წავწყდომოდი. დერეფნის ბოლოში განვმარტოვდი, მხრით კედელს მივეყრდენი და ფიქრებში ჩავიძირე.

— გამარჯობა! — ვერც კი შევნიშნე, როდის მომიახლოვდა სწორედ ის ქალბატონი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ყურადღებით მათვალიერებდა. თვალი დანარჩენებისკენ გამექცა — თითქმის, ყველა ზურგით იდგა. თითქოს არც კი აინტერესებდათ, რა ხდებოდა დერეფნის ბოლოში. უმალ მივხვდი, რომ ჩემს წინ თვით ხათუნა იდგა.

— გაგიმარჯოს! — ვუპასუხე და წელში გავიმართე.

— შენ ალბათ, ნატალი ხარ, არა? — მკითხა და ტუჩები მოპრუწა.

— დიახ, ნატალი ვარ. შენ კი, ალბათ, ხათუნა... — გულმა გამალებით დაიწყო ძგერა. არ მეგონა, ხათუნა ჩემთან ლაპარაკს თუ გადაწყვეტდა.

— სახელიც გცოდნია. აქ რას აკეთებ?

— იმას, რასაც შენ. — არ შევეპუე მის შემოტევას.

— კარგი, ახლა მაგის დრო არ არის, სხვა დროს შეხვდებით. მე და შენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

— ჰოო? რაღაც, არა მგონია, რომ ერთმანეთისთვის გულის გადაშლა გვიღირდეს.

— რატომ? იქნებ, მეგობრებიც კი გავხდეთ. მე გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე, რომ ზურა დიდხანს შეინარჩუნო.

— რას მეუბნები? მე მეგონა, რომ ეგ შენ თვითონაც არ იცოდი. თურმე, გცოდნია! — საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი. ყოველთვის, როცა ჩემი და ხათუნას შესაძლო შეხვედრაზე მიფიქრია, მეგონა, შიშით გული გამისკდებოდა და სირცხვილით ხმასაც ვერ ამოვიღებდი. მე კი, ჩემს ფრაზაში ირონიისთვისაც თავისუფლად მოვძებნე ადგილი. — ყოჩაღ, ნატალი! — გავიფიქრე და „მხარზე ხელი წამოვარტყი“ ჩემს თავს, მოწონების ნიშნად. ამ დროს, პალატიდან ექიმი გამოვიდა. ხმაურზე ორივემ იქით მივიხედეთ. ხათუნა ჩქარი ნაბიჯით გაემართა და მეგონა, ექიმს დაელაპარაკებოდა. ის პირდაპირ პალატაში შევიდა. ალბათ, შიშობდა, მე არ დამესწრო ზურასთან შესვლა. მე კი ექიმს დავედევნე. კაბინეტში ისე შევყევი, ვერც კი შემნიშნა და ღამის კარში მომაყოლა. კარს ხელი რომ დავახვედრე და ვერ დახურა, მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა.

— გამარჯობა... — ვთქვი ჩუმად.

— გაგიმარჯოს! — მიპასუხა, სკამზე მოკალათდა, ავადმყოფობის ისტორია გადაშალა და მეც მანიშნა, დავმჯდარიყავი.

— მე იმ პაციენტის მდგომარეობა მაინტერესებს, ვისთანაც ახლა იყავით. — კვლავ ძლივს გასაგონად ვთქვი და სკამის კიდეზე ჩამოვჯექი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — მკითხა და სათვალის ზემოდან გადმომხედა.

— მეგობარი ვარ, — კიდევ უფრო დავუწიე ხმას.

— გა-სა-გე-ბია... — დამარცვლა ექიმმა. — თქვენს მეგობარს სტენოკარდია აქვს. როგორც ჩანს, ანერვიულებთ.

— როგორ გეკადრებათ!.. — გავწითლდი და უხერხულად შევიშმუშნე.

— ფაქტია, რომ ნერვიულობის ნიადაგზე გულმა „დაუტოკა“. აქ რომ მოიყვანეს, საშინელი ტკივილი ჰქონდა მკერდის არეში. სტენოკარდიისთვის დამახასიათებელია მაღალი წნევა, ცივი ოფლი, ტუჩები მთლად ჩალურჯებული ჰქონდა. ტკივილი ნიტროგლიცერინის განმეორებითი დოზით მოვუხსენით. აღნიშნული კლინიკური სურათისა და გადაღებული ელექტროკარდიოგრამის საფუძველზე დაისვა საკითხი, კორონაროგრაფიის წარმოების შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალში მიოკარდიუმის იშემიური დაზიანება. — ჩემთვის ნახევრად გაუგებარი ფრაზებით მელაპარაკებოდა ბატონი ექიმი, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი და ვცდილობდი, მისი ნათქვამიდან აზრი გამომეტანა. შემდეგი ფრაზები გაცილებით გასაგებ „ენაზე“ წარმოთქვა. — პაციენტი 36 წლისაა და ეს ასაკი განსაკუთრებით საშიშია, რადგან კოლატერალური სისტემა განვითარებული არ არის. გამოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღებამდე, პაციენტს ეკრძალება ძლიერი ფიზიკური დატვირთვა, მათ შორის, სექსიც — ეს ბოლო ფრაზა ხაზგასმით წარმოთქვა. — და კიდევ, თქვენს მეგობარს სჭირდება სტრესული ფაქტორებისგან მაქსიმალური დაცვა. გასაგებია?

— დიახ, — ისე ვუპასუხე, თითქოს ყველაფერი ზუსტად გავიგე.

— თუ არ არის გასაგები და კიდევ ანერვიულებთ ან ფიზიკურად დატვირთავთ, არ არის გამორიცხული, რომ სტენოკარდია ინფარქტში გადაიზარდოს. ესეც გასაგებია? — პირველკლასელივით მტუქსავდა თუ ჭკუას მარიგებდა ექიმი, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ წყენა საერთოდ არ მიგრძნია. პირიქით, დიდი სიმპათიით განვიმსჭვალე მის მიმართ.

— დიახ, გასაგებია. არ ვანერვიულოთ და არ ვამუშაოთ. ასეა, ხომ?

— დიახ, სავსებით სწორად გაიგეთ.

— როდის გაწერთ საავადმყოფოდან?

— ხვალ შუადღისთვის შეგიძლიათ, წაიყვანოთ თქვენი მეგობარი, თუ რა თქმა უნდა, გამოკვლევის შედეგები დამაკმაყოფილებელი იქნება და არც ამაღამ გვექნება რაიმე გართულება. თფუი, თფუი, თფუი! — სამჯერ გადააფურთხა მხარს ზემოთ. ექიმს დავემშვიდობე, მადლობა გადავუხადე და კაბინეტიდან გამოვედი. დერეფანში მოგროვილ ხალხს უხმოდ ჩავუარე და გასასვლელისკენ წავედი იმ განზრახვით, რომ სადმე, საავადმყოფოსთან ახლოს, კაფეში დავჯდებოდი და ყავით მოვიბრუნებდი შეწუხებულ გულს, თან დაველოდებოდი, როდის დაიშლებოდა ზურას ახლობლების „სასტავი“ და მოგვიანებით მოვიდოდი მის სანახავად. ის იყო, დერეფნის ბოლოში უნდა შემეხვია, რომ ზურგს უკან ვიღაცის ხმა მომესმა:

— ნატალი! — მეგონა, ხათუნა მეძახდა და უხალისოდ შევბრუნდი.

— ნინო? — გამინათდა თვალები. ნინო შეკრებილთ გამოეყო და ჩემკენ წამოვიდა. ღიმილით მომიახლოვდა და გადამეხვია. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, მკითხა:

— ახლა სად მიდიოდი?

— კაფეში ვაპირებდი შესვლას, რომ დრო გამეყვანა, — გულახდილად ვუპასუხე.

— მეც წამოვალ, — უცებ მიიღო გადაწყვეტილება, მერე დერეფანში მყოფთ გასძახა — ნუ დამელოდებითო, ხელკავი გამომდო და ერთად დავეშვით კიბეზე. იქვე, მომცრო კაფეში შევედით და ყავა შევუკვეთეთ.

— მაგარი გული გქონია, აქ რომ მოხვედი, — მითხრა, როდესაც დავსხედით და თანამზრახველივით ჩამიკრა თვალი.

— როცა მოვდიოდი, არ მიფიქრია, რომ აქ ხათუნა დამხვდებოდა, — ვაღიარე დამნაშავესავით.

ნინომ გოჩას დაურეკა და სთხოვა, რომ როცა ხათუნას სახლში წაიყვანდა, მისთვის დაერეკა და შეეტყობინებინა.

— ისე, მიკვირს, თმით არ გითრია. აღბათ, ვერ მიხვდა, ვინ იყავი, თორემ მერე გენახა, მისი წიოკი. მაგას მარტო ჩემი ეშინია. არ დაგინდობდა, ეჭვი რომ აეღო.

— შენ ასე გგონია? მე და ხათუნამ ვილაპარაკეთ კიდეც, — ვუთხარი და მის რეაქციას დავაკვირდი. თვალები გაუფართოვდა.

— მართლა? თვითონ მოვიდა შენთან?

— ჰო, თვითონ მოვიდა და შემდგომ შეხვედრაზეც შემითანხმდა.

— უყურე, შენ! გადარჩენილხარ, მოსალოცად გაქვს საქმე.

— ეჰ, მოსალოცად მართლა გვაქვს საქმე, ექიმმა თქვა, ინფარქტს ბეწვზე ხართ გადარჩენილიო.

— ვიცი, მეც ველაპარაკე ექიმს.

— ნინო, ეს პირველი შემთხვევა არ არის, ზურას გულის შეტევა რომ დაემართა?

— არა, პირველი შეტევა მაშინ დაემართა, როცა გაიგო, რომ დედა ძალიან ავად იყო და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა. ჩვენ ვერ გვიმხელდა, დარდს გულში იხვევდა და ვერ გაუძლო გულმა. ახლა კი მეორედ დაემართა. ნეტავ, ახლა რაზე ინერვიულა?

— არ ვიცი. დილით კარგ ხასიათზე იყო, სამსახურში მიმიყვანა და თვითონაც სამსახურში წავიდა. მერე კი, ეს მოხდა. თუმცა...

— რა — თუმცა? მოხდა რამე?

— მე რომ მანქანიდან გადმოვედი, ზურას მანქანას ვიღაც კაცი მიუახლოვდა. ზურამ გადაკოცნა, მანქანაში ჩასვა და ერთად წავიდნენ. შესაძლოა, ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სწორედ ის კაცია დამნაშავე.

ამასობაში, გოჩამ დარეკა და ნინოს ელაპარაკა.

— წამოდი, გზა თავისუფალია, — გამიღიმა ნინომ.

როდესაც პალატის კარი შევაღეთ, ზურას თვალები დახუჭული ჰქონდა. ხმაურზე გამოიხედა და ჩვენს დანახვაზე გაეღიმა. საწოლში წამოჯდა და ორივე გადაგვკოცნა.

— ხედავ, შენმა სიყვარულმა სადამდე მიმიყვანა? — შემომცინა ქვევიდან.

— აბა, აბა, სულ ჩემი სიყვარულის ბრალია, არა? მე ხომ ასეთი ბედი მაქვს, ყველაფერი მე უნდა დამბრალდეს! — დავიწყე წუწუნი.

— კარგი, კარგი, ახლა უკვე კარგად ვარ და ესეც შენი ბრალია. შენ რომ დაგინახე, უმალ მოვრჩი, — მითხრა და საწოლის კიდეზე ხელი დაატყაპუნა, რომ დავმჯდარიყავი. — ხომ გითხარი, ნინოს სახით კარგი მოკავშირე გეყოლება-მეთქი? მის გარეშე ხომ ვერ გაბედავდი აქ მოსვლას? — მივხვდი, რომ ხათუნას ჩემზე არაფერი ჰქონდა ნათქვამი და არც მე მითქვამს, რომ არ ენერვიულა.

— ზურ, ამაღამ რომ დავრჩე შენთან, ხომ დამრთავ ნებას?

— დარჩი, პატარავ, მაგრამ ერთი საწოლი გვაქვს მხოლოდ. ჩემ გვერდით ვერ დაგაწვენ, რადგან ჩემთვის, შენი ალერსი ჯერ არ შეიძლება. მთელი ღამეს ფეხზე ხომ ვერ გაატარებ?

— მერე, რა მოხდა, დავრჩები, რა, „გეხვერწები“ — ყელი გამოვიგლიჯე, ისე ვთხოვე.

— დარჩეს, შენ რაღა მოგივიდა, — მხარი ამიბა ნინომ.

— კარგი, — დიდსულოვნად დამთანხმდა ზურა. — დარჩენის უფლებას გაძლევ, მაგრამ 2 მეტრის რადიუსით არ მომიახლოვდე.

— მაგარი სიტყვათა წყობაა და უფლებაც მაგარია, — დაასკვნა ნინომ. ამ დროს კარი გაიღო და გოჩამ შემოყო თავი.

— მოდი, გოჩა, მოდი, — ისე თბილად უთხრა ზურამ, რომ იოლი მისახვედრი იყო, გოჩა მისი სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა.

გოჩა თითქოს დაბნეული იყო. სკამზე ჩამოჯდა და ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, წამოდგა და წასვლის ნებართვა ითხოვა.

— წადი და ნინოც წაიყვანე, — ნება დართო ზურამ. — ნატალი კი ჩემთან დარჩება და დილით, 8 საათზე მოაკითხე, კარგი?

— კარგი, მოვაკითხავ. აბა, გამოჯანმრთელდი, შეფ, ხვალ შინ უნდა წაგიყვანო, — ნაძალადევად გაიცინა გოჩამ.

— გავაცილებ და დავბრუნდები, — ვუთხარი ზურას და ნინოს გავყევი. ის და გოჩა დერეფანში ჩურჩულებდნენ. ჩემს დანახვაზე გაჩუმდნენ. ნინო აღელვებული ჩანდა.

— რა მოხდა? — ვიკითხე მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ეს სულაც არ ყოფილიყო ჩემი საქმე. მათ ერთმანეთს გადახედეს.

— ვიღაცას ზურას მანქანა დაუწვავს, — მითხრა ნინომ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა, თუ როგორ ემზადებიან ახალ წელთან შესახვედრად შოუბიზნესის წარმომადგენლები, რა საახალწლო ტრადიციებს იცავენ მათ ოჯახებში და რა წინასაახალწლო სურვილები აქვთ. გასაოცარი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა მათგანი კონცერტებისთვის ემზადება და მიუხედავად ახალი წლის მოახლოებისა, შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთულები არიან.

შოუბიზნესური ახალი წელი

ანუ *გვერდზე გადადებული პირადი ცხოვრება*

ნათია ქივიძე

თავდაპირველად, ახალგაზრდა მომღერალს, ***თამთა გოგუაძეს*** *ვესტუმრეთ, რომელმაც წინასაახალწლოდ კლიპიც კი გადაიღო:*

— 2007 წელი ჩემთვის საუკეთესო იქნება, რადგან მეც ღორის წელში ვარ დაბადებული. დიდი სიხარულით ველოდები ახალ წელს, რადგან მგონია, რომ ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარგი ცვლილება მოხდება და ეს წელი უფრო მეტ წარმატებას მომიტანს. ცხოვრებაში ყველაზე მეტად სამი დღესასწაული მიყვარს: ახალი წელი, ჩემი დაბადების დღე და ჩემი შვილის დაბადების დღე. ახალი წლის შესახვედრად, საკმაოდ პომპეზურად ვემზადები. ნაძვის ხეს ყოველთვის თავად ვარჩევ, ვყიდულობ, ახლა უკვე დავდგი და მოვრთე კიდეც. ახალ სათამაშოს ყოველწლიურად ვიძენ. ნაძვის ხეს კი რამდენიმე წელიწადში ერთხელ ვცვლი. წითელი გოჭიც მინდა, რომ ვიყიდო, მაგრამ წითელი ვერსად ვიშოვე. ავდგები და წითელი ღორის ყულაბას დავდგამ. რაც შეეხება ჩვენს ტრადიციებს, 31 იანვარს, ღამის 12 საათზე ყოველთვის შინ ვხვდები. რაც არ უნდა ბევრი კონცერტი იყოს დაგეგმილი, მე მაინც მირჩევნია, რომ ახალ წელს ოჯახთან ერთად შეეხვდე. წელსაც იყო დაგეგმილი, რომ ბაკურიანში მემღერა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან მირჩევნია, იმ ღამეს შვილთან ერთად ვიყო. ამასთანავე, ოჯახის წევრებიც ძალიან ინერვიულებდნენ. ისე, თბილისში გამართულ რამდენიმე კონცერტში მივიღებ მონაწილეობას. რაც შეეხება ჩვენს საახალწლო სუფრას, გოზინაყი, საცივი და გოჭი ყოველთვის აუცილებლად გვაქვს, მაგრამ გავიგე — რადგან ღორის წელია, სუფრაზე გოჭი არ შეიძლებაო. საახალწლო სუფრასაც ყოველთვის მე ვშლი და ლამაზად ვაფორმებ. ჩემი შვილი, ლუკა ჯერ ვერ აღიქვამს ახალ წელს კარგად. ყოველ წელიწადს კი ღვიძავს ღამის 12 საათზე, მაგრამ მაინც კარგად ვერ ხვდება, რა ხდება. მას ძალიან უყვარს ღვინო. სულ „ღინო, ღინო“-ს გაიძახის. თან, ისეთი სიამოვნებით სვამს, არც კი იჭყანება. რა მეშველება, არ ვიცი... საჩუქრებს მთელი ოჯახი ვუძღვნით ერთმანეთს და ტრადიციად გვაქვს, რომ ისინი ნაძვის ხის ქვეშ დავაწყოთ.

ახალი წლის შესახვედრად, საკმაოდ პომპეზურად ვემზადები. ნაძვის ხეს ყოველთვის თავად ვარჩევ

— მეკვლე თუ გყავთ შერჩეული?

— ჩვენი ოჯახის მეკვლე ყოველთვის მე ვიყავი, მაგრამ ამ ბოლო დროს, ოჯახში პირველი, ლუკა შემოდის. ბარ-ბარობასაც ლუკა იყო მეკვლე და ნათქვამია, ვინც ბარბარობას შემოვა ოჯახში პირველი, ახალ წელსაც ის უნდა იყოს ოჯახის მეკვლეო. ლუკას ძალიან კარგი ფეხი აქვს. დედიკოსთვის წარმატებები მოაქვს ხოლმე. წელს უფრო მეტ წარმატებას მომიტანს, რადგან გაიზარდა, დაჭკვიანდა და დასერიოზულდა.

— როგორც ვიცი, წინასაახალწლოდ კლიპიც კი გადაიღე...

— ახალ წელს მუშაობით ვხვდები. სულ რამდენიმე დღის წინ გადავიღე ახალი კლიპი, რომლის რეჟისორიც, ლევან ტორონჯაძეა, მუსიკა ჭაბუკა ამირანაშვილს ეკუთვნის, ხოლო ტექსტი მანანა გურგენიძისაა. სიმღერა, სახელწოდებით — „იყო და არა იყო რა“, ჩემმა ვოკალის პედაგოგმა მაკა დავითაიამ მომამზადებინა. კლიპი ბოტანიკურ ბაღში გადავიღეთ. ვმუშაობ ალბომზე, სადაც 10 სიმღერა იქნება შესული. ათივე სიმღერა უკვე ჩაწერილი მაქვს. ასევე, გამოვა ჩემი DVD, რომელიც ჩემი კლიპებით იქნება „დაკომპლექტებული“. ამ ყველაფრის პრეზენტაციას კი ცოტა მოგვიანებით, 25 თებერვალს გიჩვენებთ, რადგან მოგეხსენება, 25-ში ჩემი დაბადების დღეა და საკუთარ თავს ასეთ საჩუქარს მივუძღვნი.

— რა არის შენი საახალწლო სურვილი?

— მინდა, რომ ვიყოთ ჯანმრთელები და ბედნიერები. 12 საათზე რას ჩავუთქვამ, ამას არ გაგიმხელთ.

— გათხოვებას ხომ არ ჩაუთქვამ?

— არა, მაგას ნამდვილად არა. ახლა პირადი ცხოვრებისთვის არ მცალია. ერთადერთი ადამიანი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს, გვერდით მყავს. ეს ჩემი შვილია. ვეუბნები ხოლმე, ჩემი მზე ხარ-მეთქი. ბევრი საქმე მაქვს, ბევრი გეგმა უნდა განვახორციელო. პირად ცხოვრებას კი ცოტა ხნით გვერდზე გადავდებ.

იმის გამო, რომ ***თეა გოგეჩიშვილისა*** *და* ***ნიკა ლომაძისთვის*** *გასული წელი გარკვეული მიზეზების გამო, არცთუ ისეთი იღბლიანი აღმოჩნდა, ისინი მომავალ წელს განსაკუთრებული სიხარულით ელიან. როგორც სხვა ცნობილები, თეაც საკუთარი შემოქმედებით იყო დაკავებული, ამიტომ მას ინტერვიუსთვის სარეპეტიციო დარბაზში ვეწვიეთ:*

— მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო გასული წელი ჩემთვის, ახალ წელს მაინც კარგი ემოციებითა და ახალი იმედებით ველოდები. ეს წელი ღორის იქნება, ძაღლის თუ ცხენის, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მაინც იგივე განწყობილება მაქვს, როგორიც სხვა წლებში. მთავარია, რომ ადამიანმა თავად შეუწყოს საკუთარ თავს ხელი. ნაძვის ხეს ყოველწლიურად არ ვყიდულობთ. ერთი ნაძვის ხე გვაქვს, რომელსაც თავისი სათამაშოები აქვს. ამიტომ მას არანაირი აწყობა არ სჭირდება. ძალიან ლამაზია. საჩუქრებსაც ყოველთვის ვუძღვნით ოჯახის წევრები

ერთმანეთს. მე და ნიკა ყოველთვის სუნამოს ვარჩევთ ერთმანეთისთვის, რადგან ორივემ ვიცით, რომ ეს გვჭირდება, ბავშვები კი, რასაც თოვლის ბაბუას სთხოვენ, იმას იღებენ საჩუქრად. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი, ნიკა უკვე დიდია და მშვენივრად იცის, რომ თოვლის ბაბუა აღარ არსებობს, მაინც დიდი სიამოვნებით სწერს მას წერილს და სთხოვს საჩუქარს.

— ნიტა ჯერ პატარაა და თოვლის ბაბუას წერილს ვერ მისწერს. რა საშუალებებით ითხოვს ის საჩუქარს?

— ტელეფონით ურეკავს თოვლის ბაბუას და ეუბნება, რომ მთელი წლის განმავლობაში იყო ძალიან კარგი გოგო, არ გააბრაზა მშობლები, ამიტომ საახალწლოდ უნდა საჩუქარი და ეუბნება, რა უნდა მიართვას მას თოვლის ბაბუამ. მაგალითად წელს, გადაწყვიტა, რომ სამზარეულოს სათამაშო მოწყობილობა უნდა.

მე და ნიკა ყოველთვის სუნამოს ვარჩევთ ერთმანეთისთვის, ბავშვები კი, რასაც თოვლის ბაბუას სთხოვენ, იმას იღებენ საჩუქრად

გასულ წელს მე და ნიკა კონცერტიდან დილის 8 საათზე დავბრუნდით სახლში. ნიტას ჩვენს ხმაურზე გაეღვიძა. ნიკა იყო თოვლის ბაბუა, მაგრამ ნიტას შეეშინდა. ეჭვი მაქვს, რომ წელს გაცილებით გაუხარდება თოვლის ბაბუის დანახვა, რადგან გაიზარდა, თან ნიკას ეს როლი არაჩვეულებრივად გამოსდის...

— წელს სად შეხვდებით ახალ წელს?

— ძალიან ცუდია, როცა ოჯახში ვერასდროს ვხვდებით ახალ წელს. ამის გამო, ბავშვები ძალიან დაჩაგრულები არიან. მათ ბებიასთან ერთად უწევთ ხოლმე შეხვედრა. წელსაც ასე იქნება. ვემზადებით ცენტრალური საახალწლო კონცერტისთვის, რომელიც მერიასთან გაიმართება. ახალი წელი ჩვენთვის ერთი ჩეულებრივი სამუშაო დღეა, თუმცა ამ დღეს ყველას განსაკუთრებული განწყობილება გვაქვს.

— ვინ იქნება თქვენი ოჯახის მეკვლე?

— ჩვენი ოჯახის მეკვლეები ყოველთვის მე და ნიკა ვართ, რადგან პირველები ჩვენ შევდივართ ოჯახში. ალბათ, წელსაც ჩვენ ვიქნებით. არასოდეს მიფიქრია, რომ მეკვლე წინასწარ შემერჩია და დამეპატიჟა. როცა ნორმალური ოჯახი გვექნება და ახალ წელს შინ შევხვდებით, მაშინ ვისურვებ, რომ მეკვლედ ჩემი რომელიმე მეგობარი გვეწვიოს, რომლის დანახვაც ძალიან გამიხარდება.

— რა არის შენი საახალწლო სურვილი?

— ვერ გაგიმხელთ, რადგან ეს არის სურვილი და ამის წინასწარ თქმა არ შეიძლება, თორემ შესაძლოა, არ ახდეს.

ზუმბა *ახალ წელს არცთუ ისეთი დიდი სიხარულით ხვდება. მან გადაწყვიტა, რომ ყოველი დღე ახალი წელია და არც ცრურწმენებით იტვირთავს გონებას:*

— ჩვეულებრივ განწყობილებაზე ვარ. ჩემთვის ყოველი დღე ახალი წელია, რადგან სიახლეების ძიებაშია ცხოვრების აზრი. ახალ წელს ისევ მუშაობით ვხვდები. ვმუშაობ ახალ სიმღერებზე და სხვა პროექტებზე. ახალი წლისთვის, ჩემს მსმენელს ბევრ სიახლეს ვპირდები. 31 დეკემბერს საერთოდ, ოჯახში ვხვდები ხოლმე. ისე, სადმე თუ მიმიწვევენ, ალბათ წავალ და დავუკრავ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს დღე ადამიანმა შინ უნდა გაატაროს. საახალწლო ტრადიციად მაქვს ის, რომ ახალი წლის შეხვედრის შემდეგ ჩამოვუვლი მეგობრებს და მერე ყველა ერთად მივდივართ სადმე, რათა ეს დღე აღვნიშნოთ. რაც შეეხება მეკვლეს, ვინც მოვა, ის არის ჩემი მეკვლე, მათ წინასწარ არასოდეს ვუთანხმდები. როგორი ფეხი ექნება მეკვლეს, მაგაზე ფიქრი სისულელეა, რადგან ცრუმორწმუნე არ ვარ და არც ასეთი რაღაცების მჯერა. ნაძვის ხეს ყოველწლიურად ვრთავ ხოლმე, თუმცა ამ ბოლო წლებში რატომღაც ჩიჩილაკისკენ უფრო მიმიწევს გული. უფრო სადა და უბრალოა. დიდი ნაძვის ხე არასოდეს მქონია. სათამაშოები კი ზოგი ხელით ნაკეთია, ზოგი კი — ნაჩუქარი. ჩემი აზრით, ამ ტრადიციებს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გულში გვიხაროდეს ახალი წლის მოსვლა.

— შენი აზრით, როგორი იქნება 2007 წელი?

— ვფიქრობ, საინტერესო დრო დადგება საქართველოს ისტორიაში. კულტურა თავის სათქმელს იტყვის. ჩემ ირგვლივ დიდი ფუსფუსია, პროფესიონალიზმის ზეიმია. მთავარია, ფასეულობები გადაფასდეს და ვინ რას ქმნის, ის გამოჩნდეს.

— საჩუქარს თუ უმზადებ ვინმეს?

— ჩემი საჩუქარი ჩემი შემოქმედებაა. ახლა ვმუშაობთ ახალ პროექტზე, რომელსაც ექნება სპექტაკლის ფორმა და ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო გამოვა.

სიცილის დედოფალი **მზია კვირიკაშვილიც** *საკმაოდ ტრადიციულად ხვდება ახალ წელს, თუმცა ამჯერად გადაწყვიტა, ტრადიციას უღალატოს და არცერთ კონცერტში არ მიიღოს მონაწილეობა, რომელიც 31 დეკემბერს გაიმართება. ამას კი სულ უბრალო მიზეზი აქვს, მას ოჯახური მყუდროება მოენატრა:*

— სიტყვა „ღორი“, რატომღაც არ მსიამოვნებს, არ ვიცი, ეგ რას მოგვიტანს, მაგრამ ცოტა ხნის წინ ტელევიზიით ვუსმენდი მიშა ცაგარელს და გამიხარდა, როცა თქვა, რომ 2007 წელი ძალიან კარგი იქნება საქართველოსთვის და ბევრ კარგ სიახლეს მოგვიტანს. ცოტა გაოგნებული ვარ, რადგან როგორ შეიძლება ღორმა მოგვიტანოს კარგი რაღაც. მოდი, ჩვენ მაინც გოჭი დავარქვათ, რადგან „ღორი“ ცუდი სიტყვაა, რა ღორი ხარო — იტყვიან ხოლმე, „გოჭი“ კი მოსაფერებელი სიტყვაა. დიდი იმედი მაქვს, რომ კარგი წელიწადი იქნება. რაც შეეხება მომზადებას, ჩემი შვილი თავის ოჯახთან ერთად მოყვრებშია და მეც იქით ვაპირებ, ამ ახალ წელს შევხვდე. ისე კი, ყოველ ახალ წელს ნაძვის ხეს აუცილებლად ვრთავთ თავისი გირლანდებით და მთელ ოთახსაც ვალამაზებთ, რადგან ჩემს შვილიშვილს ძალიან უყვარს ასე მორთული ოთახი. ნათქვამია, რომ ცოცხალი ნაძვი ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს, ამიტომ ყოველ წელიწადს შემომაქვს ცოცხალი ნაძვის პატარა ტოტი და მასზე აუცილებლად ახალ სათამაშოს ვკიდებ, რადგან ისიც გაგონილი მაქვს, რომ ყოველ წელს უნდა იყიდო თუნდაც ერთი ახალი სათამაშო. საერთოდ, მე სამზარეულოში ტრიალი ძალიან მიყვარს, ამიტომ ყოველი ახალი წლის სუფრას თავად ვამზადებ. განსხვავებული არაფერი მაქვს — საცივი, გოზინაყი და ა.შ.

— საჩუქრების ტრადიცია თუ გაქვთ ოჯახში?

— როცა ჩემი ბიჭი პატარა იყო, თოვლის ბაბუა მას აუცილებლად უგზავნიდა საჩუქარს. ან ბალიშის ქვეშ ამოვუდებდი ან კარის უკან ვმალავდი. ახლა კი ანალოგიური მეორდება ჩემს შვილიშვილზე. იცის, რომ ყოველ წელიწადს მასთან თოვლის ბაბუა მოვა და საჩუქარს მოუტანს. ვერაფერით დაავჯერებ, რომ ის საჩუქარი მე ვუყიდე. ახლა სიურპრიზს ვუმზადებ, რომლის შესახებაც ოჯახში არავინ არაფერი იცის. პირველად ვუმხელ თქვენს ჟურნალს. მოლაპარაკებული ვარ თოვლის ბაბუასთან და ჯამბაზთან, რომ ახალი წლის ღამეს ჩვენთან მოვიდნენ და ბავშვი გაართონ,

ცოტა გაოგნებული ვარ, რადგან როგორ შეიძლება, ღორმა მოგიგანოს კარგი რაღაც

დაასაჩუქრონ კიდეც. ასეთი საჩუქარი მას არასოდეს ჰქონია, რადგან 4 წლისაა და აქამდე ვერ აღიქვამდა კარგად. წარმოიდგინეთ, ახლა ცოცხალ თოვლის ბაბუას რომ ნახავს, რა ბედნიერი თვალები ექნება, ჩემთვის კი მარის ბედნიერ თვალებზე დიდი სიხარული არ არსებობს.

— თქვენ რას ისურვებდით საჩუქრად?

— ახლა ისეთ ასაკში ვარ, ყველანაირ საჩუქარზე მადლობას ვიტყვი, მაგრამ განსაკუთრებით სუნამოები მიყვარს. სუნამო თუ მაქვს, მგონია, რომ ყველანაირად კომფორტულად ვცხოვრობ. მისი დასხმისთანავე კარგ ხასიათზე ვდგები. არარეალური სურვილი კი, მანქანა ან ერთოთახიანი ბინაა, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა. ამას ვინ ამიხდენს?..

— ვინ არის ხოლმე თქვენი მეკვლე?

— სპეციალურად არავის ვეპატიჟებით მეკვლედ, თუმცა მაინც ყოველთვის დაძაბული ვარ და სულ ვფიქრობ, ნეტავ, პირველად ვინ შემოვა ჩვენს ოჯახში-მეთქი? მიხარია, როცა ჩვენი მეკვლე ბავშვია და ყოველთვის მეზობლის ბავშვები შემოდიან. ისინი ყველაზე წმინდა, სუფთა და კარგი არსებები არიან. უფრო ხშირად, ოჯახში პირველად შემოსვლა მე ან ჩემს შვილს გვიწევს ხოლმე...

— საახალწლო კონცერტებში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

— იცი ჩემი პროფესია და ისიც გეცოდინება, რომ თითქმის ყოველთვის რომელიმე რესტორანში ვხვდებოდი ახალ წელს, რადგან კონცერტები გვქონდა ხოლმე. თუმცა, მიმაჩნია, რომ ადამიანი 31-ში შინ უნდა იყოს. ალბათ ეს იმის ბრალია, რომ დავიღალე უკვე ამდენი კონცერტითა და ხალხით. ამიტომ გადავწყვიტე, წელს დავისვენო. სამაგიეროდ, 29 დეკემბერს გორში მაქვს კონცერტი, 2 იანვარს — ქუთაისში. მოკლედ, მაინც გზა და კონცერტები მებედება. სიმართლე გითხრათ, ამ ახალი წლისთვის შვიდი მინვევა მქონდა, მაგრამ ყველაზე უარი ვთქვი. შვიდივეს ერთად მაინც ვერ მოვახერხებდი. ოჯახში მირჩევნია ყოფნა, ჩემს შვილიშვილთან. ისე კი, მთელი იანვარი კონცერტები მაქვს და სულ უნდა ვიმუშაო. კიდევ, ერთი დიდი სიურპრიზი მზადდება იანვარში: აბსოლუტურად სხვა ამპლუაში წარმოგიდგებით. ამაზე არავითარ შემთხვევაში არ ვისაუბრებ წინასწარ. მალე გაიგებთ რა საჩუქარიც გელით ჩემგან. ეს არის ჩემი კიდევ ერთი ოცნების ახდენა. ოღონდ ისე კი არა, ჩემს მონოლოგში რომ არის: ოცნება მქონდა, რომ გავიზრდებოდი, ექიმი გამოვსულიყავი, ერთი ოცნება ამიხდა, გავიზარდე-მეთქი... ძალიან ბედნიერი ვარ ამ ახალი ამბის გამო. ცოტაც მოითმინეთ და მალე გაიგებთ...

— რა არის თქვენი საახალწლო სურვილი?

— მიუხედავად იმისა, რომ გადამკვდარი პატრიოტი არ ვარ და მიტინგებზე არ დავდივარ, მინდა ღმერთს ვთხოვო, რომ საქართველო იყოს ძალიან ბედნიერი. საქართველოში რომ ყველაფერი კარგად იქნება აწყობილი, თქვენ, ახალი თაობა ბედნიერები იქნებით. ყველას ვუსურვებ წარმატებებს საყვარელ საქმეში. ჩვენი ერის შვილები საზღვარგარეთ, ემიგრაციაში რომ ვნახე, გავგიჟდი. ისინი უცხოელების მონები არიან. მინდა, საქართველო ისე იყოს წელში გამართული, რომ უცხოელი მორბოდეს აქეთ. ჩემი მონოლოგისა არ იყოს: ამერიკაში მცხოვრები ქართველები ამბობენ — ღმერთო, ისეთი საქართველო გვაღირსე, მე რომ მოვხუცდები, ამერიკელი მივლიდესო... ■

ქართველი პოლიტიკოსების საახალწლო ტრადიციები და „შესანიშნავი შვიდეულის“ „ცხელ-ცხელი“ სადღეგრძელო

ნათია ქარშემიძე

„ლეიბორისტული“ ზეიმი ნათელაშვილებში

31 დეკემბერს ლეიბორისტები პარტიის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბებიან. ლეიბორისტული საახალწლო „ფართი“ მწირი, ტკბილი სუფრით შემოიფარგლება. ამის შემდეგ, შალვა ნათელაშვილი მეუღლესთან და შვილებთან ერთად, ბაზალეთზე გაემგზავრება. ლეიბორისტული პარტიის პრესცენტრის ხელმძღვანელი, ***ძეთი დოლიძე:***

— შალვა ნათელაშვილი ახალ წელს ყოველთვის ოჯახურ გარემოცვაში, მეუღლესთან და შვილებთან ერთად დუშეთში, მამაპაპეულ სახლში ხვდება. 2 იანვარს, ბედობის დღეს, ლეიბორისტული პარტია ისევ იწყებს მუშაობას. შესაბამისად, შალვა ნათელაშვილიც თბილისში ბრუნდება.

— თუ იცით, ნათელაშვილებს როგორი საახალწლო ტრადიციები აქვთ ოჯახში?

— ბატონ შალვას ძალიან უყვარს ნაძვის ხის მორთვა და ამ საქმეში, შვილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს. მათ სუფრაზე ტრადიციული კერძები აქვთ. ყოველ ახალ წელს, ბატონი შალვა ოჯახის წევრებს საჩუქრებს უმზადებს. მისი საჩუქრები ძირითადად, ყოველდღიური მოხმარების ნივთებია.

ყოველ ახალ წელს, ბატონი შალვა ოჯახის წევრებს საჩუქრებს უმზადებს

12 საათის შემდეგ, ოჯახის მამაკაცები გარეთ გავდივართ

გამაშვილიმთან საახალწლო სუფრას ოჯახის 11-ივე წევრი მიუჯდება

გაბაშვილების ოჯახში საახალწლო სუფრასთან თერთმეტი ადამიანი მოიყრის თავს: კოტე გაბაშვილის დედა და დეიდა, ბატონი კოტე, მისი მეუღლე, ორი ვაჟი, რძლები და 3 შვილიშვილი.

— ბატონო კოტე, თქვენს ოჯახში საახალწლო მზადება როდის იწყება?

— რამდენიმე დღით ადრე, პროდუქტს ვიმარაგებთ; 30 ან 31 დეკემბერს ნაძვის ხეს ვდგამთ. ყველას თავისი საქმე აქვს: ჩემი მეუღლე გოზინაყს ამზადებს, დედაჩემი — საცივს და ა.შ.

— რაიმე განსაკუთრებული საახალწლო რიტუალი ხომ არ გაქვთ?

— ისევე როგორც ყველა ქართული ოჯახი, ახალ წელს ტრადიციულად ვხვდებით: 12 საათის შემდეგ, ოჯახის მამაკაცები გარეთ გავდივართ და ტკბილეულით სავსე კალათით შემოვდივართ. ჩვენ ვართ ჩვენივე ოჯახის მეკვლეები.

— თქვენ რამდენიმე წელი გერმანიაში ცხოვრობდით. იქ როგორ ხვდებოდით ახალ წელს?

— ტრადიციულად, ქართული სუფრით. იქ 5-6 ქართული ოჯახი ვიყავით და ახალ წელს ერთად ვხვდებოდით.

ჯანრი კაშია მეუღლეს საჩუქრად თავის წიგნს უძღვნის

ჯანრი კაშია *და* ***სალომე ზურაბიშვილი*** *ახალ წელს შინ ან რომელიმე მონასტერში ხვდებიან. როგორც ბატონი ჯანრი ამბობს, მისი ოჯახი, ამ დღესასწაულზე ტრადიციებს მკაცრად იცავს.*

— გოზინაყს ოჯახის დიასახლისი, სალომე ამზადებს, ნაძვის ხეს ორი დღით ადრე ვაწყობთ.

— ერთმანეთს საახალწლო საჩუქრად, რას უძღვნით?

— საახალწლო საჩუქრები, ჩვენი საახალწლო ტრადიციის განუყოფელი ნაწილია. სალომეს, ყოველწლიურად, ჩემს დაწერილ წიგნს ვუძღვნი. ახლა, სალომემაც დაიწყო წიგნების გამოცემა და ისიც თავის წიგნს მაჩუქებს.

— წელს მეკვლედ ვინ გეყოლებათ და თავად თუ დადიხართ მეკვლედ?

— ჩვენი მეკვლე ყოველთვის მამაჩემი იყო. ახლა კი — ჩემი სიძე, გიაა. მეც დავდივარ, მაგრამ ადრე, სანამ საზღვარგარეთ წავიდოდი, უფრო ხშირად დავდიოდი, ვიდრე ახლა. როგორც წესი, მე და სალომე ახალი წლის დღეებში სტუმრად ნათესავებთან მივდივართ.

მესხიშვილის საახალწლო სადღეგრძელო

დავით მესხიშვილი 20[illegible] დადგომისას ოჯახში ახალ[illegible] ტრადიციის დამკვიდრებას აპირებს. ეს ტრადიცია, მისი გამოგონილი ახალი სადღეგრძელოა.

— ეს სადღეგრძელო მე მოვიგონე და ამ ახალ წელს აუცილებლად ვიტყვი — „შესანიშნავ შვიდეულს“ გაუმარჯოს: ენას, მამულს, სარწმუნოებას, ჰიმნს, გერბს, დროშას და პრეზიდენტს!

— რით გხიბლავთ ახალი წლის დღესასწაული?

— ახალი წელი ძალიან მიყვარს. ამ დღეებში ისეთი შეგრძნება მაქვს, თ[illegible]ოს [illegible]ელაფერი ახლებურად და უფრ[illegible]ოვანად წარიმართება.

— [illegible]ახლობლებისთვის საახალწლო საჩუქრებს თუ ყიდულობთ?

— საჩუქრების ყიდვის პროცესი არ მიყვარს. ძირითადად, ვცდილობ, ახლობლებისგან გავიგო, რას ისურვებენ და ის ვიყიდო. რადგან მინდა, რომ ჩემი მიტანილი საჩუქარი მათთვის საჭირო და სასარგებლო იყოს.

— ახალი წლისთვის თოვლის ბაბუის ფორმაში გამოწყობილი ხომ არ დაარიგებთ საჩუქრებს?

— სხვათა შორის, ძალიან კარგი იდეაა და აუცილებლად გამოვიყენებ.

— გჯეროდათ თოვლის ბაბუის?

— ჩემს ბავშვობაში, ქუჩაში ავტომატიანი ხალხი დარბოდა და ზღაპრები თოვლის ბაბუის შესახებ მაშინ აქტუალური არ იყო...

— თქვენს საახალწლო სუფრას უპირველესად, რა ამშვენებს?



მე და სალომე ახალი წლის დღეებში სტუმრად ნათესავებთან მივდივართ

— ოჯახში განსაკუთრებული საახალწლო ტრადიცია არ გვაქვს, მაგრამ სუფრაზე ყოველთვის არის მამაჩემის დაყენებული სუფთა ქართული ღვინო.

„შესანიშნავ შვიდეულს“ გაუმარჯოს: ენას, მამულს, სარწმუნოებას, ჰიმნს, გერბს, დროშას და პრეზიდენტს!

ტყემალაძეების საღამოსასწაულო რიტუალი

ტყემალაძეების ოჯახში ნაძვის ხეს 25 დეკემბრისთვის დგამენ. ოჯახის ქალბატონები სუფრას ერთად აწყობენ, თუმცა წელს, ტახის წლის მოსვლამ ცოტა საფიქრალი გაუჩინათ...

ქალბატონი ირა, *ზურაბ ტყემალაძის მეუღლე:*

— საახალწლო სუფრაზე ტრადიციული კერძები გვაქვს: საცივი, გოზინაყი. წელს არც გოჭი გვექნება და არც — „ხალადეცი“. ალბათ, სუფრას თევზით გავამდიდრებთ.

— საახალწლო მზადებით ვინ ხართ დაკავებულნი?

— ძირითადად, მე და ჩემი რძლები.

— ნაძვის ხის მორთვა ვისი პრეროგატივაა?

— შვილიშვილებისა და რძლების.

— ბავშვებს საჩუქრებს ვინ ურიგებს და საერთოდ, მათ თოვლის ბაბუის თუ სვჯერათ?

— უმცროსს, 6 წლის ზუკას — სვჯერა.


ახალი წლის დადგომისთანავე, რომელიმე ოჯახის წევრი კარზე ზარს რეკავს

უფროსს 9 წლის ლიზას კი — ცოტა ეჭვი ეპარება. ისინი საჩუქარს თოვლის ბაბუას სთხოვენ, რომლის როლსაც ზურა ბაბუა ასრულებს.

— მათთვის საჩუქრებს ნაძვის ხესთან ტოვებთ?

— ჩვენ სპეციალური რიტუალი გვაქვს: თუ ბავშვებმა თორმეტამდე არ დაიძინეს, ახალი წლის დადგომისთანავე, რომელიმე ოჯახის წევრი კარზე ზარს რეკავს და ბავშვებს საჩუქრებს სადარბაზოში ვახვედრებთ, ვითომ თოვლის ბაბუამ დაუტოვა. თუ დაიძინეს, ამ რიტუალს დილით ვატარებთ. რაღაცნაირად ვახერხებთ, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, რომ ბავშვებს ეჭვი არ შეეპაროთ.

თოვლის მამუა — მესი ჯუღელი საახალწლოდ ფულს აძიგემს

გესო ჯუღელი *მიიჩნევს, რომ ფული ნებისმიერ საჩუქარს სჯობია და საახალწლოდ, თოვლის ბაბუის სამოსში გამოწყობილი, ოჯახის წევრებს ფულით ასაჩუქრებს.*

ბაბუაჩემი ბავშვობაში მეც ფულს მჩუქნიდა ხოლმე

— სად ხვდებით ახალ წელს?

— აუცილებლად სახლში. მეორე დღეს სტუმრად მივდივართ.

— ნაძვის ხეს როდის დგამთ და ვინ მონაწილეობს ამ პროცესში?

— ნაძვის ხეს 31 დეკემბერს ვდგამთ. მისი მორთვით მთელი ოჯახია დაკავებული. ამ პროცესს თვითონ ვმართავ, „გენერალური დირექტორი“ ვარ.

— საახალწლო სუფრას ვინ ამზადებს?

— საახალწლოდ ბაზარში მე მივდივარ. ხოლო სამზარეულოში, ჩემი მეუღლე საქმიანობს. სხვათა შორის, ძალიან კარგ გოზინაყს აკეთებს.

ვეცლები, რომ ბავშვებს შესაბამისი განწყობილება ჰქონდეთ

— ბავშვობაში თოვლის ბაბუის თუ გჯეროდათ?

— მჯეროდა და ახლაც მინდა, რომ მჯეროდეს. რაც უფრო დიდხანს დაივჯერებენ პატარები თოვლის ბაბუის არსებობას, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება მათი ბავშვობა.

— თქვენი შვილიშვილების თოვლის ბაბუა თქვენ ხართ?

— რა თქმა უნდა. სახლში თოვლის ბაბუის სამოსით მოვდივარ და მათ ფულს ვჩუქნი. მიმაჩნია, რომ ფული ნებისმიერ საჩუქარს სჯობია. ბაბუაჩემი ბავშვობაში მეც ფულს მჩუქნიდა ხოლმე.

ზურამ ქეანიას ოჯახში მის ტრადიციემს მეუღლე აგრძელემს

სამწუხაროდ, ***ნინო ძადაგიძეეანია*** *ახალ წელს სადღესასწაულო განწყობილებით ვერ ხვდება, თუმცა ამბობს — ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შვილებმა კარგად იმხიარულონ.*

— ჩვენი ოჯახისთვის ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, ახალი წელი ძალიან მძიმეა. ჯერ არ ვიცი, რას არ გავაკეთებ, მაგრამ ვეცდები, რომ ბავშვებს შესაბამისი განწყობილება ჰქონდეთ.

— ცნობილია, რომ თქვენს ოჯახში გოზინაყს თავად ბატონი ზურაბი აკეთებდა...

— ახლა გოზინაყს მე გავაკეთებ...

თინა სიდამელის შეილმა თოვლის მამუას წერილი გაუგზავნა...

თინა სიდამელსა *და* ***დავით უსუფაშვილს*** *სახლში თითქმის ვერ დაიჭერთ. საქმიან ცოლ-ქმარს, ოჯახური სიმყუდროვე ენატრება. როგორც თინა ამბობს, ამ დღესასწაულზე, მთელი წლის დანაკლისს ინაზღაურებენ.*

— სახლში ერთად ყოფნა იმდენად გვენატრება, რომ ახალ წლის პირველ დღეებში ვცდილობთ, შინ ვიყოთ.

— მეკვლე თუ გყავთ წინასწარ შერჩეული?

— მეკვლეს წინასწარ არასოდეს ვირჩევთ. ვინც პირველი მოვა, მეკვლეც ის იქნება.

— ნაძვის ხეს როდის დგამთ?

— ახალ წლამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე. ძირითადად — შაბათ-კვირას.

— ბავშვობაში თოვლის ბაბუის არსებობის თუ გჯეროდათ და ახლა, თქვენს უფროს შვილს თუ სჯერა მისი?

— მეც მჯეროდა და ჩემს შვილსაც სჯერა. მან თოვლის ბაბუას წერილიც გაუგზავნა...

■

ვინც პირველი მოვა, მეკვლეც ის იქნება

ოქროსფერი შუშის ნამვილი ნე

ახალი წლის დადგომას ყველაზე მეტად პატარები ელიან. ნაძვის ხის მორთვა, მათთვის ნამდვილი დღესასწაულია. ამბობენ, ყოველ წელიწადს ერთი ახალი სათამაშო მაინც უნდა დაიკიდოს ნაძვის ხეზეო. ეს ახალი სათამაშო — ძირითადად — მამალი, გველი, ძაღლი, ვეფხვი ან თუნდაც ვირთხაა: შენაძენი იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რისი წელი მოდის... მოგეხსენებათ, წელს ღორის წელია და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მაღაზიებში მინის, კერამიკისა და თექისგან დამზადებული ღორების გვერდით, ბისერებით შექმნილი გოჭებიც გამოჩნდა.

ლელა ჭანკოტაძე

ქ-ნი მარიკა, თვითნასწავლი ოსტატი:

— ოთხი წელია, რაც აქტიურად მოვკიდე ხელი ამ საქმიანობას. თავიდან მინდოდა, ჩემი გოგონასთვის სიურპრიზი გამეკეთებინა. მას ბისერებით მოვუქსოვე ნაძვი, თოვლის პაპა, ფიფქია და მარხილი. ჩემმა ნამუშევარმა მნახველების მოწონება დაიმსახურა... შემდეგ, ძაღლი დავამზადე, ძაღლის წელის აღსანიშნავად. ის ულამაზესი გამოვიდა და მას შემდეგ, ყველა მთხოვს, ის ცხოველი გავაკეთო, რომლის წელიც მოდის. წელს, შავი გოჭები მოვქსოვე და ისინი წითელი ხალებით გავალამაზე.

— რატომ გახდა საქართველოში ბისერები ასეთი პოპულარული?

— ასეთი პოპულარობა იმითაა განპირობებული, რომ მისი შეძენა იაფი ჯდება



და ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. უმეტესწილად, რიგში მიწევს დგომა ბისერების საყიდლად. ჩემი აზრით, სკოლაში რომ ისწავლებოდეს ქსოვა და ქარგვა, უამრავი ბავშვი შეძლებდა, საკუთარი ხელით შეექმნა სასურველი სათამაშო და სამკაული. ყველა ბავშვს უყვარს მძივების აწყობა... ბისერებს ცნობილი დიზაინერებიც აქტიურად იყენებენ. საერთოდ, შუშისგან დამზადებულ მძივებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ისინი ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში, ეგვიპტურ სამარხებშია აღმოჩენილი.

— რომელი ქვეყანა გამოირჩევა შუშის მძივების წარმოებით?

— ადრე ვენეცია ლიდერობდა, მაგრამ XVII საუკუნეში, ეს ბიზნესი ჩეხეთშიც აყვავდა. გაჩნდა კონკურენცია ჩეხურ და იტალიურ ბისერებს შორის. მაგრამ მათი გამოყენება ყველაზე აქტიურად XX საუკუნეში, საფრანგეთში დაიწყო, სადაც ჩანთებისა და შარფების მძივით გაწყობის ტრადიციას დაედო სათავე... რუსეთშიც ძალზე პოპულარული იყო ბისერი, ის როგორც დიდგვაროვნების, ასევე გლეხების ტანსაცმელს ამშვენებდა.

— ღორის წელიწადში წინა პლანზე ოქროს ნაკეთობები წამოიწევს. რა ბედი ეწევა ბისერს?

— ბისერებისგან მოქსოვილი სამკაულები, ნაძვის ხეები, სუვენირები, სათამაშოები უალტერნატივოა. ის ძალიან იაფი და ამასთანავე, ლამაზია. უამრავი ჟურნალი გამოდის ხელმარჯვე დიასახლისებისთვის. იქ მოცემულია სქემები, რომელთა მიხედვითაც შეგიძლიათ, შექმნათ სამკაულები. თანაც, ბისერებით მუშაობა ნერვულ სისტემას ამშვიდებს და ფანტაზიას ავითარებს. ძალიან მარტივია, მაგრამ უდიდეს სიამოვნება განიჭებს. უცხოელები ხელნაკეთ სამკაულებსა და სათამაშოებში, ფულს არ ზოგავენ. სამწუხაროდ, ჩვენთან ისევ ოქროს სამკაულების ტარება ურჩევნიათ... ■

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

თხოვნა „ბანკის ბაბუებს" და „ფორთხვა" ყაცი ანუ მოხვდება თუ არა „გზავნილების" ავტორი ჯოჯოხეთში?

კიდევ ერთი ახალი წელი მოგვადგა კარს და 2006 წლის ბოლო „გზავნილების" დროც დადგა. მართალია, „უმესიჯობას" არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ ამ კვირაში უჩვეულოდ ბევრი SMS-ი მივიღე თქვენგან. სანამ საქმეზე გადავალ, ერთ მკითხველს მინდა პასუხი გავცე. ის მწერს: „მარი, ძალიან მაინტერესებს და გთხოვ, უპასუხოდ არ დამტოვო. ჩვენ რომ გვეუბნები, ნატვრები მომწერეთ, იქნებ, აგიხდეთო, შენი ნატვრა რა არის?" — ჩემი ნატვრა ის გახლავთ, რომ „გზა" 200-გვერდიანი გახდეს და მე იმდენი ადგილი მქონდეს, რომ ყველა თქვენგანის თხოვნა შევასრულო, ყველა მესიჯი გამოვაქვეყნო, რათა მომავალ წელს განაწყენებული მკითხველი არ მყავდეს. თუმცა, თითოეულ თქვენგანს ტელეფონის ნომრით ვცნობ და მეტ-ნაკლებად ვცდილობ ხოლმე, გული არავის დავწყვიტო. გამომდის თუ არა, ეს თქვენ განსაჯეთ. მომავალი წლიდან კიდევ ერთი სიახლე გვექნება და ყველაზე აქტიურ „მგზავნელებთან" ინტერვიუებსაც შემოგთავაზებთ. ასე ერთმანეთს უფრო ახლოს გაიცნობთ და მერე, მართლაც ერთი დიდი ოჯახივით ვიქნებით. ახლა კი მესიჯები.

მარი ჯაფარიძე

რატომ?..

„14 წელი ერთი კაცი მიყვარდა და ვერ ვეუბნებოდი. გავიდა წლები. ოჯახი შევქმენი, მაგრამ ჩემი პირველი სიყვარული ვერა და ვერ დავივიწყე. მას ხშირად ვურეკავდი და ვუმესიჯებდი. იმდენი ვეძახე — მიყვარხარ-მეთქი, რომ იძულებული გახდა, შემხვედროდა. შუაღამისას, ჩემს ეზოში მოვიდა. ყურადღებით მომისმინა და იქვე მოინდომა ჩემთან სექსი. მიაღწია კიდეც მიზანს და დამტოვა განადგურებული. ახლა ქუჩის ქალი მგონია თავი, იმის მაგივრად, რომ ბედნიერი ვიყო. — ადრე მიყვარდი, მაგრამ ახლა სხვა მიყვარსო, მითხრა. ასე გავიუბედურე თავი. რატომ? — ეს ჩემი უპასუხო კითხვაა..."

ვისი ბრალია?

„ამ ზაფხულს ზღვაზე, დასასვენებლად მეგობართან ერთად წავედი. მას თავისი ნათესავი ახლდა, რომელსაც იქ ყოფნის დროს ძალიან დავუახლოვდი. ჩვენ შორის თითქოს უხილავი ძაფები გაიბა, ერთმანეთს უხმოდ ვესიყვარულებოდით, ერთად ყოფნა გვსიამოვნებდა. წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ურთიერთობა აგვერია, მაგრამ შემდეგ, თითქოს ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგა. ხშირად მირეკავდა და ჩვენს ურთიერთობაზე ვსაუბრობდით, საერთო მომავალს ვგეგმავდით. მერე ისე მოხდა, რომ ეს ამბავი ჩემმა მეგობარმა გაიგო და მას შემდეგ, 2 თვეზე მეტი გავიდა, რაც აღარ მეკონტაქტება; ისე გაუჩინარდა, რომ ჩემთვის არაფერი აუხსნია. არც მე ვურეკავ, მიუხედავად იმისა, რომ გული მტკივა, ვიტანჯები და მინდა, მისი ასეთი საქციელის მიზეზი გავიგო, მაგრამ არაფერი გამომდის. ჩვენ ხომ ერთად ყოფნას ვაპირებდით? ნუთუ, ეს ყველაფერი ტყუილი იყო? მთელი ჩემი ცხოვრება უპასუხო კითხვაა".

„თავდაფასებული"

„ერთ დღეს სააგენტოდან გამოვედი და გაჩერებაზე დავდექი. მამაჩემს ველოდი, რომელიც სადაცაა გამოჩნდებოდა და სახლში წამიყვანდა. ამ დროს შავმა ჯიპმა ჩაიქროლა. მძღოლი ახალგაზრდა ბიჭი იყო, რომელიც ისე მიყურებდა, ლამის თვალებით „ჩამყლაპა". ცოტა ხანში უკანვე ამოიქროლა, მანქანა შეაჩერა და რაღაც მკითხა. მართალია, ვერ გავიგე, რა, მაგრამ თავი მაინც ამაყად შევაბრუნე გვერდზე, თავი დავიფასე. როგორც ჩანს, იმ ბიჭს ჩემი საქციელი არ ეპიტნავა, დაქოქა მანქანა და მთელი სისწრაფით მოსწყდა ადგილს. აუ, ნეტავ, რა მკითხა? იცით, როგორ მაინტერესებს? ლოლა".

რა მოხდა?

„მარი, ამ მესიჯს საკმაოდ სოლიდური ასაკის, შენი სეხნია გწერს. მინდა, თემას გამოვეხმაურო. მაქვს კითხვა, რომლის პასუხი დღემდე არ ვიცი. ახალგაზრდობაში ერთ მეტად სიმპათიურ ბიჭს ვუყვარდი, აჩრდილივით სულ უკან დამდევდა, არავის და არაფერს ერიდებოდა, საქვეყნოდ, ხმამაღლა აცხადებდა, რომ ვუყვარდი. ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ ჩემგან საპასუხო გრძნობა მიეღო. ყურადღება ყველა ქალს სიამოვნებს და ის იყო, გადავწყვიტე, მისთვის გრძნობა გამემხილა, რომ ეს ადამიანი გაქრა. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი გრძნობა „ჩანასახის" მდგომარეობაში იყო და ამ ამბავს ჩემთვის დიდი გულისტკივილი არ მოუტანია. დღეს ეს ადამიანი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. თბილისი პატარა ქალაქია და ხანდახან, როცა ამ ადამიანს შემთხვევით გადავეყრები ხოლმე, პატარა ბიჭივით იბნევა და წითლდება. მეც მერიდება ვკითხო — რა მოხდა?"

„ვამპირი" მიყვარს

„გზავნილებში" ხშირად არ ვწერ, მაგრამ ახლა ისეთი თემაა... თითქმის ერთი ნახვით შემიყვარდა. არ ვოცნებობდი, მაგრამ ბევრს ვფიქრობდი მასზე. ბევრი საერთო ნაცნობი გვყავდა, მაგრამ მათი დახმარების გარეშე, თავად გამეცნო. სიხარულით დავფრინავდი, რადგან ჩვენი ურთიერთობა კარგად აეწყო. ძალიან ძვირფასი ჰქონდა და ვცდილობდი, გამეგო მისთვის; სიყვარულის გამო ბევრ რამეს ვუთმობდი, მაგრამ მაინც, ხშირად ვჩხუბობდით. ჯერ კიდევ მაშინ დამიგროვდა კითხვები, რომელიც დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი... ყველა მეუბნებოდა, შენი სიყვარულის ღირსი არ არისო, მაგრამ მე მაინც დღემდე უზომოდ მიყვარს. ის ხშირად ამბობდა, რომ ჩემით უკმაყოფილო იყო, მაგრამ როცა ვეკითხებოდი: ამას რატომ მეუბნები-მეთქი? — დაიკიდეო, — მპასუხობდა. ერთხელაც, მორიგი ჩხუბის დროს მისაყვედურა: გულგრილად მექცევი, შენი სიტყვები გულიდან არ ამომდისო. როგორც ჩანს, მორიგი სცენა გაითამაშა. რამდენიმე დღის მანძილზე რატომღაც არ მირეკავდა. რომ დავფიქრ-

დი, მივხვდი, მთელი ჩვენი ურთიერთობის მანძილზე, მასში ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა — ჩემს კითხვებზე პასუხს არ მცემდა, თბილი სიტყვებითა და ნაზი მოფერებით მაჩუმებდა. რამდენიმე დღის წინ კი დამიმესიჯა: „ნურაფერს ნუ მკითხავ, დამივიწყე!..“ თვალებს ვერ ვუჯერებდი და რა თქმა უნდა, ჩემი კითხვები ამჯერადაც უპასუხოდ დატოვა. მინდა ვუთხრა, რომ ლაჩარია, რადგან პირადად ვერ გაბედა ამ სიტყვების თქმა. მერე, შემთხვევით შემხვდა და მითხრა: ყველაფერს თავისი ახსნა აქვს და თუ ძალიან გაინტერესებს, ამ დღეებში შემხვდი და გეტყვიო. სხვა ალბათ მიაფურთხებდა და კარგადაც გალანძღავდა, მაგრამ მე შეხვედრაზე თანხმობა ვუთხარი. ზიზღი როგორ უნდა მეგრძნო მის მიმართ, როცა სიყვარულით სავსე თვალებით ვუყურებდი. ახლა ველი, როდის მოისურვებს ჩემს ნახვას. ვიცი, რომ კვლავ ბევრი კითხვა დარჩება უპასუხოდ და ყველაფერს, როგორც ყოველთვის, მე გადმომაბრალებს... ახლა სიცხიანი ვწევარ და თქვენ გიმესიჯებთ. არ ვიცი, რამდენი მესიჯი გამოგიგზავნეთ, მაგრამ ჯანდაბას ჩემი დეპოზიტი. მთავარია, რომ გული მოვიოხე. ალბათ, ყველაფერს გადავიტან, სიყვარულით ვინ მომკვდარა? მაინც ათასჯერ ვიტყვი, რომ ჩემი „ვამპირი“ მიყვარს. გმადლობ მარი, რომ გამიძელი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

რაო, რაოოოო???

„ველი დიტო ქისიშვილისგან მესიჯზე პასუხს. „ავუფეთქე“ ორივე ტელეფონი, მაგრამ ალბათ, ორშაბათამდე არ ჩართავს... გაბო“.

„შეყვარებული მყავდა და ერთ დღეს, სულ სხვას გავყევი ცოლად. ჩემს შეყვარებულს აინტერესებდა, რატომ მოვიქეცი ასე, მაგრამ პასუხი თვითონაც არ ვიცი. ყველაფერი ისე უცებ მოხდა, ვერაფრის გაფიქრება ვერ მოვასწარი. იკა, მაპატიე. ვიცი, დიდი ტკივილი მოგაყენე. ახლაც მიყვარხარ და მენატრები. მარი“.

„იმდენი უპასუხო კითხვა მიტრიალებს თავში, რომ შენი მოწონებული! გვექნება თუ არა გაზი ზამთარში და საერთოდ, როგორი ზამთარი გვექნება? მოვა თუ არა საახალწლოდ თოვლი? გადაიტანენ თუ არა არჩევნებს? რატომ გაუქმეს „გპი“-ის აკრედიტაცია? რატომ გრძელდება ზამთარი დიდხანს და რატომ არ მიბეჭდავს მარი მესიჯებს? ცნობისმოყვარე“.

„მარი, მე ვარ, შენი „ოპოზიცია“. ნეტავ, ყველა შენნაირად ფიქრობდეს ხალხის სურვილების ასრულებაზე. ახლა ვნახე ჩემი მესიჯი, სადაც დიქტატორს გიწოდებ. ასე აღარ ვფიქრობ, ობიექტური ხარ. ობიექტური ადამიანები კი დიქტატორები არ არიან. ნაზი“.

„უპასუხო კითხვა? რატომაა, რომ „კოლას“ ნაცვლად „გზა“ ვიყიდე და ახლა მწყურია?“

„მარიკუნა, ჩემმა გამომძიებელმა თუ ჩემი მესიჯი წაიკითხა და გაიგო, რომ მიყვარს, შესაძლოა, საახალწლოდ ქორწილს გამოვკრა ხელი. ქალების თამადობაზე უარი არ მითხრა. ხალხო, როგორ მოვინადირო მისი გული? აბა, ვის უნდა მაგარი ქორწილი?“

„იმდენი უპასუხო კითხვა მაქვს, რომ აღარც ვიცი, საიდან დავიწყო. იქნებ, თქვენ მიპასუხოთ — რატომ არ მიყვარდება არავინ? რატომაა ამდენი უპასუხო კითხვა? რატომ არ მირეკავს კუსა? რატომ არიან ეს კაცები ასეთი დეგენერატები? რატომ მიყვარს თოვლი, მზე და ღამე? იმედია, სწორ ნომერზე ვგზავნი ჩემს „ღამის ბოდვას“.

„იმდენი პასუხგაუცემელი კითხვა მრჩება, რამდენი თოვლის ფიფქიც კავკასიონს დაათოვს. პირველი: რატომ გადაშენდნენ კაცები დინოზავრებივით, თანაც ისე, რომ ნაფეხურებიც არ დატოვეს? რათა, ქალავ, რათა? მეორე: ერთი „გარეკილი“ მიმესიჯებდა უცენზურო შაირებს და გოგო აღმოჩნდა. ვინ არის და რა უნდა, ვერ გავიგე. მერე ჩემმა ძმაკაცებმა რომ აგინეს, ყურადღებით უსმენდა. სიამოვნებდა, ნეტავ? მესამე: რა მჭირს ასეთი? რატომ ვერ ვშორდები ახალციხეს? ვინმემ ხომ არ შემილოცა? გამომილოცეეეეთ!“

„ოპოზიცია ოჯახში მყავს. მწვანე ნაძვის ხე დავდგათ-მეთქი და არა, ვერცხლისფერი სჯობიაო. ღორის ხორცის ჭამა არ შეიძლება-მეთქი და ამის გარეშე, რა ახალი წელი უნდა იყოსო... „დაჟე“, ისიც ვუთხარი, „გზავნილებში“ მესიჯი უნდა გავგზავნო-მეთქი და აი, ნახავ, თუ დაგიბეჭდავსო... მარი, დამიბეჭდე, არ დამღუპო. კუკლა“.

„ბედნიერი ვიქნები, მთელი ცხოვრების მანძილზე? — აი, ჩემი უპასუხო კითხვა“.

„ერთი ბიჭი გავიცანი, რომელმაც ერთ დღეში სიყვარულიც ამიხსნა და ცოლობაც მთხოვა. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, მაგრამ როცა გადავწყვიტე, რომ სერიოზულად მეფიქრა მასზე, სწორედ მაშინ გაქრა. მერე ვკითხე, ასე რატომ მოიქეცი-მეთქი და ყველაფერი მე დამაბრალა... მამაკაცებო, რატომ იქცევით ასე? იქნებ, ვინმემ მიპასუხოთ? კამა“.

„გამარჯობა, ჩემო მარი,/ მე ვიქნები შენი დაცვა,/ მაგრამ 20-ზე ნაკლებ კაცზე,/ აღარ მიღირს ხელის დასვრა/ მინდა, ყველამ გაიგოს,/ დაცვა გყავარ ძლიერი./ სამეგრელო, მუკობაზიერი“.

„მარი, ერთი უპასუხო კითხვა მაქვს. გეფიცები, მართლა მაინტერესებს, ქუჩაში შუქნიშნებს ვინ ანთებს და აქრობს? 17 წლის ვირი კი ვარ, მაგრამ არ ვიცი და რა ვქნა? ვისაც ვკითხე, ყველა სიცილით მოკვდა. ალბათ ჰგონიათ, რომ ვხუმრობ. დებილი ვარ, არა? არადა, სახეზე სულ არ მეტყობა! ჩემი იმედი აქვთ ჩემს მშობლებს? ვაი, დაღუპულო ოჯახო!“

„უი, მაგ მესიჯებს, რასაც ბეჭდავთ, სულ „ტრუხაზე“ იგონებთ? ერთი გოგო შემიყვარდა და მინდა, გავაგებინო. ლულუ, მიყვარხარ! ბუხუმძელა“.

„მინდა, „გზის“ საშუალებით მაინც მივაწვდინო ხმა ზუკას და ვკითხო: რატომ მიმატოვა ასე „ჩახდილი“ და გაღიმებული? ტელეფონი მაინც ჩართოს, რომ ერთი კარგად „მივაჩმორო“. ნ.ფ“.

„რატომ სვამენ უზომოდ კაცები? რატომ სძინავს კაკოს „სტოლბასთან“? რატომ გიუდება ბოთე ზაზას დანახვისას? რატომ აქვს ზაზას თავის თავზე დიდი წარმოდგენა? რატომ „გვებლატავება“ „ჯნიაზა“? დაბოლოს, მაღაზიის გამგეებო, რატომ არ მიხედეთ თქვენს გამყიდველებს? როდის ჩაგვირთავთ კონდიციონერებს? აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად!“

„დამაცათ, დამაწერინეთ,/ გზავნილი, ოხერტიალი,/ ეგება წაღმა ვიფიქრო,/ „გზაში“ უკუღმა ტრიალი,/ ეგება გულის ვარამი,/ ჩავსვა ამ „ესემესშია“,/ ხუთშაბათს თვალწინ დამიდგეს,/ გამოჭიმული, „გზაშია“,/ მაგრამ რად გინდა, წვალება,/ მას სიკვდილი სჯობს, ცაშია,/ ვერ მააწონებთ, მარიამს,/ რაც არ უჯდება, ჭკვაშია. პატარა მთიული“.

„იმ ქვეყნად რა ხდება, ნეტავ? პასუხს იქ გამცემენ, ალბათ. ლილუ“.

„უპასუხოდ დარჩენილი კითხვები,/ უამრავი მთვარეული ღამე,/ უპასუხოდ დარჩენილი გრძნობა და/ ღამით ცაზე მოელვარე მთვარე...“

„ღამე მშვიდობისა, მარი! რაღა მშვიდობაა, გოგო, მგონი, გაგაღვიძე, მაგრამ ერთი კითხვა მიღრღნის „გვერდებს“ და უნდა მიპასუხო. როგორ ფიქრობ, ჟურნალისტი უფრო ხარ თუ ფსიქოლოგი? საიდან ასეთი იდეები?“

გაგრძელება 60-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. გავოტი ფრანგული ცეკვაა.
2. ქოსმენი ნასუქი ღორი ან ცხვარია.
3. ვეშაპის გული წუთში 9 დარტყმას აკეთებს.
4. სარგანი ერთგვარი თევზია. მას მწვანე ფერის ფხა აქვს.
5. ინდოეთის მოსახლეობის 80% ვეგეტარიანელია.
6. მიუხედავად კუზიანი ზურგისა, აქლემს სწორი ხერხემალი აქვს.
7. ამერიკის ციხეებში ყოველ წელიწადს რამდენიმე ათასი ბავშვი იბადება.
8. ღანძილი ტყის ბალახია. ნორჩობაში მას ნივრის სუნი უდის და მოხარშულ-შეკაზმული იჭმება.
9. „დილაობით ხანდახან, მეც არ გამოვიყურები სინდი კროუფორდივით“, — ამბობს სინდი კროუფორდი.
10. ხაიდაყი დაღესტნის ისტორიული ოლქია. მისი მმართველის მემკვიდრეობით ტიტულს უწმი ერქვა.
11. „რახან კინოსტუდიებთან მოლაპარაკება შევძელი, ნებისმიერთან შევძლებ საერთო ენის გამონახვას“, — ამბობდა რონალდ რეიგანი.
12. ძველ ეგვიპტეში ნათესების პირველ მტრად ბეჰემოთი მიიჩნეოდა. ამ ცხოველის ერთი ღამის ბალახობა ძვირად უჯდებოდათ ეგვიპტელ მიწათმოქმედებს.



13. „მიორტვომუ კანეშნა სპაკოინეე, ნო ბოლნო უუ სკუჩნო...“ — მოძღვრავდა ქვიშიდან ახალამოთხრილ საიდს სუხოვი.
14. „მან ვერაფრით ახსნა საკუთარი მიდრეკილება სიგარისადმი და სწორედ ამან მოუსწრაფა სიცოცხლე“, — ირონიით ამბობენ ფროიდის შესახებ.
15. ტოკიოს ზოოპარკი ყოველ წელიწადს ორი თვით იხურება, რათა ცხოველებმა დამთვალიერებლებისგან დასვენება შეძლონ.
16. მამაკაცს, ხშირ შემთხვევაში, ორი ადამიანი ეხმარება იმის გადაწყვეტაში, თუ სად და როდის გაატაროს შვებულება: ცოლი ეუბნება — სად, უფროსი ეუბნება — როდის.
17. 1952 წელს გადაღებულ ფილმში — „ტარას შევჩენკო“, სერგეი ბონდარჩუკმა მთავარი როლი შეასრულა. სტალინს ისე მოეწონა ფილმი, რომ მსახიობს „ჭეშმარიტად სახალხო არტისტი“ უწოდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მეორე დღეს ბონდარჩუკისთვის სახალხო არტისტის წოდება ოფიციალურად მიენიჭებინათ.
18. პირველი ვიბრატორი XX საუკუნის ბოლოს, ინჟინრებმა ექიმთა დაკვეთით შექმნეს. მისი დახმარებით



შვილი — მამა

ცისკარი შვილების ოჯახის ექსტრემალი მამაკაცები

„პეტრეს ადგილას, პარლამენტში ორი ჯაცის ცემით არ შემოვიფარგლებოდი“...

ცისკარი შვილების ოჯახის მამაკაცებს სპორტისადმი, თანაც, ექსტრემალური სპორტისადმი მიდრეკილება გენეტიკურად მოსდევთ. მათ შორის, ყველაზე წარმატებული პეტრეა. თუმცა, მამამისი — ბატონი გია, შვილიშვილზე, ნიკუშაზე უფრო დიდ იმედებს ამყარებს. ექსტრემალ ცისკარიშვილებსა და მათ ოჯახურ ურთიერთობებზე ბატონი გია გვიამბობს.

ნათია ქარშმიძე

— მამაჩემი ქიმიკოსი გახლდათ — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ბევრი გამოგონების ავტორი. დედაჩემი, პირველი ორგანიკოსი პროფესორი ქალი იყო — მენდელეევის პრემიის ლაურეატი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ა.შ. ცხადია, მეც მეცნიერებას გავყევი და ფიზიკოსი გავხდი. დავამთავრე უნივერსიტეტი, ჩავაბარე ასპირანტურაში — მოსკოვში იქვე დავიცავი დისერტაცია. „პერესტროიკის“ შედგომ, სხვადასხვა ქვეყანაში ვიმუშავე. როცა საქართველოში ომი დაიწყო, სამეცნიერო მოღვაწეობა მივატოვე, თბილისში დავბრუნდი და ბედი ბიზნესში ვცადე — ბენზინი შემომქონდა. ამჟამად ბირჟის საქმიანობით ვარ დაინტერესებული. ჩემი უცხოური კავშირების მეშვეობით, მცირე კაპიტალს ვაბანდებ და მოგებას ვნახულობ.

— თქვენ საუკეთესო კაპიტალდაბანდება რომელია?

— ალბათ შვილების განათლება. ჩემს ერთ მეგობარს გაუკვირდა, როდესაც შეიტყო, რა თანხას ვიხდიდი პეტრეს სწავლაში. მითხრა: ამ ფულით სჯობს სახლი აუშენო, მანქანა უყიდო და სადმე მოაწყოო. დრომ უჩვენა, რომ ის ცდებოდა...

— მიუხედავად სპორტისადმი დიდი სიყვარულისა, შვილს სწავლა ურჩიეთ?

— პეტრეს დიდი წარმატებები ჰქონდა სათხილამურო სპორტში. ამერიკაში ის პირველი მოსწავლე იყო „ჰაი სქულიდან“ (*უმაღლესი სასწავლებელი. — ავტ.*), რომელიც მსოფლიო თასზე ასპარეზობდა. მივიღეთ შემოთავაზება, რომ პეტრეს ამერიკის მოქალაქეობა მიეღო და ნაკრებში აეყვანათ, მაგრამ მან სპორტს, სწავლა არჩია.

— თქვენ ვინ შეგაყვარათ სპორტი?

— ალბათ, მამამ. ის ახალგაზრდობაში ერთ-ერთი პირველი ქართველი ალპინისტი იყო — და-ძმა ჯაფარიძეებთან, ნიკო კეცხოველთან ერთად დადიოდა მთაში... პეტრე თხილამურებზე მე დავაყენე და ძალიან მოეწონა, ადვილად აითვისა და შეიყვარა.

— თქვენ იყავით პეტრეს ინსტრუქტორი?

— ამერიკაში, სამთო-სათხილამურო ცენტრში, ტელეკომპანია ESPN-ისთვის მიცემული ინტერვიუს დროს პეტრემ თქვა — ჩემი პირველი მწვრთნელი მამაჩემია. თუმცა, ამერიკაში ჩემს მწვრთნელობას „წყალი შეუდგა“

პეტრე თხილამურებზე მე დავაყენე

— იქაურმა ინსტრუქტორებმა ერთ თვეში შეძლეს ის, რომ პეტრემ საკუთარ თავს 2 წამით მოუგო... შეიძლება ითქვას, რომ შვილის გამარჯვებას თუ დამარცხებას, მის მიერ დაშვებულ შეცდომებს ყოველთვის მასზე მეტად განვიცდიდი...

— სპორტის სხვა სახეობაც გიყვართ?

— ყველანაირი ექსტრემალური სახეობა მიყვარს. კალათბურთში არ მიცდია ბედი, თორემ, სხვა ყველაფერში ვცადე — გაუხედავ ცხენზეც კი ვმჯდარვარ...

— როგორი მამა იყავით და როგორი მამაა თქვენი შვილი?

— ძნელი შესაფასებელია. როგორც მეცნიერს, მეტი დრო მქონდა იმისთვის, რომ შვილებისთვის ყურადღება მიმექცია. მაგრამ მიმაჩნია, კარგი მამობა შვილის სწორ გზაზე დაყენებას ნიშნავს და არა იმას, თუ რამდენ ხანს ატარებ მის გვერდით...

— თქვენს შვილს, გარკვეული პერიოდი, მოჩხუბარის იმიჯი ჰქონდა...

— მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, პარლამენტში მარტო ორი კაცის ცემით არ შემოვიფარგლებოდი... იქ დღესაც ბევრია საცემი.

— როგორ აღმოჩნდა პოლიტიკაში?

— მამაჩემის უფროსი ძმა, გაბრიელი (ცისკო) საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი იყო. როგორც ჩანს, მის კვალს გაჰყვა... სანამ პეტრე საქართველოში ჩამოვიდოდა, I არხზე ერთ-ერთ გადაცემაში სააკაშვილი ვნახე. ქართველმა დიპლომატმა ამერიკაში ავტოავარიის შედეგად გოგონა რომ იმსხვერპლა, იმას იხილავდნენ. შევარდნაძემ ის კაცი გაწირა და სტუდიაში შეკრებილი საზოგადოება მას თავს უქნევდა. ამ დროს, მეხივით გავარდა სააკაშვილის სიტყვები — ვერ დავეთანხმები შევარდნაძესო!.. ეს ადამიანი ძალიან მომეწონა. შემდგომში, როდესაც პეტრემ მითხრა, რომ მიშა სააკაშვილმა მიიწვია, ვუთხარი, — თუ პოლიტიკაში წახვალ, მხოლოდ ამ კაცთან იყავი მეთქი.

— პეტრემ რამდენიმე თანამდებობა გამოიცვალა. ყველაზე მეტად, რომელი მიგაჩნიათ პეტრეს საქმედ?

— მოგეხსენებათ, გალაკტიონის სიტყვები — „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“. ვფიქრობ, რომ დღეს სოფლის მეურნეობა საერთოდ არ არსებობს და იქ უფრო მეტია გასაკეთებელი... პეტრეს საქმის კეთება რეალურად შეუძლია... ჩემმა შვილმა ფალსიფიკატორებს ნამდვილი ომი გამოუცხადა. მათ კი ნახეთ, რამდენი დამცველი გამოუჩნდათ!.. ქართველებს თავმოყვარეობა აღარ გვაქვს, რადგან ღვინის ნაცვლად, საღებავს გვასმევენ. პეტრე მათ არ შეეშვება და ისინი ველარ იჯეჯილებენ. თუ, რა თქმა უნდა, ამ თანამდებობაზე დატოვეს.

— შეიძლება არ დარჩეს?

— თუ დიპლომატია უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე საქმის კეთება, მაშინ არ დარჩება.

— პეტრეს ვაუკაცზე, პატარა ნიკუშაზე რას იტყვით?

— ის უფრო მომწონს აღსაზრდელად, ვიდრე მამამისი. სპორტში პეტრეს არაფრით ჩამოუვარდება. მას გართობა, ცეკვა უყვარს. გადავწყვიტეთ, „საზოგადოებრივ წნეხში“ ჩაგვეყენებინა და საბავშვო ბაღში გავამწესეთ. შეეჩვიოს თანატოლებთან თანაცხოვრებას, ურთიერთობას.

ჩვენს საუბარს პატარა ნიკუშაც შემოუერთდა, რომელსაც 19 დეკემბერს დაბადების დღე ჰქონდა.

— რამდენი წლის გახდი?

— ოთხის.

— გიყვარს თხილამურები?

— მიყვარს. კიდევ, თოფები მიყვარს და ის თამაში (*ბიატლონს გულისხმობს. — ავტ.*), თხილამურებით რომ დადიან და ზურგზე თოფები აქვთ.

— ნიკუშა, ბებია უფრო გიყვარს თუ ბაბუა?

— დედიკო!

— მამიკო?

— მამიკოც...

ამის შემდეგ ნიკუშამ დაგვტოვა და სავარჯიშო ოთახში გადაინაცვლა, — იქ, სადაც უფროსი ცისკარიშვილები ბევრ დროს ატარებენ.

— ბატონო გია, ნიკუშას დაბადების დღეზე მისი მეგობრები უფრო იკრიბებიან თუ თქვენი?

— ასაკი შეუზღუდავია. ნიკუშა ჩემს მეგობრებთანაც კარგად ერთობა. ზოგს ეცეკვება, ზოგს — „ებოქსავება“ და ასე... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ექიმები ქალებს ისტერიისგან კურნავდნენ.

19. „ორი დღე გავძელი უთქვენოდ, რითიც დავამტკიცე, რომ ქვეყნად ყველაფრის ატანა შემიძლია“, — სწერდა ბერნარდ შოუ ერთ ქალბატონს.

20. „მხოლოდ იმ ქალის წინ უნდა დადგეთ მუხლებზე, რომელიც შემდეგ შარვალს დაგიუთოებთ“, — ამბობენ ინგლისელები.

21. „გოვორი კრატკო, პროსი მალო, უხადი ბორზო“, — მოუწოდებდა ხელქვეითებს პეტრე პირველი. P.S. დიდი მონარქის ეს სიტყვები ჟურნალის ხელმძღვანელობამ მოწოდების სახით კედელზე რომ გამოგვიკრას, ხომ იქნება ჩემზე ახი!...

22. ყალბი ფულის მჭრელები თავისებური იუმორის გრძნობით გამოირჩევიან. ყოველი მათგანი ცდილობს, თავის პროდუქციაზე საკუთარი, ძნელად შესამჩნევი ხელწერა დატოვოს. ერთ ასდოლარიან კუპიურაში ფრანკლინის გამოსახულების ჭვირნიშანი ადამიანის თავის ქალას იყო მიმსგავსებული.

23. ანეკდოტი: კათოლიკე ბერი უდაბნოში ლომს გადაეყარა და გულგახეთქილმა ზეცას შეჰღაღადა: „ღმერთო, ძლიერო! შთაუნერგე ამ ლომს ქრისტიანული გულმოწყალება!“ ამის თქმა იყო და, ლომი ზეცისკენ მიპყრობილი თვალებით მუხლებზე დაეცა მის წინ: „ღმერთო, აკურთხე საკვები ჩემი!“

24. კაროლ ვოიტილამ, მომავალმა რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ, ახალგაზრდობაში დაიცვა დისერტაცია თემაზე — „რწმენის საკითხი წმინდა ხუან დე ლა კრუსის ცხოვრებაში“, მაგრამ დიპლომი არ აუღია. შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, დიპლომის ასაღებად აუცილებელი იყო ნაშრომის პუბლიკაცია, რისთვისაც მას უბრალოდ, ფული არ ჰქონდა.

25. 80-იან წლებში მომხდარი ამბავი: სახლში დაბრუნებულმა ამერიკელმა დიასახლისმა სამზარეულოში მოძაგძაგე ქმარს მოჰკრა თვალი, რომელსაც წელზე ელექტროშნური ჰქონდა მიმაგრებული. თვალებდახუჭული კაცი დაძახილზე არ რეაგირებდა და ისე ცახცახებდა, ისე იგრიხებოდა, რომ ცოლმა იფიქრა, დენმა დაარტყაო და ელექტროშნურისგან რომ გაეთავისუფლებინა, ხორცის საჭრელი ხის დაფა დასცხო მხარში. სულ ტყუილად: მისი მეუღლე მხოლოდ და მხოლოდ ფლეიერს უსმენდა.

როგორ შეგხვდეთ წითელი ტახის წელიწადს

ახალი წლის დადგომამდე, სახლი აუცილებლად მორთეთ წარმატებისა და ბარაქის სიმბოლოებით. ამაში განსაკუთრებით, ნაძვის, კვიპაროსის ტოტები, ვარდი, მიხაკი და პალმა დაგეხმარებათ.

სხვათა შორის, წელს ადამიანებმა განსაკუთრებული ყურადღება თავიანთი სახლის, ბინის მოწყობას უნდა დაუთმონ. ამიტომ გირჩევთ, ახალ წლამდე მაქსიმალურად მორთოთ თქვენი სახლი, მოაწესრიგოთ, განაახლოთ და დაასუფთავოთ ყველაფერი.

ნებისმიერმა ადამიანმა, ახალი წლის დადგომამდე, მომავალ წელს საჩუქარი უნდა მიუძღვნას. ამ შემთხვევაში, წითელი ტახის პერიოდს, შვიდი სახეობის საჩუქარი უნდა დახვდეს, მათ შორის, შეიძლება იყოს ლობიო, ბარდა, სანთლები, საკმეველი, არომატული ბალახები, ყურძენი და ა.შ. თქვენი ძღვენი ანთებულ სანთლებთან ან ბუხართან უნდა მოათავსოთ. გარდა ამისა, სასურველია სუფრაზე იყოს სოკო, ტკბილეული, ხილი და წითელი ან ნარინჯისფერი ბოსტნეული (გაითვალისწინეთ, ტახს არ მოსწონს მაგარი ალკოჰოლური სასმელი). ასევე, სასურველია, ფრინველის ხორცი, პური, მწვანილი და ხილი (ატამი, კომში, ლიმონი). მაგიდა დაამშვენეთ წითელი ან სხვადასხვა შეფერილობის შვიდი სანთლით, ისე რომ, სანთლები ცისარტყელას პალიტრას ქმნიდეს. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს წყლით სავსე სუფთა თასიც.

წითელი ტახის წელიწადს ოჯახურ წრეში, შვილებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად უნდა შეხვდეთ. იმხიარულეთ, იცინეთ, მოერიდეთ ბილწსიტყვაობას და ყველას სიკეთე, ბედნიერება უსურვეთ. აუცილებლად განსაზღვრეთ წლის მიზანი, დაგეგმეთ მომავალი, ჩაიფიქრეთ კეთილი სურვილები.

იმისთვის, რომ წარმატებით შეხვდეთ ტახის წელს, ასტროლოგების აზრით, საჭიროა, საახალწლო სუფრასთან თავი მოუყაროთ ყველა ახლობელს — მეგობრებს, ნათესავებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც ოდესღაც დახმარება აღმოგიჩინეს. გაიხსენეთ წინაპრები, დაღუპული მეგობრები და ნათესავები, მათი სულის მოსახსენიებელი ლოცვაც წაიკითხეთ. ეს რიტუალი აუცილებელია იმისთვის, რომ მთელი წლის მანძილზე, გარდაცვლილთა მფარველობა იგრძნოთ.

ახალი წლის დადგომას სასურველია ახალი ტანსაცმლით შეხვდეთ. ძირითადი ფერებია წითელი, იისფერი, ბორდო. ასევე, ტახისთვის მიზანშეწონილია ღია იასამნისფერიც, რომელიც მიწიერი ცეცხლის სულიერი ტრანსფორმაციის სიმბოლოდ გვევლინება. სამკაული კი, აუცილებლად ნატურალური ქვისა და ლითონისგან უნდა იყოს დამზადებული. ■

ორიგინალური და ხალისიანი საახალწლო სუფრა

მარჯვე ხელების წყალობით შესაძლებელია, სახლი უბრალო რაღაცებით ისე მორთოთ, რომ მას საახალწლო ელფერი შესძინოთ. ის უბრალო იდეები, რომლებსაც ჩვენ შემოგთავაზებთ, დიდ შრომას არ მოითხოვს, მაგრამ მათი მეშვეობით, თქვენი სტუმრები აღფრთოვანდებიან.

იმისთვის, რომ თქვენს სუფრას განსაკუთრებული საახალწლო ელფერი ჰქონდეს, თითოეულ თეფშზე მოათავსეთ „ხლაპუშკა“. ეს „ასაფეთქებელი“ მოწყობილობა შემდეგნაირად უნდა დაამზადოთ: აიღეთ დაახლოებით, 6 შოკოლადის მედალიონი და გაახვიეთ გამჭვირვალე, ფერად (ფერს მნიშვნელობა არა აქვს) ცელოფანის პარკში. ორივე მხარეს შეკარით ფერადი ლენტით ისე, როგორც კანფეტი, შემდეგ კი, მას მიაწებეთ მუყაოსგან დამზადებული ვარსკვლავის და ნაძვის ხის ფორმის პატარა ფერადი ფურცლები.

ჩვეულებრივ სანთელს ყველა მხრიდან შემოუწყვეთ დაფნის ფურცლები ან დარიჩინის ჩხირები, შეკარით თოკით და ფერადი ლენტებით. დაიმახსოვრეთ: სანამ სანთელს ცეცხლს წაუკიდებთ, მანამ, მას ეს აქსესუარები უნდა მოხსნათ.

ჭიქებს შეგიძლიათ საახალწლო ელფერი მისცეთ, თუ მას მინის საღებავით მოხატავთ. მათზე უნდა გამოსახოთ თოვლის ფიფქები, ნაძვის ხე და ა.შ. როცა საღებავი გაშრება, შეგიძლიათ, ჭიქაში შამპანური ჩაასხათ და

მიირთვათ.

სუფრასთან თითოეული ადგილი რომ მონიშნოთ, შეგიძლიათ, პატარა ზომის ბისერებით (ფერს მნიშვნელობა არა აქვს) დაამზადოთ იმ სტუმრის სახელის სანყისი ასო, რომელიც აღნიშნულ ადგილას უნდა დაჯდეს. თითოეული მათგანი ძაფით მანდარინზე მიაბით და მიბმის ადგილზე პატარა, ბაფთის ფორმის ლენტი მიაწებეთ. მანდარინი ბისერებისგან აწყობილ ასოსთან ერთად, თეფშზე მოათავსეთ.

თუ სახლში გაქვთ როზმარინის პატარა ტოტები, მაშინ ქოთანი, რომელშიც მას ახარებთ, შეგიძლიათ მორთოთ კანფეტებით, შოკოლადის მონეტებით, პატარა ბურთულებით, შეკრათ მისი ტოტები ლენტით და დადოთ მაგიდაზე. ის არა მარტო ლამაზია, არამედ, სასიამოვნო არომატსაც აფრქვევს.

მისალოცა ბარათზე ლამაზად ჩამოწერეთ მენიუ, ის, რაც შეგიძლიათ შესთავაზოთ სტუმარს და დადეთ თითოეულ თეფშთან. მისალოცა ბარათებს მიაბით ნაძვის ხის სათამაშო, რომელზეც ფერადი საღებავით სტუმრის სახელის ინიციალებს მიაწერთ.

აიღეთ გამჭვირვალე ვაზა, რომელიც უნდა აავსოთ ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოებით, ზემოდან დააყარეთ კანფეტები, მორთეთ ცოცხალი ნაძვის ხის ტოტითა და ლენტებით.

ვაზაში ჩაყარეთ კაკალი და მასში ჩააწყვეთ შინდის რამდენიმე ტოტი, რომელზეც ნაყოფი ჯერ კიდევ შერჩენილია. ის თქვენს ოთახს ნამდვილად გაალამაზებს.

კარგად შეფუთული საჩუქარი ისეთსავე სიამოვნებას მოგანიჭებთ, რაგორსაც ის ნივთი, რომელიც შიგნით დევს. თითოეული საჩუქარი შეახვიეთ თეთრ ან ვერცხლისფერ ქაღალდში, შემოახვიეთ ფერადი ლენტები და მასზე მიამაგრეთ მისალოცი ბარათები.

თეთრი და წითელი — ეს ის კლასიკური

ფერებია, რომლებიც თქვენს სადღესასწაულო განწყობილებას აამაღლებს. შინდის ტოტები ჩააწყვეთ გამჭვირვალე ვაზაში, მოათავსეთ ასევე ტირიფის რამდენიმე ტოტი და მორთეთ ნაძვის ხის თეთრი, მრგვალი ფორმის სათამაშოებით. შესაძლებელია, მხოლოდ ამაზე არ შეჩერდეთ — ბურთულებზე მიაწებეთ ფოთლები, ბრჭყვიალა რაღაცები და ლენტები.

უბრალო იდეები ხშირად, წარმატებული აღმოჩნდება. მაგალითად, ვარდის პატარა თაიგული (სამი ცალი, თითოზე) მოვათავსოთ დაბალ ჭიქებში და დავდოთ თითოეულ თეფშთან. ვარდის ფურცლები შეიძლება, გავამაგროთ ოქროსფერი თხელი ბადით ან ოქროსფერი ლენტით.

ნებისმიერი სადღესასწაულო სუფრა „შედევრს“ საჭიროებს. პატარა სადღესასწაულო თაიგული ჩადეთ ვაზაში, რომელიც სავსეა სხვადასხვაგვარი კანფეტით და როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელს შეეფერება, დადეთ მაგიდაზე, რათა ყველამ მიირთვას.

იდეა, რომელსაც გთავაზობთ, შეიძლება განახორციელოთ ნებისმიერი ზომის და ფორმის გამჭვირვალე ვაზის მეშვეობით. უბრალოდ, იყიდეთ რამდენიმე სახეობის ხილი და მასში ლამაზად ჩააწყვეთ. ამგვარად მორთული ვაზა, მთელი დღესასწაულის განმავლობაში გაგახარებთ თავისი არომატულობითა და სილამაზით.

აავსეთ ვაზა ტირიფის ტოტებით, გირლანდებით. ვაზაში ჩადეთ ნაძვის ხის მოსართავი ნათურები და დატკბით მათი ციმციმით.

თქვენს სახლს ღვთიური არომატით ფორთოხალი და მიხაკი აავსებს, რომელსაც ლამაზად ჩააწყობთ მინის ვაზაში. ფორთოხლის კანი დაჩხვლიტეთ ჩანგლით და მასში ჩაამაგრეთ მიხაკის ჩხირები. ისინი შეიძლება მიამაგროთ არეულადაც. ასევე, შეგიძლიათ მისცეთ ვარსკვლავის ფორმა, ხოლო დარჩენილ ცარიელ ადგილას, ბრჭყვიალა რაღაცები მიაწებეთ.

მინის ქილაში ჩააწყვეთ საახალწლო აქსესუარები, ასევე კანფეტები და თხილი ან კაკალი, რომელსაც სუფრის შუაგულში ჩადგამთ. დანა-ჩანგლები შეახვიეთ ვერცხლისფერ ხელსახოცში და მათ პატარა, ლამაზი ქვები მიამაგრეთ.

რჩევა: *ქვები შეგიძლიათ, შეღებოთ ვერცხლისფერი ან თეთრი საღებავით.*

■

საღ დავპატიჟოთ საყვარელი ადამიანი ახალ წელს

ყველა თანამედროვე ადამიანი მნიშვნელოვან შეხვედრებს, მათ შორის, სასიყვარულოსაც, სწორედ ფინჯან ყავაზე გეგმავს. ამასთანავე, ეს სიამოვნება ძვირიც არ ჯდება.

რესტორანი

ვისთვისაა მიზანშეწონილი: სოლიდური, მოსაწყენი, საკუთარი თავის განუმეორებლობაში დარწმუნებული, ჯიბესქელი მამაკაცებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ყოველთვის ჭკვიანურად, სოლიდურად და კარგად აღზრდილებად გამოიყურებოდნენ.

მინუსები: ვახშმისა და დროს ტარების შემდეგ, შეიძლება, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. თქვენს საყვარელ ადამიანს შესაძლოა, რომელიმე საკვების გამო ალერგია გაუჩნდეს ან კუჭის პრობლემა შეექმნას. თანაც, კარგად დანაყრების შემდეგ, ადამიანებს მხოლოდ ძილის სურვილი უჩნდებათ და სხვა არაფრის.

პლუსები: ამ შემთხვევაში, მამაკაცებს საშუალება გეძლევათ, ქალს თავი კულინარიული ასპექტით მოაწონოთ. სასაუბრო თემაც არ შემოგელევათ, თანაც, ალკოჰოლი ცოტა გათამამების საშუალებას მოგცემთ. სანთლის შუქზე, თქვენი შეყვარებული უფრო ლამაზი მოგეჩვენებათ.

ხარჯი: 100 ლარი და ზევით.

კლუბი

ვისთვისაა მიზანშეწონილი: თინეიჯერებისთვის, ცეკვისა და მუსიკის მოყვარულებისთვის.

მინუსები: ნებისმიერ კლუბში ძალიან ბევრი ხალხი და ხმაურია. ასეთ ადგილებში ვერ იგრძნობთ, რომ ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილები.

პლუსები: როგორც წესი, კლუბები ღამის 12 საათიდან მუშაობს. მოგეხსენებათ, ღამე ყოველთვის უფრო რომანტიკულია და სწორედ, ღამით ჩნდება განუმეორებელი მომენტები შეყვარებულების ცხოვრებაში.

ხარჯი: 50 ლარი და ზევით.

ქუჩაში სეირნობა

ვისთვისაა მიზანშეწონილი: გაბედული, მაგრამ ღარიბი ადამიანისთვის. ასეთი ადამიანი გაბედულად იმიტომ მიიჩნევა, რომ სეირნობისას, ნებისმიერ მომენტში შეიძლება წამოვიდეს წვიმა, თოვლი ან ვიღაცამ მანდილოსანს ცუდად შეხედოს და ამის გამო, მამაკაცმა იჩხუბოს. რატომღაც, სუფთა ჰაერზე სეირნობა ლიტერატურის კარგ მცოდნეებს უფრო უყვართ.

მინუსები: ქუჩაში, მით უმეტეს, თუ ცივა, ქალებს პირველ რიგში, ცხვირი უწითლდებათ, ამიტომ ისინი არცთუ ისე კარგი შესახედავები იქნებიან.

პლუსები: თუ კარგად დაგეგმავთ ქუჩაში სეირნობას, საკმაოდ იაფ ფასებში რომანტიკული საღამო გამოგივათ. ქუჩა გაძლევთ საშუალებას, იყოთ მაქსიმალურად ხალისიანი, ექსცენტრიკული და რომანტიკული.

ხარჯი: მინიმალური.

ბინა

ვისთვისაა მიზანშეწონილი: მათთვის, ვისაც წარმოსახვის უნარი საერთოდ არ გააჩნიათ ან ძალიან დიდი დოზით აქვთ.

მინუსები: ქალს შეგიძლიათ შესთავაზოთ მხოლოდ ჩაი, ყავა და ცეკვა. შემდეგ კი, იგი თქვენი ბინის დატოვებას მოისურვებს.

პლუსები: პირველი პაემანი საკუთარ სახლში, ერთი წლის განმავლობაში შეყვარებულთან სხვადასხვა ადგილას შეხვედრას ნიშნავს, რადგან სახლში უფრო მეტს გაიგებ მის შესახებ, ვიდრე ერთი წლის განმავლობაში სხვაგან.

ხარჯი: დაგჭირდებათ ნახევრად ტკბილი, კარგი ღვინო, ეგზოტიკური ხილი, არომატიზებული სანთლები. საერთო ჯამში, თქვენი ხარჯი 50-60 ლარს არ გადააჭარბებს.

მაშ ასე, შეხვდით საყვარელ ადამიანს და წაიყვანეთ სასურველ ადგილას, მაგრამ გახსოვდეთ, თუ ეს პირველი პაემანია, მას თავისი აკრძალვებიც აქვს:

- ქალზე წინასწარ ნუ შეიქმნით იდეალურ წარმოდგენას. შეხედეთ მას ისე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს.
- ნუ გამოიყენებთ სიტყვებს: ქორწინება, შვილები, ჩვენი ოჯახი, ერიდეთ ანეკდოტებსაც. თუ თქვენი სასურველი ქალი გიღიმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა.
- პირველ პაემანზევე ნუ გაიშიფრებით. ნუ მოჰყვებით საკუთარ თავზე ბევრს და ნურც მას დააყრით კითხვების კორიანტელს.
- ნუ იჩქარებთ. არ არის მიზანშეწონილი, პირველი შეხვედრა სექსით დასრულდეს. ვინც მოითმენს, ის ნამდვილად მოიგებს.

■

როლის უსკლება ბერძენას „სიყვარულის ბუშტი“ და როგორი უნდა იყოს მისი საცოლე

რუბრიკა „სასიძოს“ სტუმარი, ყოფილი ტელეწამყვანი და „ჯეობარი 3“-ის მონაწილე ირაკლი ბერძენიშვილი — იგივე ბერძენაა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მისი გული თავისუფალია თუ არა, რადგან მან ეს კითხვა უპასუხოდ დატოვა. რაც მთავარია, თამამად და გაბედულად აღიარა საკუთარი უარყოფითი თვისებები და რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, კარგზე მაინცდამაინც ყურადღება არ გაუმახვილებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბერძენა თავმდაბალი ადამიანია და როგორც თვითონ მითხრა — თავში არასოდეს არაფერი უვარდება.

სოფო ჭონიშვილი

— ირაკლი, შენი ოჯახი გაგვაცანი!

— ვცხოვრობ დედასთან, ძმასთან და ნათესავებთან ერთად, მამა გარდაცვლილი მყავს.

— ძმა შენზე უფროსია?

— არა, ჩემი ძმა ჯერ პატარაა. 15 წლისაა.

— შენ რამდენი წლის ხარ?

— 21-ის.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— კურო.

— შენი თავი დაგვიხასიათე...

— ვფიქრობ, რომ მოწესრიგებული ადამიანი ვარ. რასაც ჩავიფიქრებ, ყოველთვის ვახორციელებ. შეიძლება, ამისათვის ერთი, ორი წელი ან უფრო მეტიც დამჭირდეს, მაგრამ მაინც გავაკეთებ.

— ეი. მიზანდასახული ადამიანი ხარ?

— შეიძლება ითქვას, რომ მიზანდასახული ვარ.

— რას მიიჩნევ შენს უარყოფით თვისებად?

— რაც „სტერეოდან“ წამოვედი და სამსახური აღარ მაქვს, საკუთარ თავს ვატყობ, რომ გავზარმაცდი, მაგრამ ვცდილობ, სიზარმაცეს როგორმე მოვერიო. მგონი, ვერევი კიდეც. ძალიან მიყვარს დილით ძილი, მით უმეტეს, „ჯეობარიდან“ გამოსვლის შემდეგ. მეორე ცუდი თვისება ის მაქვს, რომ ბევრ სიგარეტს ვეწევი.

— დიდი ხანია, რაც ეწევი?

— ვაიმე, ჩემმა ძმამ არ გაიგოს! ჩუმად გეტყვი — 15 წლიდან ვეწევი... ვფიქრობ, კიდევ რა ცუდი თვისება მაქვს? აა! გამახსენდა. ფრჩხილებს ვიკვნეტ (*იცინის*). ამის გამო ჩემი მეგობრები ხშირად მეჩხუბებიან. სადაც არ უნდა ვიყოთ, საკმარისია, პირისკენ ხელი წავიღო, ეგრევე თითებზე მხვდება... კი მრცხვენია, მაგრამ ბოლომდე ჩამოვთვლი ჩემს ცუდ თვისებებს — ტუჩებსაც ვიჭამ (*იცინის*)...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ?

— ვაიმე!.. ცუდად (*იცინის*)... როგორც უკვე გითხარი, ჰოროსკოპით კურო ვარ, თან — ხარის წელში დაბადებული. მგონია, რომ ამით ყველაფერია ნათქვამი. საერთოდ, დიდი მოთმინების უნარი მაქვს, მაგრამ თუ ზღვარს გადასცდა — ო!.. მაშინ, უკვე ველარ გეტყვი, რა მოხდება. თუმცა, თავის გაკონტროლებას ყოველთვის ვახერხებ, მით უმეტეს, თუ საქმე ჩემს ახლობელ ადამიანს ეხება. თუ უცხოა და დასაკარგი არაფერი მაქვს, მაშინ შეიძლება, ძალიან ცუდი რაღაც მოხდეს.

— ხშირად იტყუები?

— ვცდილობ, არასდროს არავინ მოვატყუო, თუმცა ხანდახან, უნებლიეთ მიხდება ტყუილის თქმა.

— როგორი გოგოები მოგწონს?

— შავგვრემანი იქნება თუ ქერა, — ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, იყოს ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული. ძალიან, მომწონს მწვანეთვალება გოგონები. ზედმეტად სერიოზულები და კოპებშეკრულები არ მიზიდავს. მხიარული უნდა იყოს, ოღონდ, სულ მხიარულ ტალღაზე მყოფი — არა (*იცინის*)... უნდა იცოდეს, სად, როგორ და რანაირად მოიქცეს. მოკლედ, ნაკლი არ უნდა ჰქონდეს.

— უნაკლო ადამიანი რომ არ არსებობს?!

— (*იცინის*) ვიცი, უნაკლო ადამიანი რომ არ არსებობს, მაგრამ მაინც მინდა, რომ ჩემ გვერდით ლამაზი და კარგი გოგონა იყოს.

— როცა ცოლის მოყვანას გადაწყვეტ, დედის აზრს თუ გაითვალისწინებ?

— რატომაც არა?! როცა ვინმე სერიოზულად მომწონს, პირველ რიგში, დედას ვაცნობ. დედა ჩემი უფროსი „ძმაკაცია“. ყველაფერში ვენდობი, ვიცი, რომ ყოველთვის კარგს მირჩევს. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: ერთი გოგო მომწონდა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ დედამაც იცოდა, სახლში დავპატიჟე და დედაჩემი გავაცანი. იმავე საღამოს დედამ გვერდით მომისვა და მითხრა: ირაკლი, შენ ის გოგო არ გჭირდებაო... აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად განმიცხადა. კითხვა შევუბრუნე: რატომ, დედა-მეთქი? — გეუბნები, არ გჭირდებაო; გავოცდი, რა იყო მიზეზი, ვერ ვხვდებოდი. გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ დედამ სიმართლე მითხრა: ის გოგო მართლა არ მჭირდებოდა. ყველა დედას უნდა, რომ მისმა შვილმა ნორმალური და, როგორც იტყვიან, კარგი ოჯახის შვილი მოიყვანოს ცოლად.

— ამჟამად, შენი გული თავისუფალია?

— მოდი, ამ კითხვაზე არ გიპასუხებ...

— მარტო რომ ცხოვრობდე, საკუთარი თავის მოვლას თუ შეძლებ?

— საერთოდ, თავისუფლება ძალიან მიყვარს. მარტოც ძალიან კარგად ვიცხოვრებდი. დიდი სურვილი მაქვს, სახლი ვიქირავო და მარტო ვიცხოვრო. დიდი სიამოვნებით წავიდოდი საზღვარგარეთ სასწავლებლად, თან ვიმუშავებდი და შესაბამისად, მარტოც ვიცხოვრებდი... რაც შეეხება საოჯახო საქმეებს, — რაღაცები მეხერხება. შიმშილით არ მოვკვდები. სარეცხს მანქანაში შევყრი და გამირეცხავს...

— ცოლს ტრადიციების დაცვით მოიყვან თუ?..

— გააჩნია სიტუაციას: თუ იმ გოგოს ოჯახისთვის სასურველი სასიძო არ ვიქნები და ერთმანეთი ძალიან გვეყვარება, მაშინ, ალბათ, გავიპირებით... როცა ოჯახში ოფიციალურად შეხვალ, ეს უფრო საპასუხისმგებლო იქნება, იფიქრებ — ვაიმე, არაფერი შემეშალოსო; ყველას თვალებში უნდა უყურო, ბატონობით ილაპარაკო — მოკლედ, თავი უნდა მოაწონო... კონკრე-

დიდი სურვილი მაქვს, სახლი ვიქირავო და მარტო ვიცხოვრო

ტულ სიტუაციაში ზუსტად ვერ გეტყვი, როგორ მოვიქცევი.

— **შენმა ცოლმა მზითვი უნდა მოიტანოს?**

— რატომაც არა?! როცა ადამიანი ახალ გარემოში შედის, თავისთავად რთულია შეჩვევის და შეგუების მომენტი. მზითვი ქალისთვის ამ საქმეს აადვილებს, წაიღებ შენს ნივთებს, ავეჯს, დაალაგებ შენს გემოზე და სიტუაციას ცოტათი გაიიოლებ.

— **როგორი სიმთვრალე გაქვს?**

— ძალიან კარგი, სიმთვრალეში „სიყვარულის ბუშტი მისკდება“ ხოლმე (ყველას ვესიყვარულები). სამწუხაროდ, 19 მაისამდე დალევა აკრძალული მაქვს.

— **რატომ?**

— სექტემბერში ძაღლმა მიკბინა, შრატი გავიკეთე, ექიმმა მითხრა — 19 მაისამდე არ დალიოო... 20 მაისს დაბადების დღე მაქვს, აი, მაშინ კი დავლევ და თან — როგორ!..

— **როგორი შეყვარებული ხარ?**

— ბრწყინვალე (*იცინის*)! ვცდილობ, იმ ადამიანს ყველანაირად თავი მოვაწონო, არ ვაწყენინო, მხარში ამოვუდგე, სიურპრიზები მოვუწყო.

— **სიყვარულში იმედგაცრუება თუ გქონია?**

— ასეთი სიტუაცია მქონდა: ერთ გოგოს ვხვდებოდი, მეგონა, რომ ძალიან მიყვარდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ერთმანეთს დავშორდით. ძალიან განვიცადე და ვინერვიულე. გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რომ ის გოგო თურმე არ მიყვარდა. ეს უბრალოდ, გატაცება იყო... სიყვარული სულ სხვა რაღაცაა: როცა მართლა გიყვარს, ეჭვნობ, ძალიან ბევრს ფიქრობ მასზე, აკონტროლებ — სად, ვისთან მიდის, რატომ მიდის; გინდა, სულ შენ გვერდით იყოს. საერთოდ, სიყვარულში იმედგაცრუება ძალიან ცუდია.

— **ირაკლი, „ჯეობარში“ მონაწილეობის შემდეგ პოპულარული გახდი. თავში ხომ არ აგივარდა?**

— არა. მე არ ვარ ის ადამიანი, ვისაც რაღაც-რაღაცები თავში უვარდება.

— **პოპულარობის გარდა „ჯეობარმა“ რა მოგიტანა?**

— ყველაფერი კარგი. იქ ვისწავლე ის, რაც ცხოვრებაში აუცილებელია, გამიჩნდა პერსპექტივა ახალი სამსახურის შოვნის. შევიძინე მეგობრები, რომლებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— **ფინალში ვის უგულშემატკივრებ — სოფოს თუ ირაკლის?**

— სოფოს, იმიტომ, რომ კარგი ადამიანია. ყველანაირად ვეცდები, დავეხმარო და ფინალი მოიგოს. ძალიან მიყვარს, ღირსია, რომ მოიგოს. ირაკლიც კარგი ადამიანია, მაგრამ...

— **დაბოლოს, შენს სახელზე მოსულ, თაყვანისმცემელთა მესიჯებს თუ გაეცნობი?**

— რა თქმა უნდა, აუცილებლად.

ბერძენას ფანებო და თაყვანისმცემლებო, თუ გსურთ, რაიმე უთხრათ ან რჩევა ჰკითხოთ, შეგიძლიათ დაუმესიჯოთ ნომერზე 8 (98) 23.09.21. შეეცადეთ, საინტერესო და ორიგინალური SMS-ები მისწეროთ. იქნებ, რომელიმე თქვენგანით დაინტერესდეს და შეხვედრაც ისურვოს. მე კი თქვენს გზავნილებს, უკლებლივ ყველას გავაცნობ და მის კომენტარებსაც მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. ■

„...მაშინ ვერ გაგიცანი, შემეშინდა...“

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლოს“ — ყოფილი „ჯეობარელის“ ნატა ნუცუბიძის ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნატა მართლაც, ბევრი მამაკაცისთვის სასურველი ქალია. მათი უმეტესობა მესიჯების მოწერით არ კმაყოფილდებოდა და მთხოვდა, როგორმე ნატასთან დაკავშირებაში დავხმარებოდი. მინდა გითხრათ, რომ ეს არც „ჩაწყობით“ და არც ნაცნობობით არ ხდება. თვითონ ნატამ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა რომელიმე თქვენგანთან დაკონტაქტება. ახლა კი, ნატას სახელზე მოსულ ეს-ემ-ესებს გაგაცნობთ.

სოფო ჭონიშვილი

„ნატა, როცა შენი ინტერვიუ წავიკითხე, დიდი სურვილი გამიჩნდა, დამემესიჯებინა და მეთქვა, რომ ძალიან მომწონხარ, დიდ პატივს გცემ. მიყვარხარ“.

„ძალიან სექსუალური გოგო ხარ, მაგრად მევასები. სიამოვნებით გაგიცნობდი. რამაზოტი.“

„სანამ SMS-ს წაიკითხავ, მინდა გთხოვო, თავი ხელში აიყვანო, არ ინერვიულო. შენთვის იმის თქმა დიდი ხანია, მინდა. მიჯობს, სანამ სხვა გეტყვის, პირველმა მე გითხრა. დაჯექი და ისე წაიკითხე... არ ვიცი, საიდან დავიწყო. როგორ გითხრა, რომ თოვლის ბაბუა არ არსებობს“...

„გაიხარე, გოგოოოო! რათა ხარ ასეთი ლამაზი ჰა?!. გისურვებ ყველაფერ კარგს. წინასწარ გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი. შენს პატარას ჩემს მაგივრად აკოცე. სოფო, 17 წლის“.

„სამი „ჯეობარიდან“ ყველაზე ლამაზი და კარგი შენა ხარ. მართვის მოწმობა აიღე, რა პატრულს ნუ გადაიკიდებ. შენი ფანი — პიერი“.

„ძალიან მინდა შენთან დაახლოება, როგორ მოვახერხო?.. ვოცნებობ შენნაირ ქალზე“.

„ნატა, „ჯეობარიდან“ გიცნობ, მაშინ ვერ გაგიცანი, ვერ შევძელი — შემეშინდა, რაიმე ცუდი არ გეთქვა ჩემთვის... მას შემდეგ, შენზე ვფიქრობ. რა მოხდება რომ ერთმანეთი გავიცნოთ?.. ძალიან მიყვარხარ“.

„მინდა, ერთ კითხვაზე მიპასუხო: ძალიან მინდა მოდელი გავხდე. როგორ უნდა მოვიქცე? ნათია, 15 წლის.“

„დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. ორი სახლი მაქვს: ერთი — ინგლისში, მეორე — ანტალიაში. საკუთარი აუზიც მაქვს და კიდევ ბევრი რამ. 24 წლის ვარ. ირაკლი მქვია. ამჟამად ბარნოვზე ვცხოვრობ. თუ გინდა, ჩემს სურათსაც გამოგიგზავნი“.

„ძალიან
სექსუალური
გოგო ხარ,
მაგრად მევასები“

„შენ ხარ ოცნება, შენ ხარ სინაზე,/ შენ ხარ ცის ცრემლი ცოდვილ მიწაზე,/ შენ ხარ სითბო და შენ ხარ ალერსი,/ მე მოგეფერე ახლა ამ ლექსით“.

„ნატა, ანგელოზი ხარ, მთელი ტყიბული შენზე გიჟდება. ძალიან მიყვარხარ. ახლა შენს პლაკატებს ვუყურებ და ვფიქრობ, საიდან ასეთი უნაკლო გოგო?!. შეყვარებული გყავს?“

„ძვირფასო, შენს სურათებს რომ ვუყურებ, ცრემლებს ველარ ვიკავებ. შენნაირი გოგონები მაოცებენ. საყვარელი ადამიანი ხარ, ცხოვრებაში ყველაფერს კარგს იმსახურებ. გიო.“

„შენი ინტერვიუდან გავიგე, რომ ძალიან მეგობრული გოგო ხარ, გყავს მეგობრები, რომლებიც ასევე ძალიან გიყვარს. მეც ვიქნები, რა შენი მეგობარი! მეც კარგი მეგობრობა ვიცი“.

„ნატა, მაგარი „დაცემა“ ქალი ხარ, ულამაზესი და უსაყვარლესი, ჩემ გვერდით მხოლოდ შენნაირ ქალს ვისურვებდი. მიყვარხარ და მევასები“.

„ლობიო ძალიან მიყვარს, შენი გაკეთებული ხომ მით უმეტეს, ძაან მაგარი იქნება. ბუნებრივი ფერის თმა გაქვს თუ შეღებილი?“

„გულით მინდა დაგირეკო და დაგელაპარაკო. როგორ მოვახერხო? გთხოვ, როგორმე დამიკავშირდი. უბრალოდ, შენი ხმა მაინც გავიგონო. მინდა, სულ შენ გვერდით ვიყო. მიყვარხარ. ნეტავ, ახლა ჩემთან იყო, უცებ მოგარჩენდი. აბა, კარგად დაფიქრდი!..“

„ვაიმე, მაგიჟებს ეს გოგო, რა ვქნა, რომელ წყალში გადავხტე, ჩემი ხმა როგორ მივაწვდინო?.. დამეხმარეთ, იქნებ, მისი მობილური ტელეფონის ნომერი მომცეთ?.. ნიკა“.

„დამდეგ ახალ წელს გილოცავ, გისურვებ ყველაფერ კარგს და ლამაზს! მურმანა.“

„მე ვარ ის კაცი, ვინც შენ გაგაბედნიერებს, თავს ქალად გაგრძნობინებს, აგამაღლებს და გაგაღმერთებს. არ გინდა, ჩემი გაცნობა?.. ცოტა ხანს დაგელოდები... კარგად მოიფიქრე, ბედი კარზე მოგადგა“...

„გარეგნულად ძალიან ლამაზი ხარ, მაინტერესებს, შინაგანად როგორი ხარ. სიამოვნებით გაგიცნობდი, „გამაოცე“ ქალი ხარ. „ირაკლი“.

„ნატა, მე შენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ. როგორც კი დაგინახე, მაშინვე „რაღაც“ ვიგრძენი. მას შემდეგ, მოსვენება დავკარგე, სულ შენზე ვფიქრობ. 21 წლის ვარ. გთხოვ, დამიმესიჯე. თორნიკე“.

„პრივეტ“, ნატა, არ გრცხვენია, გოგო, ლობიოს გაკეთების მეტი რომ არაფერი იცი? თუ გინდა, ცოლად გამომყევი... ბორშჩის გაკეთებას მაინც გასწავლი, არ გინდა?.. დათო“.

„ნატა, ისე მომწონხარ და ისე მიყვარხარ, ვერ აგიხსნი. ნეტავ, შენი კოცნა და მოფერება მეღირსება? ამიხდება ოდესმე ეს ოცნება?.. პასუხს ველი, ჩემო სიცოცხლევ“.

■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

„სადღესასწაულო უსაფრთხოების“ ზომები

მალე დადგება ახალი წელი. ჩვენში რომ წრეგადასული დღესასწაულების აღნიშვნა ვიცით, სიახლე არავისთვისაა. რამდენიმე დღის განმავლობაში წვეულებას წვეულებაზე ვმართავთ, მაგრამ ჩვენი ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ნაირგვარი კერძისა და სასმლის მიღებასთან ერთად, ჩვენი თვითშეგრძნებაც თანდათან უარესდება და სადღეგრძელოებში ნასურვები „ბედნიერებისა“ და „ჯანმრთელობის“ ნაცვლად, ახალი წლის დღესასწაულს ახალი დაავადებები ან ძველი სნეულებების გამწვავება მოჰყვება. ამ უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად კი, აუცილებელია „სადღესასწაულო უსაფრთხოების“ ზომების დაცვა.

წვეულებამდე

ცარიელი კუჭი ალკოჰოლს კარგად იწოვს. ეს პროცესი რომ შეანელოთ, წვეულებამდე ერთი ან საათ-ნახევრით ადრე კარგად დანაყრდით. შეგიძლიათ მიირთვათ მოხარშული ხორცი, კარაქიანი ბუტერბროდი, ხაჭო, რომელიც აფერხებს ალკოჰოლის შეწოვას.

ვისაც კუჭის, ღვიძლის და კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) დაავადებები აწუხებს, დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე, უნდა დაიწყოს ფერმენტების მიღება (კრეონი ან მეზიმფორტე, ორორი აბი 3-ჯერ დღეში ჭამამდე) და დღესასწაულის დაწყებიდან კიდევ ერთი კვირა განაგრძოს ასეთი პროფილაქტიური კურსი.

წნევიანები და ისინი, ვისაც ინფარქტი ან ინსულტი აქვთ გადატანილი, უმჯობესია, ახალ წელს არ დათვრნენ.

საშიშია სხვადასხვა სახის სასმლის შერევა, განსაკუთრებით კი — მშრალი ღვინისა და კონიაკის ან ბრენდის, აგრეთვე არყისა და ლუდის.

დაიწყო!

თუ დალევას აპირებთ, უმჯობესია, ერთი სახის სასმელი მიირთვათ, მაგალითად — ღვინო, შამპანური ან კონიაკი. ლიქიორსა და მაღალი შაქრიანობის მქონე ღვინოს კუჭი ადვილად შეიწოვს, კუჭქვეშა ჯირკვალი მეტისმეტად იტვირთება, რაც მაშინვე გამოიხატება ორგანიზმის სისუსტითა და ცუდი თვითშეგრძნებით. თუ მოგწყურდათ, ნუ დალევთ გაზიან სასმელს, რადგან ასეთი სასმელები ალკოჰოლის სისხლში გადასვლას უწობს ხელს. უმჯობესია, წვენი ან ჩვეულებრივი წყალი მიირთვათ.

ბევრი წამალი შეუთავსებადია ალკოჰოლთან. ტრანკვილიზატორები და საძილე საშუალებები ალკოჰოლის ზემოქმედებისას არა მხოლოდ პათოლოგიურ ძილს იწვევს, არამედ ღვიძლსაც აზიანებს. ალკოჰოლი ზრდის არტერიულ წნევას, აჩქარებს გულის მუშაობას, უარყოფითად მოქმედებს კორონარულ სისხლძარღვებზე, აუწყლოებს ორგანიზმს, აიძულებს თირკმლებს, რომ დაზოგვით რეჟიმში იმუშაოს. ქეიფის შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ტვინი „ნარკოზის მდგომარეობაში“ იმყოფება. ამიტომ ნაქეიფრებს არ ვურჩევთ საჭესთან დაჯდომას.

ქეიფის დროს ხშირად წამოდექით და ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ, რათა ალკოჰოლი არ შეკავდეს ორგანიზმში. სიცივეში გასეირნება გამოგაფხიზლებთ კიდეც და ახალი წლის მშვენიერებასაც უკეთ შეგაგრძნობინებთ.

სადღესასწაულო სუფრასთან დანაყრებისას, როგორც წესი, ძლიერდება გაზების წარმოქმნა, ეს კი მუცლის შებერვას, მეტეორიზმსა და ნაწლავების „ყურყურს“ იწვევს. ეს რომ თავიდან აიცილოთ, მოერიდეთ მწვანებარდიანი და სიმინდიანი სალათის მირთმევას. ვაშლი, ყურძენი, აგრეთვე მათი წვენები, კომბოსტო, ჭარხალი, ბანანი, გაზიანი

სასმელები, შავი პური იძულებულს გაგხდით, შეიხსნათ მოჭერილი ქამრები და შეიშმუშნოთ მუცლის ბუყბუყის გამო. კიტრს, პომიდორს, ავოკადოს და მწვანილს ასეთი ეფექტი არა აქვს, სამაგიეროდ, აქვს შარდმდენი მოქმედება. ასე რომ, საკვების მიღებისას, მთავარი მხოლოდ მისი რაოდენობა კი არა, სწორად შერჩევაცაა.

დილისათვის

აი, ახალი წელიც დადგა! მათთვის, ვინც ალკოჰოლისა და საკვების მიღებისას გონივრულობის ზღვარი გადალახეს, დილა ნაბახუსევით, ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევით იწყება. დღესასწაულის დღეებში საკმაოდ ხშირდება ინფარქტისა და ინსულტის შემთხვევები. ზოგს ქოლეცისტიტი და პანკრეატიტი (ნაღვლის ბუშტის და პანკრეასის ანთებები) უმწვავდება, ზოგსაც ნაღვლის ბუშტში და თირკმლებში არსებული კენჭები დაეძვრება.

თავდავიწყებული დროს ტარების შემდეგ, ჯანმრთელობის აღდგენის რეცეპტი მრავალგვარია, მაგრამ მთავარია, ნუ დაიწყებთ დილას ლუდის ბოთლით ან ღვინის ბოკალით — ზოგისთვის ეს ნაბახუსევიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებებია. თუ კუჭ-ნაწლავის გადატვირთვის ან ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ნიშნები გაქვთ, უმჯობესია, კუჭი ამოირეცხოთ. ამისათვის კი უნდა დალიოთ ერთ ლიტრამდე წყალი, რომელშიც რძე ან მცირე რაოდენობით სოდაა გახსნილი და შემდეგ, თითებით გაიღიზიანოთ ენის ძირი. ასე უნდა გააკეთოთ რამდენჯერმე, ვიდრე სუფთა წყალი ამოვა. შემდეგ კი მსუბუქი ვარჯიში და გრილი შხაპი გამოგაცოცხლებთ.

მწნილის წვენს არ გააჩნია ანტიტოქსიკური მოქმედება; იგი უბრალოდ აძლიერებს წყურვილს და გაიძულებთ, რომ სვათ სითხე. სითხის მიღება კი რაც შეიძლება მეტი რაოდენობითაა აუცილებელი. კარგია ნატურალური წვენები, რძე, კეფირი.

კარგად გამოგაფხიზლებთ ერთი ჭიქა ცივი მწვანე ჩაი, მასში გახსნილი ორი ს/კ თაფლითა და ერთი ლიმონის წვენით. თანაბარი რაოდენობით შერეული პიტნის, კალენდულის, გვირილის და კუნელის ნარევის ნაყენი გაწმენდს შინაგან ორგანოებს და ტონუსში მოიყვანს გულს. მინდვრის შვიტის, დათვისყურას, კრაზანისა და თავშავას ნარევის თბილი ნაყენი კი მოგიხსნით სახის შეშუპებას და დაგიცხრობთ უპეებს.

ნაბახუსევის მდგომარეობიდან გამოსვლაში დაგეხმარებათ გრეიპფრუტი, ბანანი, კივი, ლიმონი, შავი ქლიავი, მსხალი, კაკალი. აგრეთვე — ერთ ჭიქა წყალში გახსნილი 1/2 ჩ/კ ნიშადურის სპირტი ან ერთი აბი ციტრამონი. ბანაობა და საუნა არ არის რეკომენდებული წნევიანებისთვის, ასთმიანებისთვის, ინფარქტგადატანილთათვის, მათთვის, ვისაც გულის რიტმის დარღვევა და სტენოკარდია აქვთ.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

აუცილებელი ცნობები ჭარბწონიანთათვის

თუ ჭარბი წონა გაწუხებთ და დღესასწაულის დღეებში წონის მომატების გეშინიათ, თქვენთვის კარგი ამბავი გვაქვს: თურმე ადამიანთა უმრავლესობა ამ დღეებში წონაში უმნიშვნელოდ მატულობს, მაგრამ გვაქვს ცუდი ამბავიც: დღესასწაულზე მომატებული (თუნდაც მცირედი) წონა, სამუდამოდ შერჩება თქვენს ორგანიზმს.

მართალია, გავრცელებული აზრია, რომ ადამიანები დღესასწაულის დღეებში 2,5-4,5 კგ-ს იმატებენ, მაგრამ ეს ციფრი გადაჭარბებულია. სინამდვილეში წონის მატება 450-900 გ-ს არ აღემატება. Neu England Journal-მა გამოაქვეყნა ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ წონას მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ოქტომბრიდან ნოემბრის ბოლომდე პერიოდში, წონის საშუალო მატება 0,2 კგ-ზე ნაკლები იყო. ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ კი — საშუალოდ, 800 გ.

აღსანიშნავია, რომ ჭარბწონიანმა და მსუქანმა ადამიანებმა, წონაში საშუალოდ 2,2 კგ მოიმატეს.

მაგრამ დამაფიქრებელი გახლდათ ის, რომ კვლევის მონაწილეთა მიერ დღესასწაულის პერიოდში დაგროვილი წონა აღარსად ქრებოდა და ისინი, ვინც ახალი წლის დღეებში წონაში მოიმატეს, მომდევნო წლის შემოდგომაზეც იმდენივეს იწონიდნენ, რამდენსაც დღესასწაულის შემდგომ დღეებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჭარბწონიანთა წონის მატება ძირითადად, დღესასწაულის დღეებზე მოდის. თითქოს 600-800 გ არაფერია, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ხომ ეს 6-8 კგ-ად იქცევა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალ წელს დიეტაზე უნდა იყოთ. უბრალოდ, თვალყური ადევნეთ საკუთარ წონას. კილოგრამების მოშორება გაცილებით ძნელია, ვიდრე მომატება. ამაზე წინასწარვე უნდა იფიქროთ. გირჩევთ, ხშირ-ხშირად აიწონოთ დღესასწაულის დღეებში, რათა დარწმუნდეთ, რომ არ სუქდებით. ამ დღეებში ნურც წონაში დაკლებას ეცდებით, მთავარია, არ მოიმატოთ.

ვიზრუნოთ გარეგნობაზე

საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ქალები განსაკუთრებულად დღესასწაულის წინა დღეებში იწყებენ. სახის კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნატურალური პროდუქტებისგან დამზადებული ნიღბების გამოყენებას გირჩევთ.

სახის კანს აახალგაზრდავებს ნიღაბი, რომელიც მზადდება 1 ს/კ თაფლის, 1 ათქვეფილი კვერცხისა და 2 ს/კ ფქვილისაგან. მიღებული მასა უნდა წაისვათ სახეზე 10-15 წუთი და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანოთ.

ასევე აახალგაზრდავებს კანს **ხაჭოს და თაფლის ნიღაბი**. აურიეთ ერთმანეთში 3 ს/კ ხაჭო და ამდენივე თაფლი. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე, გაიჩერეთ 20-25 წუთი. მერე ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს ნიღაბი კვებავს და ათეთრებს კანს. კარგია ნებისმიერი ტიპის კანისთვის.

ბანანის ნიღაბი: ერთი ცალი კანგაცლილი ბანანი გახეხეთ, 2 ს/კ მიღებულ მასას შეურიეთ იმავე რაოდენობის ხაჭო ან არაჟანი. ნარევი წაისვით სახეზე, 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. ცხიმიანი კანის შემთხვევაში, ნიღაბს რამდენიმე წვეთი ლიმონი უნდა დაუმატოთ.

სტაფილოს ნიღაბი: 2 ს/კ სტაფილოს წვენს დაუმატეთ 2 ს/კ ხაჭო და 1 ჩ/კ თაფლი. დაიდეთ სახეზე 15 წუთით და შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. კანი რბილდება და ელასტიკური ხდება.

კანის მკვებავი ნიღაბი: 1 კვერცხის გული ათქვიფეთ, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და 1 ს/კ რძე. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე 15 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ეროვნული საკუთრება

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ყველაზე მეტად ფატიმა მიყვარსო, — ხშირად ამბობდა შაჰ-აბასი. ფატიმა მისი 4 წლის შვილიშვილი (უფლისწულ ხუდაბენდეს შვილი), საოცრად ლამაზი და მომხიბლავი გოგონა იყო. მოხდა ისე, რომ მოგვიანებით, შაჰმა ეჭვი შეიტანა უფლისწულ ხუდაბენდეს ერთგულებაში და თვალები დასთხარა. რით გადაუხადა უფლისწულმა მამამისს სამაგიერო?

2. რომელ ქალაქში დაიბადა ალექსანდრე ჭავჭავაძე?

3. ნინო ანანიაშვილი სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ჩემპიონი გახლდათ.

4. გურამ ფირცხალავამ სამხედრო სავალდებულო სამსახური შორეულ ციმბირში მოიხადა. ახალჩასული ჯარისკაცი ღამით საგუშაგოზე გაამწესეს. მან სწორედ მაშინ ნახა პირველად სახელგანთქმული ჩრდილოეთის ციაგი (სევერნოე სიანიე) და შიშისაგან გული გაუსკდა. მთელი ცა ხანძარში იყო გახვეული. იმწუთას ტელეფონს ეცა და უფროსს დაუკავშირდა: — „ტავარიშ ნაჩალნიკ, უ ნას ზდეს პაჟარ!“ — შტო გარიტ? — დაინტერესდა უფროსი. — „ვსიო ნებო ვ აგნე!“ რა პასუხი მიიღო მან?

5. ვინ უწოდა პირველად საქართველოს პატარა იმპერია?

6. რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ მუსოლინსა და სოფი ლორენს?

7. ამერიკელი მეცნიერები — ალენ ოუგარდი და ჯეინ პოტსი მსოფლიოს ყველა კუთხეში აგროვებენ ძველებურ კომპასებს, ტელესკოპებს, ჭოგრიტებს, ჭურჭელს და ღილებსაც კი, ჩაძირული გემებიდან. რა მიზნით?

8. ვინ არის საფეხბურთო მარშის ავტორი?

9. ცილმა, მილვა, კოჟვა, იუმა და პიუმა. რა ჩამოვთვალეთ ახლახან?

10. იდეალური საათის შექმნა შვეიცარიელი მესაათეების განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. მათი აზრით, ასეთი საათი არასოდეს იარსებებს. „ასეთი საათი იქნება მხოლოდ ის, რომელიც...“ დაასრულეთ მათი მოსაზრება.

11. დაასახელეთ მხატვარი, რომელმაც 70 წლის იუბილეზე სტალინს მისალოცი ბარათი საკუთარი ხელით დაუხატა.

12. რა ვითარებაში გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი?

13. დაასახელეთ მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლის დასამზადებლადაც 1.500 მეტრი მავთულია საჭირო.

14. სახელოვანი უნგრელი მხატვარი, მიხაი ზიჩი (1827-1906 წლები) რუსეთის მეფის, ალექსანდრე II-ის კარის მხატვარი იყო. დაასახელეთ ქართული ნაწარმოები, რომელიც მან დაასურათა და 34 სურათი საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა. ეს ნამუშევრები დღეს ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ანეკდოტები

***

— გაიგეთ, პენსიონერებისათვის ახალი შეღავათები დაუწესებიათ.

— მაინც, რა?

— ახლა უკვე შეგვიძლია დავდგეთ ამწის ქვეშ, მივეყუდოთ მეტროს კარებს და ქუჩა წითელ შუქზე გადავჭრათ.

***

ზუგდიდში ამერიკელი ბიზნესმენი ჩამოვიდა. ვერ შეეგუა ღომს და სულგუნს, ქუჩაში თავი ცუდად იგრძნო.

— სად არის აქ ტუალეტი? — ეკითხება ძუკუს.

— აუჰ, მაგი არ იცით თქვენ, მაგალითად? ა, წახვალთ ახლა წინ, მარჯვნივ ორსართულიანი შენობა შეგხვდებათ — იგი პოლიციაა, არ შეხვიდეთ, მერე მოუხვიეთ მარჯვნივ, კიდო სამსართულიანი შენობაა, ეგ ბიბლოთეკაა, არც იქ შეხვიდეთ...

— რას მაწვალებ, მოკლედ მითხარი, აღარ შემიძლია!

— თქვენ რომ ზანგებს აწვალებთ?!.

***

ოფიციანტმა მაგიდასთან მიირბინა:

— თუ შეიძლება, სასწრაფოდ შეჭამეთ ეგ თქვენი თევზი, სანიტარული ინსპექცია დაგვადგა.

***

ცოლი ქმარს ეუბნება:

— საყვარელო, მე რაღაც თბილი და ნათელი მინდა...

— „პივას“ გიყიდი, თუ გინდა!

***

პალატაში ავადმყოფი კვნესის:

— რა სჭირს, კვდება? — ეკითხება ექიმი ექთანს.

— უიმედოა...

— როგორ, არც ფული აქვს და არც ნათესავები ჰყავს?!.

***

— ციმბირული წყლულის არ მეშინია, იმუნიტეტი მაქვს.

— უკვე მოიხადე?

— არა, ცოლი მყავს ციმბირელი.

***

განცხადება: სწრაფად, უმტკივნეულოდ და მისაღებ ფასში შეგიცვლით სქესსა და ასაკს. პოლიციის საპასპორტო განყოფილება.

***

პატარა მიხო მამას ეკითხება:

— მამი, რატომ არის, რომ ხელებს ყოველდღე იბანენ, ფეხებს კი არასდროს?

***

კაცი ტრაბახობს თავის მეგობართან:

— გუშინ უფროსის კაბინეტში შევედი და მაგიდაზე სულ მუშტები ვურტყი!

— მერე, რა მოხდა?

— არც არაფერი... დღეს ჩამოდის მივლინებიდან.

***

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ხედავ, მესამე ხალათს ვრეცხავ.

— ორი უკვე გარეცხე?

— არა, პირდაპირ მესამეთი დავიწყე.

***

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

— ადვოკატი რატომ არ აიყვანეთ?

— ვისაც ვუთხარი, ბანკიდან ფული მე არ მომიპარავს-მეთქი, ყველამ უარი მითხრა.

***

— ჩემი ქალიშვილის საქმრო ნამდვილი ლომია.

— კარგი ერთი, სად გინახავს მელოტი ლომი?!

***

სვანები 99-ე სართულზე ფეხბურთს თამაშობენ და ბურთი გადაუვარდებათ. ყველანი კიბით ჩავლენ ამოსატანად. სახურავზე მარტო ერთი სვანი დარჩება, რომელიც პირდაპირ გადახტება და ასფალტს დაენარცხება. კიბით ჩასულები მისცვივდებიან მიცვალებულს და

ურტყამენ, რაც ძალა და ღონე აქვთ: მოკლე გზა თუ იცოდი, ჩვენ რატომ არ გვასწავლეო?!

***

კადრების განყოფილებაში ტელეფონი დარეკავს:
— მუშახელი გჭირდებათ?
— დიახ, თქვენ ვინ ბრძანდებით?
— ზანგი ვარ.
— შავ მუშად იმუშავებ?

***

მაღაზიაში შესული კაცი გამყიდველს ეუბნება:
— თუ შეიძლება, თოკი და საპონი მომეცით.
— თავის ჩამოხრჩობას ხომ არ აპირებთ?! — გადაირია გამყიდველი.
— არა, ბატონო, უნდა ვიბანავო და მერე ალპინისტებთან ერთად მივდივარ მთაში.



***

— იცი, დეპუტატობის ერთ კანდიდატს მიტინგზე სულ ლაყე კვერცხები ესროლეს.
— მართლა? მე კი მითხრეს, ტაში იყოო?!
— ჰო, როცა კვერცხი მიზანში ხვდებოდა.

***

— ექიმო, მიშველე, ჩემს ქმარს ყველა პედერასტი ჰგონია.
— აბა, შემოიყვანეთ.
ოთახში შემოსულ პაციენტს ექიმი აჩვენებს ნახატს — „სამი მონადირე“.
— რას ფიქრობთ ამ ნახატზე!
— პედერასტები არიან!
— რატომ?
— სამნი არიან ტყეში, სვამენ ქალების გარეშე. არაა ეგ კარგი ხალხი!
ახლა მეორე ნახატს, „ფრინველების გადაფრენას“ უჩვენებს.
— ამაზე რას ფიქრობთ?
— ეგენიც პედერასტები არიან, მიფრინავენ და ერთმანეთს უკანალში უყურებენ!
— მდა! ჩემზე რაღას იტყვით?
— შენც პედერასტი ხარ!
— რატომ?
— აბა, ასეთი სურათები საიდან გაქვს?



***

— რატომ ხარ ასეთი დაღვრემილი?
— ცოლი დამემუქრა, ერთი კვირა არ დაგელაპარაკებიო.
— მერე?!.
— დღეს მთავრდება ეგ კვირა.

***

განცხადება: „ვყიდი ბითუმად შემწვარ ქათმებს. დამწვარი მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი“.

***

გურულს ეკითხებიან:
— ცურვა იცი?
— სად? წყალში?

***

სვანი კბილით კაკალს ტეხს. მეზობელი ეუბნება:
— სატეხი იხმარე.
— სატეხს სადა აქვს კბილები!..

***

განცხადება: „ბორდელს სასწრაფოდ ესაჭიროება 25-დან 30 წლამდე რკინის ნებისყოფის მამაკაცები, ფანჯრების მწმენდავად“.

ჭრილვის საპასუხელი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მისი გულის მოსაკლავად, ღვიძლი შვილი საკუთარი ხელით დაახრჩო.
2. პეტერბურგში.
3. ფიგურული სრიალი.
4. „— ა ტი პადუი, პირცხალავა, პადუი! — ურჩია უფროსმა და ყურმილი დაკიდა.
5. ანდრეი სახაროვმა.
6. მუსოლინის უმცროს ვაჟს, სოფი ლორენის და ჰყავდა ცოლად.
7. ამ ნივთების დახმარებით, ისინი ჰაერის ისტორიას სწავლობენ.
8. მარკ ბლანტერი.
9. მდინარე პეჩორას შენაკადები.
10. „...ადამიანის სიცოცხლის მხოლოდ ბედნიერ წუთებს აღნიშნავს“.
11. პაბლო პიკასო.
12. ლექციის კითხვისას.
13. როიალი.
14. „ვეფხისტყაოსანი“.

***

კაცი სამსახურში ჩალურჯებული თვალით მივიდა და თანამშრომელს ეუბნება:
— ცოლმა გამალამაზა.
— რისთვის?
— შენობით მივმართე.
— კარგი, რა, თუ ძმა ხარ!..
— მეუბნება, რამდენი ხანია, ჩვენ სექსი არ გვქონიაო, მე ვუთხარი — ჩვენ კი არა, შენ-მეთქი.

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-51

ზაზა ვაჩნაძე

ბიზნესმენ ლევან იაშვილის დაღუპვის გამოძიება ჩიხში ექცევა. ტელეჟურნალისტ ანი ბერიძის ვერსია — თითქოს ბიზნესმენი მოკლეს, თან ამაში მისი ქვრივი — ლალი მონაწილეობდა, საბოლოოდ გაქარწყლდება, როდესაც რედაქციაში ანონიმი დარეკავს და ჟურნალისტებს აცნობებს იმ კაცის (კრიმინალ მელხიორას) ვინაობას, ვინც ეთერში ნაჩვენებ ვიდეოჩანაწერში ლევან იაშვილი რესტორნიდან გაათრია. შემდეგ კი, ასპარეზზე, სრულიად მოულოდნელად, ანის მულის, ნუციკოს ყოფილი ქმარი, კრიმინალი მიამიტა გამოჩნდება: კაცი, რომელიც მოკლული ეგონათ, ცოლყოფილს მოკლე ბარათს გამოუგზავნის: „შენ შემეცოდე...“ სპეცრაზმელები მელხიორას ბინაში შეცვივდებიან, მაგრამ იქ კრიმინალი აღარ დახვდებათ...

მერაბ პერტენავას კაბინეტში სტუმრად ბეჟან გვერდწითელი ჰყავდა.

— შემოდი, შემოდი! — უთხრა მან ნიკოს. — თქვენ არ იცნობთ ერთმანეთს? ბატონი ბეჟან გვერდწითელი...

— ა-ა! — ნიკომ ხელი გაუწოდა მინისტრს.

— თქვენ იცით, ვინც გახლავთ ჩვენი ნიკო... — მიმართა ბეჟანს მერაბმა.

— ვიცი, — მოჭრა მინისტრმა, — პროფესიას გვეცილება...

— მეგონა, გეხმარებოდით, — უპასუხა ნიკომ.

— გაჰქცევიათ გუშინ თქვენი მელხიორა... — აუხსნა მერაბმა ნიკოს.

— რა-ა? რას ნიშნავს, გაჰქცევიათ?! — განცვიფრდა ნიკო.

— გაჟონა ინფორმაციამ, ეტყობა, — თქვა მინისტრმა.

— და ჩვენ გინდათ დაგვაბრალოთ?.. — იკითხა გულუბრყვილოდ ნიკომ.

— არა, ბატონო, ყველანი საფრთხის ქვეშ ხართ... — განაწყენდა მინისტრი.

— თქვენი წყალობით, ცოცხლები რომ ვართ და ჰაერს ვყლაპავთ, ესეც სასწაულია, — მიახალა ნიკომ.

— რა-ა?!. — გაბრაზდა მინისტრი. — ვინ აღარ დავკითხეთ, ვინ აღარ დავიჭირეთ, ვინ აღარ გადავიმტერეთ — იმ საცოდავის ცოლიო, საყვარლის მამაო... ვის გამო? ვიღაც, ბოდიში თქვენთან და, ბოზანდარა „ჟურნალისტკას“ ტრაკატრუკის გამო?!.

— იმიტომ, რომ ამ ქვეყანას სწორედ მდივნები და ბოზები მართავენ... — მოახსენა საკუთარი თეორია ნიკომ. — იმიტომ კიდევ, რომ მთელი ქალაქიც რომ გადაჟლიტონ, თქვენ ძარღვიც არ შეგიტოკდებათ.

— კარგი, რა, მორჩი, ნიკო! — ჩაერია მერაბი. — დაუგდე კაცს ყური.

— მარტო ჩვენ ვცოდავთ?! — განაგრძო ბეჟანმა. — თქვენ? თქვენ რა, არ სცოდავთ?! აბა, მე მკითხეთ! რა ფილმებს უჩვენებთ, რას ასწავლით, რას აყურებინებთ საზოგადოებას?!. ან — რა ენით ელაპარაკებით ხალხს!.. დედაჩემი ქართულის მასწავლებელი გახლდათ და იმ დალოცვილმა, ეს მაინც მასწავლა. ერთი რეკლამა არ მიდის ეთერში, ერთი, შიგ რაიმე ენობრივი ლაფსუსი რომ არ ერიოს!..

— პირდაპირი აზრი აქვს, პროფესიები გავცვალოთ... — იხუმრა მერაბმა.

— მე იმას ვამბობ, რომ იმ სამყაროს თავისი კანონები აქვს და თქვენსას — თქვენი... — განაგრძო მინისტრმა. — ჰო, ჰო. სანამ თქვენთან არ ამოშრება ჭაობი და არ დაიწმინდება წყალი, მანამ ჩვენ არაფერი გვეშველება. წარმოიდგინეთ გველეშაპი. თავი — თქვენა ხართ, ხომ?.. კუდი — ჩვენ... თავში რომ ტვინი აირევა, კუდი რას იზამს, რას გაუგებ?! ვერაფერს, ხომ?.. შვილი რომ დედას ახრჩობს და დედა — შვილებს, ვინ არის დამნაშავე — ჩვენ თუ თქვენ?.. ყველამ ჩვენ-ჩვენს ამბავს მივხედოთ, რა! ამიტომ, ერთმანეთს ნუ დავაბრალებთ, ვინ, სად, რა ჭუჭყში აფათურებს ხელებს... ახლა, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით... მოკლედ, მე ჩემი სათქმელი გითხარით, ბევრად იმაზე მეტიც, ვიდრე ვაპირებდი... კარგად იყავით! — ბეჟანი წამოდგა და კარისკენ წავიდა. მერაბიც წამოხტა, რომ გაეცილებინა, მაგრამ ბეჟანმა კარი გამოაღო, გავიდა და გაიკეტა.

მერაბი კი ნიკოს მოუბრუნდა:

— დიდი ფილოსოფოსი რომ მყავხარ, ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის ამხსნელი!.. კაცი თავისი ფეხით მოვიდა!..

— იმიტომ, რომ ქურდს ქუდი ეწვის, — უპასუხა ნიკომ.

— დაანებე, რა, ამ ციცერონობას თავი! — ავარდა მერაბი.

— რა მეციცერონება, თუ ძმა ხარ!.. — ეწყინა ნიკოს.

— მე ვერაფერს გიშველი. თქვენ აფუჭოთ, მე ვასწორო?! მე მგონი, წერას ჰყავხართ ატანილი, მთელი რედაქცია... წადი და საქმეს მიხედეთ! არ გამომივიდნენ სიმართლის მაძიებლები?!

— არ დამელია, რა, სადარდებელი! ტყვიაგაუმტარი ჟილეტი არ გექნება, ცოტა ხნით რომ მათხოვო?.. — ჰკითხა ნიკომ მერაბს, მაინც გააცინა და მერეღა გავიდა მისი კაბინეტიდან.

განრისხებულმა დარჩიაშვილმა მურადი თავის კაბინეტში იხმო.

— მურად, წამოიღე იაშვილის საქმე და ჩემთან შემოდი! — დააგდო ყურმილი ზაურმა. — ერთუჯრედიანი!..

— შეიძლება, ბატონო ზაურ? — შემოიხედა მურადმა.

— შემოდი!

მურადი შევიდა. ზაურს საქაღალდეში ჩასმული საქმე მაგიდაზე დაუდო და დაჯდა. ზაურმა საქაღალდე გახსნა. შიგ მხოლოდ ათიოდე ფურცელი იდო. ზაურმა ფურცლები გადაშალა. რამდენიმე დაკითხვის ოქმი, ჩხრეკის ოქმი და მხოლოდ ინვენტარიზაციის ფურცელი იყო... თავი

ასწია და მურადს მიაჩერდა.

— რას მიყურებთ? — ხელები გაშალა მურადმა.

— სულ ეს არის? დანარჩენი? — იკითხა ზაურმა.

— რა დანარჩენი?.. რა, „დათა თუთაშხიას“ კი არ ვწერდი, — უპასუხა მურადმა.

— რას მიქარავ, ბიჭო?! ეს სამი გვერდი დავუდო მინისტრს?! ჰო თავზე დამახია, ისედაც ცოფებს ყრის დილიდან, ერთი ცხრაჯერ მაინც დამირეკა... — წამოხტა სკამიდან ზაური.

— კარგი, რა, ბატონო ზაურ! როდის, რა უნდა მოვასწრო?! ერთ საქმეს დავიწყებ — მეორეს შემომტენით, მეორეს დავიწყებ — მესამეს და მე ფიგარო კი არა ვარ, ასი საქმე ერთად ვაკეთო! — არ დაუთმო გამომძიებელმა.

— გააჩნია, კაცო, საქმეს. არსებობს გადაუდებელი და — მეასეხარიხოვანი. ასე არ არის? — შეეკითხა ზაური.

— კარგით, რა! თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, ვინც გააფრთხილა და რატომაც გააფრთხილა! — საქმეზე გადავიდა მურადი.

— ვინ გააფრთხილა, მე-ე?! — გაგიჟდა პროკურორი.

— თქვენ — არა, — უპასუხა მურადმა.

— მაშ, ვინ?

— არ იცით, არა?

— არა, არ ვიცი! შენ იცი?.. რას მიყურებ? თუ იცი, რატომ არ იტყვი? — განცვიფრდა ზაური.

— ჰო, აბა! ვიტყვი და კაი კურდღელსაც დამაჭერინებთ, განა არ ვიცი... — ეჭვით შეხედა პროკურორს გამომძიებელმა.

— რა კურდღელს დაგაჭერინებ?.. თუკი ეჭვი გაქვს ვინმეზე, თქვი ბარემ და მოვრჩეთ, რაღა!

— იტყვი — ვაია, არ იტყვი და — უია... აქეთ წახვალ, მგელი შეგჭამს, იქით წახვალ — ტურა, არა?.. ვინ იყო თავიდანვე ამ საქმის ჩაფარცხვით დაინტერესებული, მე ხომ არ ვიქნებოდი, არა?.. — შეეკითხა მურადი.

— რა-ა?! რას არაკუნებ, შენ, ა?.. მე ერთი სიტყვა მაინც მითქვამს?!. ან — სხვას, ვინმეს... — გადაირია ისევ პროკურორი.

— არა!

— მაშინ, აიღებ ახლა ამ საქმეს, გახვალ, დაჯდები და დაწერ დასკვნას. დაწერ ყველაფერს დაწვრილებით — გვამის ეგსჰუმაციიდან, ამ წუთამდე... დაწვრილებით. ორ საათში სამი ამხელა მედოს მაგიდაზე!

მურადმა საქმეს წამოავლო ხელი და კარისკენ გასწია.

— ვინა ვარ, მემატიანე ვარ თუ გამომძიებელი, ვეღარ გავიგე, რა!.. — ჩაილაპარაკა მან გზაში.

— ჰო, არ დაგავიწყდეს — ბარები, რესტორნები, ქალები, გარშემოწერილობები, მკერდის, ტრაკის... ყველაფერი დაწვრილებით ჩაწერე... „დინამისტკები“, „მინეტჩიცები“, არავინ გამოგრჩეს! — დაადევნა ზაურმა.

მურადი გავიდა და კარი გაიკეტა.

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი... — ჩაიბურტყუნა გამწყრალმა პროკურორმა.

როცა ანი მხარზე გადაკიდებული ჩანთით რედაქციაში შებრძანდა, სამივე თანამშრომელი ოთახში დახვდა და ანიმ, მისდა გასაოცრად, სამივეს მომნუსხველი მზერა იგრძნო. მას კი, როგორც სჩვეოდა, ყველა ფეხზე დაიკიდა, ჩანთა მაგიდაზე დადო, მიუსალმებლად დაჯდა თავის სკამზე და წელში გასწორდა, მერე კი, თავი ასწია და მშვიდად იკითხა:

— ვისი პანაშვიდია?..

— ალბათ, შენი... — უპასუხა ვასიკომ.

— შე-ენც, ვასილ?! — ბრუტოსის პონტში გაიყვანა ვასიკო ანიმ. — მე მეგონა, პირველი სიტყვა ბატონ ნიკოს ეკუთვნოდა.

სამივემ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

— გისმენთ, — თვალი თვალში გაუყარა სამივეს ანიმ.

— არა აქვს აზრი... — თქვა ნიკომ.

— რატომ? — ირონიულად იკითხა ანიმ.

— იმიტომ, რომ შენ, ჩვენ კი არა, — გესტაპოც ვერ გამოგტეხს!.. — უპასუხა ნიკომ.

— პირი გაქვთ შეკრული? — ისევ თვალი მოავლო სამივეს ანიმ და ირონიულად იკითხა: — მე — ერთი და თქვენ — სამნი, არა?

— ვისი ბრალია მერე, მარტო რომ ხარ?! — ავარდა ნიკო. — ჩვენი? თუ შენი?!. შეიძლება, ადამიანში, ერთ... ქალი ვერ მითქვამს, არ ვიცი, რა დაგარქვა... შეიძლება, ამდენი მინუსი იყოს ერთად თავმოყრილი?! რატომ გააფრთხილე მელხიორა, რომ გაქცეულიყო და დამალულიყო?

— დიახ!.. — მშვიდად მიუგო ანიმ.

— მინისტრი იყო ამ ორი წუთის წინ აქ და დედა არ შეუგინებია, თორემ, დანარჩენი ყველაფერი მითხრა!.. მოხარშულ-მოხრაკულს გიცნობ!.. ერთი სიტყვა კი არა, ერთი ასო არა მჯერა შენი, ასო! — მიაყარა გამწარებულმა ნიკომ. — კაცი გადარეულია — მანიაკი გამაგდებინეთო ხელიდან! — გაიძახის...

— ის მხოლოდ შემსრულებელია, ნამდვილი მკვლელი კი — სულ სხვაა, სხვა! მელხიორა არაფერ შუაშია! — აყვირდა უეცრად ანი.

— და ისიც იცი, არა, ვინც არის? — ირონიულად ჩაეცინა ნიკოს.

— ვიცი, ვიცი! — დაუღრიალა ნიკოს ანიმ.

ნიკო დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— იცი და არ ამბობ? — შეეკითხა ის ბოლოს.

— არა, არა! იმიტომ, რომ მე სიცოცხლე მინდა!.. — დაუყვირა ისევ ანიმ და დაამატა: — და თავი დამანებეთ, აღარაფერი მკითხოთ!..

ნიკო გაჩუმდა. მიხვდა, რომ რაღაც, უფრო რთულად იყო საქმე, ვიდრე თვითონ ეგონა და ანისთვის აღარაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, როგორც კი ანი მოიცილა, დაუყოვნებლივ მერაბთან გავარდა და ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა. ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ცუდი დრო იყო და თავის სკამს ისიც მაგრად ებღაუჭებოდა...

მერაბმა კი, თავის მხრივ, ეს ყოველივე ბეჟან გვერდწითელს მოახსენა. ლევან იაშვილის მკვლელობის საქმე სულ სხვა ხასიათს იძენდა...

ანის მობილურზე მესიჯი მოუვიდა. ნიკომ თავი ასწია. ანიმ მობილურის ეკრანს დახედა. „ანი, უნდა შევხვდეთ აუცილებლად, მურადი“. ის ამ ზარს ელოდა. ეჩქარებოდა კიდეც მურადის ნახვა. თუმცა, მაინც შეეკითხა: „რატომ?“ და პასუხად მიიღო: „მოხვალ და გაიგებ“.

ანიმ მობილური ჩანთაში ჩააგდო და ოთახიდან გავიდა. კორიდორში მობილურზე ზარი გაუშვა. მათ შორის ასეთი მესიჯური დიალოგი გაიმართა: „რა გინდა, ვერ გავიგე, მოიწყინე უკვე შენი მანონი?..“ — ჰკითხა მურადს ანიმ. — „ის ბატისტვინა?“ — იყო პასუხი. — „ბატისტვინა აღმოჩნდა?.. მე რისტვინა ვარ?..“ — „შენ, გენაცვალე, გველისტვინა, მგონი...“ — „გველისტვინა?.. დიდი მადლობა“. — „კაი, ჰო, „კინტოს“ ჰოლში გელოდები“. — „სად? რესტორან „კინტოს“ ჰოლში? მოვდივარ“. და რამდენიმე წუთში, ანი უკვე ტაქსიში იჯდა.

მურადი რესტორნის ვესტიბიულში უცდიდა.

— რა საქმე გაქვს? — ცივად ჰკითხა ანიმ.

— შევიდეთ, დავსხდეთ და ყველაფერს აგიხსნი, — სთხოვა მურადმა.

მომცრო დარბაზში შევიდნენ. მეტი ინტიმისთვის, „კინტო“ ნახევრად ჩაებნელებინათ და დაბალი მაგიდებისთვის სამფეხა სკამები შემოეწყოთ. მარჯვნივ, ერთ-ერთ სუფრასთან ორი კაცი იჯდა. ერთს ჭაღარა ერია, მეორე — ქერა იყო. უკვე შექეიფიანებულიყვნენ და ყაყანებდნენ. ანი და მურადი ერთი მაგიდის გამოტოვებით დასხდნენ.

— პირველ რიგში, შუბლი გახსენი, რა! მეშინია, რამე არ გამომიქანო... — სთხოვა მურადმა.

— არ მეხსნება, — უპასუხა ანიმ.

— კაი. მაშინ, დავლიოთ თითო ჭიქა და გაგეხსნება... — გაეცინა მურადს.

ამ დროს, ოფიციანტიც წამოადგათ თავს.

— მენიუ გნებავთ თუ?..

— არა, არ გვინდა. ერთი შამპანური, პირველ რიგში, „ბაგრატიონი“. ხომ გაქვთ? — ოფიციანტმა თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. — შოკოლადი. ცოტა ზეთისხილი და თხილი კიდევ, მოშუშული...

— სხვა არაფერი? ლიმონათი?

— არა, ჯერჯერობით, არაფერი.

ოფიციანტი შეკვეთის მოსატანად წავიდა. ანი კი, თვალს არ აცილებდა მურადს.

— ჰიპნოზს მიკეთებ?.. დაახამხამე, რა, ერთხელ მაინც! — სთხოვა მურადმა.

— ვერ ვახამხამებ! — უპასუხა ანიმ.

— კაი, ჰო, შემეშალა, ვჭამე დედიჩემის, ბოდიში! — აღმოხდა მურადს.

— ჰო, არა?! ბოდიში!.. მაშინ, მეც ავდგები, შენ თვალწინ პირველსავე კაცს დავუწვები და მერე ბოდიშს მოგიხდი. ბოდიში!..

— მე სამსახურს ვკარგავ... — ჩაილაპარაკა მურადმა.

— მეც, სხვათა შორის, — უპასუხა ანიმ.

— შე-ენც? შენ რატომ? — გაუკვირდა მურადს.

— რატომაც შენ, — უპასუხა ანიმ.

— რა-ა? შენ რა შუაში ხარ?! — ვერ მიხვდა მურადი.

— ვინ გააფრთხილა ის კაცი, რომ გაგქცეოდათ, რა გგონია შენ?.. — მიახალა ანიმ.

— მე კიდევ, ჩვენებს ვაბრალებდი. რატომ მითხარი? არ გეშინია, რომ ჩაგიშვა?

— ვერც დამიმტკიცებ და თავსაც „გაიპაზორებ“, — მიუგო ანიმ.

ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა. შამპანურიც გახსნა და ორი ჭიქა შეავსო.

— ხელები მინდა დავიბანო. საითაა ტუალეტი, იცი? — იკითხა ანიმ.

— აი, იმ თაღში შეხვალ და — მარჯვნივ, ბოლოში.

ანი წამოდგა. თაღთან მისვლამდე იმ მაგიდას ჩაუარა, რომელთანაც ორი მთვრალი ყაყანებდა. ისინი ძირითადად, კაცურ საკითხებზე: საჭმელზე, არაყსა და ღვინოზე ლაპარაკობდნენ:

— კაი, რა, ბიჭო, რა თაფლის არაყი, რის თაფლის არაყი?! — ეუბნებოდა ერთი მეორეს. — ბებიაჩემი თუთისგან არაყს ხდი-ის!.. ოცი წლის თუთა გვიდგას სახლის წინ. წაქცეულია, ხო იცი, ფესვები მიწაში აქვს და ისხა-ამს!.. აი, თუთა! — ბიჭმა ცერი უჩვენა. — ხართუთას რომ ეძახიან, ხომ იცი?! თეთრი — არა, ნარინჯისფერი, — თეთრი, „კანეშნა“!

— ვა, შავი თუთაც ხოა, არა?!

— მასე, ჭროღა თუთაც არი, განა არ არი! შავიც არი, თეთრიც, ასეთი, შავთეთრაა რა, და ჭროღა ჰქვია.

— ჭროღა — რა, ძროხაა?! — იკითხა მეორემ.

— ძროხა შენა ხარ, რა გააჩმახე! — უპასუხა პირველმა. — მე თუთის არაყი მირჩევნია თაფლის არაყს და შენ, გინდ დაიჯერე, გინდ — არა.

უეცრად, ანი მელხიორას თვალებს შეეფეთა და იცნო. გვერდით დადებული იარაღიც შენიშნა და გზა განაგრძო...

მურადი მოუთმენლად უცდიდა. ნერვიულად აკაკუნებდა ჩანგალს მაგიდაზე. ჯიბიდან ფული ამოიღო, გადათვალა და უკანვე ჩაიდო.

მალე, ხელდაბანილი ანიც გამოცხადდა, რომელიც ზურგით იჯდა იმ მაგიდისგან, რომელზეც მელხიორა ქეიფობდა. მურადმა ჭიქა აიღო. ანიმაც.

— ჩვენს შერიგებას გაუმარჯოს! — ბრძანა მურადმა.

— გაუმარჯოს!.. არ მიიხედო, იმ მაგიდასთან მელხიორა ზის, — გაანდო ანიმ.

— რა-ა?! — პირი დააღო მურადმა, თან, ჭიქა მიუჭახუნა.

— მარჯვნივ, კედლის მხარეს. იარაღიც უდევს, გვერდით.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა მურადმა.

— ეგ შენი გადასაწყვეტია... — უპასუხა ანიმ.

— არც მე და არც შენ სამსახურის დაკარგვა არ გვინდა, ხომ ასეა?.. — შეეკითხა მურადი.

— ჰო, — უპასუხა ანიმ.

— მაშინ, ყური დამიგდე... — მურადმა შამპანური დაასხა. — ჩვენ ჩხუბს გავითამაშებთ. მე წავალ და ბიჭებს მოვიყვან. შენ მაგათთან გადაჯდები და გააღიზიანებ, შენებურად... დაიმახსოვრე, პაროლი იქნება — „ცეცხლი“...

— არა, არ არსებობს, ორი თავი კი არა მაქვს!.. — ავარდა ანი.

მაგრამ მურადი უკვე როლში იყო შესული. ის წამოხტა და ანის დაუყვირა:

— რა-ა?! რას მიქარავ, რამდენჯერ უნდა მაყლაპო?! — და ჭიქით შამპანური პირდაპირ სახეში შეასხა.

ანიც წამოხტა და თავისი შამპანური შეაფრქვია.

— მხეცო, ნადირო, პირუტყვო! — დააყოლა მან.

— უნდა მიგახრჩოს, კატასავით, კაცმა!.. — და მურადმა სილა გააწნა ანის. ანიც ებდღვნა და ბრჭყალებით ჩამოკორტნა.

— რა გინდა, რა?! რა გველი შეგიწვი?! — გაჰკიოდა ქალი.

— ხელი გასწი, გასწი ხელი, გეუბნები! — ხელებს უჭერდა მურადი.

გვერდით სუფრიდან კაცები წამოხტნენ და გააშველეს.

— რას შვრები, ბიჭო, ქალია, ეე!

— ვინ არის ქალი, ეს არის ქალი, ეს წაკლა?! თქვენთვის მიჩუქნია!.. — და მურადი სამზარეულოდან გამოვარდნილ ოფიციანტს მიუბრუნდა: — რამდენია ჩემზე?

— წაკლა დედაშენია, გაიგე?! — არ ცხრებოდა ანი.

— ოცი ლარი, — უპასუხა ოფიციანტმა.

მურადმა ფული მაგიდაზე დააგდო.

— აი, გადახდილია! — და ანის მიუბრუნდა: — წადი, შე ახვარო!.. — და დარბაზიდან გავიდა.

— ახვარი მაგის ცოლია! ვინ ეხვეწებოდა, დამპატიჟეო, ვერ გავიგე... — ანი თავის სკამზე დაჯდა.

— კაი, ნუ დარდობ, დაიკო... — დაამშვიდა ერთ-ერთმა.

— ვინ დარდობს? ერთი, მაგისიც!.. — მიაგინა ანიმ და შამპანური დაისხა. — ფსიხი!.. — ჩაილაპარაკა მან.

— თუ გინდა, ჩვენთან გადმოჯექი, — შესთავაზეს ბიჭებმა, — აი, ერთი ადგილი გვაქვს, შენთვის შენახული...

— რატომაც არა?! — ანიმ ჩანთა და ბოთლი აიღო და ბიჭებთან გადაბარგდა.

— ნაგავი. როგორ დამასველა! — თქვა მან. თან, ვითომ პერანგიდან ნამი ჩამოიფერთხა, — ჩაჰკრა და მკერდი გამოიჩინა.

— გაგიშრება, დაიკო, ორ წუთში... არაყს დალევ თუ შამპანურს გააგრძელებ? — ჰკითხა ქერათმიანმა.

— „დავაი“ არაყი!.. — თქვა ანიმ.

— ოჰო, ჩვენიანი ყოფილა, ტო! — თქვა ქერამ.

— შენ რა გქვია, დაიკო? — ჰკითხა ჭაღარამ.

— მე-ე? ლოლა, — იცრუა ანიმ.

— ე, მართლა?! — გაიკვირვა მანვე. — ჩემს პირველ ნაშასაც ლოლა ერქვა. ლოლიტა!..

— ჰოდა, ეს ბოლო იქნება, — მიუთითა ქერამ ანიზე.

— ვინ იცის? ბედს ვერ უკარნახებ! — თქვა ანიმ.

— ჰოდა, შენ გაგიმარჯოს! ყველა თავისი ბედნიერებისთვის იბრძვის. ასე არ არის?.. ასეა. დავლიეთ! — თქვა ჭაღარამ და არაყი გადაჰკრა.

— ბედნიერება. ბედნიერება — არა!.. — ქერამ სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

— აბა? — იკითხა ჭაღარამ.

— ლუკმაპურისთვის იბრძვის ყველა, — თქვა ანიმ.

— მართალია. ჭკვიანია... — თქვა ჭაღარამ ანიზე.

— რომც არ გინდოდეს, ისეთი ცხოვრება გვაქვს, მოგიყვანს ჭკუაზე... აი, რა უნდოდა ახლა, რას ამიხტა?! — ჩაილაპარაკა ანიმ.

— ჰო, რა უნდოდა? — ჰკითხა ჭაღარამ.

— რა ენდომებოდა?.. კარგი, რა, ვითომ არ იცი, რა! — უპასუხა ანიმ.

— მაინც? — ჩაეძია ჭაღარა.

— ჩემს დას ჟიმავს და ახლა მეც დამიწყო შეკერვა... — ჩაილაპარაკა ანიმ.

— დედას გაფიცებ! — უთხრა ისევ ჭაღარამ. მელხიორა კი გაჩუმდა.

— შაყირს მოუკვდა პატრონი! — თქვა ანიმ. — დაასხი, რა!

— შაყირი რა შუაშია? ასეა! — თქვა ჭაღარამ.

— რა შუაშია? — იკითხა ანიმ. — უბრალოდ, ყველა კაცი ხამია: ქალი თუ დაინახა, მორჩა — ყველა ბოზი ჰგონია!..

ანიმ შენიშნა, რომ ორი ტიპი შემოვიდა და გვერდით მაგიდასთან დაჯდა. ერთ-ერთმა სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან და მოსაკიდებლად მათი მაგიდისკენ წავიდა.

— ცეცხლი არ გექნებათ? — იკითხა უცნობმა.

— რა-ა? — ვითომ ვერ გაიგო ანიმ.

— ცეცხლი, — თქვა უცნობმა და სიგარეტი დაანახვა. ჭაღარამ სანთებელა აიღო. ანიმ კი, იარაღისკენ წაიღო ხელი. მაგრამ მელხიორამ დაასწრო.

— დაადგე იარაღი! ხელები კისერზე! — დაიღრიალა უცნობმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მელხიორას ანი შებოჭილი ჰყავდა და იარაღის ლულა — მის საფეთქელზე მიდებული. უცნობებს კი, პისტოლეტების „მუშკაზე“, მელხიორა და მისი მეგობარი ჰყავდათ აყვანილი.

...ანი მძევალი იყო. ვაჟის მუშტი ნიკაპქვედა ჯირკვალს აწვებოდა და საშინლად სტკენდა. მელხიორამ, ანის თრევა-თრევით, კარისკენ აიღო გეზი. ჭაღარამ კი, ქალს ხელი ფეხებში მოჰკიდა და მელხიორას საქმე გაუადვილა.

— გარეთ თუ გამოხვალთ, ვესვრი! ფეხს არ გამოდგამთ არც ერთი! — დაიღრიალა მელხიორამ.

ანი ასევე შეტენეს მანქანაში. ის და ჭაღარა უკანა სავარძელზე მოხვდნენ. საჭესთან მელხიორა დაჯდა და ადგილიდან „მოხია“. ჭაღარა ზემოდან ეწვა ანის და მისი ოხშივრიანი არყის ამონასუნთქი ქალს თავბრუს ახვევდა. მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა.

...ანიმ ყელზე მამაკაცის ტუჩების სიმხურვალე იგრძნო. თუ დამიჯერებთ, სასქესო ჯირკვლებმა გაღვიძება ხშირად, ყველაზე უადგილო ადგილას და ყველაზე უდროო დროს იცის. ეს შემთხვევაც ასეთი აღმოჩნდა... მოკლედ, კაცმა ანის ჯერ გულისპირი ჩაახია და ძუძუებზე დააკვდა, მერე კი, ტრუსიც შემოაფლითა და, ჯერაც საშინლად შეშინებული ქალი დამათრობელი ორგაზმის უტკბილეს წამებს მინებდა...

„ღმერთო ჩემო! — გაიფიქრა ანიმ, როცა ორგაზმმა საბოლოოდ გაუარა და ისევ სინამდვილის ამოუცნობ ქაოსს შეეჯახა. — იმ კაცს რა ხანია, ვაწამებ და ამან კი რაღაც წუთებში გამჟიმა!..“

ანის თვალები ადგილზე მისვლამდე აუხვიეს და რატომღაც, ხელებიც გაუკოჭეს. როცა მანქანა გაჩერდა, ჭაღარამ ანი ზურგზე მოიკიდა და ცოტა ხანს ასე ატარა. ხოლო, როცა სახვევი შეხსნეს და კარი დაუკეტეს, ანიმ სინათლეს თვალი შეაჩვია და დაინახა, რომ პატარა, უფანჯრო, რაღაც საკუჭნაოს მსგავს ოთახში დაემწყვდიათ, რომელიც ნაგვითა და ათასგვარი ხარახურით იყო სავსე. იქვე ხის ტახტიც იდგა, ძველი ლეიბითა და „ადიალით“... სანამ გავიდოდა, ჭაღარამ სულ ორი სიტყვა უთხრა: არ იხმაურო, თორემ ჩაგაძაღლებენო, — და გავიდა. ამას ურდულის გაწევისა და ბოქლომის ჩაკეტვის ხმა მოჰყვა. „ოღონდ ცოცხალი გადავრჩე, ოღონდ ცოცხალი გადავრჩე!!!“ — ლამის ეკივლა და ებღავლა ანის. „ეკლესიასაც ვიწამებ, ღმერთსაც ვიწამებ, სანთელსაც ვიწამებ და მღვდელსაც ვიწამებ!!!“ იწამებდა კი?..

ანი ისე უეცრად გაქრა, რომ თაზომ მისი გაფრთხილება ვერ მოასწრო. ოჯახი ანუ — გაიოზი, თაზო და ნუციკო — საქმის გასარჩევად შეიკრიბა.

— თუ გვინდა, რომ ცოცხლები გადავრჩეთ, ჩვენგან პოლიციამ არაფერი არ უნდა გაიგოს, — თქვა გაიოზმა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— მაშ, სად ვეძებო, ტო, როგორ ვეძებო, რანაირად, ვის მივადგე?! — ხელებს შლიდა თაზო.

ნუციკო ჩუმად იჯდა და ხან ერთს შეხედავდა, ხან — მეორეს. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. არც ერთი მხარე არ იყო სანდო — არც პოლიცია და არც ქურდული სამყარო... მათი შემხედვარე, ერთ აზრს თუ გამოიტანდა კაცი: ქვეყანა ორი ძალის ხელში იყო — პოლიციის და ქურდების. ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო?! თუმცა, არც მთლად უმოქმედობა იქნებოდა. მაგრამ რა უნდა ეღონათ?! სამივემ იცოდა, რომ ანი ბოლო დღეებში, ლევან იაშვილის მკვლელობის საქმის ჟურნალისტურ ძიებაში იყო ჩართული, ისიც იცოდნენ, რომ მკვლელზე გავიდნენ. ეჭვი ჰქონდათ, ანიმ მიამიტა ხომ არ ახსენა ვინმესთან და ამ ამბავს ხომ არ ემსხვერპლაო?.. მაგრამ ანი რომ ასეთი გულუბრყვილო არ იყო?!. გადაწყვიტეს — ერთი-ორი დღე მოვიცადოთ, იქნებ, თვითონ, რაიმე ნიშანი მოგვცესო... ნუციკო

კი ტელევიზიაში გაუშვეს — წადი, გაიგე, იქნებ, იმათ იცოდნენ ხელჩასაჭიდი რამეო...

ანის ოჯახში კი, დედამისი ვერიკო არც ანის გაქრობის და არც მთელი ამ ამბის პერიპეტიების ბაიბურშიც არ იყო. ისე სწრაფად, სულ რაღაც ერთ კვირაში დატრიალდა ეს ყველაფერი...

პოლიციას ასე სამარცხვინოდ ჩაშლილი ოპერაციის გახმაურება არ უნდოდა. გამომძიებელი მურად ოქროპირიძე კი, სამსახურსაც კარგავდა და ანისაც, რა თქმა უნდა... ის კი არა, სულ თავბედს იწყევლიდა — ეს ვის გადავეყარეო?!. რომ მოკლან, რომ კიდევ უფრო უარესიც მოჰყვეს ამ ამბავს?.. ვინ იცის, საკანშიც კი მოუწიოს თავისი საყვარელი კაბინეტიდან „გადასკუპება“?!. მოკლედ, ტვინი მაგრად უხურდა და რა გამოსავალი ეპოვა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ერთადერთი, ვინც უმოქმედოდ არ იყო და თავის გადარჩენის უსაზღვრო წყურვილი ჰქონდა, ისევ ანი იყო... მიუხედავად მისი თანამედროვე ბუნებისა, ის მაინც ქალი იყო და რადგან არც კარატეზე და არც ძიუდოზე არ ევლო, აბა, შეიარაღებულ ბანდიტებთან თავისი ნაზი მკლავებით რას გახდებოდა და იძულებული იყო, შესაფერის მომენტს დალოდებოდა. ყური და ყნოსვა — გიყვარდეს, გამახვილებული ჰქონდა და არაფერი გამოეპარებოდა ამქვეყნად. მაინც ძალიან მაგარი ვინმე იყო: არავითარი სენტიმენტი, არავითარი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა! — ადგა და ყველაფერი ფეხზე დაიკიდა, მხოლოდ შესაფერის მომენტს უცდიდა... მოკლედ, რაღა ანი და რაღა ნიცშეს „ზეადამიანი“. მანქანის უკანა სავარძელზე გაუპატიურებაც ხახვივით შეირჩინა. პირიქით: ცოცხალი გადავრჩე და დედაც არ ვატირეო?! — ფიქრობდა.

ქურდებმა თუ მკვლელებმა ანი „პარაშაზე“ დასვეს — დიდი პლასტმასის ვედროები დაუდგეს. საჭმელი ვიღაც ნიღბიან ტიპს შეჰქონდა... პირველ ხანებში, ანი ამ ნიღბიანის დანახვაზე ერთ სიკვდილს ათავებდა, ლამის ჩაეფსა, ისე ეშინოდა, ფიქრობდა — ან ახლა მტაცებს ხელს, ან — ახლაო, მაგრამ ნიღბიანი ზედაც არ უყურებდა და ქალიც ნელ-ნელა შეეჩვია... ნიღბიანს მუდამ რაღაც უცნაური სუნი შემოჰქონდა მასთან. ანიმ, რადგან ვერაფრით ახსნა, რისი სუნი იყო, მას სიკვდილის სუნი დაარქვა... ის მალევე მიხვდა, რომ ნიღბიანი პერმანენტულ კაიფში იმყოფებოდა და ეს თავისებურ, პატარა იმედს აძლევდა... კვებით, კარგად კვებავდნენ, ნასუფრალით. თავიდან, ცოტა ეჩოთირა, მაგრამ მერე აღარას დაგიდევდათ... მარჯვენა კედლის მხრიდან ზოგჯერ რაღაც ბუბუნი ესმოდა. კედელს აყურადებდა, იძაბებოდა, მაგრამ სიტყვებს მაინც ვერ არჩევდა. როდის-როდის გაახსენდა, ოდესღაც გაგონილი — რომ ჭიქა უნდა მიედო კედელზე და ისე მიეყურადებინა... მისდა გასაოცრად, სიტყვები გაარჩია. ეს მისთვის ბორბლის გამოგონების ტოლფასი იყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

saSobao zRapari amerikulad

anu vcvli saxls da mezobels — sasaxlesa da sayvarelze...

შობის წინ, დეპრესიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება — გარემოს შეცვლაა. სწორედ ასე ფიქრობს კომედიის — „გაცვლითი შვებულება“ გმირი, მოკრძალებული აირისი (ამ როლს „ტიტანიკის“ ბლექი) ერგება, ამანდას კი — მომხიბვლელი მარტოხელა მამა (ჯად ლოუ). მკითხველმა ფილმისადმი ინტერესი რომ არ დაკარგოს, აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ თავქარიანი ქალბატონები პირადი ცხოვრების რადიკალურად შეცვლას ან საერთოდ, შეძლებენ კი? ამის შესახებ არაფერს მოგახსენებთ...

ამანდას (კამერონ დიასი) ახალი მეზობელი სიმპათიური მარგოხელა მამა (ჯად ლოუ) გახდა

ჩაუძირავი გმირი კეიტ უინსლეტი განასახიერებს) და მოქმედებას იწყებს...

მოკლედ, თუ თქვენს პირად ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა, ყველაფერი უნდა შეცვალოთ! ერთმანეთისთვის უცნობი ინგლისელი აირისი და ამერიკელი ამანდა (კამერონ დიასი) ინტერნეტის მეშვეობით გაცნობისთანავე გადაწყვეტენ, რომ წარსულს ხაზი გადაუსვან და ამისთვის საკუთარ საცხოვრებელ სახლებს ცვლიან. გაცვლის შედეგად, აირისი ამერიკაში, მზით გაცისკროვნებულ აუზიან სასახლეს მიიღებს, ამანდა კი, ინგლისის მიყრუებულ სოფელში გაყინული შენობის მფლობელი ხდება, მაგრამ უძრავ ქონებას მზითვად ახალი მეზობლებიც მოჰყვება. აირისს წილად ცნობილი კომპოზიტორი (ჯეკ ბლექი) ერგება, ამანდას კი — მომხიბვლელი მარტოხელა მამა (ჯად ლოუ). მკითხველმა ფილმისადმი ინტერესი რომ არ დაკარგოს, აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ თავქარიანი ქალბატონები პირადი ცხოვრების რადიკალურად შეცვლას ან საერთოდ, შეძლებენ კი? ამის შესახებ არაფერს მოგახსენებთ...

კამერონ დიასისა და ჯად ლოუს შეხმატკბილებული წყვილი — საკმაოდ რომანტიკული, ლამაზი და სექსუალური დუეტია. რაც შეეხება დოყლაპია, პუტკუნა ჯეკ ბლექს, რომელსაც თვალები მუდამ ეშმაკურად უციმციმებს — მისი რომანტიკული გმირის როლზე წარდგენა, საკმაოდ მოულოდნელი და თავზე ხელაღებული პასაჟია. მაგრამ კეიტ უინსლეტს პარტნიორის მომხიბლაობაში ეჭვი წუთითაც კი არ შეჰპარვია. „ჯეკი ყველაზე სექსუალური მსახიობია მათ შორის, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია... და ძალზე სასაცილოც. კადრი უკვე გადაღებული იყო, ის კი ისევ მაცინებდა... დარწმუნებული ვარ, ჯეკი ნებისმიერი გოგონას გულს მოინადირებს!“ ამ გულახდილი განცხადების შემდეგ, პაპარაცები კეიტს თვალს აღარ აშორებდნენ, მაგრამ მათ ჯეკ ბლექი ნაკლებად აინტერესებდათ. პაპარაცების ინტერესის ობიექტი რუფუს სიუელი უფრო იყო, რომელიც სურათში უინსლეტის გმირის ეკრანული საყვარლის როლს თამაშობს. სენსაციებზე მონადირე ჟურნალისტებს აინტერესებდათ, ისარგებლებდნენ თუ არა კეიტი და რუფუსი ხელსაყრელი გარემოებით იმ რომანტიკული ურთიერთობის აღსადგენად, რომელიც მათ 1995 წელს „ტიტანიკის“ გადაღებების დროს აკავშირებდათ? პაპარაცების გულის გასახეთქად, კეიტი უზადოდ იქცეოდა და ლონდონში ქმარს, რეჟისორ სემ მენდესს ყოველდღე ურეკავდა. იქნებ, სწორედ პაპარაცების ბრალია ის, რომ ბრიტანული და ამერიკული სცენისა და ეკრანის ვარსკვლავის შვილებმა, 6 წლის მიამ და 2 წლის ჯომ, დღემდე არ იციან, რომ მათი დედა საქვეყნოდ ცნობილი მსახიობია. ამ დაუჯერებელმა ამბავმა საზოგადოება შოკში ჩააგდო. „ტიტანიკის“ ტრიუმფის შემდეგ, მსოფლიოს წამყვანი და მეორეხარისხოვანი ჟურნალები კეიტის ფოტოსურათებითაა აჭრელებული. მსახიობი ყველაზე ავტორიტეტული კინოფესტივალების წითელი ხალიჩების მუდმივი სტუმარია, მან მრავალი ბრწყინვალე ეკრანული სახე შექმნა, მაგრამ მისი შვილები კეიტის მხოლოდ ერთ ნამუშევარს იცნობენ: ბავშვებმა ახალ მულტფილმში „აახვიე!“ დედის ხმა იცნეს! „მინდა, რომ მათთვის უბრალოდ, დედა ვიყო. ჩემმა შვილებმა არ იციან, რა არის ჰოლივუდი. მსურს, ეს ყველაფერი მაშინ შეიტყონ, როდესაც ამისთვის მზად იქნებიან. ბავშვები ეკრანზე ვერ მხედავენ. თუ რომელიმე შოუში გამოვჩნდები, ქმარს ვთხოვ, რომ ტელევიზორი სხვა არხზე გადართოს“, — ამბობს 31 წლის უინსლეტი.

დაბოლოს, ფილმის „გაცვლითი შვებულება“ რეჟისორს, ნენსი მაიერსს („რა სურთ ქალებს“) ჰოლივუდში კეთილი მეზღაპრე შეარქვეს. მისი ყველა სურათის ეკრანზე გამოსვლა თითქოს განზრახ, საშობაო არდადეგების პერიოდს ემთხვევა. გამონაკლისი არც „გაცვლითი შვებულება“ აღმოჩნდა. ახალი კომედია ეკრანებზე დეკემბრის დასაწყისში გამოვიდა. სწორედ მაშინ, როდესაც ხალხი წინასაახალწლო სამზადისს იწყებს. ამ მშვენიერ დღეებში განსაკუთრებით გვჭირდება განტვირთვა და საზეიმო განწყობილება. ამაში კი ჩვენს მკითხველს ახალი კომედიაც დაეხმარება! ■

მომხიბვლელი მუსიკოსის (ჯეკ ბლექი) გაცნობამ აირისს (კეიტ უინსლეგი) მწვანეთვალება ბოსი (რუფუს სიუელი) უმალ დააავიწყა

წლის უველაზე სმაურიანი განქორწინებები

ტრადიციულად, კაცობრიობა ახალი წლის წინ, განვლილი წლის შედეგებს აჯამებს. სამწუხაროდ, ეს შედეგები ზოგჯერ საკმაოდ უსიამოვნოა ხოლმე. რა გაეწყობა! გასულმა 2006-მა წელმა კინოსა და შოუბიზნესის სამყაროს კარგი ფილმების, სპორტული გამარჯვებებისა და სამოდელო ასპარეზზე ტრიუმფის გარდა, რამდენიმე მარცხიც აგემა. მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და გავლენიან ვარსკვლავებს შორის ისეთებიც არიან, რომელთაც განვლილმა 2006-მა წელმა საყვარელ ადამიანებთან განშორებისა და ოჯახის დანგრევის სიმწარეც აგემა.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტთა საყვარელი წყვილი გაიყარა. **ბრიტნი სპირსმა** მეუღლესთან, **კევინ ფედერლაინთან** განქორწინება გადაწყვიტა, რომელთანაც მას 2 შვილი ჰყავს. პარადოქსია — ამ განქორწინებას თავიდანვე უამრავი ადამიანი წინასწარმეტყველებდა. ახლა კი გული სწყდებათ: ბრიტნისა და კევინს პოპულარობით ძალზე ცოტა ვარსკვლავური წყვილი თუ შეედრება. ოჯახის დანგრევის ფაქტის წინაშე მდგარმა ცოლ-ქმარმა თავი ვერც ამჯერად შეიკავა და საზოგადოება კიდევ ერთხელ გაახალისა. ამბობენ, თითქოს კევინ ფედერლაინმა ბრიტნის მონაწილეობით ეროტიკული home video-ს ნაწყვეტი გამოაქვეყნა და ამით ოჯახის შენარჩუნება სცადა. ამის საპასუხოდ, ბრიტნი მთლიანი ფირის ინტერნეტში გამოქვეყნებით იმუქრება! აღსანიშნავია, რომ განქორწინების გარშემო ატეხილმა ვნებათაღელვამ ბრიტნის ვერაფერი დააკლო. მომღერალი შესანიშნავ ფორმაშია და ძალზე ხალისიანი ჩანს.

ჰოლივუდელი „ქერათმიანი ადვოკატი“ **რიზ უიზერსპუნი** ქორწინების 7 ბედნიერი წლის შემდეგ, მეუღლეს — **რაინ ფილიპს** გაეყარა. წყვილმა ერთმანეთი ფილმის — „სასტიკი თამაშების“ გადაღებების დროს გაიცნო. მათ 2 შვილი ჰყავთ. რიზისა და რაიანის ოჯახს ჰოლივუდში იდეალურად მიიჩნევდნენ. მათ ურთიერთობაში საარაკო გახდა ფილიპის გადაწყვეტილება, საოჯახო საქმეები მთლიანად საკუთარ თავზე აეღო, რათა მეუღლეს კარიერაში ხელი არ შეშლოდა. ამის შემდეგ, უცნაურად ჟღერს ის, რაც უიზერსპუნმა განქორწინების მიზეზად დაასახელა: თურმე, ნუ იტყვით და, რიზი ყოველდღიურმა საოჯახო საქმეებმა დაღალა!

2006 წელს გაყრილი კიდევ ერთი წყვილი — „ოსკაროსანი“ **ჰილარი სუონკი** და მისი მეუღლე **ჯად ლოუ** არიან. მათ 8 წელი სიამტკბილობაში გაატარეს, მაგრამ ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ლოუმ, რომლის წარმატებებიც შემოქმედებით ასპარეზზე ცოლთან შედარებით, ბევრად მოკრძალებულია, უბრალოდ, ვერ შეძლო იმასთან შეგუება, რომ „მილიონდოლარიანმა ქალიშვილმა“ მასზე გაცილებით მეტს მიაღწია.

კეიტ ჰადსონისა და **კრის რობინსონის** ცოლქმრული სტაჟი — 6 წელი — შედარებით მოკრძალებულია. კეიტი ჯგუფის — Black Crowes ლიდერს, 2000 წლის 1-ელ იანვარის გაჰყვა ცოლად. ცოტა ხნის წინ, ჰადსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „არავის ვურჩევ, იმ იმედით იქორწინოს, რომ ოჯახური თანაცხოვრება დაუსრულებელი ზღაპარია“. როგორც ჩანს, ჰადსონისა და რობინსონის ზღაპარი 2006 წელს დამთავრდა...

პოლ მაკარტნისა და **ჰიზერ მილსის** განქორწინების პროცესს დიდი ხმაური და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჰიზერი ქმარს უხეშობაში ადანაშაულებს. უთანხმოების მიზეზი, ძირითადად, ქონების განაწილების პრინციპია: ერთი მხარე თანასწორუფლებიანობის პრინციპს იცავს, მეორე — სამართლიანობისას. კეთილმოსურნენი პოლს თავიდანვე აფრთხილებდნენ, რომ ჰიზერი უბრალო „ოქროსმაძიებელი“ იყო, მაგრამ მას ამის დაჯერება არაფრით უნდოდა. მაკარტნისა და მილსის განქორწინების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ჩაანცხრო მხოლოდ ახალმა სენსაციურმა ცნობამ იმის შესახებ, თითქოს რომან აბრამოვიჩის მეუღლე განქორწინებას მოითხოვდა. მართალია, პოლ მაკარტნი ძალზე მდიდარია, მაგრამ მისი ქონება ჩუკოტკის გუბერნატორის მილიარდებს მაინც ვერ შეედრება.

აბრამოვიჩმა განქორწინების შესახებ ხმები უარყო და პრესა ისევ მაკარტნი-მილსის განქორწინების პერიპეტიებს დაუბრუნდა. ■

იმედგაცრუება ახალწლის ღამეს

ახალი წლის შესახვედრად მზადებას, როგორც წესი, ნოემბრიდან ვიწყებთ. დიდი ხნით ადრე, წინასწარ ვიცით, სად როგორ და ვისთან ერთად შევხვდებით ახალ წელს, მაგრამ ზოგჯერ ყველაფერი თავ-დაყირა დგება და სასიხარულო მოლოდინს იმედგაცრუება ცვლის. ასეთი რამ კინოვარსკვლავებსაც ემართებათ...

ჰიუ გრანტს დღემდე არ დავიწყებია, რომ 15 წლის წინ, ახალ წელს რომელიღაც მიყრუებულ ბარში, მარტოდ-მარტო, უცხო ადამიანების გარემოცვაში შეხვდა, რადგან გოგონა, რომელმაც ამ ბარში პაემანი დაუნიშნა, რატომღაც შეხვედრაზე არ მივიდა. „ეს საშინელი რამ იყო“, — იხსენებს მსახიობი.

ლეონარდო დი კაპრიოსაც კარგად ახსოვს ახალწლის ის უღიმღამო დღეები, რომლებიც გერმანიაში გაატარა. „მაშინ 16 წლის ვიყავი. გერმანიაში ბებიასა და ბაბუას ვესტუმრე. საქმე არ მქონდა. ისინი დასაძინებლად ადრე დაწვნენ. მე კი, სახლში უსაქმოდ დავბორიალებდი“.

დენიელ დეი-ლუისმა ახალი წლის ღამე შოტლანდიაში, ბენ ნევისის მთაზე, მეგობრებთან ერთად, თხილამურებით სრიალში გაატარა. „მთელი ღამე გაყინულ კარავში ვიჯექი. სიცივე ძვალ-



რბილში ატანდა. თბილი ტანსაცმელი არ მქონდა და გავითოშე. ასეთი რამის დავიწყება შეუძლებელია — საძაგლობა იყო!“

თხილამურებით გატაცებამ ერთხელ, **კეტრინ ზეტა-ჯონსსაც** არ დააყენა კარგი დღე. მან ტრავმა მიიღო და იძულებული

გახდა, ახალ წელს საწოლში შეხვედროდა. „ძალინ ცუდად ვიყავი, ბალიშიდან თავის წამოწევაც კი არ შემეძლო“, — იხსენებს „ჩიკაგოს“ ვარსკვლავი.

ჯორჯ კლუნიმ ერთ-ერთი საახალწლო ღამე მაიამის აეროპორტში გაატარა. „მეგობრის დასახვედრად წავედი. რეისი გადაიდო და დღესასწაულს მო-

საცდელ დარბაზში შევხვდი. იმ ღამეს მოწყენილი, მარტოსული და ძალზე უბედური ვიყავი“. **დრიუ ბერიმორს** კიდევ ჟფრო ნაკლებად გაუმართლა: ახალი წლის დადგომას ისიც მარტო, თანაც — მანქანის საჭესთან შეხვდა! „ლოს-ანჯელესში მანქანით მივდიოდი. შინიდან გამოსვლა დავაგვიანე და როდესაც საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა, ჯერ კიდევ გზაში ვიყავი. როდესაც ბოლოს და ბოლოს, წვეულებაზე მივედი, იქ აღარავინ დამხვდა“.

ტომ ჰენქსი საახალწლო წვეულებაზე ცოლთან ერთად დროულად კი მივიდა, მაგრამ მხიარულად დროს ტარება არ გამოუვიდათ. „ათიოდე წლის წინ მე და ჩემი ცოლი ძალზე მოსაწყენ წვეულებაზე მოვხვდით. ყველა საკუთარი პერსონით იყო დაკავებული. წამოსვლა გვინდოდა, მაგრამ გვეუხერხულა: ახლო მეგობარმა მიგვიწვია და მისი წყენინება არ გვინდოდა“, — იხსენებს მსახიობი.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ლუქს-ჯღასის ყველაზე პოპულარული მანქანები ამერიკაში

ჟურნალმა Forbes შეადგინა იმ ავტომობილების სია, რომლებიც ყველაზე კარგად იყიდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2006 წელს. პირველ ადგილზე გავიდა BMW 3-Series, რომელიც, სხვადასხვა მოდიფიკაციით, 107-ათასიანი ტირაჟით გავრცელდა.

მეორე ადგილზე „ჩამოქვეითდა“ შარშანდელი ლიდერი — ყველგანმავალი Lexus RX: ამ მარკის რეალიზებული მანქანების რაოდენობამ 95500-ს მიაღწია. მესამე პოზიციას ასევე „ლექსუსის“ მარკის მანქანა — წინაამძრავიანი სედანი ES იკავებს: გაყიდული ეგზემპლარების რიცხვმა 67 ათასს გადააჭარბა.

პირველ სამეულს მოჰყვებიან: იაპონური კომპანია „ჰონდას“ სედანი Akura TL (65,5 ათასი), ამერიკული ჯიპი Cadillac Escalade (54 ათასზე მეტი), Cadillac DTS (54 ათასი), კომპაქტური სედანი Infinity G, Cadillac CTS (ორივე — 50 ათასი), BMW 5-Series (49 ათასი) და კომპაქტური Lexus IS (48 ათასი). სიის შემდგენლებს მასში არ შეუტანიათ ისეთი სოლიდური საავტომობილო მარკები, როგორიცაა: Buick, Hummer, Saab, Subaru და Mini, რადგან „ფორბსის“ მესვეურთა აზრით, ეს მანქანები სრულად არ შეესაბამება კატეგორია „ლუქსს“. გარდა ამისა, რეიტინგს მიღმა დარჩა სპორტული ავტომობილები — ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, Chevrolet Corvette. ■

Saab ძველ მანქანებს ახალზე ცვლის

კომპანია „სააბმა“ ამერიკელი მომხმარებლისთვის უჩვეულო აქციის შესახებ გამოაცხადა: Saab-ის ყველა მფლობელს, რომელსაც 1 მლნ მილი (1 მილი — 1,3 კმ) აქვს გავლილი, შეუძლია მიმართოს შვედური კომპანიის ერთ-ერთ დილერს და უფასოდ მიიღებს ახალ Saab 9-5 Aero-ს. ოღონდ, შვედ ავტომწარმოებლებს აქციის გამოცხადებისას არ დაუზუსტებიათ — გაცვლის წინაპირობა ის გახლავთ, რომ ჩამოსაწერი მანქანა მთელი ამ წლების მანძილზე, ერთი მფლობელის ხელში უნდა ყოფილიყო, თან, მთელი ამ წლების მანძილზე, ხანგრძლივი პერიოდით არ უნდა დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ „სააბის“ აქციას ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ავტომოყვარული გამოეხმაურა. ეს გახლავთ კომივოიაჟორი პიტერ გილბერტი, რომელსაც 1989 წლის გამოშვების Saab 900 ჰყავდა. ბოლოს დავძენთ, რომ ამ უნიკალურ Saab 900-ს ახალი წლის დამდეგს დაგეგმილ, დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოადგენენ. ■

„მტაცებელი“ Jaguar

რამდენიმე დღის წინ, ზოგიერთ უცხოურ საიტზე Jaguar-ის ჯერ კიდევ არაოფიციალური, კონცეპტუალური მოდელის ფოტოები გამოქვეყნდა. მისი პრემიერა, დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე 2007 წლის იანვრის დასაწყისში შედგება. შეგახსენებთ, რომ ეს კონცეპტი Jaguar S-Type-ის სრულიად ახალი თაობის პროტოტიპია, რომელიც დიზაინის გარდა, ახალი სახელითაც იქნება გამორჩეული — მას Jaguar XF ერქმევა. ამ ფოტოების მიხედვით, ექსპერიმენტული მანქანა, ამჟამად არსებული სერიული მოდელებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ის ვიწრო მაშუქებითაა აღჭურვილი, რაც „მტაცებლის“ იერს ანიჭებს. გარდა ამისა, პროფილში კონცეპტუალური Jaguar XF ოთხკარიან კუპეს უფრო ჰგავს, ვიდრე ტრადიციულ სედანს. ადრე გავრცელებული ინფორმაციით, ახალი XF ალუმინის Jaguar XJ-სა და XK-საგან განსხვავებით, ზედმიწევნით მოდერნიზებული, ახალი თაობის ავტომობილის პლატფორმაზე უნდა აწყობილიყო. ამ სედანის სერიული ვერსიის პრემიერა მომავალი წლის მეორე ნახევარში შედგება, ხოლო მისი გაყიდვა 2008 წლის მარტიდანაა მოსალოდნელი. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

„ადამიანი მაიროელი“, რომელმაც ქალის გათავისუფლება მოახერხა

პალტოა შავი კაბის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „გზა“, №51

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში ჟურნალი Vogue აფრთხილებდა თავის მკითხველს, რომ პატარა შავი კაბა „უნიფორმად იქცევა კარგი გემოვნების ყველა ქალისთვის“. 1993 წელს კი იმავე ჟურნალმა Vogue-მა გამოაქვეყნა პატარა შავი კაბით შემოსილი ჰილარი კლინტონის ფოტოსურათი. მსოფლიო მას აღტაცებით შეხვდა. სურათმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა: ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმის გარკვევაში, თუ რისთვის დასჭირდა აშშ-ის პირველ ლედის, რომელიც ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მისთვის ტანსაცმელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, „მაცდუნებელ კაბაში“ გამოწყობა. XX საუკუნის ბოლოს ხომ სწორედ ასე უწოდებდნენ ამ სამოსს.

ეს ერთადერთი მაგალითი როდია იმისა, როცა პატარა შავ კაბას ასეთი ძლიერი ეფექტი მოუხდენია. მსახიობმა ელიზაბეტ ჰარლიმ — იმხანად, ჰიუ გრანტის საყვარელმა — სურათი გადაიღო „ვერსაჩეს“ გულამოჭრილ შავ კაბაში და მაშინვე კონტრაქტი დაუდეს Estee Lauder-ის პროდუქციის რეკლამაზე, რამდენიმე მიწვევაც მიიღო კინოში გადაღებაზე და... უკვე, უბრალოდ ჰიუ გრანტის საყვარელი აღარ იყო.

მას არაფერი გააჩნდა, გარდა მკერავის დიდი მაკრაგლისა, ნემსისა და ძაფისა და... საყვარლისა

ელიზაბეტ ტეილორმა კი, როგორც ბოროტი ენები ირწმუნებიან, ფილმში — „ბრძოლის ველი“ შესრულებული როლისთვის სწორედ უსახელო, ღრმა, სექსუალურ-დეკოლტეიანი პატარა შავი კაბის წყალობით მიიღო „ოსკარი“.

რატომაა ქალი შავ კაბაში ასეთი თვალწარმტაცი?

შავი ფერის მაგია დიდი ხანია, ცნობილია. მას ჯადოქრების, კუდიანებისა და შესაბამისად, ცოდვისფრად მიიჩნევენ. ცოდვა კი, როგორც ცნობილია, მიმზიდველია და მამაკაცებზე შავი ფერი ისე მოქმედებს, როგორც ძლიერი აღმგზნები საშუალება. შავი, გამოწვევის, მიზიდვის ფერია. მამაკაცები ამას გრძნობენ, ქალებმა კი ეს იციან. ამერიკული „სახელმძღვანელო კურსდამთავრებულთათვის“ ტყუილად კი არ აძლევდა მკითხველებს რჩევას: „ნუ ჩაიცვამთ შავს, გარდა საღამოს სამოსისა და პატარა შავი კაბისა. მისი ყიდვა მაშინაც შეგიძლიათ, როცა 30 წელი შეგისრულდებათ, მაგრამ თუ საკმაოდ ჭკვიანი ხართ, მაშინ ამის გაკეთება 25 წლის ასაკშიც შეგიძლიათ“.

შავი ფერი იდუმალებითაა მოცული. ფიზიკოსების განმარტებით ხომ შავი — ეს ფერის სრული არარსებობაა. მათ ნათქვამს იმეორებენ ფსიქოლოგები, რომლებიც ამბობენ, რომ შავი — მატერიალიზებული არაფერია და ამიტომ, სხვა ფერებისგან განსხვავებით, ის არააგრესიულია. მამაკაცს კი, სულის სიღრმეში ეშინია ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული ქალების, რომლებიც მყვირალა ფერის სამოსს იცვამენ. შავი, ქვეცნობიერ დონეზე, ადუნებს მამაკაცის სიფხიზლეს.

მაგრამ ამ კაბის საიდუმლო მხოლოდ მის ფერში როდია. ქალებში განსაკუთრებული სიყვარულით სწორედ პატარა შავი კაბა სარგებლობს. და აქ მუშაობას იწყებს არა მარტო ფერი. შავი ქსოვილის პატარა ნაჭერი იმდენად მკვეთრ კონტრასტს ქმნის კანის ფერთან, რომ მის ფონზე პირდაპირ ანათებს ქალის შიშველი ხელები, კისერი, მკერდი, ფეხები. შავი რომ ჩაიცვა, ამისთვის განსაკუთრებული გამბედაობაა საჭირო. ის კაბის მფლობელს საერთო მასიდან გამოარჩევს: მას მყისვე აქცევენ ყურადღებას. ხოლო იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, შეეცდება თუ არა ვინმე მის გაცნობას. ერთი სიტყვით, პატარა შავი კაბა ქალის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

1926 წელს ეს კარგად გაიცნობიერა კოკო შანელმა — „პატარა“ ჭკვიანმა ქალმა. მას არაფერი გააჩნდა, გარდა მკერავის დიდი მაკრატლისა, ნემსისა და ძაფისა და... საყვარლისა. საყვარელს კი, თავის მხრივ, ჰქონდა საუცხოო ინგლისური სვიტერი: დიდი, თბილი და, რაც მთავარია, შავი.

კოკო შანელი ულმობელი ქალი იყო. აი, ის ზის შინ და ახარისხებს, ღმერთმა უწყის, სად გადაკარგული საყვარლის ტანსაცმელს: სად არის ის? ვისთან? დაბრუნდება კი ოდესმე? წუთები გადის, მელანქოლიურად ხმაურობს ვეებერთელა მაკრატელი, რომელსაც ხელში ატრიალებს პატარა მკერავი... ყურადღება, მკითხველო, ერთ წამში ისეთი რამ მოხდება, რაც სამუდამოდ გადაატრიალებს მოდის სამყაროს! ახლა პირდაპირ „ჩვენ თვალწინ“ დაიბადება „მაცდუნებელი კაბა“.

...საღამო ახლოვდება, სატრფო კი კვლავ არ ჩანს: კოკო შანელმა სულით ხორცამდე შეიგრძნო ეს სამწუხარო ამბავი და ბრმა სიშმაგემ მოიცვა. მაგრამ ის, სხვა ყველაფერთან ერთად, პრაქტიკოსი ქალი იყო. მადმუაზელ შანელმა ხელი დასტაცა შავ სვიტერს, მიიფარა, სადღაც მიიმაგრა, სადღაც მიიკერა და გააფთრებით აახმაურა მაკრატელი... ჰოდა, რამდენიმე დღის შემდეგ, დოღზე გამოჩნდა გადასარევ, სუპერსექსუალურ შავ კაბაში — მისმა გუშინდელმა საყვარელმაც კი ვერ გაიგო, რომ ეს, მისი სვიტერი იყო, რომელსაც გენიალური ქალი კარგა მოზრდილ ქსოვილს დაესესხა...

კოკო შანელი ცნობილ მოდელიერად იქცა და პატარა შავი კაბებით შემოსა მთელი პარიზი, მთელი ევროპა, მთელი დასავლეთი სამყარო. მის ნამოქმედარს რომ უყურებდა, ღმერთი თავს აქნევდა: პატარა ფრანგმა ქალის ზნეობას ის უქნა, რასაც ეშმაკიც ვერ უზამდა...

მის გამოგონებამდე ქალები ძალიან წესიერად იქცეოდნენ. ისინი ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ გამოელაპარაკებოდნენ უცხო მამაკაცს, უსიყვარულოდ არავის კოცნიდნენ. ნაზი არსებანი ფეხებს გრძელი ქვედაბოლოს ქვეშ მალავდნენ, ბავშვობიდან ემზადებოდნენ იმისთვის, რომ კარგი ცოლები ყოფილიყვნენ, სიბერეში კი, ფსალმუნებს კითხულობდნენ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრობდნენ... მაგრამ შემდეგ მოვიდა კოკო შანელი და ყველაფერი გააფუჭა.

მამაკაცებს გამოეპარათ ეს საბედისწერო მომენტი. ისინი აღფრთოვანებულები ადევნებდნენ თვალს, როგორ „თქვა უარი“ შავმა კაბამ ქალის მკერდის დაფარვაზე, როგორ ნელ-ნელა, სანტიმეტრ-სანტიმეტრ შიშვლდებოდა ფეხები. მოდელიერმა ელიზა სკიარპარელიმ შექმნა ძალზე ზურგამოჭრილი კაბა, ივ სენ ლორანმა ქალს მუხლები გამოუჩინა, ქვედაბოლო ისე დამოკლდა, რომ საჭირო გახდა კოლჰოტების გამოგონება... შავი კაბა თვალსა და ხელს შუა პატარავდებოდა. ბოლოს, ის ისე შემცირდა, რომ ყველა მამაკაცური მისწრაფების გვირგვინად — პატარა შავ კომბინაციად იქცა

და სექსუალობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო...

ახლა მამაკაცის წარმოსახვა იოლად ხატავს სადღესასწაულო საღამოს გაგრძელებას: დაჭმუჭნილი, არშიამოვლებული შავი ქობა, შავი წინდები, შავი ბრეტელები შიშველ მხრებზე... ესაა სამოსი საძინებლისათვის, ახლა კი მას მეჯლისებზე იცვამენ!

ქალებისათვის, რომელთაც პატარა შავი კაბა ჩვენი დროის სიმბოლოდ აქციეს, ამიერიდან მთელი მსოფლიო ვეებერთელა საძინებლად იქცა. მერილინ მონროს, რომელიც ყველა ამერიკელი მამაკაცის სურვილის ობიექტად იქცა, პატარა შავი კაბა თავის თილისმად მიაჩნდა. ედიტ პიაფი მაშინ იცვამდა პატარა შავ კაბას, როცა სურდა, თვალისმომჭრელი ყოფილიყო. ამის შედეგად, მის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდნენ უდიდესი შანსონიეები — ივ მონტანი და შარლ აზნავური, მამაკაცები, რომლებზეც საფრანგეთის ყველა ქალი ოცნებობდა.

მხოლოდ 70-იან წლებში გაუწიეს „შავ სიგიჟეს“ ერთგვარი წინააღმდეგობა. ქალები სატინის შარვლებით შეიმოსნენ, პლატფორმიან ფეხსაცმელზე „აბობღდნენ“ და შავი ფერი ბუნებრივ, ცისარტყელას ფერებზე გაცვალეს. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა — შავი კაბა ლედი დიმ ჩაიცვა.

ყმაწვილქალობაში ის მოუქნელი, უგერგილო მოზარდი იყო და ქორწინებაზე ძალზე რომანტიკული შეხედულება ჰქონდა, შემდეგ, სამაგალითო ცოლად იქცა და გულწრფელად ცდილობდა, უელსის პრინცისთვის

ბედნიერება მოეტანა. შესაძლოა, შემდგომშიც ასე გაგრძელებულიყო, მაგრამ ერთერთ მიღებაზე პრინცესა ღრმად ამოჭრილ და უსახელო შავ კაბაში გამოჩნდა. როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგი მარტინ ლიუშერი ხომ ამბობს, რომ ქალი, რომელიც შავ ფერს ამჯობინებს, ქვეცნობიერად პროტესტს გამოთქვამს, უჯანყდება თავის ბედს და შინაგანადაც მზადაა მის შესაცვლელად.

ლედი დის შავმა კაბამ თავისი გააკეთა: „შინაური ფრინველი“ თავდაჯერებულ, საკუთარი თავის ფასის მცოდნე, მიუტევებელ ქალად იქცა. ამას მოჰყვა სკანდალური ინტერვიუების სერია. რომანი გვარდიელებთან და განქორწინება, რამაც კინაღამ დაღუპა ინგლისის მონარქია. პრინცმა ჩარლზმა ხელიდან გაუშვა მომენტი, როცა დინასტიის პრესტიჟის ხსნა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

ნუ გავიმეორებთ მის შეცდომებს: თუ ცოლი ან საყვარელი იმაზე დაიწყებს ლაპარაკს, რომ მას შავი ფერი მოსწონს, ყველაფერი იღონეთ, რომ მას აღარ მოუნდეს ცხოვრების შეცვლა და ახალი პარტნიორის ძებნა. გავიხსენოთ წარსული, გულწრფელად მოვინანიოთ (მაშინაც კი, თუ უდანაშაულონი ვართ) და მაღაზიისკენ გავწიოთ საჩუქრის შესაძენად. მიართვით ქალებს ყვავილები, სუნამო, ბრილიანტები, ვილები და თვითმფრინავები — მაგრამ არავითარ შემთხვევაში, პატარა შავი კაბა!..

თუმცა, ეს მოწოდება ფუჭ სიტყვებად გაისმის, თუ გავითვალისწინებთ პატარა შავი კაბისა და მისი შემქმნელის ამჟამინდელ პოპულარობას. მიუხედავად იმისა, რომ პატარა შავი კაბის „დაბადებიდან“ 80 წელზე მეტი გავიდა, ის დღესაც ისეთსავე მოწონებით სარგებლობს, როგორც მისი შექმნის პირველ წლებში. და არა მარტო პატარა შავი კაბა, არამედ საერთოდ Chanel მუდამ მოდაშია. კარლ ლაგერფელდი, კოკო შანელის საქმის გამგრძელებელი 1983 წლიდან, მისი ანდერძის ერთგულია.

მაღლი მოდის სხვა სახლებისგან განსხვავებით და მათ საპირისპიროდ, რომლებმაც მართვის სადავეები უცხოელებს გადასცეს (როგორც Dior-მა ან Givenchy-მ, რომლებიც ინგლისელებს „დამორჩილდნენ“), ლაგერფელდი საოცრად ტრადიციულია. მისი უკანასკნელი კოლექციები უკანასკნელ ძაფამდე და ღილამდე Chanel-ის სტილითაა გაჟღენთილი. დახვეწილობა და უბრალოება, ფერების „თავდაჭერილობა“ და ხაზების უკიდურესი ლაკონიურობა. ოღონდ — ღილები მარგალიტისგანაა გამოჩარხული, დიადემად ბრილიანტებია ჩაწყობილი, ჩანთები მხოლოდ ტრადიციული ინიციალებით — CC (Coco Chanel) კი არაა აღნიშნული, არამედ სრული სახელით... Chanel Chanel-ის ფესვებს უბრუნდება.

ამბობენ, რომ დღეს მაღალი მოდა საერთოდ კვდება. რომ კოკო შანელის ეპოქაში Haute Couture-ს პოტენციური მყიდველების რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 300000-ს აღწევდა. დღეს კი, სულ რაღაც — 200-დან 1000-მდე კაცს ითვლის! და ისინიც სანთლით საძებნელია. როგორც თვითონ Chanel-ის დაწესებულებაში აღიარებენ: „ათასი?! შეუძლებელია! გიგანტური ციფრია! დაახლოებით 200 კაცი — დიახ, ეს სიმართლესთან ახლოსაა...“ საკუთარ კლიენტებად Chanel დაახლოებით 100 კაცამდე მიიჩნევს, რაც „შანელის“ მხოლოდ ერთი სახლისთვის ყოველწლიურად 540 მლნ ფრანკის მიმოქცევას უზრუნველყოფს, დროდადრო კი, არნახული სილამაზის დღესასწაულების, მაღალი წრის საზოგადოების მიღებების მონყობის საშუალებას აძლევს.

ენციკლოპედია იმპერია

ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: ტანსაცმელიც, ბიჟუტერიაც, საათიც. იმ რწმენით, რომ მსოფლიოში ყველაფერი საუკეთესო, Chanel-ის მარკით მზადდება, „ლაგერფელდი და კომპანია“ ცდილობს, გააფართოოს თავისი სახლის ნაწარმის სპექტრი. Chanel-ის პირველი საათის მოდელი, რომელსაც შესაბამისად, Premiere უწოდეს, 1987 წლის ოქტომბერში გამოვიდა. მის ციფერბლატს Chanel N5-ის ფლაკონის ფორმა აქვს, სამაჯური — ძეწკვი — ქალის ლე-

ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: ტანსაცმელიც, ბიჟუტერიაც, საათიც

გენდარული ჩანთის ლეგენდარული სახელურია. დღესდღეობით, Chanel-ის საათების წარმოებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ გამოეყო საიუველირო საქმეს და დამოუკიდებელ დეპარტამენტად ჩამოყალიბდა.

თუმცა, მთავარი, რა თქმა უნდა, ტანსაცმელია, ხოლო საპატიო სახელის — Haute Couture — მოსაპოვებლად აუცილებელია, კომპანია ზედმიწევნით შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. მაგალითად, მის ატელიეებში მინიმუმ 20 მკერავი მაინც უნდა მუშაობდეს, წელიწადში 2-ჯერ მაინც პარიზში მასმედიისთვის, მინიმუმ 50 მოდელის ჩვენება უნდა მოაწყოს, იგივე კოლექციები ფართო საზოგადოებასაც უნდა უჩვენოს, — ეს კი ნიშნავს, რომ კვალიფიციურ ტოპმოდელთა მთელი შტატი უნდა ჰყავდეს.

Chanel-ის სახლი ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. მას მსოფლიოში 80 ბუტიკი აქვს. 60-80 მოდელი მუდამ „მოეპოვება“ მოდების აღლუმისთვის. მისი ტოპმოდელებიც ყველაზე ლამაზები არიან. თვით კლაუდია შიფერიც ხომ, მრავალი წლის განმავლობაში მისი „მოსიარულე ვიტრინა“ იყო.

ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმსმა“ საგანგებო გამოკვლევის შედეგად, ფრანგები — ლე კორბუზიე და კოკო შანელი „XX საუკუნის ყველაზე გავლენიან შემოქმედებად“ დაასახელა. „კოკო შანელი, — წერდა „თაიმსი“ — შიკისა და ავანგარდის განსახიერება იყო. ტანსაცმელმა, რომელიც მან შექმნა, შეცვალა ქალის სახე, მისი მანერა — აღიქვას საკუთარი თავი, მთელი მისი სიმდიდრე“...

კოკო შანელის ხელის თაბაშირის ყალიბი ოდესღაც, 12,6 მლნ ფრანკად გაიყიდა... ■

«ალკმაარელთა» ლიდერი და ლიტველი ემიგრანტი ბიჭის კერპი

„ფულს საკმარისად ვშოულობ და „აუდი A-4"-ით დავდივარ"

ჰოლანდიის „ალკმაარის" თავდამსხმელ შოთა არველაძის მიმართ მასმედია დიდ ინტერესს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იჩენს. იმ ქვეყნებში, სადაც ქართველი თამაშობდა, იგი ყოველთვის ექცეოდა ადგილობრივი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში და სასურველ რესპონდენტადაც მიიჩნეოდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბენილუქსის ქვეყნებში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის — „ბენილუქსის სიახლეების" კორესპონდენტი, სერგეი ბერგმანი ჩვენებურის პიროვნებით დაინტერესდა და მას ინტერვიუც ჩამოართვა. მან შოთას საკმაოდ საინტერესო მასალა მიუძღვნა, რომელსაც „გზის" მკითხველს ვთავაზობთ:

ლაშა თაბაგარი

შოთა არველაძე უდავოდ არაორდინარული პიროვნებაა. მრავალი წლის განმავლობაში მიხდებოდა ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებმაც უმაღლეს მწვერვალებს მიაღწიეს, მაგრამ თავისი საუკეთესო თვისებების შენარჩუნება შეძლეს — ისინი ადრინდელივით გულღიანი და უბრალონი დარჩნენ. შოთაში ყველა ეს თვისებაა თავმოყრილი. მიუხედავად იმისა, რომ კარიერის მანძილზე მან ყველაფერს მიაღწია — მოიგო ტიტულები, მოიპოვა სახელი და საკმაოდ სოლიდური თანხა დააგროვა, არველაძე მორიდებულ, უბრალო ბიჭად დარჩა. პირველად იგი ფრიად უჩვეულო ვითარებაში გავიცანი. მახსოვს, 1998 წელს ამსტერდამში სასტუმრო „კრასნოპოლსკაიაში" შევიკრიბეთ. მაგიდას მსხვილი ფინანსური ჰოლდინგის მენეჯერი გერმანელი, ჩემი ძველი მეგობარი, ცნობილი საინვესტიციო ფონდის დამფუძნებელი ჰოლანდიელი და მისი რამდენიმე მეგობარი უსხდნენ. საქმიანი ლანჩის შემდეგ, ყველამ პირველ სართულზე განთავსებულ ბარში გადავიცვლეთ და საუბარი უფრო თავისუფალ ატმოსფეროში გავაგრძელეთ. მაშინ შევამჩნიე ბიჭი, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერთდა და ჩემგან მარჯვნივ დაჯდა. იგი ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ მინერალურ წყალს სვამდა და თვალებამდე ჩამოფხატული სპორტული კეპით ჰქონდა სახე დაფარული. მისი მოსვლიდან რამდენიმე წუთში, ჰოლანდიელი ქალბატონი მოგვიახლოვდა და ჩემს მეზობელს ავტოგრაფი სთხოვა. ამას ყურადღება ირგვლივ მყოფთაგან მხოლოდ მე მივაქციე. მალე სიტუაცია განმეორდა: ჯერ ერთი კაცი მოვიდა, შემდეგ მეორე, ერთი სიტყვით, ხალხი მოდიოდა და მისგან ავტოგრაფს იღებდა. „დაიწყო. ახლა ისინი მოსვენებას არ მომცემენ და ჯობს, წავიდე. როგორც შევთანხმდით, საღამოს შევხვდეთ", — მორიდებული ღიმილით და ქართული აქცენტით თქვა ჩვენმა სტუმარმა. ცოტა ხანში იგი წამოდგა, ყველას დაემშვიდობა და წავიდა. „ვინ არის?" — გაოცებულმა ვკითხე ჩემს მეგობარს. „შენ რა, მთვარიდან ჩამოვარდი? ეს ხომ შოთა არველაძეა! შენ რა, არ იცი, ვინ არის შოთა არველაძე?" — გაოგნებული სახით შემომხედა მეგობარმა. „არა", — ვუპასუხე. „შოთა არველაძე ფეხბურთის ვარსკვლავია, მას ყველა იცნობს. ეგრევე ეტყობა, რომ გულშემატკივარი არ არის", — სინანულით მიუთითა მან ჩემზე, გვერდით მჯდომ გერმანელს.

თან დაიწყო საფეხბურთო ამბების მოყოლა, რომელთა მოსმენის შემდეგ გავიგე, რომ შოთა არველაძეს ჩემ გარდა ყველა იცნობდა. მართალი გითხრათ, ფეხბურთისგან საკმაოდ შორს ვდგავარ და ჩემი აზრით, საერთოდ, ებრაელის („ბენილუქსის სიახლეების" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ებრაელი გახლავთ) საქმე არ არის მოედანზე ბურთის დევნა. თუმცა მოგვიანებით, მე არაერთხელ გავიგონე ჩემი შემთხვევითი ნაცნობის გვარი. გამომდინარე იქიდან, რომ ბენილუქსის ქვეყნების რუსულენოვან ადამიანთა ცხოვრებას ვაშუქებ, შეცდომა იქნებოდა, ქართველ ფეხბურთელზე არაფერი დამწერა.

არველაძეს ტელეფონით დავუკავშირდი და „ალკმაარის" სტადიონის მახლობლად შეხვედრაზე შევთანხმდით. დანიშნულების ადგილზე მისულს, იქ 12 წლის ბიჭი დამხვდა, რომელიც წარმოშობით ვილნიუსიდან გახლდათ და რუსულად კარგად ლაპარაკობდა. როდესაც მას ვკითხე — იცნობდა თუ არა შოთა არველაძეს? შემდეგი პასუხი მივიღე — „ალკმაარი" ჩემი საყვარელი გუნდია, ხოლო არველაძე საყვარელი ფეხბურთელია. მე ბიჭს შევპირდი, რომ შოთასთან ერთად ფოტოს გადავუღებდი, რამაც იგი აღაფრთოვანა. მალე არველაძეც გამოჩნდა, რომელსაც მისალმების შემდეგ ვუთხარი — რაღაც დაღლილი გამოიყურებიმეთქი. ამაზე შოთამ მიპასუხა — აბა, შენ ირბინე რამდენიმე საათი მინდორზე და ვნახავთ, როგორი შესახედაობა გექნებაო. სტადიონის მახლობლად მდებარე კაფეში შევედით და ქართველს ჩემი მეგზური გავაცანი. ბიჭმა, რომელიც არველაძეს აღფრთოვანებით შეჰყურებდა, მას ჟურნალი გაუწოდა, სადაც თავად ფეხბურთელის ფოტო იყო მოთავსებული და ავტოგრაფი გააკეთებინა. შემდეგ, იგი მაგიდასთან დაჯდა და საკუთარ კერპს თვალს არ აშორებდა. შოთას ავუხსენი, რომ ფეხბურთის ბევრი არაფერი გამეგებოდა და მასთან საუბარი განყენებულ თემებზე მსურდა, რაზეც უხმოდ თავი დამიქნია. თან ღიმილით დასძინა — მოდი ცოტა სწრაფად, რადგან ნახევარ საათში შესვენება მიმთავრდებაო. ამის შემდეგ ფეხბურთელს რამდენიმე კითხვა დავუსვი:

— ვიცი, რომ თბილისში დაიბადეთ, „დინამოში" დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდით, ხოლო 1997 წლიდან „აიაქსის" ღირსებას იცავდით...

— არა, თბილისის „დინამოში" პრინციპში, დიდხანს არ მითამაშია. მე, თუ არ ვცდები, 1990 წელს დუბლებში ამიყვანეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი დაიშალა და რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი, ველოდი, მჯეროდა, ერთ მომენტში დაინგრა. ამის შემდეგ, ტყუპის-

დიდ ნოსტალგიას არ განვიცდი, რადგან თავისუფალი დრო როცა მაქვს, საქართველოში ჩავდივარ

ბიჭმა, რომელიც არველაძეს ალფრთოვანებით შეჰყურებდა, მას ჟურნალი გაუწოლა, სადაც თავად ფეხბურთელის ფოტო იყო მოთავსებული და ავტოგრაფი გააკეთებინა.

ცალ არჩილთან ერთად, „მართვეში“ გადავედი, სადაც ერთი წელი ვითამაშე და უკვე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე თბილისის „დინამოში“ დავბრუნდი.

— ჰოლანდიაში 1997 წლიდან თამაშობთ, არა?

— „აიაქსში“ 1996 წელს გადავედი.

— საკუთარი ქვეყანა გენატრებათ?

— დიდ ნოსტალგიას არ განვიცდი, რადგან თავისუფალი დრო როცა მაქვს, საქართველოში ჩავდივარ, სადაც ნათესავებსა და მეგობრებს ვნახულობ. ერთი პერიოდი, ძმასთან ერთად თურქეთში ვთამაშობდი, მერე, ორივენი ჰოლანდიაში გამოვდიოდით. თავის დროზე, ჩვენი უფროსი ძმა — რეზო, გერმანიაში თამაშობდა. დედამამა კი საქართველოში ცხოვრობს.

— ჰოლანდიაში ოჯახთან ერთად ცხოვრობთ თუ მეულლე სამშობლოში დარჩა?

— ჩემი ცოლი, ასევე ორი შვილი — გოგონა და ბიჭი აქ, ჩემთან ერთად, ამსტელფეინში ცხოვრობენ. ბიჭი რვა წლისაა, ხოლო გოგონა — ორის. ორივენი ჰოლანდიაში დაიბადნენ.

— ალბათ, ჰოლანდიურად უკვე ლაპარაკობენ...

— არა, ენა არცთუ ისე კარგად იციან. ისინი უფრო ინგლისურად ლაპარაკობენ, რადგან ჩემი ბიჭი გიორგი ინგლისურ სკოლაში სწავლობდა.

— ძალზე ცნობილი ადამიანი ხართ და ათასობით თაყვანისმცემელი გყავთ მთელ მსოფლიოში. ყოველივე ამას როგორ აღიქვამთ?

— ამ სიტყვების მოსმენა ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ მეტის მიღწევა მსურდა. თუმცა, ამჟამად, ბევრი ჩემი ოცნება ახდა და ამისთვისაც მადლიერი ვარ.

— ჰოლანდიაში თანამემამულეებს თუ ხვდებით და აქ მეგობრები თუ გყავთ?

— რა თქმა უნდა, მეგობრებს ხანდახან ვნახულობ, მაგრამ გართობისთვის ბევრი დრო არ მრჩება, რადგან ყოველდღე, ზოგჯერ კი — დღეში ორჯერ, ვარჯიში მაქვს, რომლის შემდეგ, მხოლოდ დასვენებაზეღა თუ ვფიქრობ. ხანდახან მეგობრებთან ერთად შაბათს ან კვირას, ჩემს სახლში ვიკრიბებით და ბანქოს ვთამაშობთ.

— ჩვენმა ერთმა საერთო ნაცნობმა მითხრა, რომ თქვენს ძარღვებში სამეფო სისხლი ჩქეფს. ეს სიმართლეა?

— დიახ, ბებიაჩემი ელენე ბაგრატიონი იყო. სწორედ მის პატივსაცემად დავარქვით გოგონას ელენე. ბაგრატიონი საქართველოში, ისევე, როგორც რომანოვი რუსეთში, სამეფო გვარია.

— სპორტულ კარიერაში რაც გსურდათ, ყველაფერს მიაღწიეთ და ცხოვრებაში რის მიღწევა გინდათ?

— მთავარია, რომ ჩემი ყველა ახლობელი ჯანმრთელი იყოს და ყოველთვის მქონდეს მათი დახმარების შესაძლებლობა. ამჟამად 33 წლის ვარ და საფეხბურთო კარიერას ალბათ უკვე ვამთავრებ, ახალი ცხოვრება იწყება. ჩემთვის ყველაზე მთავარი, ოჯახი და შვილებია. მომავალში ვეცდები, რომ მათ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დავუთმო.

— ბოდიშს გიხდით შემდეგი კითხვისთვის, მაგრამ მკითხველს ყველაზე მეტად ჭორები აინტერესებს — ვინ რამდენს შოულობს, რა ავტომანქანით დადის და ვისთან სძინავს...

— ანაზღაურება რამდენი მაქვს, ვერ გეტყვით , რადგან კონტრაქტის პირობების მიხედვით, ამ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება არ გვაქვს. შემიძლია ვთქვა, რომ ფულს საკმარისად ვშოულობ. ჭკვიანურად თუ დავხარჯავ, ყველას ეყოფა. რაც შეეხება ავტომანქანებს, ამ საკითხს საკმაოდ მშვიდად ვუდგები ყოველგვარი ფანატიზმის გარეშე. ამჟამად, „აუდი A-4“-ით დავდივარ, რომელიც კლუბმა გამომიყო.

— როგორ მიგაჩნიათ, ქართულ ფეხბურთს პერსპექტივა აქვს?

— რა თქმა უნდა. ამჟამად საქართველოში ფეხბურთის განვითარებას სამთავრობო დონეზე დიდი ყურადღება ეთმობა. მაგალითად, გაარემონტეს ეროვნული სტადიონი, რომელიც 60 ათას მაყურებელს იტევს. ცდილობენ, განავითარონ ინფრასტრუქტურა — ახალ პროექტებში დიდი ფული იდება. ამის გაკეთება ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ფეხბურთის ფედერაციას ამდენი ფული არა აქვს.

— ამბობთ, რომ საფეხბურთო კარიერას მალე დაასრულებთ. მომავალში სამწვრთნელო საქმიანობის დაწყებას გეგმავთ თუ ფეხბურთიდან საერთოდ წახვალთ?

— არა, ფეხბურთიდან საერთოდ წასვლას ვერ შევძლებ. სპორტის ეს სახეობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ის ნარკოტიკივითაა, რომელსაც მიეჩვევი და მის გარეშე არ შეგიძლია. ამიტომ, ვფიქრობ, ამ „ლომკიდან“ თავის დასაღწევად, საუკეთესო გზა — მწვრთნელობის დაწყებაა. თუმცა, ამ საქმეში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა, სწორედ მწვრთნელს ეკისრება. მაგალითად, გუნდი რომ წააგებს, ამაში დამნაშავედ მის თავკაცს მიიჩნევენ.

შოთა არველაძის შესახებ საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ჩანახატს, რომელიც საქართველოს ნაკრებისა და „ალკმაარელთა“ საუკეთესო ბომბარდირის თაობაზე უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა: „შოთა არველაძემ ჰოლანდიის „ალკმაართან“ კონტრაქტი 2005 წლის ზაფხულში გააფორმა და გუნდში მისვლის პირველსავე დღიდან, მის ლიდერად ჩამოყალიბდა. „ალკმაარი“ უეფას თასზე უკვე ზედიზედ მესამე სეზონია, წარმატებით გამოდის. ეს კი გუნდის ქართველი ფორვარდის — შოთა არველაძის დამსახურებაა, რომელიც ღირსეულად მიიჩნევა „ალკმაარის“ ნამდვილ ლიდერად. ლუის ვან გაალისა და 33 წლის საქართველოს ნაკრების წევრის გზები შესაძლოა, უფრო ადრეც გადაკვეთილიყო. 1997 წლის ზაფხულში თავდამსხმელი „ტრაბზონსპორიდან“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა, მაგრამ მაშინ მწვრთნელმა ამსტერდამი დატოვა. 2005 წელს ისინი ერთმანეთს, როგორც იქნა, შეხვდნენ, როდესაც ჰოლანდიელი სათავეში „ალკმაარს“ ჩაუდგა, ხოლო ქართველი ნიდერლანდებში შოტლანდიური „რეინჯერსიდან“ დაბრუნდა. გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატზე ჩატარებულ 31 შეხვედრაში არველაძემ 22 გოლი გაიტანა და კლუბმა მასთან კონტრაქტის გაგრძელება 2008 წლამდე გადაწყვიტა. „ალკმაარში“ მისი დარჩენის სურვილი იმაზე მეტყველებს, რომ არველაძეს გუნდთან ერთად წინსვლა სურს. ასეთი გამოცდილი ფეხბურთელის გვერდით თამაში, ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის შეუფასებელია“, — განაცხადა „ალკმაარის“ ტექნიკურმა დირექტორმა, მარსელ ბრანდსმა.

ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, არველაძეს კაპიტნის სამკლავური ერგო. საქმე ის გახლავთ, რომ ყოფილმა კაპიტანმა დენი ლანზაატმა და ვიცე-კაპიტანმა იორის მატიასენმა სეზონის დასრულების შემდეგ გუნდი დატოვეს. კაპიტანი, არველაძე გახდა, რომელმაც შემდგომში არაერთხელ დაარწმუნა ვან გაალი მისი არჩევანის სისწორეში. „ჩემი მწვრთნელობისას „აიაქსის“ კაპიტნები ფრანკ რაიკაარდი და დენი ბლინდი იყვნენ. არველაძე თავისი პიროვნული თვისებებით მათ ნამდვილად ტოლს არ უდებს. ის „ალკმაარისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც ფეხბურთელი, კაპიტანი და ადამიანი. არველაძე ჩვენს კოლექტივში ყველაზე დიდი პროფესიონალი გახლავთ“, — თქვა ვან გაალმა.

ჰოლანდიის ჩემპიონატის განვლილ 15 ტურში, შოთამ 10 გოლი გაიტანა და ექვსი საგოლე პასი გააკეთა. იგი საკუთარი გუნდის უპირობო ლიდერია. „ვფიქრობ, არველაძეს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს „ალკმაარში“, ვიდრე ბლინდს „აიაქსში“ კაპიტნობისას ჰქონდა. მას დანარჩენ ფეხბურთელებამდე საკუთარი აზრის მიტანა ძალიან სწრაფად შეუძლია“, — აღნიშნა „ალკმაარელთა“ თავკაცმა.

აქვე გეტყვით, რომ შოთამ და მისმა მეგობრებმა ჰოლანდიაში პირველი ქართული სკოლა გახსნეს, სადაც ქართველი ბავშვები შაბათ-კვირას ივლიან. სასწავლებელში ამ ეტაპზე მხოლოდ 25 ბავშვი დადის, რომლებიც რელიგიის ისტორიას სწავლობენ. მათ წიგნები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც გაუგზავნა. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-51

ნანას და ანას მანქანიდან გადასვლის შემდეგ, ნიკა ფიქრს მიეცა. იმ წუთებში მისი გონება მხოლოდ ანასთან დაკავშირებული წარსულით იყო დაკავებული. ანას არ გადაუჭარბებია, როდესაც ნანას უთხრა, რომ მათ ათი წელი ერთ სკოლში, ერთ კლასში და ერთ მერხთან გაატარეს. ეს სიმართლე იყო. მაგრამ ანას ყველაფერი არ უთქვამს, თუმცა ის ამაში მართალიც იყო. სრული სისულელე იქნებოდა, ნანასთან იმაზე ლაპარაკი, რომ მათ ათი წლის განმავლობაში უყვარდათ ერთმანეთი და შემდეგ მოულოდნელად მიივიწყეს ყველაფერი.

„ვინ მიივიწყა?.. — გონებაში გაუელვა ნიკას. — მან თუ მე?.. მე!!! — თავად გასცა პასუხი საკუთარ კითხვას ნიკამ. — ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. მან მიმივიწყა, მაგრამ მე ვაიძულე, გაეკეთებინა ეს. მხოლოდ მე ვარ დამნაშავე და ეს ყველაფერი ჩვენი ნაცნობობის მეათე წელს მოხდა!..“

ანაზე ფიქრმა თავისთავად ამოატივტივა გონებაში მათი პირველი შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, ნიკას მაინც კარგად ახსოვდა ის დღე. პირველი სექტემბერი. დღე, როდესაც საგანგებოდ გამოწყობილმა ნიკამ პირველად შეაღო სასწავლო კლასის კარი. თეთრბაფთიანმა, ცისფერთვალება გოგონამ, რომელიც ზღაპრულ ფერიას უფრო ჰგავდა, უმალ მიიპყრო მისი ყურადღება. მოგვიანებით მასწავლებელმა მოსწავლეების მერხებთან დანაწილება დაიწყო. ნიკა იმედოვნებდა, რომ სწორედ ის იქნებოდა ის ბედნიერი, რომელსაც ფერიას გვერდით ჯდომა ერგებოდა წილად. მაგრამ მასწავლებელმა სხვა ადგილი მიუჩინა. თანაც ისეთი, საიდანაც მხოლოდ ფერიას ბაფთის ცქერა შეეძლო. ამას ნიკას პროტესტი მოჰყვა.

— იმ გოგონასთან დამსვით. თუ არა და, საერთოდ არ ვივლი სკოლაში!.. — განუცხადა მასწავლებელს.

თავიდან მასწავლებელმა ყურად არ იღო მოსწავლის მოთხოვნა. მაგრამ ნიკა გაჯიუტდა და მაინც მიაღწია თავისას. იმ დღიდან მის მერხთან არასოდეს დამჯდარა სხვა გოგონა. მაშინაც კი, როდესაც ანა ავადმყოფობდა და სკოლაში არ დადიოდა. მის ასეთ დამოკიდებულებას თეთრბაფთიანი გოგონასადმი, თანაკლასელებმა სწრაფად მოუძებნეს ახსნა.

„ნიკა + ანა = შეყვარებულებს“ — ასეთი წარწერა ხშირად ჩნდებოდა დაფასა და საკლასო ოთახის კედლებზე.

მალე ყოველივე ამან ნიკას დედ-მამის ყურამდეც მიაღწია.

— შეყვარებულია. მალე რძალს მომიყვანს ოჯახში!... — ხუმრობდა დავითი.

თავიდან ნიკას აღიზიანებდა მამისა და მისი ნაცნობ-მეგობრების ხუმრობა და ყველას უმტკიცებდა, რომ ანა არ უყვარდა და უბრალოდ, მოსწონდა ლამაზ და ფაქიზ გოგონასთან ერთ მერხთან ჯდომა. მაგრამ სულ მალე აღმოაჩინა, რომ ანა იმაზე მეტად იზიდავდა, ვიდრე მხოლოდ თანაკლასელი.

ასე ჩაიარა მათმა ბავშვობამ და დადგა სწავლის დამთავრებისა და სკოლასთან დამშვიდობების ხანა.

სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებული ბანკეტი მათი ერთ-ერთი თანაკლასელის აგარაკზე, წყნეთში გადაიხადეს. ნიკა სააგანგებოდ ემზადებოდა ამ დღისთვის. მამას მანქანაც კი სთხოვა და ახალთახალ კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა ანასთან, რათა მასთან ერთად მისულიყო ბანკეტზე. ეს დაუვიწყარი დღე იყო მისთვის. პრესტიჟული „ბეემვე“, გვერდით სავარძელზე ულამაზესი გოგონა, რომელიც მოხდენილი მოძრაობით ისწორებდა ქარით აწეწილ თმას... სულ ცოტა ხნით ადრე ნიკას ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო... შემდეგ კი...

ნიკამ დღემდე ვერ გასცა პასუხი კითხვას, თუ რატომ მოიქცა ასე. რისი ბრალი იყო ის, რაც შემდეგ მოხდა?.. მისი თვითდაჯერებულობისა თუ ღვინის, რომელიც იმ საღამოს დალია?..

თანაკლასელებმა თამადობა შესთავაზეს. ნიკას შინაგანად არ სურდა. თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ის საღამო მთლიანად ანასთვის მიეძღვნა. მაგრამ პირველობას შეჩვეულმა, მაინც არ თქვა უარი...

პირველ სადღეგრძელოს, მეორე მოჰყვა... მესამე... მეხუთე... მალე ნიკას სათვალავი აერია. მოგვიანებით კი აღმოაჩინა, რომ ანა და თანაკლასელი გოგონების ნაწილი საერთოდ აღარ ისხდნენ სუფრასთან.

— სად არის ანა? — რიხით იკითხა ნიკამ.

— აივანზე გავიდა, — უპასუხა რომელიღაც თანაკლასელმა.

— მოიყვანეთ!.. — კატეგორიულად მოითხოვა ნიკამ. მაგრამ ბრძანება არავის შეუსრულებია. ყველამ იცოდა, რომ ანა მხოლოდ საკუთარი სურვილით თუ დაუბრუნდებოდა სუფრას. მაშინ, ნიკა თავად მოშორდა სუფრას და ბარბაცით აივანზე გავიდა.

ანა და რამდენიმე გოგონა აივნის განაპირას მდგარ სუფრასთან ისხდნენ. ნიკას გამოჩენაზე გოგონებმა საუბარი შეწყვიტეს. რამდენიმე მათგანი კი საერთოდ გაეცალა იქაურობას.

ნიკა რამდენიმე წამი მოღუშული შესცქეროდა ანას, შემდეგ, აივანი გადაკვეთა, გვერდზე მიუჯდა და ჰკითხა:

— რატომ ხარ აქ?

— მაშ, სად უნდა ვიყო?

— ჩემ გვერდით...

— აქაც კარგად ვგრძნობ თავს, — ცივად უპასუხა ანამ.

მკვახე პასუხმა კიდევ უფრო გააღიზიანა ნიკა. ანას ხელი მოხვია და მბრძანებლურად უთხრა:

— მაკოცე!..

— რა-ა?! — ბრაზი მოერია ანას.

— მაკოცე!.. — გაიმეორა ნიკამ. მაგრამ ანას არც კი უფიქრია მისი ბრძანების შესრულება. ამის მაგივრად, ხელიდან გაუსხლტა. ადგა.

ნიკამ მაინც არ მისცა წასვლის საშუალება. წელზე მოხვია ხელი, ძალით დაისვა მუხლებზე და თვითონ აკოცა. ანამ გაიბრძოლა, შემობრუნდა და მოძალადეს სილა გააწნა. აივანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ნიკამ უმალ გაუშვა ხელი ანას, წამოჭარხლებული, ფეხზე წამოვარდა და ბრაზით ისროლა:

— შენ რა, შეიშალე?!

პასუხად ანამ ცრემლით სავსე თვალები შეანათა.

— შენ... შენ... შენ... — ანამ შესაფერისი სიტყვა ვერ გამონახა, შებრუნდა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

რამდენიმე წამის შემდეგ, ნიკამ, თეთრ კაბაში გამოწყობილი გოგონას სილუეტს მოჰკრა თვალი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით გავიდა ეზოდან და უკვე გზატკეცილს მიუყვებოდა.

ეს იყო და ეს. იმ საღამოს შემდეგ, ნიკა მხოლოდ ორჯერ თუ შეხვდა ანას. ორივე შეხვედრა სკოლასა და ატესტატის მიღებას უკავშირდებოდა. მაგრამ ანა ახლოსაც არ გაეკარა და მისი მოსმენაც კი არ ისურვა. შემჩნევისთანავე, ზურგი შეაქცია და იქაურობას გაეცალა. ნიკამ რამდენჯერმე ტელეფონით სცადა მასთან დაკავშირება, მაგრამ — ამაოდ. ანა არ პასუხობდა. როგორც კი მისი ხმას გაიგონებდა, მაშინვე ყურმილს კიდებდა. ამან ნიკაც გააღიზიანა და საერთოდ შეწყვიტა მასთან რეკვა. მოგვიანებით კი, მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო — ის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. უნივერსიტეტმა ახალი მეგობრები შესძინა. პირველი კურსის დახურვის შემდეგ კი, სწავლა გერმანიაში განაგრძო. ასე დარჩა ანა წარსულში. ახალმა საზრუნავმა და საქართველოდან შორს ყოფნამ თავისთავად გაახუნა მასთან დაკავ-

შირებული მოგონებები. თუმცა, ამის მიუხედავად, ნიკას არ დავიწყებია ყოფილი თანაკლასელი. დროდადრო, ბავშვობის მეგობრებთან მოიკითხავდა ანას და იცოდა, რომ ის თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. სხვა კი... სხვა არაფერი. ნიკა თვითონაც გრძნობდა, რომ დამნაშავე იყო მის წინაშე, მაგრამ ამას მხოლოდ საკუთარ თავთან თუ აღიარებდა, სხვასთან კი — არასოდეს.

გასჩენია თუ არა ანას მონახულებისა და ბოდიშის მოხდის სურვილი?..

ამაზე სერიოზულად არც კი უფიქრია. მომხდარი ბავშვურ ანცობად უფრო მიაჩნდა, ვიდრე გააზრებულ ქმედებად. მისი აზრით, ანას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ის მთვრალი იყო და არ უნდა დაშორებოდა. მაგრამ ანასთან შეხვედრამ, მისი სხეულის სითბომ, კოცნამ და თმის თავბრუდამხვევმა სურნელმა ერთბაშად გამოაცოცხლა მასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ნიკას უმალ თვალწინ დაუდგა თეთრბაფთიანი, ცისფერთვალება ფერია, რომელთან ერთად მერხთან ჯდომასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა. გაიხსენა ყველა დღე, რომელიც მის სიახლოვეს ჰქონდა გატარებული და ის წვეულებაც, რომელზეც ანას აწყენინა. ამჯერად ნიკამ სხვა თვალით შეხედა წარსულს და აღიარა, რომ მართლაც, დამნაშავე იყო მის წინაშე. და ამასთან ერთად იგრძნო, თუ რამდენი დაეკარგა მასთან განშორებით...

დაახლოებით ორი საათის შემდეგ, ანა მარტო დაბრუნდა მანქანასთან. მისი დანახვისას ნიკამ სიგარეტი ჩააქრო და კარი გააღო. ანამ უსიტყვოდ მიხურა წინა კარი და უკანა სავარძელზე დაჯდა.

— როგორ არის ჭელიძე? — მიუბრუნდა ნიკა.

— ცუდად... ძალიან ცუდად, — ამოიხრა ანამ. — ზედამხედველმა გვიან შენიშნა, რომ ვენები ჰქონდა გადაჭრილი. ბევრი სისხლი დაკარგა. ნანამ მასთან დალაპარაკებაც ვერ მოახერხა.

— უგონოდაა?

— არა. მაგრამ ისეა დასუსტებული, რომ კითხვაზე პასუხის გაცემაც არ შეუძლია. ჯერჯერობით, ციხის ლაზარეთშია.

— ნანა სად არის? — განაგრძო ნიკამ.

— ჭელიძის უფროსი ძმა, რეზო უნდა მოინახულოს. მე ადვოკატის ორდერი არა მაქვს და ადმინისტრაციიდანვე გამომაბრუნეს უკან.

— ესე იგი, ადვოკატი ხარ... — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ნიკამ.

— ჰო... სხვა შემოთავაზებებიც მქონდა, მაგრამ საადვოკატო ფირმა დავაფუძნე.

— რას გთავაზობდნენ?

— რამდენიმე კომპანიამ იურისტის თანამდებობაზე მიმიწვია, მაგრამ ადვოკატობა ვირჩიე.

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას. — იურისტად უფრო მშვიდად არ იმუშავებდი? შემოსავალიც მეტი გექნებოდა, სამუშაო კი — ნაკლები!

— თავიდანვე ასე მქონდა გადაწყვეტილი. ამისთვის ჩავაბარე იურიდიულ ფაკულტეტზე... — ანამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მოდი, შენზე მიამბე რამე... როგორ ხარ?

— ცუდად, — მოკლედ უპასუხა ნიკამ.

— რატომ? — სწრაფი მზერა ესროლა ანამ.

ნიკა დიდხანს დუმდა. შემდეგ, მზერა გაუსწორა და თქვა:

— ვერ ვხვდები, რამ დამაბრმავა... ექვსი წელია, რაც აღარ მინახავხარ... ან როგორ გავძელი უშენოდ...

— არ გინდა, ნიკა, გთხოვ... — შეაწყვეტინა ანამ.

— არა. ყველაფერი უნდა გითხრა! მე დამნაშავე ვარ...

— თუ ბოდიშის მოხდას აპირებ, გეტყვი, რომ საჭირო არ არის: მე დიდი ხნის წინ გაპატიე ყველაფერი. სხვა რა უნდა მითხრა?..

— ბევრი რამ, — სწრაფად უპასუხა ნიკამ.

— არ გინდა.

— რატომ? ვინმე ხომ არ...

— ნიკა!.. — ისევ შეწყვეტინა ანამ. — ისევ უნდა მაწყენინო?!.

— არა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა. არ ვიცი, როგორ და რატომ... ეტყობა, შევეგუე ან შევეჩვიე უშენობას. მაგრამ საკმარისი იყო, მენახე და ყველაფერი ერთბაშად გაცოცხლდა...

— შეწყვიტე, ნიკა! — შესამჩნევად აღელდა ანა. — ახლა არ შემიძლია შენთან საუბარი. შენც კარგად იცი, რისთვისაც ვარ აქ!..

— მაგაზეც მინდოდა ორიოდე სიტყვის თქმა... ამ საქმეში ჩაბმას აპირებ?

— რაიმე საწინააღმდეგო გაქვს?

— მაქვს, — დაუდასტურა ნიკამ.

— შენი მეგობრის ინტერესები გალაპარაკებს!.. — ცივად შენიშნა ანამ.

— რომელი მეგობრის? — დაიბნა ნიკა.

— მერაბ მესხს ვგულისხმობ!

— მესხი ჩემი მეგობარი არ არის!

— ვინ იცის... — მზერა აარიდა ანამ.

— რა-ა?! — ბრაზი მოერია ნიკას. — შენ გგონია, რომ ნანასთან მერაბის დავალებით მოვედი?! ასე მიცნობ?..

— მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. მაშინ შენ უბრალოდ, ფიცხი და თავქარიანი ბიჭი იყავი. ახლა კი, გამომძიებელი ხარ!..

— არა, ანა. მე ეს მსურს არა როგორც გამომძიებელს, არამედ, როგორც შენს მეგობარს. შეიძლება, შენ ყველაფერი არ იცი ამ საქმის შესახებ. რა გიამბო ნანამ?

— ცდები, ნიკა. მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ნანამ. მე პირველმა შევთავაზე ჩემი სამსახური რეზო ჭელიძეს, მაგრამ მან უარი მითხრა და შედეგიც სახეზეა... ახლა კი, ნანა მთხოვს დახმარებას.

— ეს სახიფათო საქმეა!..

— რჩევისთვის დიდ მადლობას გიხდი, მაგრამ ამ საქმეში მაინც ჩავებმები, — უპასუხა ანამ.

ნიკას რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, მანქანისკენ მომავალი ნანა შენიშნა და საუბრის გაგრძელების მაგივრად, ანას ზურგი შეაქცია და სიგარეტს მოუკიდა.

ნანას აშკარად ემჩნეოდა, რომ ნიკას თანდასწრებით აღარ სურდა ჭელიძეების საქმეზე ლაპარაკი, მაგრამ მან არჩევანის საშუალება არ მისცა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს საუბარი ორივე მხარისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. საკითხი ეხებოდა მოწმეს, რომელიც გიორგი ჭელიძის საქმეში ფიგურირებდა.

— როგორ თქვით?.. — დაიძაბა ნიკა, როდესაც ნაცნობ სახელსა და გვარს მო-

ჰკრა ყური.

— დიმიტრი ბიბილური, — უპასუხა ნანამ.

— ბიბილური... ბიბილური... — შუბლი მოისრისა ნიკამ. — სადღაც მსმენია ეს სახელი!..

— არ არის გამორიცხული. ბიბილური აქტიური აგენტია. ბევრ სისხლის სამართლის საქმეში და სასამართლო პროცესზე შევხვედრივარ ამ პიროვნებას, — ჩაურთო ანამ.

— არა... არა... გამახსენდა! ბიბილური ჩემს საქმეში ფიგურირებს!.. — გაიხსენა ნიკამ.

— მოწმედ? — ჰკითხა ნანამ.

— არა. მე მას არც შევხვედრივარ. ერთ-ერთმა მოწმემ მოკლულის ყოფილ მეგობრად დაასახელა და თანაც მითხრა, რომ შესაძლოა, მას რაღაც აკავშირებდეს ამ მკვლელობასთან.

— არა მგონია, — თავი გააქნია ნანამ. — ბიბილური ხელიდან წასული მორფინისტია. თანაც, ის არასოდეს ყოფილა აქტიური კრიმინალი. მთელი მისი „მოღვაწეობა“ ინფორმატორობით შემოიფარგლება, რაშიც წამალსა და ხელშეუხებლობის გარანტიას იღებს. სხვათა შორის, ის მესხის პირადი ინფორმატორია.

— რა ჩვენება მისცა ბიბილურმა? — დაინტერესდა ნიკა.

— ის ამტკიცებს, რომ გიორგი ჭელიძე სუბუტექსის შეძენას სთავაზობდა.

— დაჰკითხეთ? — განაგრძო ნიკამ.

— დავკითხე. მაგრამ ეს წმინდა წყლის ფორმალობა იყო. ბიბილურმა სიტყვასიტყვით გაიმეორა სხირტლაძისთვის მიცემული ჩვენება. ასეთი „ნასედკის“ რაიმეში გამოჭერა ძალიან ძნელია. როგორც წესი, ისინი კარგად აკეთებენ თავიანთ საქმეს და შეცდომებსაც არ უშვებენ. სხირტლაძეს ან მესხის რომელიმე „ოპერს“ უფრო ადვილად „ჩაჭრი“, ვიდრე გამოცდილ ინფორმატორს. თანამშრომლებმა იციან, რომ ხელმძღვანელობა ასე ადვილად არ გაწირავს და შედარებით გაბედულები არიან. ამიტომაც უშვებენ შეცდომებს. ბიბილურს კი, შეცდომას არავინ აპატიებს და ისიც შესაბამისად, ფრთხილობს.

— ეს მართალაც, საინტერესოა, — ჩაილაპარაკა ნიკამ. შემდეგ, საათს დახედა და მანქანიდან გადავიდა.

— მიდიხარ? — ჰკითხა ნანამ.

— ჰო... დღის მეორე ნახევარში ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, — ნიკამ პაუზა გააკეთა და ანას გახედა: — მოიცლი ჩემთან შესახვედრად?.. ბევრ დროს არ წაგართმევ. იმ ექვსი წლის სანაცვლოდ, მხოლოდ ერთი საღამოს ჩემთან გატარებას გთხოვ.

— დამირეკე... — ღიმილით ჩაილაპარაკა ანამ.

— დაგირეკავ, — თავი დაუქნია ნიკამ და კარისკენ წავიდა.

ნიკა საღამოს დაბრუნდა სამართველოში. მის დანახვაზე, რომანმა სისხლის სამართლის საქმის მასალები გვერდზე გადადო და ჰკითხა:

— რას მეტყვი კარგს და ახალს?

— ვერაფერს, — ნიკა სკამზე დაჯდა და მაგიდაზე უხალისოდ დააგდო საქაღალდე.

— დაჰკითხე დაზარალებულები? — განაგრძო რომანმა.

ნიკამ უკმაყოფილო მზერა ესროლა ჯგუფის ხელმძღვანელს. მისი დავალება თავიდანვე არ მოეწონა. კუტივაძის, ფურცელაძისა და ზარანდიას ოჯახის წევრები ადრეც ჰყავდა დაკითხული. მეორედ ისინი გვამების ამოცნობისას დაჰკითხა. მაშინ დაზარალებულებს არაფერი უთქვამთ ახალი და რა უნდა დაემატებინათ მესამე დაკითხვისას?.. ამის თაობაზე რომანსაც უთხრა, მაგრამ მან მაინც დაავალა მათთან შეხვედრა. შეხვედრა არაფრის მომცემი აღმოჩნდა. დაზარალებულებმა სიტყვასიტყვით გაიმეორეს ძველი ჩვენებები და ამასთან ერთად, გამომძიებლების მიმართ უკმაყოფილებაც გამოთქვეს.

— უკმაყოფილონი არიან? — გაიკვირვა რომანმა, როგორც კი ნიკა ამის შესახებ ალაპარაკდა. — რითი?

— მათი აზრით, ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით და არაფერს ვაკეთებთ მკვლელების გამოსავლენად, — უპასუხა ნიკამ.

— ამ შემთხვევაში, მათი აზრი არაფერს წყვეტს, — მშვიდად თქვა რომანმა.

— შეიძლება, მაგრამ მე მათ ვეთანხმები, — შენიშნა ნიკამ.

— ეთანხმები?.. რაში?

— არ გეწყინოს, რომან, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ იმას არ ვაკეთებთ, რაც საჭიროა.

— მაგალითად, რას არ ვაკეთებთ?

— დაზარალებულების დაკითხვის მაგივრად, ხომ არ ჯობდა, გორგაძის ტელეფონით გაკეთებულ ბოლო ზარებზე გვემუშავა?

— ეს ძაფი გაწყდა, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რომანმა.

— გაწყდა?! — გაუკვირდა ნიკას. სატელეფონო კომპანიიდან ამ ინფორმაციის გამოთხოვების იდეა რომანს ეკუთვნოდა. მაგრამ ნიკამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, თუ რა პასუხი მიიღო მან.

— გორგაძის მობილურის თაობაზე, კომპანიას რაიმე მონაცემი არ გააჩნია. ტელეფონით არავის უსარგებლია.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში, ერთხელაც არ დაურეკავთ? — ჩაეძია ნიკა.

— არა, — თავი გააქნია რომანმა.

ნიკა ჩაფიქრდა. რომანის პასუხი უცნაურად ჟღერდა. რისთვის უნდა გაეაქტიურებინათ ბარათი, თუკი ტელეფონით სარგებლობას არ აპირებდნენ? ეს ხომ სრული უაზრობა იყო!

— კიდევ რა არ მოგწონს ჩვენს მუშაობაში?.. — ფიქრს მოსწყვიტა რომანმა.

— დაზარალებულებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეს, — განაგრძო ნიკამ.

— რითი?

— იცი, როგორ შემომიტია ზარანდიას ძმამ, როდესაც გაიგო, რომ ჩვენ ჯერაც არ დაგვიკითხავს ბიბილური?!.

ნიკა ტყუოდა: დაკითხვისას ზარანდიას ძმას საერთოდ აღარ უხსენებია ბიბილური. ნიკას მხოლოდ რომანის პროვოცირება სურდა. მესხთან შეხვედრის შემდეგ, მას უცნაურად ეჭირა თავი და ახლა მართლაც, აინტერესებდა, თუ რას მოიმოქმედებდა ჯგუფის ხელმძღვანელი ინფორმატორის ხსენებაზე, რომელიც ორ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებდა.

რომანი მშვიდად შეხვდა ბიბილურის ხსენებას. მაგრამ მისი სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. ნიკას არ გამოჰპარვია უკმაყოფილება, რომელმაც მას სახეზე გადაურბინა.

— ვინ არის ბიბილური? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა რომანმა.

— არ გახსოვს? — გაიკვირვა ნიკამ. — ზარანდიას ძმამ ჩვენებისას თქვა, რომ ის ფურცელაძის ახლო მეგობარი იყო და რაღაც საქმეები აკავშირებდა გარდაცვლილებთან.

— გამახსენდა... — თავი დაუქნია რომანმა. — მისი დაკითხვა ზედმეტად მიმაჩნია.

— რატომ?

— წარმოიდგინე, რამდენი ასეთი ნაცნობი ჰყავდა ზარანდიას. ყველას ვერ დავკითხავთ.

— მაგრამ ზარანდიას ძმამ მხოლოდ მასზე გაამახვილა ყურადღება, — შენიშნა ნიკამ.

— აქედანვე შეეჩვიე დაზარალებულებთან მუშაობას. კარგად ვიცნობ მათ ფსიქოლოგიას. ყოველ მათგანს თავი პინკ-

ერტონად მიაჩნია და თავის შესაქცევად, საკუთარ ვერსიებს თხზავს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რომანმა.

— გეთანხმები... ბიბილურმა მართლაც, არაფერი იცის ამ საქმის შესახებ...

— საიდან დაასკვენი? — გაოცებული მზერა ესროლა რომანმა.

— საიდან უნდა ვიცოდე?.. თავად ბიბილურმა მითხრა.

— შენ რა, ბიბილურს შეხვდი?

— ჰო... ეს შემთხვევით მოხდა. დაკითხვას ვამთავრებდი, როდესაც ზარანდიას ძმამ ქუჩაში ბიბილური შენიშნა და მეც ხელიდან არ გავუშვი მისი...

— მოიცა, მოიცა!.. — შეაწყვეტინა რომანმა. — ვერაფერს მივხვდი. შენ რა, ქუჩაში დაჰკითხე ზარანდია?

— არა. მის მაღაზიაში.

— რომელ მაღაზიაში?

— დაგავიწყდა?.. ზარანდიას სახლის სიახლოვეს საკუთარი მაღაზია აქვს, — უპასუხა ნიკამ.

რომანი რამდენიმე წამი ჩაფიქრებული შესცქეროდა ნიკას. შემდეგ, სიგარეტს მოუკიდა და თქვა:

— დაწვრილებით მომიყევი, როგორ შეხვდი ბიბილურს...

ეს მეორე ტყუილი იყო, რომელიც ნიკამ რომანს უთხრა. ის მართლაც, მაღაზიაში შეხვდა ზარანდიას. დაკითხვის ბოლოს კი, თავად შეახსენა მას ბიბილური. ზარანდიამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, თუ ამჟამად რას საქმიანობდა მისი ძმის ყოფილი მეგობარი. მხოლოდ ის უთხრა, რომ მისი ნახვა ტოტალიზატორში შეიძლებოდა, რომელიც ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა. მათი საუბარი ამით დასრულდა. ნიკა, ზარანდიას დაემშვიდობა და ტოტალიზატორს მიაშურა.

სიგარეტის კვამლში ჩაძირულ დარბაზში ოცდაათიოდე მამაკაცს მოეყარა თავი. ისინი ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს ადევნებდნენ თვალს და თავის უკმაყოფილებას თუ სიხარულს ხელების ქნევითა და ემოციური შეძახილებით გამოხატავდნენ.

ნიკა წამით შედგა. დარბაზი შეათვალიერა და კუთხეში, სკამზე მჯდომ ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცზე შეაჩერა მზერა. ზარანდიას აღწერით, სწორედ ის უნდა ყოფილიყო დიტო ბიბილური.

— გაუმარჯოს! — ნიკა ბიბილურის გვერდით ჩამოჯდა.

— გამარჯობა!

— შენ ხარ დიტო ბიბილური? — ჰკითხა ნიკამ.

— დავუშვათ, მე ვარ, — შესამჩნევად დაიძაბა ბიბილური.

— მომისმინე, ბიჭო!.. — ცივად გამოცრა ნიკამ. — სალაყაფოდ არ მოვსულვარ. შენ ხარ ბიბილური თუ არა?

— მე ვარ. რა გინდა?

— გარეთ გავიდეთ. აქ ვერ ვილაპარაკებთ...

— ვინ ხარ და რა გინდა?

ნიკამ უხმოდ უჩვენა პირადობის მოწმობა. მისდა გასაოცრად, მოწმობის ხილვამ ბიბილური დაამშვიდა.

— თავიდანვე გეთქვა, რომ თანამშრომელი ხარ, — ჩაილაპარაკა სწრაფად და ფეხზე წამოდგა.

რამდენიმე წუთში, საუბარი ნიკას მანქანაში განახლდა.

— სამმართველოდან ხარ? — საქმიანი იერით იკითხა ბიბილურმა.

— არა. სამტრედიაში ვმუშაობ.

— სამტრედიაში?! — გაუკვირდა ბიბილურს. — სამტრედიასთან არაფერი მაკავშირებს...

— რა იცი ზარანდიას შესახებ? — საქმეზე გადავიდა ნიკა.

— ზარანდია დაიბრიდა, — მშვიდად ჩაილაპარაკა ბიბილურმა.

— კიდევ რა იცი მის შესახებ?

— აზრზე არა ვარ, რა გაინტერესებს.

— ახლობლობდი ზარანდიასთან?

— „პროსტო“ ვიცნობდი...

— ფურცელაძესა და კუტივაძეს? — განაგრძო ნიკამ.

— მაგათ კარგად ვიცნობდი, — დაუდასტურა ბიბილურმა.

— საქმე გაკავშირებდათ?

— გააჩნია, რას ეძახი საქმეს.

— ერთად ჩალიჩობდით?

— არა!.. — ცივად მოსხიპა ბიბილურმა. — „პროსტო“ ვახლობლობდით, რა... ხან ის იყო, ხან — ეს. სერიოზული არაფერი.

— ჩხუბი რაზე მოგივიდათ?

— ესეც იცი?!. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბიბილურმა.

— მიპასუხე!.. — ბრაზით ისროლა ნიკამ.

— ძველი საქმეა. წელიწადზე მეტი დრო გავიდა. ფურცელაძემ პრეტენზია წამომიყენა: მაყუთი მომიტეხეო!.. არ იყო მართალი, მაგრამ მე თვითონ არ ავტეხე ხიპიში. კარგად ვიცოდი, რა ახვარიც იყო. მაგასთან თეთრი და შავი არ ჭრიდა. ხიპიში რომ გამეგრძელებინა, თავის „სასტავს“ მომიქსევდა და მაგრად ჩავიწიხლებოდი. ისე კი, ერთი-ორი მაინც ამარტყეს და შემეშვნენ... მაგ ამბის შემდეგ, ერთმანეთს აღარ ვხვდებოდით. ის თავისთვის ჩალიჩობდა, მე — ჩემთვის.

— რას ჩალიჩობდა?

— აზრზე არა ვარ, ძმაო.

— მე შენი ძმა არა ვარ!.. — შეუბღვირა ნიკამ.

— კარგი, რა მოხდა?.. „პროსტო“, „ბაზარმა“ მოიტანა, — შეცბუნებული სახით ჩაილაპარაკა ბიბილურმა.

— რას ჩალიჩობდა ფურცელაძის „სასტავი“? — კითხვა გაუმეორა ნიკამ.

— ხომ გითხარი, რომ მაგათ ახლოს არ ვეკარებოდი და მაგათი საქმეების აზრზე არა ვარ.

— იცი, საზღვარგარეთ რომ მიმოდიოდა?

— ჰო, „ფირმაში“ ხშირად დადიოდა, — დაუდასტურა ბიბილურმა, — უბანში „ბაზრობდნენ“, პარფიუმერიით „ბარიგობსო“.

— მეტი არაფერი იცი მის შესახებ?

— არაფერი.

— სხვა საქმეში თუ გადიხარ?.. — ჰკითხა ნიკამ.

— რა საქმეს გულისხმობ?

— რომელიმე გამოძიებაში ხომ არ ფიგურირებ? — დააზუსტა ნიკამ.

კითხვამ აშკარად დააბნია ბიბილური. ის რამდენიმე წამი დუმდა. შემდეგ ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— არა.

— არ გამოგვივიდა „ბაზარი“, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნიკამ და მანქანა დაქოქა.

— ეე, რას აკეთებ?! — უმალ გამოცოცხლდა ბიბილურა. — სად მიგყავარ?..

— სამმართველოში „დაგებაზრები“! — ცერად გახედა ნიკამ.

— მოიცა, მოიცა!...

— რამის თქმა გინდა?

— არ გინდა ჩემთან ასეთი ლაპარაკი. უბრალო კაცი ვარ, მაგრამ შენს სამუშაოში ცოტას მაინც ვერკვევი. შენ სამტრედიელი გამომძიებელი ხარ. ვინ მოგცა ჩემი „აგდების“ უფლება?!. აქ რაიონის პოლიცია ჩალიჩობს და ის ხალხი კარგად მიცნობს. ასე ადვილად არავინ მოგიშვებს ჩემთან...

— ჰოდა, სწორედ ის ხალხი ამოგიყვანს ჩემთან!

— სად? სამტრედიაში?.. — ოდნავ შესამჩნევი ირონიით შენიშნა ბიბილურმა.

— სამმართველოში, ახვარო!.. — ბრაზით მიუგდო ნიკამ. — ახლა კი, გაქრი აქედან!..

ბიბილურმა ღვარძლით სავსე მზერა ესროლა და მაშინვე გადავიდა მანქანიდან...

— სულ ეს იყო? — იკითხა რომანმა, როგორც კი ნიკამ თხრობა დაამთავრა.

— ჰო... რაღა აზრი ჰქონდა მასთან „ბაზარის“ გაგრძელებას?!. ტოტალიზატორთან დავტოვე და წამოვედი.

— ერთ რამეს ვერ მივხვდი, — განაგრძო რომანმა, — რას გულისხმობდი, როდესაც ბიბილურს სხვა საქმეზე ეკითხებოდი?

— გაგიკვირდება, მაგრამ ეგ ახვარი ჭელიძის საქმეში მოწმედ გადის... — უპასუხა ნიკამ. — ჭელიძეს პირზე ადგება: „ბარიგა“ ხარ და მე მთავაზობდი წამალსო!..

— ისევ ჭელიძე!.. — ამოიოხრა რომანმა. — მოდი, რა, ჩვენს საქმეს მივხედოთ!..

— მივხედოთ და სწორედ ამიტომ უნდა გთხოვო ბიბილურის აქ მოყვანა და სერიოზული დაკითხვა. რაიმე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო? — მზერა გაუსწორა ნიკამ.

— არა... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა რომანმა. — მოიყვანე!..

— ჯიგარი ხარ! — უპასუხა ნიკამ და მაშინვე გავიდა ოთახიდან.

რომანმა ჩაფიქრებული მზერით გააცილა თანაშემწე და როგორც კი მან კარი გაიხურა, სწრაფად გადასწვდა ტელეფონს და მესხის ნომერი აკრიბა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უკანასკნელი მოჰიკანის ლეგენდად ქცეული სიყვარული და ტრაგედია, რომელმაც ნათელი სახეები ვერ დაჩრდილა

„ჩემი ბედი და ცხოვრება ისე აეწყო, რომ ბევრი ვიტანჯე, მაგრამ ხალხის სიყვარული იყო ყველაფერი. ის უფრო დიდი გახლდათ, ვიდრე ომით გამოწვეული სასოწარკვეთა და ლტოლვილობით განცდილი გულისტკივილი“, — ამბობს 89 წლის მსახიობი ნორა ყიფიანი. ის თავს სოხუმის თეატრის დიდებისა და ბრწყინვალეების ხანს უკანასკნელ მოჰიკანად მიიჩნევს. მისი ცხოვრება, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სიყვარულის გამომხატველი ურღვევი ჯაჭვი, ქართველის, ბერძნის, სომხის, რუსისა და აფხაზის მეგობრობის ამსახველი მცირე მატიანეა... ქალბატონ ნორას ყოველი გაღვიძებისას ახსენდება მწვანე კაბაში გამოწყობილი დედა, რომელიც მას „კოკროჭინას“ ეძახდა. ეს „კოკროჭინა“ ახლა, მთელი სოხუმის თეატრის დასის დედაა და ჩვენთან საუბარს ასე იწყებს:

ლელა ჭანკოტაძე

— ძალიან გთხოვთ, ყველამ დაიმახსოვრეთ — დამკრძალეთ ჩემი ვიქტორის გვერდით, იქ, სადაც პატარა „სკამეიკაც“ დგას. არ დამიწყოთ თეატრალურ საზოგადოებაში გადასვენება, ხალხის შეწუხება და აქეთ-იქით ტარება. პირდაპირ სახლიდან გამასვენეთ. ამას გეუბნებით ყველას — ჩემს მეგობრებს, ახლობლებს, მეზობლებს. ამას წინათ, ტელევიზიით მოვისმინე, რომ თურმე, გენიალური სესილია თაყაიშვილიც სიბერეში იმავეს ამბობდა... სხვა რა მაქვს, რომ გიანდერძოთ, ჩემი სიყვარულისა და დაუვიწყარი მოგონებების გარდა?! 56 წელი ვითამაშე სცენაზე. თეატრში პირველი როლი რომ მომცეს, 20 წლის გახლდით. მხოლოდ 37 კგ-ს ვიწონიდი და მეხუთეკლასელს ვგავდი. ამიტომ ძირითადად, პატარა ბიჭების როლს მაძლევდნენ. ეს იყო სისხლიანი და ტკივილიანი 1938-39 წლები. რუსული განათლება მქონდა მიღებული, ქართულად ლაპარაკი მიჭირდა. ამის გამო, მოფერებით, „რუსაპეტას“ მეძახდნენ.

— სოხუმის თეატრმა რეპრესიები როგორ გადაიტანა?

— იქ ისეთი სპექტაკლები იდგმებოდა, რომლებსაც ქვეტექსტები არ ჰქონდა. ჩვენთან მუშაობდა არაჩვეულებრივი ქალბატონი — ნინა სალინა. ის გახლდათ ცნობილი ოჯახის შვილი. შეხვედრია ანა ახმატოვას, ალექსანდრ ვერტინსკის ნინას ქმარი რეპრესიების დროს დაიჭირეს. ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა, მაგრამ ნუგეშს ვერ ვცემდი, მასთან მეგობრობის მეშინოდა... რუსულ დასში ირიცხებოდა უნიჭიერესი მსახიობი — რადოვი. ჩვენ პარტნიორები ვიყავით. ერთი „პაკლონიცა“ ჰყავდა, რომელიც ყველა სპექტაკლს ესწრებოდა და მას ყვავილებს უძღვნიდა. რადოვი ამ ყვავილებს მაშინვე მე მჩუქნიდა ხოლმე... ერთ-ერთი ჩვენი რეჟისორი თავის ცოლზე ეჭვიანობდა, ფიქრობდა, რომ ის რადოვთან ღალატობდა და მეტოქის მოშორება განიზრახა, დაასმინა. ბორკილები დაადეს და წაიყვანეს. მას მერე აღარ გვინახავს. ვიცოდით, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ მის დასაცავად სიტყვაც ვერ ვთქვით.

— მაშინ როგორი ურთიერთობა გქონდათ ქართველ და აფხაზ მსახიობებს?

— სოხუმში ხუთი დასი არსებობდა: სომხური, ბერძნული, რუსული, აფხაზური და ქართული. რუსული დასი კვირაში ოთხ სპექტაკლს წარმოადგენდა, რადგან რუსულ წარმოდგენებზე ხუთივე ეროვნების ადამიანები დადიოდნენ. აფხაზები და ქართველები ხშირად, ერთმანეთის სპექტაკლებში ვთამაშობდით. აფხაზური დასის ერთ-ერთი დამაარსებელი გვარად, კასლანდია გახლდათ. მან მითხრა: აფხაზური ენა ისწავლე, ჩვენი პედაგოგი გახდები, ხელისგულზე გატარებთო. მაშინ სოხუმში თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა. უდიდეს რეჟისორებთან ვმუშაობდი. ვასო ყუშიტაშვილს ამერიკასა და საფრანგეთში საკუთარი თეატრალური სალონები ჰქონდა; ყველაფერი მიატოვა და სოხუმის თეატრში ჩამოვიდა. ენთუზიაზმი უმძიმეს წლებშიც არ განელებულა. მახსოვს, სოხუმიდან ტუაფსემდე ჰოსპიტლებში დაჭრილებისთვის სპექტაკლებს ვმართავდით. სიცივეში, თოვლსა თუ წვიმაში „გრუზავიკით“ დავდიოდით და ხალხს ხელოვნების სიყვარულს ვუნაწილებდით. არადა, იცით, როგორ ჭირდა ცხოვრება?! შავ ბაზარზე 1 კგ კარაქი 500 მანეთი ღირდა. თითქმის წარმოუდგენელი იყო ახალი ტანსაცმლის ყიდვა. თეატრში კი მაყურებელი მაინც დადიოდა. ადამიანებს უფრო წრფელი და სათუთი გრძნობები გვქონდა. ასე მგონია, უფრო ძლიერი სიყვარულიც შეგვეძლო.

— თქვენ სიყვარულის შესახებაც მიამბეთ.

— ბედმა სამი კაცის ცოლობა მარგუნა. სამივე ერთმანეთზე უკეთესი ვაუკაცი იყო. პირველი ქმარი სვანი გახლდათ, ჩემზე 30 წლით უფროსი იყო. ისე ვუყვარდი, მთელი სოხუმი მას გულშემატკივრობდა. ამიტომაც გავყევი, თორემ, მის მიმართ ძლიერი გრძნობა არ მქონია. მასთან პაემანზეც კი არ ვყოფილვარ. ისე მერიდებოდა, რომ დაქორწინების შემდეგ, რამდენიმე თვის მანძილზე, „თქვენობით“ მივმართავდი. 12 თვე ვიცხოვრეთ ერთად: საბრალო, ტიფით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ, ჩემს სახელს იმეორებდა, თან — ჩურჩულებდა: მაპატიეო... მეორე ქმარი ბორის სემიონოვი გახლდათ — ჩემი უკვდავი და დიდი სიყვარული. ის ომიდან დაბრუნებისთანავე, სოხუმში ძმის — გენერალ სემიონოვის სანახავად ჩამოვიდა. ცხადია, თეატრშიც მოვიდა. დამინახა და... ამ ქალაქში დარჩა. მეც შემიყვარდა. სიყვარულმა მეორედ გათხოვება გადამაწყვეტინა. ერთად 7 წელი ვიცხოვრეთ. ვაჟიც შეგვეძინა. ერთი სიტყვით, უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით. მაგრამ მაშინდელ „ობკომის“ (კომპარტიის საოლქო კომიტეტის) მდივანთან კამათი მოუვიდა, ამიტომ, საცხოვრებლად და სამუშაოდ, სოჭში გადავიდა. ბორისი მხატვარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მის გარეშე წუთითაც ვერ ვძლებდი, მაინც სოხუმში დავრჩი. ბევრ სპექტაკლში ვმონაწილეობდი და ძალიან დაკავებული ვიყავი. ბორისმა კი, იქ სხვა ქალი გაიცნო. ეს ამბავი რომ გავიგე, ჩემს ბიჭუნას ხელი მოვკიდე, ყველაფერი — სახლი, თეატრი, მეგობრები მივატოვე და მასთან ჩავედი, მაგრამ... ამის გახსენება მიჭირს: ომის წვრილმანებს მოგიყვებით, ღალატისას კი — ვერა. ყველა გაოცებული დარჩა. ვერავის წარმოედგინა, რომ ასეთი დიდი სიყვარულის დანგრევა შეიძლებოდა... ბორისი ჩემს პორტერეტებს ხატავდა. ის პორტრეტები სოხუმში დარჩა... სიყვარული, რომელიც ლეგენდად დადიოდა, ღალატმაც ვერ მოსპო. თუმცა, მაინც არ ვაპატიე...

— მესამედაც გათხოვდით, არა?

— მეორე ქმარს რომ დავცილდი, ვიქტორიც (*ნინიძე, მსახიობი. — ავტ.*) გამოჩნდა. ორი წლის მანძილზე, წუთითაც არ მაძლევდა მოსვენებას, ჩემს ლანდად იქცა. ბორისთან განშორება მისმა უზომო ყურადღებამ გადამატანინა. თურმე მაშინ მოვეწონე, როცა გათხოვილი ქალი ვიყავი. თეატრში დამინახა და იკითხა: ეს ქალი და მამაკაცი შეყვარებულები არიანო? — არა, ცოლ-ქმარიო, — უპასუხეს. ამ დროს, მე და ბორისმაც შევნიშნეთ, თუ როგორი ჟინითა და ვნებით მიყურებდა უცხო მამაკაცი. ვიქტორი არ დაიბნა და ბორისს უთხრა: прекрасная Норачка, неправда! ვიქტორთან ერთად სრული 40 წელი ვიცხოვრე. მახსოვს, ერთხელ ვუთხარი: გაჩერდი, თორემ, მეოთხედაც გავთხოვდები-მეთქი! — ნორიკო, კოკა ყოველთვის წყალს

არ მოიტანსო, — მიპასუხა. მაშინ 80 წლის ვიყავი... ვიქტორი ისეთი სიმპათიური იყო, რომ „კუკლიკას“ ეძახდნენ. ნორა ყიფიანისა და „კუკლიკას“ წყვილი ალბათ, ომგადახდილ სოხუმსაც კი ახსოვს და ემახსოვრება...

— თქვენ როგორი დაგამახსოვრდათ სოხუმი?

— ეს იყო ქალაქი, სადაც ყველას ერთმანეთი უყვარდა. ჩემი მეგობრების უმეტესობა აფხაზი იყო. მათ გვერდით გავატარე მთელი ცხოვრება. მე მათთვის ვიყავი любимая актриса. მახსოვს, ომისწინა დღეებში კარტოფილის საყიდლად წავედი. სახლში ორი ჩანთით ხელში ვბრუნდებოდი. აფხაზმა ქალმა ჩემს ჩანთებს ხელის სტაცა და სახლამდე მიმატანინა. ეს სიყვარული და პატივისცემა არ მოკვდებოდა. შეუძლებელია, სოხუმში ისევ არ გაისმას ქართველის ხმა... ჩვენი თეატრის მსახიობი, სოსო კალანდაძე (*ახლახან გარდაიცვალა. — ავტ.*) და მისი ცოლი — ნორა დასახვრეტად გაიყვანეს. ნორა მთელი ცხოვრება საბავშვო ბაღის გამგე იყო. ერთ-ერთმა ავტომატიანმა იცნო. თავისმა აღზრდილმა აღმზრდელს ტყვია ვერ დაახალა. თურმე ჩაიცუცქა ზორბა ყმაწვილი, სახეზე ხელები აიფარა და ყვიროდა: გაიყვანეთ, ორივენი აქედან, უვნებლები გაიყვანეთო!.. ცხადია, იყო ბევრი საშინელი იმედგაცრუებაც. როგორ შემიძლია იმის დავიწყება, რომ შვილის გვამთან მარტო ვიჯექი?!. ორი დღე და ღამე ისე გავიდა, სამძიმრის სათქმელად არავინ შემოსულა. მხოლოდ სანთელი კიაფობდა ჩემი ვოვას თავთან — ეს იყო და ეს...

— რითი გარდაიცვალა?

— 30 სექტემბერს, მეზობლის ქალმა ვოვა სადარბაზოს კიბეზე მკვდარი იპოვა. ალბათ, ბრმა ტყვია მოხვდა... სოხუმში ჩემი ახლობლებიდან აღარავინ იყო დარჩენილი. თეატრის მსახიობებიც უკვე თბილისში იმყოფებოდნენ. ისმოდა გაბმული სროლის ხმა. მთავარ მოედანზე ქართველების გვამები ეყარა. ვინ მომეხმარებოდა?!. აფხაზი მეზობელი მყავდა, გვარად შამბა. დახმარება მის ბიჭს ვთხოვე. სადღაც „ტაჩკა“ იპოვა. ორი ქართველი ბიჭი, რომლებიც იმალებოდნენ, დაეხმარნენ, გვამი „ტაჩკაზე“ დაასვენეს და ზღვისპირას წაიღეს. მეც გავყევი. იმ საბავშვო ბაღის ეზოში დავმარხეთ, რომელშიც გაიზარდა... ზღვიდან თეთრი კენჭები ამოვიტანე და საფლავზე დავაწყვე: ოდესმე, შვილის საფლავს ამ კენჭებით ვიპოვი-მეთქი... როცა სოხუმი დაეცა, ვოვამ მაშინაც კი არ მოინდომა თბილისში წამოსვლა. მისი სული და სხეული აფხაზეთში დარჩა...

— ვოვას დაღუპვის შემდეგ იქაურობის დატოვება არ გიცდიათ?

— გვამებით სავსე ქალაქში აზროვნებაც ჭირს და გადაწყვეტილების მიღებაც. ომის დროს, ადამიანები საკუთარ ბედს ველარ განაგებენ. მეც მეტი რაღა გზა მქონდა? ჩემი სახლის ტყვე უნდა გავმხდარიყავი. მეოთხე სართულზე ვახტანგ ჯიბლაძე ცხოვრობდა. 25 ოქტომბერს მის კარზე დავაკაკუნე. გამიღეს. შევედი თუ არა, კარზე ბრახუნი ატყდა. მე და მისი ცოლი ვეხვეწებოდით — კარი არ გააღო-თქო, — მაგრამ არ დაიშალა. გააღო და ხუთი მამაკაცი შემოვარდა. ხელში ავტომატები ეჭირათ. ვახტანგი გვერდით ოთახში შეაგდეს. მე მკითხეს: შენ ვინღა ხარო? ვუპასუხე — აქ ვცხოვრობ-მეთქი. შემეძლო მეთქვა: სტუმარი ვარ, შორიდან მოვედი-მეთქი, მაგრამ ამდენი ვერ მოვიფიქრე. ისინი გასაძარცვად იყვნენ მოსულები. ავტომატის ლულა მხარში მომარტყეს და წინ გამიგდეს. გასაღები გამომართვეს, ჩემს ბინაში შეცვივდნენ. ოქროს დაუწყეს ძებნა. ყველაფერი რომ წაიღეს, ერთ-ერთს დავეტაკე — გასაღები მომეცით-მეთქი! ყურადღება არ მომაქცია. აივანზე გავიდა, გავყევი. ხელი მტაცა, მაღლა ჰაერში შემათამაშა. თმა ყალყზე დამიდგა... იმ წამის აღწერა უბრალოდ, შეუძლებლია... მერე ხელი გამიშვა და მეც მთელი ძალით დავასკდი ასფალტს... რუსი ქალი, ნატაშა მომეხმარა. შვილსაც დაუძახა. ამიყვანეს და თავიანთ ბინაში შემიყვანეს. გვეერათ, რომ მეოთხე სართულიდან გადმომაგდეს და მაინც ვერ მომკლეს?!. ყველაფერი მტკიოდა. მრავალი მოტეხილობისგან ტკივილს ჭკუიდან გადავყავდი. ვტიროდი: ანალგინი მაინც დამალევინეთ-მეთქი!.. დილით ადრე, საავადმყოფოში წამიყვანეს. ცხადია, ექიმები აფხაზები იყვნენ. ფანჯრის გვერდით დამაწვინეს. საავადმყოფო გადაჭედილი გახლდათ ავადმყოფებით. უმეტესობა დაჭრილი იყო. ჩემთან ახლოს ახალგაზრდა ქალი იწვა, რომლისთვისაც საკვები მოჰქონდათ. ხედავდა, როგორ ვეგდე საწოლზე უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი, განადგურებული. მეხუთე დღეს მითხრა: იცით, ქართველებმა ძმა მომიკლეს და რომ ნახონ, ყურადღებას გაქცევთ, მეც მომკლავენ — ქართველს როგორ ეხმარებიო, არადა, იცით, როგორ მინდა, დაგეხმაროთო?!.

— იმ ქალბატონის სახელი თუ იცით?

— რა დამავიწყებს ბელა აშუბას — ქალს, რომელიც ღამით არ იძინებდა, რათა ჩემთვის საჭმელი მოეცა?!. ყველას ღრმად რომ ჩაეძინებოდა, ფეხაკრეფით მოვიდოდა და პირში ერთ ლუკმას ჩამიდებდა.

ნორა ყიფიანი და ვიქტორ ნინიძე

როცა ხელი ავამოძრავე, საბნის ქვეშ ხან პურის ნაჭერს, ხან შაქარს მიდებდა. შემდეგ, ოლია ჩაქალიდიმ მომაკითხა. ის ბერძენი იყო. მგონი, პლედიც მომიტანა... მაშინ მივხვდი, რომ ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონია: ომი კარგ ადამიანებს კი არ აბოროტებს, ცუდებს აძლევს ბოროტების ფართოდ გამომჟღავნების შესაძლებლობას... კიდევ ერთი მშველელი გამომიჩნდა — ეს იყო ნახევრად სომეხი და ნახევრად აფხაზი, ვინმე გვანცა. ისიც სხვებისგან მალულად მოდიოდა და პირში გამაყუჩებელ აბებს მიდებდა... იყო დღეები, როცა ვგრძნობდი, რომ აღარ ვარსებობდი და ჩემი სული სადღაც მიექანებოდა. მაგრამ გავიდოდა რამდენიმე საათი თუ არა, გონება ისევ მიბრუნდებოდა.

— ასეთ ტანჯვაში რამდენი ხანი გაატარეთ?

— სრული 50 დღე... მერე საავადმყოფოში „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები მოვიდნენ. ერთ-ერთი ქალბატონი ფრანგი გახლდათ. მისთვის ვიღაცას უთქვამს, რომ ცოტა ფრანგულადაც ვლაპარაკობდი. მომიახლოვდა და მკითხა: გინდათ, მოსკოვში გადაგაფრენთო?.. უარი ვუთხარი: თუ ჩემთვის აქ საწოლიც აღარ არის, ამწიეთ და ფანჯრიდან გადამაგდეთ-მეთქი... სიცოცხლე აღარ მინდოდა. უკვე მეჩვენებოდა, რომ საწოლი იატაკიდან ისე მაღლა იყო აწეული, სახით ჭერს ვებჯინებოდი... თურმე, რამაზ ჩხიკვაძის ცოლი, ნატაშა დაჰკავშირებია საერთაშორისო „წითელ ჯვარს“ და უთხოვია, რომ დამხმარებოდნენ. ამიტომ, კიდევ ერთხელ მომაკითხეს. 50-ე დღეს არ მომეშვნენ. ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ჩამსვეს შვეიცარიულ თვითმფრინავში და სულ მარტო გადმომაფრინეს თბილისში. აეროპორტში ვიქტორი დამხვდა. რომ შემომხედა, ატირდა: არ ეგონა, თუ ოდესმე, მოვიდოდი გონს... მერე კი მეხუმრებოდა: შევარდნაძეს არ რგებია ასეთი პატივი — დედოფალივით ჩამოგაფრინესო... რატომ გადავრჩი ცოცხალი, რატომ?!.

— სოხუმში დაბრუნება უსაფუძვლო ოცნება გგონიათ?

— რძალი ბერძენი მყავს. ომამდე რამდენიმე დღით ადრე, საბერძნეთში წავიდა და შვილიც წაიყვანა. ახლა ის 20 წლის გოგოა. ცოცხალი რომ აღარ ვიქნები, ჩვენი ოჯახის სახელით, სოხუმში დაბრუნებაზე ოცნებას ის გააგრძელებს...

P.S. *ნორა ყიფიანი, ქალი, რომელმაც ლამაზად და სწორად იცხოვრა, ახლა მარტო ცხოვრობს. ცუდად ესმის, ამიტომ ვინც მასთან სტუმრობას გადაწყვეტს, ქვედა სართულზე მცხოვრებ მეზობლებს უნდა დაუკავშირდეს. დისშვილი გერმანიაში ჰყავს, ამიტომ ხშირად ვერ ნახულობს. მსახიობი მოგონებებითღა ცხოვრობს, პუშკინის ლექსებს კითხულობს და უამრავ ანეკდოტს ჰყვება. როცა ანეკდოტს ყვები და იცინიან, გულზე მეშვებაო, — გამიმხილა და დამშვიდობებისას მთხოვა: ჩემ გამო არ ინერვიულოთ: მე მიყვარდა, ვუყვარდი, ბედნიერი ვიყავი და ბედნიერი წავალ ამ ქვეყნიდან — იმ იმედით, რომ ჩემი ქმრის გვერდით დავიმარხებიო.* ■

ალბათ ყველა ქართველს სმენია წმინდა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სახელი, თუმცა ბევრმა არ იცის მისი ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, რომლის გამოც, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ამჯერად სწორედ წმინდა ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ მოგითხრობთ. მას წმინდა ეკლესია 26 დეკემბერს იხსენიებს.

ჩემი ცოდვების გამო ოცლ-შვილი დამეხოცა, ამიტომ ღირსი ვარ მღვდლობისაო, გაბრიელ ეპისკოპოსი

მორენა მერკვილაძე

მამა გაბრიელი 1825 წელს, სოფელ ბახვში, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვრის, მაქსიმე ქიქოძის ოჯახში დაიბადა. მას გერასიმე უწოდეს. დედა ადრევე გარდაეცვალა, ამიტომ გერასიმესა და მისი 4 ძმის აღზრდა მამამ იტვირთა. შვილები ყოველთვის თან დაჰყვებოდნენ მამას საყდარში და წირვა-ლოცვისას ეხმარებოდნენ. პატარა გერასიმე ზარებს რეკდა ხოლმე, ხან საცეცხლურს უბერავდა ან შესამოსელს აწვდიდა მამას. სწორედ აქედან დაადგა ის უფლის გზას...

მალე გერასიმე მამამ სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. მისი დამთავრების შემდეგ, თბილისის სემინარიაში გადაიყვანეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, უსახსრობის გამო, იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა და მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ სწავლის გაგრძელებას შეძლებდა. მალე მართლაც, აუხდა სურვილი — თბილისის სემინარიის ერთ-ერთი მასწავლებელი ფსკოვის სემინარიაში გადაიყვანეს და თან გერასიმეც წაიყვანა, საკუთარი ხარჯით. ფსკოვში 3 წელი დაყო. შემდეგ, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გაგრძელა სწავლა. პეტერბურგში მან გაიცნო გიორგი XII-ის ვაჟი — მიხეილ ბატონიშვილი. სწორედ მან შეიკედლა სტუდენტი გერასიმე და დიდად ზრუნავდა მასზე სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ. ქიქოძემ სამშობლოში დაბრუნება არჩია. აქ თბილისის სემინარიის ინსპექტორად და ზედა კლასებში რექტორის თანაშემწედ დანიშნეს. მალე დაოჯახდა კიდეც — ჯვარი დაიწერა მღვდელ ნიკოლოზ ვლადიკინის ქალიშვილ მარიამზე.

გერასიმე სასულიერო პირად შედგომაზე ოცნებობდა. აუხდა კიდეც მას სურვილი — 1854 წელს ეგზარქოსმა ისიდორემ დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს კი — მღვდლად დაასხა ხელი. მამა გერასიმემ ღვთისმსახურებასთან ერთად, სამეცნიერო მოღვაწეობასაც მიჰყო ხელი.

მამა გაბრიელსა და მარიამს შვილები მართალია ეძლეოდათ, მაგრამ არ რჩებოდათ: ჩვილობისას გამოეცალათ ხელიდან 3 შვილი — ნინა, ნიკოლოზი და ალექსანდრე. მალე კიდევ ერთი ქალიშვილი — ოლღა შეეძინათ, მაგრამ მელოგინე მარიამი გაცივდა და გარდაიცვალა. არც ჩვილს უცოცხლია დიდხანს. ცოტა ხანში, ერთადერთი ვაჟი — 5 წლის პეტრეც გამოეცალა ხელიდან. მამა გერასიმე ესოდენ მძიმე განსაცდელმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა: ჩემი ცოდვების გამო ცოლ-შვილი დამეხოცა, ამიტომ ღირსი ვარ მღვდლობისაო, — ამბობდა იგი. ასეთ ვითარებაში მყოფი, ეგზარქოსმა იხმო, დიდხანს ესაუბრა, ბოლოს კი ასეთი რამ უთხრა: „გონიერი კაცი ხარ და კარგად უნდა გესმოდეს, რა საკვირველებაც ჰმქნა შენზედ ღმერთმა. ცოლ-შვილი მოგაშორა და შერაცხა ანგელოზებად და მათ ნაცვლად, გაძლევს ქართველ ხალხს, რათა უწინამძღვრო, ასწავლო მას გზა ჭეშმარიტებისა და მიუძღვნა უფალს ერი იგი განათებული“.

მამა გერასიმეს მართლაც შეუცვალა გუნება და აზრი მისმა ლაპარაკმა. დაუჯერა ეგზარქოსის რჩევას და სიონის ტაძარში ბერად აღიკვეცა. სახელად გაბრიელი უწოდეს. ეს მოხდა 1856 წელს. 1858 წელს კი, მამა გაბრიელი დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტად აკურთხეს. ამავე წელს გამოვიდა მისი სამეცნიერო ნაშრომი: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველი“, რასაც საზოგადოების დიდი ინტერესი და გამოხმაურება მოჰყვა.

1860 წელს მამა გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად დაადგინეს. მას ეპარქია სრულიად გაპარტახებული დახვდა. ეკლესიაში მექრთამე და მემრუშე მსახურნი ჭარბობდნენ. ადგილი ჰქონდა სიმონიასაც (სამღვდლო ხარისხის ყიდვა). ზოგჯერ თურმე, ერთ ჯორად ან ცხენადაც იყიდებოდა მღვდლობა. მრევლიც სარწმუნოებაში გაუნათლებელი გახლდათ.

მამა გაბრიელმა მისვლისთანავე დაიწყო ეკლესიასა და სამწყსოზე ზრუნვა. დაგმო და განაგდო, ეკლესიაში დამკვიდრებული ღვთის ნების საწინააღმდეგო წესები, უღირს ღვთისმსახურთა ადგილზე, ღირსეულნი დაადგინა და ა.შ. ეკლესიაში წესრიგის დასამყარებლად, არც სიფიცხეს ერიდებოდა, ამიტომ ბევრი „ბრაზიანს“ ეძახდა.

წმინდა გაბრიელი სხვა მღვდელმთავრებისგან უბრალოებით გამოირჩეოდა. მისი ოთახის ერთადერთი სამკაული — წიგნები იყო. ავეჯად ერთი უბრალო მაგიდა და ორი სკამი ჰქონდა. ტანთ ყოველთვის უბრალო ანაფორა ემოსა (მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთ ღვთისმსახურს ერგო მისი ანაფორა, რომელსაც თურმე, 25 წელი ატარებდა მღვდელმთავარი!), საზრდელსაც მცირედს და ზომიერად, თანაც, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს იხმევდა. წმინდა ეპისკოპოსს ფიზიკიური შრომაც ჰყვარებია — საკუთარი ხელით ხერხავდა შეშას, აპურებდა ცხოველებსა და ფრინველებს... ძალზე უყვარდა გასაჭირში მყოფთა დახმარება. აურაცხელია მისი მოწყალება — ბევრი მშიერ-მწყურვალი დაუპურებია, შიშველნი შეუმოსავს, უპატრონო მიცვალებულნი დაუკრძალავს, სნეულთათვის უპატრონებია, ლოცვითაც ეხმარებოდა სნეულთ. მძიმე ავადმყოფებისთვის ღამის თევის ლოცვას აყენებდა. მართლაც, მრავალი ადამიანი განიკურნა მისი ლოცვით.

მამა გაბრიელი ყოველ წამს მზად იყო სამწყსოსთვის სამსახურისთვის — შუაღამისასაც რომ მისდგომოდა ვინმე, არ დაიზარებდა მასთან შეხვედრასა და მისთვის ნუგეშისცემას.

მამა გაბრიელის ეპისკოპოსობის პერიოდში იმერეთის ეპარქია საგრძნობლად მოძლიერდა და მოღონიერდა — აშენდა მრავალი ქვიტკირისა და ხის ახალი ეკლესია, დაარსდა ასზე მეტი სამრევლო სკოლა. 1887 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“. საგანგებოდ შემოკრებილმა მგალობლებმა მოიძიეს და ნოტებზე გადაიღეს ქართული გალობანი, რათა უკვალოდ არ გამქრალიყო ფასდაუდებელი განძი. 1890 წელს, ქუთაისში ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1894 წელს — სასულიერო სემინარია გაიხსნა.

მისი მღვდელმთავრობის პერიოდში, იანოვსკის ბრძანებით, სასულიერო სასწავლებლის დაწყებით კლასებში აკრძალეს ქართული ენის სწავლება. მალე ეს ბრძანება ყველა ტიპის სასწავლებელზე გავრცელდა. სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. გარდა ამისა, იანოვსკი საქართველოს კუთხეების ერთმანეთთან გადაკიდებასაც ცდილობდა — რისთვისაც სხვადასხვა ხერხს მიმართავდა — მაგალითად, სამეგრელოს სკოლაში მომუშავე ერთ-ერთმა პედაგოგმა, გვარად აშორდიამ მისი მითითებით რუსული ასოებით შეადგინა მეგრული ანბანი, შემდეგ, მისი გამოყენებით, — თარგმნა „მამაო ჩვენო“ და სხვა ლოცვები. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მამა გაბრიელმა და მოახერხა კიდეც, იანოვსკისთვის ხელი შეეშალა მზაკვრული გეგმების განხორციელებაში.

კიდევ უამრავი რამ გააკეთა წმინდა ეპისკოპოსმა 35-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში. დაუფასდა კიდეც უდიდესი ღვაწლი — ძალზე

გაგრძელება იხ. გვ. 68

„ტატუ ხელზე მაქვს და მასზე აღწერილია რაღაც ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, რომლის გაშიფვრასაც, ამ ნახატით ვერავინ შეძლებს“, — მითხრა აწ უკვე ყოფილმა „ჯეობარელმა“, კოსტა არველაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ აკრძალული ხილი მართლაც ძალიან გემრიელია და როგორც თვითონ ამბობს, „დაბოლილმა“ ბავშვმა ერთი ქვაბი ლობიო ისე შეჭამა, თვალიც არ დაუხამხამებია.

ნაძვის ხედ გაღაქცეული კოსტა, „ბაპოგეკული“ შეყვარებული და უაღგილო ადგილას „ბაჩოპილი“ თვითმფრინავი

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერი ასოცირდება მხიარულებასთან, გიჟურ იდეებთან და ადამიანთან, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს. ამ ასაკის ადამიანებთან დღემდე ვმეგობრობ და მიმაჩნია, რომ ისინი ძალიან კარგები არიან... შეიძლება, თინეიჯერულ ასაკში არ იყო, მაგრამ მათ არ უდებდე ტოლს მხიარულებაში. ყველაფერი ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული.

— შენ როგორი იყავი ამ ასაკში?

— მაშინაც ზუსტად ისეთი ვიყავი, როგორიც ახლა ვარ. ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ დამდგარა დრო, რომ ბოლომდე დავსერიოზულებულიყავი. მხიარული ხასიათი ხელს არაფერში მიშლის — არც სამსახურში, არც ცხოვრებაში და მით უმეტეს, არც მეგობრებთან ურთიერთობის დროს.

— ეი. ჯერ ვერ დაღვინდი?

— დაღვინებული ვარ თავიდან ბოლომდე, მაგრამ თავში რაღაცები მაინც მიქრის...

— იქნებ, გაიხსენო ყველაზე დიდი სიგიჟე, რაც თინეიჯერობის ასაკში ჩაგიდენია?

— 15-16 წლის ვიყავი და მეგობრებთან ერთად გუდაურში მინდოდა წასვლა. ყველაფერი წინასწარ ჩავალაგე ჩანთაში, მაგრამ საღამოს, ჩემმა მშობლებმა ერთ-ერთ არხზე საინფორმაციო გამოშვებას უყურეს, სადაც გავიდა რეპორტაჟი, თუ როგორ დაიმტვრა რომელიღაც მოთხილამურე. დედაჩემი გადაირია — შანსი არ არის, აღარ წახვალო. ბევრი ვიწუწუნე, მაგრამ არაფერმა რომ არ გაჭრა, ვითომ ბედს შევეგუე და მას ვთხოვე: კარგი, მაგრამ იქნებ, დილით ბავშვები მაინც გავაცილო-მეთქი. რა თქმა უნდა, დამთანხმდა. დილით სახლიდან გავედი და გუდაურში „მოვხიე“. მშობლებს იქიდან დავურეკე, არ ინერვიულოთ-მეთქი.

— არ გაგიჯავრდნენ?

— კი, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა?.. თავისუფალი აზროვნების ადამიანი ვარ, მიყვარს დამოუკიდებლობა და რა ვქნა.

— როდის მიხვდი, რომ დამოუკიდებლად მოქმედება შეგეძლო?

— დამოუკიდებლობა პირველად მაშინ ვიგრძენი, როცა პირველი ხელფასი ავიღე.

— დღეს, საქართველოში თინეიჯერი შეიძლება, დამოუკიდებელი იყოს?

— ეს ყველა ქვეყანაშია შესაძლებელი, უბრალოდ, გააჩნია ადამიანს. იმისთვის, რომ დამოუკიდებელი იყო, პირველ რიგში, მშობლების ნდობა უნდა მოიპოვო, რათა სახლიდან გაპარვა არ დაგჭირდეს.

— დამოუკიდებლობაში მატერიალური მდგომარეობა ვიგულისხმე...

— ესეც შესაძლებელია, უბრალოდ, მუშაობა არ უნდა გეთაკილებოდეს — ყველა მინისტრად ხომ არ იბადება?! მართალია, ამ ასაკში მატერიალურად სრულიად დამოუკიდებელი ვერ იქნები, მშობლების დახმარება აუცილებლად დაგჭირდება, მაგრამ სულ სხვაა, როცა შენი შრომით მოპოვებულ თანხას დახარჯავ. ამას რომ მივხვდი, იმიტომაც დავიწყე მუშაობა.

— თინეიჯერობის ასაკში მშობლები რას გიკრძალავდნენ?

— მიკრძალავდნენ იმას, რასაც ტრადიციულად, ყველა მშობელი უკრძალავს შვილს — ალკოჰოლური სასმელების სმას, ღამით ბორიალს, აქეთ-იქით უგზო-უკვლოდ ხეტიალს და ა.შ.

— როგორ ფიქრობ, ისინი სწორად იქცეოდნენ?

— მშობლის პოზიციიდან რომ ვილაპარაკო, ობიექტური არ ვიქნები, რადგან შვილი ჯერ არ მყავს, ხოლო თუ შვილის პოზიციიდან ვიმსჯელებ, მათი მხრიდან აკრძალვები არაა გამართლებული. ბავშვებს რჩევა ისე უნდა მისცენ, რომ ლაპარაკის დროს, მბრძანებლური ტონი არ გამოურიონ. დედაჩემი ისე მაკონტროლებდა, რომ ამას ვერც ვგრძნობდი და შესაბამისად, არ ვღიზიანდებოდი.

— მშობლის რჩევას ყოველთვის ითვალისწინებდი?

— ზოგჯერ კი, ზოგჯერ — არა. მათთან ლაპარაკის დროს, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ხომ გაგიგონია, აკრძალული ხილი უფრო გემრიელიაო...

საერთოდ ასეა, სანამ შენს თავზე არ გამოცდი რაღაც-რაღაცებს, ჭკუას ვერ ისწავლი...

— ალკოჰოლურ სასმელს პირველად როდის გაუსინჯე გემო?

— 14-15 წლის ვიყავი, როცა მეგობართან სოფელში წავედი. ბაბუამისმა ღორი დაკლა, ჩვენს პატივსაცემად მწვადი შეწვა და ცოტა ღვინოც გამოგვიტანა, რაც დასათრობად ნამდვილად გვეყო, მერე სტუმრად წავედით და... სახლში გალეშილები დავბრუნდით.

— ღვინო არ მოგიპარია?

— იმ დღეს არა, მაგრამ იმ „პაეზდკის“ დროს, მართლაც მოვიპარეთ... დავთვრებოდით და ღამით დავბორიალებდით. ბავშვობიდანვე მიყვარს ღამის ცხოვრება.

— თინეიჯერი კოსტას ღამის ცხოვრება როგორი იყო, სად ერთობოდი ხოლმე?

— გართობა თუ გინდა, ყველგან შეძლებ — სახლში, მეგობართან, ქუჩაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მახსოვს, თინეიჯერმა მეგობრებმა მოვილაპარაკეთ, ოთახი უნდა გვექირავა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ შევძლებდით, რადგან საამისოდ ძალიან პატარები ვიყავით. ამ საქმეში მეგობრის ბიძა დაგვეხმარა და იქ მაგრად „ვგულაობდით“...

— სკოლაში ფრიადებზე სწავლობდი?

— არა, მაგრამ არც სამოსანი ვყოფილვარ... კლასელებისგან რაღაცით გამოვირჩეოდი, აქტიური და ძალიან მხიარული ვიყავი, ზოგ მასწავლებელს ვეპრანჭებოდი, ზოგს — ვამწარებდი და ა.შ.

— ანუ მასწავლებლებს თავს აწონებდი?

— ჰო, იმიტომ, რომ ნიშანი მოემატებინათ.

— ეს გშველოდა?

— როგორ არა, ამ მეთოდმა ერთხელ ინსტიტუტშიც გაჭრა, ერთ ქულას მიმატებდნენ ხოლმე. არ ვიცი, ჩემი ღიმილი მოსწონდათ თუ თვალების ჟუჟუნი, მაგრამ შედეგი აშკარა იყო.

— ალბათ, საკლასო ოთახიდან მასწავლებელს ბევრჯერ გაუგდიხარ, არა?

— რამდენჯერაც გინდა. გერმანულის მასწავლებელი გაკვეთილზე მაგნიტოფონს ჩაგვრთავდა და რაღაც დიალოგებს გვასმენინებდა ხოლმე. ერთ დღეს, რვეულის ფურცლებით თვითმფრინავები დავამზადეთ და მათ ბავშვები ერთმანეთს ისე ვუგზავნიდით, რომ მასწავლებელს ვერ შეემჩნია. როცა ის მაგნიტოფონის ჩასართავად დაიხარა, ჩემი თვითმფრინავი „გავუშვი“ და ის პედაგოგს უადგილო ადგილას მოხვდა... კლასში მგონი, 1 კვირა არ მიშვებდნენ, გამწარებული იყო და ერთი პერიოდი, ამის გამო, სკოლიდანაც აპირებდა წასვლას, მაგრამ მერე დარჩა, რა...

— „შატალოზე“ სად მიდიოდით?

— არა მარტო კლასელებთან, არამედ

სხვა კლასთან ერთადაც მივდიოდი „შატალოზე“. სად უნდა წავსულიყავით, მაშინ ერთი კაფე — „ბისტრო“ ფუნქციონირებდა და იქ „დავძვრებოდით“, ხან ბოტანიკურ ბაღში მივდიოდით, ხან — ვაკის პარკში...

— ამ ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— პირველსავე კლასში შემიყვარდა გოგო, რომლის გამო, ერთხელ სახლში ატირებულიც კი მივედი. დედაჩემმა რომ მკითხა — რა მოგივიდაო? სლუკუნით ვუთხარი: შეყვარებული „გამიბოზდა“, სხვა კლასელ ბიჭს ტრუსიკი აჩვენა-მეთქი *(იცინის)*... მეექვსე კლასშიც მიყვარდა ერთი გოგო, მასაც ვუყვარდი, მაგრამ ერთმანეთთან ამის აღიარების გვრცხვენოდა და მხოლოდ მეგობრების დახმარებით ვიგებდით რაღაცებს... ქალის გულისთვის მიჩხუბია კიდეც.

— ჩხუბი ხშირად გიწევდა?

— საერთოდ, მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ, ბოლომდე ვცდილობ, საქმე ისე მოვაგვარო, რომ ჩხუბი თავიდან ავიცილო, მაგრამ ზოგჯერ, ეს არ გამომდის... ბიჭმა ქუჩის აკადემიაც უნდა გაიაროს, თორემ შეიძლება, ცხოვრებაში ძალიან დაიჩაგროს. არ ვამბობ, რომ აუცილებლად ძველი ბიჭის სტატუსი უნდა გქონდეს მონიჭებული, უბრალოდ, კაცი უნდა იყო, რა.

— პლანი არასდროს მოგიწევია?

— კი, ბავშვობაში. მაინტერესებდა, რატომ ხარხარებდნენ „დაბოლილი“ ადამიანები. პირველად ვერ მივხვდი, რა დამემართა, მაგრამ ყველაფერი მაშინ გავაცნობიერე, როცა სახლში მისულმა ერთი ქვაბი ლობიო შევჭამე და ლამის, ცუდად გავხდი... ნარკოტიკული საშუალება არ მიზიდავს და მის გასინჯვას სხვებსაც არ ვურჩევ. ვერასდროს შევეგუები იმას, დილით, როცა გავიღვიძებ, ვიგრძნო, რომ რაღაცაზე ვარ დამოკიდებული და ის რაღაც თუ არ მაქვს, აუცილებლად ნევროზი უნდა ავიკიდო. ერთადერთი, კარგია ის, როცა სიყვარულის გამო გიჩნდება ეს დაავადება და გაიღვიძებ თუ დაიძინებ, მნიშვნელობა არა აქვს, ყველგან და ყველაფერში მას ხედავ...

ნარკოტიკული საშუალება არ მიზიდავს და მის გასინჯვას სხვებსაც არ ვურჩევ

— თუ ცდილობდი, სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— მაშინ, როცა მთელი ქალაქი შავი ტანსაცმლით დადიოდა, მოთხოვნილება გამიჩნდა, რომ ღია, მხიარულ ფერებში მევლო და მთელი ცხოვრება ასე ვიცვამ, მაგრამ მათ ერთმანეთს აუცილებლად ვუხამებ, რომ სასაცილო არ ვიყო, „შუქნიშანივით“ არ გამოვიყურებოდე... ხასიათის მიხედვით ვიცვლი თმის ვარცხნილობასაც, მაგალითად, ერთხელ ძალიან გრძელი თმა ნახევრად გადავიპარსე.

— ყური როდის გაიხვრიტე და ამაზე შენს მეგობარ ბიჭებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— 2 წლის წინ გავიხვრიტე. არ მესმის, მეორე კითხვა რატომ დამისვი, როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდათ?

— ქართველი მამაკაცების უმეტესობას არ მოსწონს, როცა ძლიერ სქესის წარმომადგენელს საყურე უმშვენებს ცხვირს ან ყურის ბიბილოს...

— ადამიანებისთვის, რომლებიც სხვას იმისდა მიხედვით აფასებენ, თუ როგორი აქსესუარი უკეთია, ეგეთი „ჯიუტებისთვის“ (სხვა სიტყვას ვერ ვიტყვი) მაქვს წიგნი, სადაც ერთ ფრესკაზე გამოსახულია საქართველოს ერთ-ერთი მეფე, რომელსაც ყური აქვს გახვრეტილი... მთავარია, ადამიანი იყო და რა მნიშვნელობა აქვს იმას, წარბს გაიხვრეტ თუ ტუჩს!.. მეგობრებმა, რომლებიც ბავშვობიდან მიცნობენ, კარგად იციან, როგორი ტიპიც ვარ და ჩემს საყურეზე არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ, ხოლო მათ, ვისაც ჩემი ყური თუ საყურე აღიაზიანებთ, შეუძლიათ, მეორე ყურზე მიცქირონ.

— როგორც ვიცი, ტატუც გაქვს...

— ჰო, ხელზე. მახატია მერწყული (რადგან ამ ნიშნის ქვეშ ვარ დაბადებული), ასევე, იქ აღწერილია რაღაც ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, რომელსაც ვერ მოგიყვებით და მის გაშიფვრას, ამ ტატუთიც ვერავინ შეძლებს.

— ეტყობა, იდუმალება გიზიდავს. ასეთი ქალები თუ მოგწონს?

— რაღაც მომენტში, ეს მართლაც „ასწორებს“. ადამიანი რაც უფრო იშიფრება, მის მიმართ ინტერესი მით უფრო ქრება.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— კარგები... არავინ თქვას, გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვსო, რადგან ზოგჯერ, თვალის ეფექტი საბედისწეროც ხდება. უბრალოდ, ზოგს ცისფერთვალება ქალები მოსწონს და ზოგს — თაფლისფერთვალება (გემოვნებაზე ხომ არ დაობენ)... მინახავს გოგონები, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან მომწონებია, მაგრამ პირს რომ გააღებენ, გულისრევის შეგრძნება გეუფლება, ზოგჯერ პირიქით, ქალს ზედმეტ ყურადღებას არ აქცევ, რადგან არცთუ ისე დაგევასა, მაგრამ დაუახლოვდები თუ არა, სიგიჟემდე, „ყურებამდე“ გიყვარდება. აი, ჩემო კარგო.

— რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორიც უნდათ. უბრალოდ, თავში არაფერი აუვარდეთ, საკუთარი თავის კონტროლი ისწავლონ. სხვა მხრივ, მათ რა უნდა ვურჩიო, ისინი ჩემი დროის თინეიჯერებისგან განსხვავებით, უფრო განვითარებულები არიან, მეტი შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ უმჯობესია, ზოგჯერ წიგნებიც წაიკითხონ, ეს ცხოვრებაში ძალიან გამოადგებათ.

— შენ თუ კითხულობდი ამ ასაკში წიგნებს და კითხვის ავკარგიანობაზე თუ ფიქრობდი?

— ამაზე არ ვფიქრობდი და არც ბიბლიოთეკის „ჭია“ ვყოფილვარ, მაგრამ რაღაცებს ვკითხულობდი ხოლმე, რადგან წიგნი ტვინის კარგი სავარჯიშოა და ამ ასაკში, ტვინი ისე იწოვს ცოდნას, როგორც წყალს მშრალი ღრუბელი.

— „ჯეიობარში“ რა ისწავლე?

— იქ 9 კვირა ვიყავი და მთელი ამ დროის მანძილზე რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე, რომელსაც ამ პროექტის გარეთ, 9 თვეს მაინც მოვანდომებდი.

— ახლა არ მითხრა, 9 თვით დავბერდი ან ძალიან დავბრძენდიო.

— არა, მაგრამ ჩემში რაღაც ახალი ხედვა, თვისებები აღმოვაჩინე, ადამიანები გავიცანი... მოკლედ, ამ პროექტმა ჩემზე დადებითად იმოქმედა...

— კოსტა, ახალ წელს სად შეხვდები?

— ალბათ, სახლში, მერე კი, მეგობრებთან წავალ და ღმერთმა უწყის, შინ როდის დავბრუნდები.

— ალბათ, დათვრები, არა?

— ამას, რა კითხვა უნდა!

— და „პახმელიიდან“ როგორ გამოდიხარ?

— „პახმელიის“ დროს, ვერც „ბორჯომი“ მშველის და ვერც — ლუდი. მდგომარეობიდან რომ გამოვიდე, კიდევ უნდა დავლიო, მაგრამ ამ შემთხვევაში, სიმთვრალე შემიბრუნდება, მერე ისევ უნდა დავლიო და ა.შ. ამის შედეგად კი, მუღამში შედიხარ და ლოთდები *(იცინის)*. ამ ბოლო დროს, როცა „პახმელიაზე“ ვარ, წვნიან, ცხელ კერძს მივირთმევ, 1-2 ჭიქა სასმელს ვაყოლებ და ვიძინებ — აღარც ხელმეორედ ვთვრები და აღარც „პახმელია“ მაწუხებს.

— იქნებ, გაიხსენო ახალი წელი, რომელიც არასდროს დაგავიწყდება.

— ჩუტყვავილა მქონდა და ახალ წელს მწვანე ნაძვის ხესავით შევხვდი — ყველგან „ზელიონკა“ მესვა, აქა-იქ წითელი ლაქები ანუ ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოები მქონდა და ფერადი წვიმებითაც ვიყავი მორთული... ეს დღესასწაული გამორჩეულად მიყვარს და ბავშვობიდანვე, ნაძვის ხის მორთვას ოჯახში მე ვკისრულობ ხოლმე, მათ საყიდლად და შესარჩევადაც ყოველთვის კოსტა მიდიოდა.

— ეი. ამ საქმის ოსტატი ხარ. ირაკლი მარხულიას მორთული ნაძვის ხე თუ მოგეწონა?

— ნაძვის ხის მორთვა რომ დაიწყო, მივხვდი, ეს საქმე ეხერხებოდა, მაგრამ ალბათ, მე რაღაც სხვას მოვიფიქრებდი, სხვაგვარად მოვრთავდი.

— როგორ ფიქრობ, ვინ გახდება „ჯეიობარი 3“-ის გამარჯვებული?

— ძნელი სათქმელია, მაგრამ ალბათ, ირაკლი... თუმცა, შეიძლება, სოფომაც გაიმარჯვოს... ვნახოთ, რა მოხდება.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ვაამყოფაურება

გიო, *25 წლის:*

„ნათი, ძალიან საყვარელი გოგო ხარ, მაგრად მევასები. შენ „მის დედოფლობასაც“ იმსახურებდი. მართალია, ქალს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ მაინც, რამდენი წლის ხარ?“

ნათია ნეგბერიძე:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის! 21 წლის ვარ.

პატარა, *16 წლის:*

„ვფიქრობ, რომ ერთ ბიჭს ვუყვარვარ, მაგრამ ვერ მიმხელს. როგორ მოვიქცე? გთხოვთ, მირჩიეთ რაიმე“.

— კონკრეტულ რჩევას ვერ მოგცემ, რადგან თვითონაც არ ხარ დარწმუნებული იმაში, იმ ბიჭს მართლა უყვარხარ თუ არა. არ იაქტიურო, ისე მოიქეცი, თითქოს ვერაფერს ხვდები. დრო გავა და თუ მართლა უყვარხარ, სიყვარულში აუცილებლად გამოგიტყდება.

პუსო, *16 წლის:*

„ტელეფონით გავიცანი პატიმარი, რომელიც ქსნის ზონაში იჯდა — ლექსო პაპუნაშვილი, იგივე — „მალიშა“. ყოველდღე მირეკავდა, უჩემოდ ვერ ძლებდა, ისე თბილად მექცეოდა, რომ სიცოცხლეზე მეტად შემიყვარდა, მაგრამ ბოლოს, მშობლების შემეშინდა და დავშორდი. ახლა ძალიან ვიტანჯები, საკუთარ თავში ჩავიკეტე, ყველა ბიჭი მეზიზღება. მირჩიეთ რაიმე, გთხოვთ“.

— ვფიქრობ, კარგად მოიქეცი, როცა მასთან სიარულს თავი დაანებე, მაგრამ თუ გიყვარს და ამის გამო იტანჯები, მაშინ ალბათ, უნდა შეურიგდე... ისე, ცოტა ხანიც მოგეთმინა, იქნებ, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც მის თავს სამუდამოდ დაგავიწყებს. წარმატებებს გისურვებ!

ეკა, *16 წლის:*

„გთხოვთ, რაიმე მირჩიოთ. ბიჭს, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი შეყვარებული იყო, რამდენიმე თვეა, ჩემი დაქალი უყვარს, მე კი მიმატოვა. მართალია, დაქალი მეუბნება: მეზიზღება, რადგან ასე მოგექცაო, მაგრამ ვიცი, რომ ის მას ჩუმ-ჩუმად ხვდება და შეიძლება, მალე ცოლადაც გაჰყვეს... როგორ მოვიქცე?“

— ასეთი არც დაქალი გინდოდეს და არც შეყვარებული, ისინი შენი ღირსები არ არიან. როცა შენზე შეყვარებული ბიჭი შენს მეგობარს სხვანაირად შეხედავს, ის სწორედ ისეთი გოგოს ღირსია, როგორზეც გაგცვალა. ალალი იყოს ორივე ერთმანეთისთვის. შენს ცხოვრებაში კი, აუცილებლად გამოჩნდება ღირსეული ადამიანი.

მუკოზანაძელი, *30 წლის:*

„შენ სილამაზის დედოფალი ხარ/ და თვალწარმტაცი ფერია/ შენი ღიმილი, ნათია/ მზის სხივზე მშვენიერია/ და თუ ჩვენ დავმეგობრდებით,/ ვიქნები ბედნიერია!“

— გმადლობთ, ძალიან ლამაზი ლექსი დაგიწერიათ.

ანი, *18 წლის:*

„თქვენი დახმარება მჭირდება. ანგელოზი არ ვარ და ამის პრეტენზია არც არასდროს მქონია, უბრალოდ, ადამიანის ამოცნობა ისე შემიძლია, ჩემი თავის მიკვირს ხოლმე. არადა, ჩემთვის უსაყვარლეს პიროვნებას გულუბრყვილო ვგონივარ, სჯერა, რომ ადვილად მომატყუებს... ლაშა ისე მიყვარს, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავაგდო, თავს ვიტყუებ და არ მინდა, ვუთხრა — ყველაფერს ვხვდებიმეთქი. ჩემი მხრიდან ცუდი საქციელია? როგორ ფიქრობთ, რომელი ცდება — ის, ვინც ტყუილს ამბობს, თუ ის, ვინც არ ტყუვდება, მაგრამ სიმართლეს ხმამაღლა არ აღიარებს? ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი აზრი ამ ყველაფრის შესახებ“.

— თუ გატყუებს და ამას ხვდები, უნდა მიახვედრო, რომ არც ისეთი გულუბრყვილო ხარ. ამის შემდეგ თუ ისევ გააგრძელა შენი მოტყუება, ჯობია, დაშორდე. ვერ ვხვდები, ასეთი შეყვარებული რაში გჭირდება.

სევდიანი, *16 წლის:*

„სალამი ყველას! ნათი, შენი აზრი მაინტერესებს: 2 თვის წინ „ჩათში“ გავიცანი 23 წლის ბიჭი, რომელიც ახლა სიყვარულს მეფიცება და არ ვიცი, დავუჯერო თუ არა. რა ვქნა?“

— არ დაუჯერო მანამ, სანამ ამას არ დაგიმტკიცებს.

ელო, *18 წლის:*

„ნათი, მეც დიპლომატიურზე მინდა ჩაბარება, იქ სწავლა ადვილია თუ ძნელი? ჰო, მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტე ამ ფაკულტეტზე ჩაბარება? წარმატებებს გისურვებ!“

— დიდი მადლობა კეთილი სურვილისთვის! ამ ფაკულტეტზე იმიტომ ჩავაბარე, რომ მომწონდა. შენც გირჩევ, ეს გზა აირჩიო. რაც შეეხება სწავლის სირთულეს, მთავარია, მოინდომო და ყველაფერი გამოგივა.

უცნობი, *20 წლის:*

„ნათია, ძალიან მიყვარხარ. მართლაც კარგი ადამიანი და ულამაზესი გოგო ხარ, წარმატებებს გისურვებ! ნათია, დაბადების დღე როდის გაქვს?“

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. დაბადების დღე 8 ოქტომბერს მაქვს.

თაკო, *16 წლის:*

„გამარჯობა. გთხოვთ, დამეხმარეთ. საქმე ისაა, რომ მყავდა შეყვარებული, რომელიც გარეგნულად ძალიან მაგარი ბიჭი იყო და გოგონები მოსვენებას არ აძლევდნენ. განსაკუთრებით, ერთი გოგო აქტიურობდა, სულ კუდში დასდევდა, რადგან ძალიან თავხედი იყო. კარგა ხნის შემდეგ, ნიკამ მითხრა, რომ სწორედ ის გოგო მოსწონდა და მასთან უნდოდა ყოფნა. თან, ჩვენი დაშორების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ თურმე, როგორც თვითონ მითხრა: ძალიან ტრადიციული და თავშეკავებული ვყოფილვარ. ასე უაზროდ მიმატოვა და იმ გოგოს „გაეკიდა“. ვხვდებოდი, რომ ნიკა ისევ მოვიდოდა ჩემთან, რადგან ცხადი იყო, მასთან მხოლოდ ერთობოდა. ცოტა ხნის წინ მართლაც, დამირეკა და მითხრა: შევცდი, მივხვდი, რომ მარტო შენ მჭირდები და შემირიგდიო. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ღირს კი ასეთ ადამიანთან შერიგება? მეშინია, ისევ არ მატკინოს გული“.

— მასთან შერიგებას არ გირჩევ, რადგან, როცა ბიჭი უმიზეზოდ ერთხელ გატკენს გულს, ის იმავეს აუცილებლად გაიმეორებს. წარმატებებს გისურვებ საკუთარ თავთან ბრძოლაში. უფალი გფარავდეს!

შავი, *18 წლის:*

„ნათია, რამე რომ იყოს, ზონაში შენზე უაზროდ შეყვარებულს მიაკითხავდი? მე ხომ შენზე ვაბოდებ, ჭკუა მეკეტება. შენს სილამაზეს რომ შევცქერი, შაქარივით ვდნები“.

— რამე რომ იყოს, არ მივიდოდი...

ანკა, *17 წლის:*

„მინდა, ვთქვა, რომ საკმაოდ ლამაზი გოგო ვარ, ბიჭებსაც მოვწონვარ, მაგრამ ძალიან მეზარება გარეგნობაზე ზრუნვა, არადა, უფრო ლამაზი ვიქნებოდი. ნათი, როგორ მოვუარო თავს?“

— როცა ქალი საკუთარ გარეგნობასა და სილამაზეზე არ ზრუნავს, ეს მისი დიდი მინუსია. გირჩევ, თავი ფორმაში მოიყვანო, მაღაზიებში წახვიდე და ახალი ტანსაცმელი იყიდო, სილამაზის სალონში შეიარო და ა.შ. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ! დაბოლოს, მინდა, მთელ საქართველოს ახალი წელი მივულოცო, უფალი იყოს ჩვენი მფარველი!

■

დასაწყისი იხ. გვ. 26

„ჩემი უპასუხო კითხვა „ხუჭუჭაა“. არასოდეს ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. მის ხვლიკი“.

„დათო მიყვარდა და მპირდებოდა, რომ ერთად ვიქნებოდით. როდესაც გაიგო, რომ ორსულად ვიყავი, მეუბნებოდა: ბავშვი მოიშორე, ორსული ქალის ცოლად მოყვანა თავზე ლაფს დამასხამსო. ცივ უარზე ვიყავი და ამიტომ, 7 თვის ორსული სამუდამოდ მიმატოვა, ბავშვი არც კი უნახავს. ისეთი გოგო მოიყვანა ცოლად, რომ თავზე ლაფის დასხმა მაშინ უნდა გენახათ. მინდა, ვკითხო, რატომ მომექცა ასე? მე ხომ მიყვარდა? მარი, თუ ამას არ დაბეჭდავ, იცოდე, ყველას ჯავრს შენზე ვიყრი“.

„ქმარი მყავს და სიგიჟემდე ვუყვარვარ. მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ერთი კაცი მაგიჟებს და თავგზას მირევს. მაგარი „ფორთხვა“ კაცია. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, რომ 2 კაცი ერთდროულად მიყვარდეს? ქაჯი“.

„ძალიან ბევრ ჟურნალს გავუგზავნე მესიჯი და ვერც ერთიდან ვერ ვეღირსე პასუხს. იქნებ, თქვენ მაინც დამეხმაროთ? მივმართავ ხალხს! ნუ დაინანებთ 6 თეთრს უცხო ადამიანის ბედნიერებისთვის. მომწერეთ — როგორ დავიკლო წონაში? დამეხმარეთ მიზნის მიღწევაში. ვიკა, 16“.

„მინდა გავიგო, რატომ გამბრაზდა ჩემი სიხარული, როცა თქვენს ჟურნალში ჩემი მესიჯი გამოქვეყნდა. ანი“.

„მარი, ჩემი მესიჯი არ დაბეჭდე და უპასუხო კითხვები დამიტოვე. იქნებ, ახლა მაინც მიპასუხოს ხალხმა — 2 შვილის დედას უცოლო კაცი შემიყვარდა, რა ვქნა? მანა“.

„მე მართლა გავერთიანდები ოპოზიციაში... ძალიან კი არ მინდოდა, მაგრამ მარიმ სხვა გზა არ დამიტოვა. ნატუკა“.

„რატომ არ მაქვს ბედი? მესიჯსაც არ მიბეჭდავთ. აქაც თუ ჩაწყობა უნდა, გავგიჟდები! რუსკა“.

„მარუს, „გზავნილების“ გადამკიდეს, მრავალი უპასუხო კითხვა დამიგროვდა. 1. რატომ აღარ მიქვეყნებ მესიჯებს? 2. რამ გაამწარა ეს 14-15 წლის ბავშვები, რომლებიც ასე გულმოდგინედ ეძებენ სიყვარულს? მესმის, რომ გარდატეხის ასაკში არიან (თუ ვართ), მაგრამ მერე, რა? ღმერთს ვთხოვ, არავინ შემიყვარდეს, რომ მერე არ ვიძახო, გამოუცდელობით მომივიდა-მეთქი. მერი-ჯეი“.

„მარი, ერთი კითხვა მაქვს იმ ადამიანთან, ოპოზიციით რომ გემუქრება. რატომ გვიბრაზებ მარის? იცოდე, მარტყოფელების რისხვა არ აგცდება. „გაგოს“? „გაიტისკები“. ანტოს კი მინდა ვუთხრა, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ჭინკა“.

„მაინტერესებს, რატომ მეხი არ გავარდება და მარის ტელეფონს არ დაატყდება? კიდევ, მაინტერესებს, მოხვდება თუ არა მარი ჯოჯოხეთში, გამოუქვეყნებელი მესიჯების გამო“.

„მარი, გაგებუტო? ახლა მაინც დამიბეჭდე, რა! შობას ვიპარები და მინდა, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და ჩემს „ფისოსთან“ ერთად ბედნიერი ვიყო“.

„მარი, რა იყო, ჩემს მესიჯებს მარტო შენ კითხულობ? თუ, არც კითხულობ? ერთადერთი სვანი ხარ, რომელიც მიყვარს. მესიჯებს გამოქვეყნება არ სჭირდება? SMS-ს იმ იმედით ვგზავნი, რომ ყურადღების ღირსად გამხდი, მაგრამ... ეჰ, მაინც მიყვარხარ. თეო“.

„36 წლის ქალის მესიჯი რომ წავიკითხე, რომელიც 44 წლის კაცის დედის სიკვდილს ელოდება, რომ ბედნიერი იყოს, კანკალმა ამიტანა. ადამიანებისთვის ცუდი არ მემეტება, მაგრამ იმ ადამიანს, ვინც დედის სიკვდილს ელის, მხოლოდ უბედურებას ვუსურვებ. აჩრდილი“.

„ჩემი უპასუხო კითხვები ასე გამოიყურება: მართლა შეყვარებული ვარ თუ ეს სიბრალულია? რატომ აფრენს და გიჟდება ჩემი გულისთვის ამდენი ბიჭი? მე ხომ აუტანელი ხასიათი მაქვს და მათ საშინლად ვტანჯავ. ჩემი ნატვრაა, ამ კითხვაზე პასუხი მივიღო. მის ანომალია“.

„მყავს შეყვარებული, რომელიც ჩემგან 300 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს და დღეს მოულოდნელად მესტუმრა — ლექციაზე ვიყავი, როცა მოულოდნელად კარში შემოიხედა. ლამის გული გამიჩერდა. გიო, იცი, ჩემი საახალწლო ნატვრა რა იქნება? ისევ ასე მოულოდნელად გამომეცხადო, შუა ზამთარში მინდვრის ყვავილები დამიტოვო კართან და დაიმალო; მე კი გეძებო, გაგიჟებულმა. რომ გიპოვი, წებოს გადავისხამ და ჩაგეხუტები. ისე მიგეკრობი, პატრულიც ვერ დაგვაშორებს. „შეშლილი გენიოსი“.

„იცით, რა არის ჩემთვის ბურუსით მოცული? — ლევანის საქციელი. თუ ვუყვარვარ, რატომ იკარგება თვეობით? მერე გამოჩნდება, თავბრუს დამახვევს და წავა. ეჰ, ყველაფერში ბედი გინდა, ადამიანს. იმაშიც კი, რომ ეს „უბედური“ მესიჯი „გზაში“ დაიბეჭდოს, მაგრამ რად გინდა? მე ხომ წყალწაღებული ვარ? არა უშავს, თუ არ დამიბეჭდავთ, მაინც ერთგული მკითხველი ვიყავი, ვარ და ვიქნები. სევდიანი გოგო“.

„ჩემი ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, უპასუხო კითხვებს რა გამოლევს? ახლა იმაზე ვფიქრობ, მაქვს თუ არა უფლება, რომ ჩემს არსებობას ცხოვრება ვუწოდო?“

„მაინტერესებს, რატომ ჭამს ზოგიერთი სახეობის დედალი ობობა მამალს, სასიყვარულო აქტის შემდეგ?“

„მარი, ჯერ ის მაინტერესებს, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ? მერე, რატომ არიან ბიჭები მშიშრები? თაკუშკები“.

„მარი, მიპასუხე, რატომ გამოიგონე „გზავნილები“, თუ ჩემს მესიჯებს არ დაბეჭდავდი?“

„ცხოვრებაზე რომ დავფიქრდი,/ დამებადა კითხვები,/ შეუცნობელ სამყაროზე,/ მარი, შენ გეკითხები./ ჩემს სულს ვიღაც ექაჩება,/ ვგრძნობ, რომ არის სატანა,/ ქართველებსაც დაგვავიწყდა,/ ერთმანეთის გატანა./ იქნებ, მითხრა, რატომაა,/ ეს ცხოვრება მალული,/ ან სამოთხე რატომაა,/ ზეცად გადამალული?“ „სტიქია“.

„მე „კიბორჩხალას“ ცოლი ვარ. ჩემს მესიჯს ვიღაც გამოეხმაურა, წერდა — „მორიელს“ ვერ ვიტანო. მინდა, ვკითხო: თუ „კიბორჩხალა“ ქმარი ავადმყოფურად ეჭვიანი და დესპოტია, ხოლო ცოლი — 23 წლის ლამაზი გოგო, მაინც გაკიცხავენ „მორიელს“ სიყვარულისთვის? არ მინდა, ეს კითხვა უპასუხოდ დარჩეს“.

„მარი, ანგარიში კარგად გცოდნია და მაინტერესებს, კვირაში რამდენი ლარი უნდა დავხარჯო, რომ 1 მესიჯი მაინც დამიბეჭდო? მაშინ, როცა დღეში 10-ს ვგზავნი“.

„მარი, შენი კოლეგა ვარ. არ მეგონა, თუ ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებდი. ვინც მარიზე ცუდი თქვას, ჩაუვარდეს ენა და ვერასოდეს ილაპარაკოს“.

„ძალიან მეწყინა, როცა 3 მესიჯიდან არც ერთი არ დამიბეჭდე. იცოდე, არ გამაბრაზო, თორემ მიზანში ამოგიღებ. თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, იცოდე, რომ მართლა კილერად ვმუშაობ და... „რატომ მომაბრუნე გზიდან? ჩემთვის მივდიოდი, მარტო“ — ეძღვნება თელაველ თაზოს. ბათუმი, დორე სოფო“.

„მალე მოვა ხუთშაბათი,/ ავისრულებ ოცნებას,/ რადგან ჩემი მესიჯი,/ „გზავნილებში“ მოხვდება. პატარა მარიკუნა“.

„მარი დიდი ჩიტია, ჩვენ კი, მისი ბარტყები. ის ყველას გამოკვებას ცდილობს. იმედია, მშიერს არ დამტოვებს ჩემი ჩიტი დედიკო. მთვარის ამოსვლას ჰგავხარ,/ ამობრწყინებას, მზისას,/ რადგან შენ გაჩნდი ქვეყნად,/ ამით დამშვენდა მინა,/ კითხვას რომ გისვამ, ულევს,/ პასუხიც უმალ მინდა,/ ნეტავ, გამჩითო „გზაში“,/ ამიხდენ ნატვრას, სიხ?“

„მე სვანი ვარ და ერთი ჩემნაირი სვანი მიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ცოტა ხნის წინ გავიგეთ, რომ თურმე, ნათესავები ვყოფილვართ. ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ერთმანეთი ისევ გვიყვარს. ნეტავ, ასეთი რაღაცები რატომ ხდება ცხოვრებაში? უბედური სვანი“.

„მე და გიოს ერთმანეთი გაცნობისთანავე მოგვეწონა და მალე, შეყვარებულებიც გავხდით. ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ერთ დღეს დავინახე, როგორ კოცნიდა გიო მანქანაში ბიჭს. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. მას მერე მძულს და მაინტერესებს, რატომ მოხდა ასე?“

„ჩემთვის უპასუხოდ დარჩენილია კითხვა: ხალხო, მარი ყველას როგორ დაგიბეჭდავთ მესიჯებს? ეჰ, მარი, მე მესმის შენი და ვხვდები, რომ უაზრობაა იმის თხოვნა, რომ მესიჯი აუცილებლად დამიბეჭდო. ჩემთვის ისიც საკმარისია, შენ რომ კითხულობ. ჰოოდა, რა მინდოდა მეთქვა?.. ჰო, რამდენი ბიჭიც მომეწონა და ვინატრე — ნეტავ, შევუყვარდე-მეთქი, ყველას შევუყვარდი, მაგრამ მე დამეკარგა მათზე წარმოდგენა. ვინ იცის, რატომ? ყველანი მიყვარხართ, მგზავნელებო! თქვენი პატარა ბ.ა.ლ.ი“.

„რაო, რაოოოო??? ვინ გაბედა მარისთვის დიქტატორობის დაბრალება? ხომ არ გინდათ, თავს მესიჯების ჭექა-ქუხილი დაგატყდეთ? მარის მინიმუმ 4 მილიონი „მესიჯომანი“ უჭერს მხარს. პატარა წყენა და... არიქაააა... რევოლუციას გაჰყვირიან. თითქოს, ანტიდეპრესანტი იყოს! ციც, რევოლუციას! გაუმარჯოს მარის! გიჟი გოგო“.

„შეიძლება, „შალვა ნათელაშვილს“ მეც შევუერთდე?“

„ჩემი უპასუხო კითხვა ასე ჟღერს: რამდენი წლისაა „სტიქია“?

„მარი, ეს ნატვრა ამისრულე და ერთადერთხელ დამიბეჭდე მესიჯი. დედაჩემის მესიჯებს ყოველთვის ბეჭდავ და მე რა დავაშავე? დედაჩემი ისაა, მსხლის მოწყვეტა რომ უნდოდა და საქათმეში ჩავარდა. ირმა“.

„დღეს „გზის“ ყიდვისას გამყიდველმა ლამის წინა კვირის ნომერი შემომაპარა. ისიც, უკვე საგულდაგულოდ, 10-ჯერ მაინც იყო გადაკითხული და ფურცლები სულ გაცვეთილი ჰქონდა. თითქმის მთელი ქუთაისი შემოვიარე და ეს ნომერი ძლივს ვიშოვე. ჩემი ოცნებაა, ბანკში გადავიდე სამუშაოდ. ბანალურია? „არა-ბანკური“... 13 წელია, ვცეკვავ და დროა, პიჯაკი ჩავიცვა. უკვე დიდი გოგო ვარ, ჭკვიანიც და კარგად ვიქცეოდი, მთელი 26 წელი. „ბანკის ბაბუებო“, შემისრულებთ ამ სურვილს? ბუხართან ჩემს ნაწნავებში დავიმალები და 12 საათზე დაგელოდებით. ნინია“.

„უპასუხო კითხვა მაქვს: დილის 5 საათია და რატომ ვერ ვიძინებ? მიშველეთ, მინდა, დავიძინო. ანი“.

„ახალი ამბები: გამოვიდა ახალი ნარკოტიკი, სახელწოდებით — „გზავნილები“. ის საკმაოდ იოლად იწვევს შეჩვევას. იმდენად

იოლად, რომ ერთი მიღებაც კი საკმარისია, რომ „გზავნილომანი“ გახდე. თანაც, იოლად იშოვება. გამომგონებელია მარი ჯაფარიძე, რომელსაც ციხის საკნის ნაცვლად, ხალხის სიყვარული ერგო. ხალხო, მიიღეთ ეს „ნარკოტიკი“ და არ ინანებთ. მას არ ახლავს გვერდითი მოვლენები, მაგრამ აქვს საშინელი „ლომკა“. სტაჟიანი „ნარკომანი“, ჟურნალისტკა“.

„ვინმემ კითხვა უპასუხოდ რომ დამიტოვოს, მაგას შევარჩენ? მაშინვე გურული ქალის სიგიჟეებს ვაჩვენებ, აბაააა! მართლა, მარი, ჩემს მესიჯებს რატომ არ ბეჭდავ? ისე, კი არის ეს უპასუხო კითხვა, მაგრამ სვანთან სიგიჟის გამოჩენას, წყნარად ვიჯდე, ჯობს. მის სიო“.

ნატვრები

„ეჰ, რამდენი ნატვრა მაქვს... პირველ რიგში მინდა, ეს „ოხერი“ ეროვნული გამოცდები ჩავაბარო. მერე, ეს ახალი წელი ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად გავატარო — ვიცი, არ მეღირსება, მაგრამ ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ჰოდა, შესაძლოა, არ მომკლას ამ ოცნებამ, მაგრამ გადამრევს მაინც. ბედნიერება მინდა! მინდა, ვუყვარდე! ბევრი მოვინდომე, ხომ? კიკი-რიკი“.

„შესაძლოა, უკვე გადავაბიჯე მესიჯებით ურთიერთობის ასაკს, მაგრამ ძალიან მინდა, ჩემმა საყვარელმა მეუღლემ ამ ახალ წელს სურვილები ამისრულოს. კ. მიყვარხარ. შენი მ.“

„აუუ, იმდენი ნატვრა მააააქვს! მინდა, თოვლის ბაბუამ ჩემი ბიჭი დამიბრუნოს და „გზის“ ფურცლებზე პირობას ვდებ, რომ აღარ „ვესტერვები“. რა ჩემი ბრალია, ასე რომ შემაყვარა თავი? ლევან, მიყვარხარ!“

„ერთ ბიჭს დავშორდი და ჩემი ნატვრაა, რომ მალე დამივიწყოს და არ დაიტანჯოს. ძალიან მენატრება, მაგრამ სიმართლის ცოდნას, ჯობია იცოდეს, რომ არ მიყვარს. ლაშ, ვიცი, დიდი ტკივილი მოგაყენე და მაპატიე“.

„ნატვრად მექცა ჩემი თანაკლასელების ნახვა, რომლებიც 1987 წლიდან არ მინახავს. სად ხართ, ცხინვალის მე-6 სკოლის მოსწავლეებო? გამომეხმაურეთ! დიანა“.

„ჩემს ნატვრას გაგიმხელთ. შესაძლოა, ძალიან სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ მაინც... DVD-ი მინდა. იმხელა წინდა შევკერე, რომ წესით, უნდა ჩაეტიოს. აბა, ვნახოთ, საშობაოდ სასწაულები მართლა თუ ხდება. აბა, ჰე, სანტა, შენ იცი!“

„მინდა, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ახალ წელს ბრაზილიაში, მცხუნვარე მზის ქვეშ შევხვდე. იმედი მაქვს, თოვლის ბაბუა წაიკითხავს და „გამაქანებს“ ბრაზილიაში. ამიტომ წინასწარ მთელ საქართველოს მივულოცავ ახალ წელს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ არაფერი სჯობია მზეს, ზღვას, ცივი შამპანურით სავსე ბოკალს, ახალ წელს და გვერდით საყვარელ ადამიანს“.

„ჩემი ნატვრა ის არის, რომ ეს ახალი წელი ჩემს სიცოცხლესთან, ჩემი შვილების მამასთან ერთად გავატარო. უკვე წელიწად-ნახევარია, რაც საზღვარგარეთაა და არ მინახავს. კუსა, ძალიან მიყვარხარ და მენატრები“.

„ორიოდე დღის წინ, ერთი ადამიანის თვალებს შევეფეთე და საოცარი რამ ვიგრძენი. თვალებში ჩემდამი ინტერესი ამოვიკითხე და იქვე, საახალწლო ნატვრაც „გამოცხვა“. მინდა, ამ ადამიანმა დიდი და ლამაზი სიყვარული მაჩუქოს, დამავიწყოს ის, ვინც ჩემს სიყვარულს არ იმსახურებს. გიჟი გოგო“.

„აუუუ... იქნებ, მართლა ამიხდინოს ჩემმა იმერელმა ლევიკომ ნატვრა? ლევიკო, საყვარელო, დიდი, თეთრი დათვი მინდაააა... თუ არ მაჩუქებ, ჭიათურას ავაფეთქებ. ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარხარ, ჩემო ღიპუცუნა. გადარეული დედოფალი“.

„ჩემი ნატვრაა, მქონდეს საკუთარი სახლი და აღარ ვიყო მდგმურად. არ ვიცი, ასრულდება თუ არა, მაგრამ გულში პატარა იმედი მაქვს. იქნებ... დიანა“.

„მარი, ჩემი ნატვრის ახდენა შენ შეგიძლია. გთხოვ, 2007 წელს ყველა მესიჯი გამომიქვეყნე. გენაცვალე! მეგრელი „კანიბალკა“.

„ჩემი ნატვრა ის არის, რომ ჩემი საყვარელი ადამიანი ციხიდან გამოუშვან, რადგან უდანაშაულოდ დაიჭირეს და ძალიან ცოტა შანსია, მისი გათავისუფლების. ღმერთს ვთხოვ, ნატვრა ამისრულოს, რადგან მხოლოდ მისი იმედიღა დამრჩა. ბესო, ძალიან მიყვარხარ, მუდამ მეყვარები და ერთგულად დაგელოდები ბათუმში“.

„ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა იცით, რა არის? ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, ზურა კო-ემ ცოლად თამუნა მოიყვანოს. მინდა, რომ ბედნიერები იყვნენ. ზურ, ამისრულე ეს ოცნება, რაااა... ბაჭია“.

„ერთი ბიჭის ევროპიდან ჩამოსვლას ვნატრობ ყველაზე მეტად. მამუ, მიყვარხარ და ერთგულად გელოდები. მულატკა, ქუთაისი“.

„იცით, ჩემი ნატვრა რა არის? ის, რომ ჩემი ძმა ციხიდან გამოვიდეს. ძალიან მიყვარს, ვგიჟდები მასზე. ნათია კ“.

„ძალიან ბევრი ნატვრა მაქვს, მაგრამ ახლა, ჩემი შვილის ნატვრა მინდა, გაგიმხელოთ. ახლა ის ჯარშია. დიახ, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისი სურვილით მსახურობს ქართულ ჯარში და იცით, რა ამაყი ვარ? იმედი აქვს, რომ ჯარის შემდეგ სამსახურს იშოვის და დამეხმარება. იმის იმედიც აქვს, რომ ოდესმე კომპიუტერს იყიდის. კეთილო ხალხო, თუ ვინმეს შეგიძლიათ, გთხოვთ, იქნებ, ნახმარი კომპიუტერი მაინც აჩუქოთ. უფალს ვთხოვ, იქნებ, მე ამისრულოს ჩემი შვილის ოცნება. სიყვარულით და იმედით, ჯარისკაცის დედა“.

„მინდა, მერაბ ხუციშვილმა გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს და ჩემი საახალწლო ნატვრა იქნება, რომ მისგანაც მოვისმინო სიტყვა — „მიყვარხარ“. მერაბ, იმედია, მიხვდები, ვინ ვარ. ინკოგნიტო“.

„მინდა, თოვლის ბაბუამ ჩემი საყვარელი ადამიანი მომიყვანოს და სამუდამოდ ჩემთან დატოვოს. ეჰ... იცით, რა უბედური ვარ? ჯერ ერთმანეთი არ გვინახავს და უერთმანეთოდ ვკვდებით. ლექსო, ჩემი სიცოცხლე ხარ“.

„გზავნილები“ უკვე მეოთხე ახალ წელს ხვდება. ამიტომ, ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევთ და ვინაიდან ჩვენ ერთმანეთს უკვე 2007 წლის 4 იანვარს ვხვდებით და „შუა ჩაგვიდის“ საახალწლო ღხინი, თემად — „სამი დალიე, შეგერგებას“ გთავაზობთ.

გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე marorita77@yahoo.com მიამბეთ, რა გადაგხდათ თავს, როცა სამ ჭიქაზე მეტი დალიეთ. გილოცავთ ახალ წელს! ■



„პოვე სიყვარული მხოლოდ სიყვარულში“

თქვენ მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი ტექსტი (გარდა უცენზურო და შეურაცხმყოფელი შინაარსის ტექსტისა), აუცილებლად გამოქვეყნდება. „გზავნილებისგან“ განსხვავებით, ამ რუბრიკაში ყველა მესიჯი დაიბეჭდება. უბრალოდ, ყურადღებით უნდა წაიკითხოთ გამოგზავნის წესი. მობილური ტელეფონის „ესემეს“ ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა gza, შემდეგ გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ სასურველი ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ მესიჯი გაცილებით დიდია, ის შუაზე წყდება და ხშირად, აზრის გამოტანა შეუძლებელია. თუ თქვენ გაცილებით დიდი ტექსტის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

გავიცნობ 25-40 წლის სიმპათიურ, გამხდარ, შეხვედრისადგილიან მანდილოსანს. თუ ხარ სუპერსექსუალური, არასოდეს მოგწყინდება ვნებიანი ღამეები, დამირეკე! „პიერო“.

„ქეთი-19“, ვიმეგობროთ. „ლაშა-22“.

მარი ბურდული არ გამოჩნდა? დამირეკოს, ვთხოვ. გოგიტა.

მომბეზრდა ერთფეროვანი ცხოვრება, დამღლელი სამუშაო რიტმი და იმაზე ფიქრი, თუ როგორი იქნება ჩემი შემოქმედების შედეგი. ვეძებ ადამიანს, რომელიც იქნება გულიანი და თბილი.

ტანი მაქვს ელასტიკური. ფეხს ვხმარობ წკეპლასავით. დიდი თხოვნა მაქვს, რომ ჩემი ნომერი მისცეთ „ქეთი-19“-ს.

ვეხმაურები „კარელია სლიმს“-ს. მე ზაზა ვარ, 26 წლის და პირველად გიმესიჯებთ. მარი, გთხოვ, ჩემი მესიჯი გამოაქვეყნო და „კარელია სლიმს“-ს კი ვთხოვ, გამომეხმაუროს.

ვეხმაურები 33 წლის მახოს. უკვე დიდი ხანია, ასეთ ადამიანს ვეძებ. იმედია, გამიმართლებს. გთხოვთ, ჩემი ნომერი მისცეთ. „ერთგული-31“.

მე მინდა მახოს ტელეფონის ნომერი, რომელიც 23-33 წლის მანდილოსანს ეძებს. თუ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ თავისუფალია. მე არ მიგრძნია მარტოობა, არც სინანული/ ვინმე კი არა, მე მიყვარდა თვით სიყვარული. სალამი „გზის“ მკითხველებო, მაგრები ხართ. მარი, გაიხარე! „მეტიჩარა“.

ვინაა გადარეული, ვინაა აქტიური, ვინაა „ესემეს მანიაკი“, ვინაა გამგებიანი? სილამაზემ არ შეგაშინოთ, გოგონებო! შემეხმიანეთ, თუ გაქვთ გიჟური გრძნობები. „ბაჩ-ესემესკა-21“.

ვეხმაურები 20/54/167, თაფლისფერთვალება გოგოს. ვარ შავგვრემანი, 26/ 80/178, შავთვალება ბიჭი. თუ ჩემი გაცნობა გსურს, ნომერი მარისთან არის. „შავთვალა“.

ვარ 27 წლის მაღალი ბიჭი. ვეძებ მეგობარ გოგოს, 21-27 წლის. „მშვილდოსანი“.

ვარ 22 წლის, ცოლიანი ბიჭი. გავიცნობდი 18-35 წლის ლამაზ ქალს, სასიყვარულო ურთიერთობისთვის. „გ-17“. გელოდებით.

დებილო, მიყვარხარ. „კიკი“.

მოგესალმებით ყველას. ყველანი მაგრები ვართ, განსაკუთრებით სვანები. მაგრად მიყვარხართ და გაფასებთ. თქვენი სვანუკა.

მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ. სამეგობროდ გავიცნობ 22-27 წლის გოგოს. ვარ 27 წლის, მაღალი, სიმპათიური, უცოლო მამაკაცი. „უცოლო მშვილდოსანი“.

ვისაც მიაჩნია, რომ ფეხბურთი ჩემზე მაგრად უყვარს და თვლის, რომ ბურთი ყველაზე მაგარი ნივთია, შემეხმიანოს. ხალხო, ცხოვრება მშვენიერია, ფეხბურთთან ერთად. „ნინო-მილანი“.

ეეე, გოგონი, ჯობს, შენს თავს მოუარო, გაიგე? ჩემს მესიჯებში რა ნახე ცუდი? დააყენე, რა! ჯერ ერთი, მე პოეტობას არ ვაპირებ და დამინყნარდი, რა!

პოვე სიყვარული მხოლოდ სიყვარულში. ნინუცა.

იკას მინდა ვუთხრა, რომ ყველა უკანასკნელ მახინჯს თავი ანგელოზი ჰგონია. ნინუცა.

შიშველი მონატრება/ გრძნობა — არეული,/ დარდი, უშენობით ცრემლებმორეული,/ გიჟი სიყვარული/ ვნება — ანთებული,/ და მკლავს მონატრება, ასე შორეული. „პრინცესა“.

ვარ 25 წლის, შავგვრემანი, ცისფერთვალება ბიჭი. გავიცნობ 33 წლამდე მანდილოსანს, ექსტრემალს და ვნებიანს. დათო.

ბაჩო, ალბათ შენი დუმილი „არას“ ნიშნავს, ხომ? ხედავთ, როგორ ვამართლებ ჩემს სახელს? ეს სახელი თვითონ დავირქვი, რადგან მე სხვებზე უკეთ ვიცნობ საკუთარ თავს. „უიღბლო“.

ნამდვილო კაცებო, თუ არსებობთ, გამომეხმაურეთ. მომწყინდა ყველა ნაცნობი და მინდა, ვინმე საყვარელი ტიპი გამეცნოს, 20 წლის ზევით. ქერა კაცები არ „მევასებიან“. აბა, გელით, „მისტერ-სიმ“.

ვეხმაურები მამაკაცს, 33/172/78. მახო, მინდა ვიმეგობროთ. თუ სურვილი გექნება, ნომერი მომაწვდინე. ქეთი, ქუთაისიდან.

ერთხელ ღმერთს ხე ვთხოვე და ტყე მაჩუქა, ვარსკვლავი ვთხოვე და მზე მაჩუქა, ფიფქი ვთხოვე და დამათოვა. როცა ვთხოვე, სულიერი მეგობარი მაპოვნინე-მეთქი, „გზავნილები“ გამომიგზავნა.

შენი დაბრუნების იმედი არ მაქვს, ჩემო ლამაზო წიწი-ლა! ბევრმა რამემ შეგვიშალა ხელი ერთად ყოფნაში. არადა, მე ისევ შენი ვარ და მთელი გულით მიყვარხარ. „ფერია“.

Q მიშველეთ! თავს ვიკლავ და სიკვდილს გადამარჩინეთ!

Q ლაშა ფოფხაძეს ვთხოვ, გამომეხმაუროს. ვწერთ ლაშა და ლანა ფოფხაძეებს, ნათია და დათა კიკვაძეები.

Q ო, ნუ მიყურებ და ნუ მიღვიძებ ვნებას,/ თორემ იცოდე, ისე შეგხედავ ლამაზ თვალებში,/ სულ, სულ არ ვკითხავ შენს შეყვარებულს, გიჟო...

ერთხელ, კარგად რომ მეძინა, / სიზმრად ვნახე ნატვრის ხეო,/ რომ მივედი სათხოვნელად,/ ხელში შემრჩა ნაძვის ხეო. „სტიქია“.

ნინი, სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებასა და უდიდეს სიყვარულს. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ. გკოცნი. ბათუმი, შოკა-17.

ნატუშკები, თუ ჩემი გაცნობა გინდა, ჩემი ნომერი მარის გამოართვი. ლევანიკო.

თუ ავბობოქრდი, იცოდეთ,/ ყველას გექნებათ წუხილი,/ ჯერ ქარბორბალა ვიქნები,/ მერე კი ჭექა-ქუხილი. „სტიქია“.

მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო ჩემს ერთი წლის უნახავ შვილებს, ბექას და გიგის. ვუსურვებ ბედნიერ და ლამაზ 2007 წელს. სოფო.

თეკო, გილოცავ დაბადების დღეს. გკოცნი და ძალიან მენატრები. შენი დედა, ათენიდან.

მინდა, ჩემს სიყვარულს მივულოცო ახალი წელი. გოჩი, გილოცავ ჩემო სიცოცხლევ და გთხოვ, არ დამივიწყო. მესიჯებს უპასუხოდ ნუ დამიტოვებ. პატარა თამუნია.

„პრინცესავ“, მინდა გითხრა, რომ მეც „პრინცესა“ ვარ და ის მესიჯი მე მეკუთვნოდა. ამიტომ, გასაკვირიც არაფერია.

ვეძებ თამაზ დევდარიანს. სად დაიკარგე? რატომ აღარ მეხმიანები?

ვარ რუსა, 27 წლის. მინდა, „მესიჯომანიის“ დახმარებით სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნო 30 წლამდე ასაკის მამაკაცი. ბათუმი.

მე შენ გეძებდი მთელი ცხოვრება,/ და საუკუნე 20,/ XX საუკუნეში,/ ძლივს გიპოვე და გკოცნი. ლეო, ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ მიყვარხარ. თამო.

ყველას ახალ წელს გილოცავთ,/ მრავალი გაგთენებოდეთ,/ 2007 წელი,/ კეთილად დაგბედებოდეთ./ დაგებედოთ ბევრი ფული,/ გაამრავლეთ ჩვენი ერი,/ გოგონებო, უცოლო ვარ, / თქვენი მუკობაზიერი.

სალამი ყველას. ვეხმაურები მონასტრის ბიჭს. შენთან მეგობრობა ძალიან მინდა. თუ სურვილი გექნება, ნომერი მარის დაუტოვე და დაგიკავშირდები. ბუბუ.

დედაااა... გამოვშტერდი, ხალხო, „სტიქია“ არ გვეყოფოდა? ახლა „წარღვნა“-ც დაემატა. ფაქტობრივად წაგვლეკეს, რა! მომდევნო ალბათ „გრიგალა“ ან „ვულკანა“ იქნება. „მის ხატია“.

ვეხმაურები ხევსურს. რა გქვია? მეც ხევსური ვარ. ვიმეგობროთ?

მინდა კარგი გოგოს გაცნობა. ვარ 16 წლის, 174 სმ. სიმაღლის. ლუკაჩო.

„სტიქია“, „წარღვნა“, „მზე“, „მთვარე“, „წვიმა“ და ა.შ. რა იყოთ, ხალხო, რა მოგვიდათ? ეს რა ნიკებს არჩევთ? „სტიქია“ პირველი იყო და პატივისცემის ღირსია. „უღირსი“.

მინდა, თქვენი საშუალებით ერთი ადამიანი მოვძებნო. ია მცხეთაში, სვეტიცხოველში გავიცანი, აღდგომის ღამეს. მასთან ერთად მისი და და 2 დისშვილი იყვნენ. დილით ერთმანეთს დავშორდით. ტელეფონის ნომრები გავცვალეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ტელეფონი დავკარგე და მისი ნომერიც თან გაჰყვა. თუ „გზას“ კითხულობს, აუცილებლად მიცნობს. ვთხოვ, გამომეხმაუროს. ხათუცა“.

აბრეზ, არ გინდა, გამიცნო? რატომ მოგწონს მაინცდამაინც ხუჭუჭთმიანი გოგონები? ნეტავ, ეს ყველაფერი მართალია, მარი? „პუდელიკო“.

მარი, გთხოვ, ნამდვილი ვაჟკაცის მოძებნაში დამეხმარე. მამაკაცური ხასიათი რომ ექნება და ვაჟკაცს რომ შეეფერება, ისე რომ გამიგებს და შემიყვარებს. მიეცი ჩემი ნომერი ასეთ კაცს.

საქართველო ფაციფუცობს,/ მესიჯებით ბაქიბუქობს,/ ჩემი ნომერი ანახვეთ,/ მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ. 8.55.32.98.55 „მეგრელი კანიბალკა“.

ვარ 32 წლის, ჩვეულებრივი გოგო. მინდა სამეგობროდ გავიცნო კარგი ადამიანი. სქესს მნიშვნელობა არ აქვს. „კუკუ“.

გიგა, მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო ბიჭო. იცოდე, სულ შენთან ვარ ფიქრებით. გკოცნი ძალიან ბევრს. შენი დედიკო ლია, საბერძნეთიდან.

გუშინ დილიდან ღვინოს ვსვამ კახურს,/ დალოცვილ გლეხის მარჯვენით ნაჟურს,/ თქვენი სადღეგრძელო მე შევსვი ყანწით,/ სახლში მიმიტანეს მეზობლის ამწით./ ამ დილით ავდექი, სარკეში ჩავხედე,/ შუბლზე უდროოდ გაჩენილ ბზარს,/ ახლა ჩავიცვამ, ჯიხურში ჩავალ,/ „პახმელიაზე“ ვიყიდი „გზას“. „მძიმე წერტილი“.

გავიცნობ მხიარულ ადამიანს, მეგობრულსა და იუმორით სავსე ბიჭს. ვარ შავგვრემანი გოგო, გრძელი თმით. „სვანსკი“.

ერთი გოგო ისე ძალიან მიყვარს, რომ თუნდაც 100 საყვარელი ჰყავდეს, უკურნებელი სენით იყოს ავად და მაგრად ვეზიზღებოდე, მაინც ცამდე მეყვარება, მთელი არსებით. „დიდი ხუმარა“.

ვაიმე, სვანებზე „მეკეტება“... ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ვაჟკაცურები არიან და ნამდვილი კაცური კაცები. უცნობებს ყველას ონიანის გვარით ვეცნობი. დაქალები დამცინიან: — მაგ გვარს ისე გადაეკიდე, ნამდვილად ონიანის ცოლი გახდებიო. მეც მაგის იმედი მაქვს. სვანებო, გეხუტუნეთ, მაგარი ხალხი ხართ. ისე, სამეგობროდ გავიცნობდი სვანს. „ჭიჭე“.

20 წლის ვარ, გენაცვალე,/ მოყვარული ლექსის წერის,/ მინდა ყველას შეგეკითხოთ,/ ხალხო, გჯერათ, ბედისწერის?

გამოცანის პასუხი: პირი საჭმელად, საყვირლად,/ თვალი სამზერად, სატირლად,/ ტანჯვას ვერ გრძნობენ საძირკვლად,/ გიჟები ჰქვიათ, საყვირლად. „სტიქია“.

ისე მენატრები, თითქოს მელანდები,/ შენთვის თავს გავწირავ, შენს თავს გეფიცები,/ ყველგან გამოგყვები, თუნდაც ჯოჯოხეთში,/ ოღონდაც მჯეროდეს, რომ სულ გეყვარები. „სვანსკი“.

ძალიან მიყვარს სისწრაფე, ღამის ქალაქში სეირნობა და გართობა. მიხარია, რომ ერთი ჩემნაირი ადამიანი ვიპოვე. ლამაზი გოგო, თათული.

ვარ 16 წლის, 177 სმ. სიმაღლის, ძალიან ხალისიანი და ყურადღებიანი. ქვეყნად ყველაზე მეტად ფეხბურთი და რეპი მიყვარს. ჩემი ნომერი მარისთანაა. „რონალდინიო“.

მიღიმის მტერი, ვიდრე გულში მიმიზნებს ისარს,/ ერიდე, ძმაო, მზაკვრულ ღიმილს და ღიმილს მტრისას. „თბილი კაცი“.

გამარჯობა, ვარ 16/170/65, გიჟი აბიტურიენტი. ვუსმენ როკს და მიყვარს „უუასები“. არ მიყვარს გაუნათლებელი და უზრდელი ადამიანები. გამომეხმაურეთ, ვინც ჩემი ჭკუის ხართ. თქვენი „ვამპირშა“.

დაკუნთულ „ტაისონას“. ვარ უშუალო, ლამაზი და მოცეკვავე გოგო. 20/168/50. „წრიპა“.

გამარჯობა ყველას. ვეხმაურები 20 წლის კახას. ვარ 17/170/50 მშვიდი და სერიოზული გოგონა. თათა.

გამარჯობა ყველას. ძალიან მინდა, ვინმე გავიცნო, თუნდაც სამეგობროდ. ისე, კახამ დამაინტერესა. მეც 20 წლის ვარ და ქერა. გელოდებით. ნანიკო.

მე ჩემს სიყვარულს შენთან დავეძებ,/ რომ ერთხელ მაინც შემოგეხვიო,/ ტკური დავუგდო შენს გულის ცემას,/ და შენს ბაგეებს ვნებით ვემთხვიო.

ვარ მშვიდი, გაწონასწორებული, ინტელექტუალური, თავდაჯერებული, მომხიბვლელი და მოწესრიგებული მანდილოსანი, 19 წლის. „ერთგული“. 20 წლის კახა თუ დაინტერესდება, მიეცით ჩემი ნომერი.

ვეხმაურები 25 წლის ზიკოს. ძალიან მინდა გაგიცნო. მგონია, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებთ. მე ვარ გვანცა, მხიარული, მოსიყვარულე, ძალიან თბილი და ყურადღებიანი გოგო.

მიეცით ჩემი ნომერი 24 წლის თეონას, ათენიდან. ან მე მომეცით მისი ნომერი. ზაზა.

ზურა, დამიჯერე, ყველაფერს ინანებ. ხომ იცი, როგორი გიჟი და გადარეული ვარ? დანაპირებს აუცილებლად შევასრულებ. კარგად იცი, რომ მე ცხოვრებაში ყველაფერს მივაღწევ. არ გინდოდა ჩემი სიყვარული, ხომ? მაშინ მოემზადე დასაჩოქებლად. ციცქნა.

ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 30-35 წლის მამაკაცს.

ვარ 27 წლის, სიმპათიური ახალგაზრდა. მაქვს საკუთარი შემოსავალი. გავიცნობ გოგონას, სამეგობროდ. გამომეხმაურეთ, გელით, რამაზიკო.

მარი, „ტაისონას“ მიეცი ჩემი ნომერი. თათა.

სიამოვნებით გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ქერა, ცისფერთვალება. მარი, პირველად გწერ. „მხიარული კისა“.

დილა თენდება, იღვიძებს ყველა,/ ჩემთვის, ძვირფასო, უშენოდ ბნელა,/ რიტმი ცხოვრების იწყება ნელა,/ მიყვარხარ ძლიერ, ჩემი ხომ გჯერა? „სტიქია“, მაგარი კაცი ხარ.

მარი, გოგო, მეც გოგო ვარ, შენ კი კაცის „სიფათი“ მომაკარი. ეჰ, ხალხო, გემომეხმაურეთ, არ ინანებთ. ჩემი სახით კარგ მეგობარს შეიძენთ. მიყვარხართ, ხალხოოოო! „ემქეი“.

ვარ 30-ს გადაცილებული, სერიოზული, იურისტი კაცი. ჩემს სრულ ბედნიერებას მხოლოდ წესიერი, მეოჯახე, სიმპათიური, მოსიყვარულე გოგო აკლია, რომელთანაც ულამაზეს ოჯახს შევქმნი. „ზიკო“.

ახლა ღამეა, სიჩუმე მაგიჟებს,/ მე თქვენი მოგონება ყველაფერს მავიწყებს,/ ნახე, როგორ ათოვს ოცნების ნაპირებს.../ თვალები დახუჭეთ, თქვენს კოცნას ვაპირებ. „პრინცესა“.

ასჯერ ავანთე წმინდა სანთელი, / ასჯერვე ჩამიქრო ქარმა,/ ასჯერ გითხარი — მიყვარხარ,/ ასჯერ მითხარ — არა! მარი.

შენ რომ დაიბადე, ღმერთის ბრალია,/ შენი სილამაზე დედის ბრალია,/ მე რომ მიყვარხარ, შენი ბრალია,/ შენ რომ გიყვარდე, უფრო კარგია. „სვანსკი“.

ქობულეთელო ნატა ნიჟარაძე, ძალიან მიყვარხარ. შენი „კნუტი“.

ნანა, ნინო და თამუნა, მაგრები ხართ. აგრეთვე, ულამაზესები.

დამიმესიჯოს მძიმე როკის მოყვარულმა, შავგვრემანმა, ზომიერად სიმპათიურმა მანდილოსანმა. ვინც როკს უსმენს, ის სტანდარტული ვერ იქნება, ნამდვილად. „ოზი“.

ნამდვილო მამაკაცებო, სად ხართ, „თვალდახუჭულებო“? თვალი ფართოდ გაახილეთ და დამინახეთ. არ ვარ „სტერვა“ და წუნია. ვარ 35/168/54. ჩემზე პატარები ნუ შეწუხდებით.

გაგრძელება იხ. გვ. 69

წლის ბომონდური ამბები და ფაქტები...

მიიწურა 2006 წელი. ასეთ დროს თვალს ავლებენ ხოლმე აწ უკვე გასულ წელს, რომელმაც არცთუ ისე ცოტა საინტერესო თუ უინტერესო ფაქტი და მოვლენა დაიტია...

უწამყვანო ტელევიზია

2006 იმით დაიწყო, რომ ჩვენს ტელესივრცეს კიდევ ერთი მუსიკალური არხი — „მიუზიკ-ბოქსი“ შეემატა, რომელსაც მაყურებელი SMS-ებით „მართავს“: მის ეთერში მხოლოდ მაყურებლის მიერ შეკვეთილი მუსიკა გადის. „მიუზიკ-ბოქსის“ განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მას წამყვანი არ ჰყავს.

გერმანული გამოცდილება

2006 წლის პირველ ნახევარში, ერთი თაობის ახალგაზრდა მომღერლები — ნინი ბადურაშვილი და თაკო გაჩეჩილაძე სამუშაოდ გერმანიაში გაემგზავრნენ. მათ საშუალება ჰქონდათ, ერთ-ერთ სოლიდურ ხმის ჩამწერ სტუდიაში ემუშავათ და გარკვეული გამოცდილებაც დაეგროვებინათ. გერმანელებს მოეწონათ ქართველი მომღერალი გოგონები და საინტერესო შემოთავაზებებიც მიიღეს, რომელსაც გაგრძელება უკვე 2007-ში ექნება...

კომპანიის სახე

რადიო „ფორტუნის“ მუსიკალური წამყვანი, ხატია შამუგია წელს პარფიუმერიული ფირმის — „ისი-პარის“ სახე გახდა და ამასთან, ამ კომპანიის პიარ-მენეჯერადაც მოგვევლინა.

ყოველივე ამის შემდეგ, ხატიას ცხოვრება „ჯადოსნურ-სურნელოვანი“ გახდა. პარფიუმერიულმა სამყარომ ხატია სერიოზულად გაიტაცა.

„ჯეობარელების“ კლუბი

2006 წლის დასაწყისში თბილისში ერთი თანამედროვე სტანდარტების მქონე ღამის კლუბი, „ნაით ოფისი“ გაიხსნა, სადაც წლის განმავლობაში არაერთ უცხოელს თუ ადგილობრივ მუსიკოსს ჰქონდა საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება (იქ ძირითადად, ელექტრონული მუსიკა ისმოდა). კლუბში სამსახური „ჯეობარი 1“-ის მონაწილეებსაც შესთავაზეს. ისინი დღემდე იქ მუშაობენ.

ასპარეზი ვარსკვლავებისთვის

ქალაქის ღამის ცხოვრებას თებერვალში გახსნილი კიდევ ერთი ღამის კლუბი — „სითი ქლაბი“ შეემატა. წლის მანძილზე, იქ უმეტესად ქართული ესტრადის ვარსკვლავები გამოდიოდნენ. ამ კლუბში წელს ყველაზე მეტი კონცერტი მერაბ სეფაშვილმა და დათო გომართელმა ჩაატარეს. ეს ის ადგილია, სადაც მერაბ სეფაშვილს სასიმღეროდ ყველაზე მეტად მიუწევს გული.

რეიტინგული სიმღერები

წლის მანძილზე ვიდეოაუდიო მაღაზიებში დიდი ტირაჟით იყიდებოდა კომპოზიტორისა და შემსრულებლის, ნატო გელაშვილის დისკები და კასეტები — ე.ი. მომხმარებელს ქალაქურ სიმღერებზე მოთხოვნილება აქვს. მისმა სიმღერებმა — „ჩემო ცისფერთვალებავ“, „აყვავდება როცა ნუში“ „დეკემბერი...“ — ყველა რეკორდი მოხსნა.

ძირს ფონოგრამა!

ცნობილმა ქართველმა მომღერალმა, ლელა წურწუმიამ წლეულს, საკუთარი ბენდი ჩამოაყალიბა. მომღერალი ბენდს იმდენად ჰარმონიულად შეეწყო, რომ ყველგან ცოცხალ შესრულებას ამჯობინებდა და ფონოგრამაზე საბოლოოდ უარი თქვა.

დანაჯარგი

2006 წელს მოულოდნელად დაიღუპა საქართველოში ალტერნატიული მუსიკის ლიდერი, მუსიკოსი და მწერალი ირაკლი ჩარკვიანი. მისი სიცოცხლე საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრების ეტაპზე შეწყდა...

მიღწევა

გასულ ზაფხულს კონკურსზე — „იურმალა“ ქართველმა მომღერალმა, სოფო ხალვაშმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მან მესამე ადგილი დაიკავა და ჯილდოდ, სოლიდური ფულადი პრემიაც ერგო.

ქართველი უცხოეთში

მუსიკოსმა ნინო ქათამაძემ 2006 წლის დასაწყისში კიევში პირველი წარმატებული გასტროლით, საკუთარ შემოქმედებაში ახალ ეტაპს დაუდო სათავე. მან უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობა და კონცერტები გადაწყვიტა, რადგან სერიოზული და საინტერესო წინადადებები მიიღო. ის ქალაქიდან ქალაქში თავის ჯგუფთან — „ინსაიტთან“ და კამერულ ორკესტრთან ერთად მოგზაურობს.

რჩეული გოგონა

„მის მსოფლიოს“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრმა“ სილამაზის კონკურსის შედეგად, „მის საქართველო 2006“ — ნინო კალანდაძე გამოავლინა.

გაუგებარი სიმღერა

ქართული შოუბიზნესის კრიტიკით გადაღლილმა მომღერლმა ნინო ძოწენიძემ, ახალი სიმღერა გაუგებარ ენაზე შექმნა, სა-

ერთი კითხვაში

„სურვილების ნაძვის ხეზე შებმა, ერთ წუთში უნდა მოვასწრო“...

მოდელმა ლალი ტოტიკაშვილმა მას მერე, რაც გათხოვდა და შვილი გააჩინა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერ ფორმაშია, მოდელობას თავი დაანება. ის ახლა მხოლოდ ახალგაზრდა, დამწყები კოლეგების აღზრდით არის დაკავებული და თავის ორ მეგობართან ერთად, სამოდელო სააგენტო „შარმში“ მუშაობს.

— ლალი, რას გრძნობ ამ დღეებში?

— საახალწლო განწყობილება მატულობს. ვგიჟდები, ისე მომწონს ჩვენი ქალაქი, საახალწლოდ რომ არის მორთული; „კოკა-კოლის“ თოვლის ბაბუები რომ დადიან და მოსახლეობას ახალი წლის მოახლოებას ახსენებენ. ამ ყველაფრის ფონზე, მეც მემატება სასიამოვნო, სადღესასწაულო განწყობილება.

— რა გინდა, რომ 2007 წელმა მოგიტანოს?

— რაიმე კონკრეტული თხოვნა არა აქვს, მინდა, მას ჩემი ოჯახის წევრების ჯანმრთელობა ვთხოვო.

— რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია ხომ არ გაქვს, ახალი და ძველი წლის გასაყარზე?

— სანამ თორმეტი საათი გახდება, ერთ წუთში უნდა მოვასწრო სამი სურვილის ჩაფიქრება და ნაძვის ხეზე თეთრი ძაფის შებმა. ამ დროს, ჩემი ნაძვის ხე ნატვრის ხედ გადაიქცევა. სუფრაზე ძირითადად, იმ პროდუქტს ვაწყობ, რაც იმ ცხოველს უყვარს, რომლის წელიც დგება. ვანთებ აუცილებლად 7 სანთელს. ყოველ წელს, ნაძვის ხისთვის ახალ სათამაშოს ვიძენ.

— ერთ ცალ სათამაშოს ყიდულობ?

— არა, ოჯახში რამდენი წევრიც არის, იმდენს.

— გოზინაყის მომზადება გიყვარს?

— ამ მხრივ, დედის იმედად ვარ, ის არაჩვეულებრივ გოზინაყს აკეთებს.

— ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილები გისრულდება?

— სურვილები მისრულდება და ამ ყველაფრის მჯერა.

— გზაში არასდროს შეხვედრიხარ ახალ წელს?

— ამ დღესასწაულს ყოველთვის სახლში, ტრადიციულად ვხვდები. გზაში არ ვიცი და ახალი წლის შეხვედრა ბრაზილიაში მინდა.

— მერე, ჩაიფიქრე და აგისრულდება.

— (*იცინის*) შეიძლება. საინტერესოა, თბილ ქვეყნებში როგორ ხვდებიან ამ დღესასწაულს.

— სახლში ნაძვის ხეს თვითონ დგამ?

— რა თქმა უნდა. არ მიყვარს ცოცხალი ნაძვის ხის დადგმა და არც ის, როცა ძალიან დიდია. ისე, ჯერ არ დამიდგამს. ალბათ, 31 დეკემბერს მივხედავ ამ საქმეს.

— მეკვლე თუ ყოფილხარ?

— როგორ არა, ცუდი ფეხი სულაც არ მაქვს.

— მიგაჩნია, რომ ყველაფერი მეკვლის ფეხზეა დამოკიდებული?

— მეკვლეობის ტრადიციისაც მჯერა. კარგია, თუ ოჯახში მეკვლედ ბავშვი შემოვა. შარშან ჩვენი მეკვლე, ჩემი შვილი, საბა იყო.

— რამდენი წლისაა საბა?

— 1 წლისა და ორი თვის. ალბათ, წელსაც ის იქნება.

— მეკვლეს ხელში რა უნდა ეჭიროს?

— ტკბილეული, რომ ოჯახში სიტკბო შემოიტანოს.

— ხშირად მღერი?

— ახლა ჩემს შვილს უფრო ვუმღერი. საბას ძალიან მოსწონს ეს სიმღერა: „გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა,/ მაგრამ სულ არ ციოდა,/ თეთრი ციდან, ფიფქის ნაცვლად,/ კანფეტები ცვიოდა“... მე თვითონ კი, მიყვარს სიმღერა: „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება“, რომელიც მგონია, რომ რაღაცნაირად, ახალ წელს უკავშირდება.

— რას უსურვებ მკითხველს?

— ბედნიერებას, კარგად ყოფნას და 2007 წელი თქვენთვის მშვიდობისა და წარმატების მომტანი ყოფილიყოს! ■

დაც არც ნისლისფერ განშორებაზე, არც დაკარგულ გრძნობაზე და არც უძირო თვალებზეა ლაპარაკი. სიმღერას — არც მეტი, არც ნაკლები, „შინამანაკენა“ ჰქვია. ჰოდა, ამ „შედევრმა“ რადიოსადგურებსა თუ მუსიკალურ არხებზე რეკორდი მოხსნა.

მომღერალი გაშიშვლდა

წლის ბოლოსთვის, მომღერალმა ანრი ჯოხაძემ საზოგადოებას თავისი ახალი კლიპი — „მომატყუე“ შესთავაზა, სადაც ფინალურ სცენაში გაშიშვლდა და ჩანასახის პოზაში მოევლინა მაყურებელს. მან ასეთი თამამი ნაბიჯით სიყვარულში „გადაგდებული“ ანრის უნუგეშო ყოფა კი არა, უფრო ქართულ შოუბიზნეში არსებული მდგომარეობა გამოხატა.

ფოლკლორთან ახლოს

საინტერესო შემოქმედი ზუმბა — ზაზა კორინთელი 2006 წელსაც აქტიურად განაგრძობდა თავისი პროექტების განხორციელებას. ცნობილია, რომ ის სერიოზულ დაინტერესებას იჩენს ქართული ფოლკლორით — საბოლოოდ აითვისა ყველა ხალხური საკრავი, დაუახლოვდა არაერთ ხალხურ შემსრულებელს; მის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური ფესტივალი — „არტ-გენი“ ამის ნათელი მაგალითია.

ოთხი წლის შემდეგ

მას მერე, რაც ავთანდილ ცქვიტინიძემ ევროპის ქვეყნებში თავისი ნამუშევრების ჩვენება უკვე რამდენჯერმე სცადა, საქართველოში კარგა ხნის მანძილზე არ წარმდგარა მოდის მოყვარულთა წინაშე. იმასაც ამბობდნენ, რომ ავთოს „პაკაზი დაუძველდაო“ და მანაც სულზე მიუსწრო და რამდენიმე დღის წინ, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ქართველი ელიტარებისთვის პირველი ჩვენება გამართა — თანამედროვე, საკუთარ თავში დაჯერებული ქალის სამოსი წარმოადგინა. ■

2007 wlis astrologiuri prognozi

ვირთხა: 1948, 1960, 1972, 1984.

ტახის წელიწადში ბევრ ვირთხას გაუჩნდება იმის შანსი, რომ კარიერაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიოს. ეს კი, ამ ადამიანებს ხელს შეუწყობს კაპიტალის დაგროვებაში, ახალი კონტაქტების დამყარებაში. ამ წელს ადამიანების უმრავლესობა კარგად შესწავლილი და ათასჯერ შემოწმებული გზით ივლის, მაგრამ ვირთხებისთვის, ეს არცთუ ისე საინტერესოა. ამიტომ, თვითრეალიზაციისათვის ახალ მეთოდებსა და გზებს გამოძებნიან. ამას გარდა, მოცემულ პერიოდში ვირთხები არა მარტო მეგობრებს, არამედ მტრებსაც მრავლად შეიძენენ. მათ ცნობისმოყვარეობა აიძულებთ ეძებონ საინტერესო ინფორმაციები და კავშირი დაამყარონ არასტანდარტულად მოაზროვნე ადამიანებთან. ეს კი, ვირთხებს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად გააფართოონ თავიანთი მსოფლმხედველობა. მათთვის ეს წელი სიმშვიდით არ გამოირჩევა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის აუცილებლად პოზიტიური იქნება.

ხარი: 1949, 1961, 1973, 1985.

ხარის წელში დაბადებული ადამიანებისთვის 2007 წელი შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. ბევრი მათგანი ვერ შეძლებს, დასახული გეგმების რეალიზაციას. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია ახალი პარტნიორების გამოჩენა, რომლებიც მათ პერსპექტიულ საქმიან წინადადებას შესთავაზებენ და წლის ბოლოს, დიდ წარმატებასაც მიაღწევენ. თუმცა, ამისთვის წლის პირველ ნახევარში დიდი შრომა მოუწევთ. ხარის შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება შეუმჩნეველი არ დარჩება და ზოგიერთი მათგანი დაწინაურებასაც უნდა ელოდოს. წლის განმავლობაში, ხარის წელში დაბადებულ ადამიანებს ოჯახური უსიამოვნებებიც შეექმნებათ. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში მათ ინტუიცია, შრომისმოყვარეობა დაეხმარებათ. ვინც მომავალ წელს სწრაფად გამდიდრებაზე ოცნებობს, სამწუხაროდ, იმედი უნდა გავუცრუოთ, მაგრამ მათ არც მატერიალური სიდუხჭირე ემუქრებათ. ხარებისთვის წლის მეორე ნახევარი გაცილებით წარმატებული იქნება.

ვეფხვი: 1950, 1962, 1974, 1986.

მთლიანობაში, ეს წელი ვეფხვებისთვის წარმატებული აღმოჩნდება. მთავარია, ყური მიუგდონ ახლობლებისა და საქმიანი პარტნიორების რჩევას. ასევე აუცილებელია, დათრგუნონ საკუთარი პატივმოყვარეობა და იმისი აფიშირების სურვილი, რამდენად განსაკუთრებულნი არიან. მათთვის წლის პირველი ნახევარი უფრო წარმატებული იქნება. ამიტომ საჭიროა, სწორედ ამ პერიოდში გადაჭრან რაც შეიძლება მეტი პრობლემა. ქალებისთვის ვნებიანი სიყვარულია მოსალოდნელი, გაიზრდება მათი სექსუალური ენერგეტიკა და ცხოვრება მათ რომანტიკულ თავგადასავლებს შესთავაზებს. ვეფხვებს ყოველთვის სურთ, თვალსაჩინო გახადონ თავიანთი საუკეთესო თვისებები — გულუხვობა, აქტიურობა, გონებამახვილობა, მაგრამ წლის მეორე ნახევარში, განსაკუთრებული თავშეკავების გამოჩენაა საჭირო. მოსალოდნელია, სერიოზული კონფლიქტები ახლობლებთან და საქმიან პარტნიორებთან, მაგრამ თუკი ვეფხვები ასტროლოგთა რჩევებს გაითვალისწინებენ, 2007 წელი მათთვის სასიამოვნოდ დაგვირგვინდება.

კატა: 1951, 1963, 1975, 1987.

დამდეგი წელი კატებისთვის ორსახოვანი და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდება. წლის პირველ ნახევარში, მათი უმრავლესობა თავს კომფორტულად და მშვიდად იგრძნობს, მაგრამ გაზაფხულის მიწურულს, კატები აღმოაჩენენ, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა თანდათან უარესდება, წამოიჭრება გარკვეული პრობლემები, რომელთაგან თავის დასაღწევად, ფული იქნება საჭირო. ამიტომ, წლის მეორე ნახევარში ჯობს, შედარებით წარმატებულ პარტნიორებს დაუკავშირდნენ, რომლებიც საკუთარი გამოცდილებითა და მატერიალური რესურსებით დაეხმარებიან. გარდა ამისა, მოცემული ნიშნის წარმომადგენლებმა თავი უნდა აარიდონ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, სპონტანურ მოქმედებებს, რადგან ნებისმიერი მსგავსი ფაქტი მათ კარიერაზე ცუდად იმოქმედებს. დაბოლოს, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს წარმატებული ოჯახის შექმნის საშუალებაც მიეცემათ. მათთვის კი, ოჯახური კომფორტი წარმატების საწინდარია.

დრაკონი: 1952, 1964, 1976, 1988.

2007 წელი დრაკონების უმრავლესობისთვის საკმაოდ პოზიტიური პერიოდია, ცხოვრება ნელ-ნელა ნორმალურ კალაპოტში

ალე
იანვრის
ნომერი

თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...

ჩადგება და თანდათანობით მოიმატებს დრაკონების ოპტიმიზმი, აღდგება მათი ენერგეტიკა, შემოქმედებითი პოტენციალი და ისინი თავს გაცილებით ძლიერად იგრძნობს. მნიშვნელოვანი პრობლემები კარიერას და პირად ცხოვრებაში ნამდვილად არ ექნებათ. ეს წელი პოზიტიური აღმოჩნდება როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვისაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით წარმატებული წლის მეორე ნახევარი იქნება. ამ პერიოდში მოულოდნელად გაგიმართლებთ, ვიღაცები სიურპრიზებს მოგიწყობენ, ვალს დაგიბრუნებენ და მივიწყებული კავშირებიც აღდგება. დრაკონებს მატერიალური შემოსავლების ზრდა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამყარება ელით. მოცემულ წელში დაბადებულ ადამიანებს, ეს პერიოდი ცხოვრების სტილის შეცვლის საშუალებას მისცემს. შესაძლებელია, მათ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალონ ან ბინაში სასურველი კომფორტი შეიქმნან და ოჯახიც შექმნან.

ᲒᲕᲔᲚᲘ: 1953, 1965, 1977, 1989.

გველების უმრავლესობისთვის საკმაოდ მოუსვენარი, რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე წელი დგება, რადგან ისინი იძულებულნი იქნებიან, ძირითადად, გარშემო მყოფთა საქმიანობითა და პრობლემების მოგვარებით დაკავდნენ, ამის გამო კი, საკუთარი თავისთვის ველარ მოიცლიან, ბევრი გეგმა და სერიოზული პროექტი ჩაეშლებათ. ამიტომ მათ შინაგანი სიბრძნე და საკუთარი გამოცდილება უნდა გამოიყენონ, ურთიერთობა განაგრძონ მხოლოდ საიმედო ადამიანებთან, იმუშაონ მხოლოდ კონკრეტულ პროექტებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მატერიალურ პრობლემებს თავიდან ვერ აიცილებენ. იმისთვის, რომ ტახის წელიწადში მათი მოღვაწეობა წარმატებული იყოს, დიდი წინდახედულობაა საჭირო — ერთი შეხედვით წვრილმან გაუგებრობებსაც კი, მაქსიმალურად უნდა ჩაუღრმავდნენ. წლის მეორე ნახევარი შედარებით პოზიტიური აღმოჩნდება, რადგან თუკი ისინი ზემოთ ჩამოთვლილ გამოცდებს გაუძლებენ, არც წარმატება დაახანებს და გამძლეობისთვის დაჯილდოვდებიან.

ᲪᲮᲔᲜᲘ: 1954, 1966, 1978, 1990.

წლის დასაწყისი ცხენის წელში დაბადებული ადამიანების უმრავლესობისთვის საკმაოდ დინამიკური და პერსპექტიული აღმოჩნდება. ისინი გარკვეული სურვილების დაკმაყოფილებას, იმ პრობლემების გადაჭრას მოახერხებენ, რომელიც გასულ წელს შეექმნათ. წლის პირველი ნახევარი ძირითადად, გასულ წელს დაწყებული საქმეების დაგვირგვინებას მოხმარდება; მკვეთრად იმატებს ამ ადამიანების ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი. წლის მეორე ნახევარი შესაძლოა, ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდეს. ვიღაც აშკარად შეეცდება მათი იდეებისა და გამარჯვებების მითვისებას, ამიტომ ცხენებს დიდი ძალისხმევა და შრომა დასჭირდებათ, რათა მიღწეული შეინარჩუნონ. მოსალოდნელია, გართულებები ბიზნესში, კარიერაში. ამ ადამიანებს განსაკუთრებული ყურადღება და ძალების მობილიზება სჭირდებათ, რათა მტრებმა და კონკურენტებმა არ გაიმარჯვონ. წლის მიწურულს, მათ იმის საშუალება მიეცემათ, რომ შედარებით დამშვიდდნენ, დაისვენონ, მოდუნდნენ. სულ მალე კი, ისინი ისევ იგრძნობენ ენერგიის მოჭარბებას და გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს.

ᲗᲮᲐ: 1955, 1967, 1979, 1991.

ტახის წელი თხის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის საკმაოდ ჰარმონიული აღმოჩნდება, რადგან ამ პერიოდში მათი შესაძლებლობები და უნარი მაქსიმალურად გამომჟღავნდება. სავარაუდოა, რომ თხების უმრავლესობამ თავს მოდუნების და დასვენების უფლებაც მისცეს. მათი მატერიალური მდგომარეობა კვლავ საკმაოდ მერყეევი იქნება, მაგრამ ამავე დროს, გაჩნდება შემოსავლის ახალი წყაროები, მოსალოდნელია, ახალი წინადადებების, საინტერესო შემოთავაზებების მიღებაც. იმისთვის, რომ წარმატებამ გაუღიმოთ, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს, უნდა მოიშორონ მუდმივი ეჭვის გრძნობა, რისკის შიში, დემონსტრირება გაუკეთონ საკუთარ შეხედულებებს, შემოქმედებით იდეებსა და გეგმებს. წლის პირველ ნახევარში მათი ენთუზიაზმი დასჭირდებათ ახლობლებს, კოლეგებს. სამწუხაროდ, მომავალ წელს, თხების უმრავლესობა რატომღაც უგულებელყოფს ოჯახურ სიმყუდროვეს, რომანტიკულ ურთიერთობებს, სამაგიეროდ, მთელი ყურადღება კარიერასა და ბიზნესზე გადააქვს.

ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ: 1956, 1968, 1980, 1992.

ეს საკმაოდ აქტიური, თუმცა რთული წელი გახლავთ მაიმუნებისთვის, რადგან ამ პერიოდში ყველაფერი ისეთივე წარმატებით არ წარიმართება, როგორც გასულ წელს. თუ 2006 წელს მათი შემოქმედებითი აქტიურობა უმაღლესი იყო, მათი იდეები ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიღებოდა საზოგადოებისა და ხელმძღვანელობის მიერ, 2007-ში მოუწევთ, თავად მოახდინონ ყველაფრის რეალიზაცია, გამოიჩინონ უდიდესი ძალისხმევა, გამოიყენონ პირადი გამოცდილება და თავდაუზოგავად იბრძოლონ წარმატებისთვის. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია, გარკვეული უსიამოვნებები, მატერიალური ან იურიდიული პრობლემები, კანონთან დაკავშირებული კონფლიქტები. ასევე, არასასურველად წარიმართება ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, საყვარელ ადამიანთან. ამ ნიშნის წარმომადგენლები იძულებულნი გახდებიან, კომპრომისზე წავიდნენ, შეურიგდნენ მკაცრ სინამდვილეს. უნდა უფრთხილდნენ კომპანიონებისა და მეგობრების მიმზიდველ წინადადებებს. გადაჭარბებული ოპტიმიზმი და სწრაფად გამდიდრების სურვილი, ამ შემთხვევაში მათ ცუდ სამსახურს გაუწევს. ჯობს, არ იჩქარონ და დაკვირვებით მოზომონ ყველა ნაბიჯი.

ᲛᲐᲛᲐᲚᲘ: 1957, 1969, 1981, 1993.

მამლების უმრავლესობისთვის ტახის წელიწადი საკმაოდ მოუსვენარი და არასტაბილური აღმოჩნდება, რადგან ის თან მოიტანს უამრავ სამუშაოსა და გეგმებს, რომელთა რეალიზება არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდება. წლის პირველ ნახევარში, მიზნების მიღწევა მამლებისგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. ივნისის მიწურულამდე, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების დაძაბული ყოველდღიურობა, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს მათ ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, თუმცა შემოდგომის დასაწყისში ჰორიზონტზე ახალი მეგობრები, მოკავშირეები, პარტნიორები გამოჩნდებიან, როლებიც მათ ხელს შეუწყობენ წინსვლაში. პერსპექტიული თანამშრომლობა, ახალი პროექტები, იმედის მომცემი ნაცნობობა, მყუდრო ოჯახური გარემო და საყვარელი ადამიანების მზრუნველობა აუცილებლად დაეხმარებათ მამლებს ცხოვრებისეული წარმატებების მოპოვებაში. მამლის წელში დაბადებულ მამაკაცებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი წარმატება მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ყურადღებიანები აღმოჩნდებიან საყვარელი ქალის და ოჯახის სხვა წევრების მიმართ.

ᲫᲐᲚᲚᲘ: 1958, 1970, 1982, 1994.

ტახის წელიწადში ძაღლი კვლავ განაგრძობს მატერიალური მდგომარეობის გამყარებას. წარმატებები, რომლებსაც მათ გასულ წელს მიაღწიეს, კიდევ უფრო განმტკიცდება, ცხოვრებისეული პერსპექტივები კი გაფართოვდება. დროის ეს მონაკვეთი ძაღლების უმრავლესობისთვის ძალზე წარმატებულია. მოსალოდნელია, დიდი მოგება ნაკლები ძალისხმევის შედეგად. შემოდგომაზე, ძაღლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებს სერიოზული პოზიტიური ცვლილებები ელით არა მარტო პროფესიულ სფეროში, არამედ, პირად ცხოვრებაშიც. თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ წლის მეორე ნახევარში, მათ მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ აქტიურობა და უფრო წინდახედულად იმოქმედონ. ამ ნიშნის წარმომადგენლებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ შემოდგომაზე წამოწყებული ზოგიერთი პროექტი, შესაძლოა, არც ისეთი წარმატებული აღმოჩნდეს, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. მცირე უსიამოვნებებს ნამდვილად გადაწონის ძაღლების ცხოვრებაში გაჩენილი რომანტიკული განწყობილება და სასიამოვნო შეხვედრები.

ᲢᲐᲮᲘ: 1959, 1971, 1983, 1995.

ტახებისთვის მორიგი თორმეტწლიანი ციკლი იწყება. 2007 წელს პარტნიორობა, მეგობრობა, სასიყვარულო ურთიერთობები, ბიზნესი — ყველაფერი ეს სტრატეგიულ გაზრებას მოითხოვს. ტახის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს შემოდგომაზე ელით წინსვლა კარიერაში, ახალი სამსახურის პოვნა, გამარჯვებები ბიზნესსა თუ პირად ცხოვრებაში. ამასთანავე, ზოგიერთებს მოუწევთ ძველი პრობლემების არასტანდარტული გზით გადაჭრა, საკუთარი იდეების ახალ სფეროში რეალიზაცია. ისინი ყველაზე სანუკვარ მიზნებსაც მიაღწევენ. ტახის წელიწადში დაბადებულ ადამიანებს, რაც არ უნდა ბევრი პრობლემა გაუჩნდეთ, რაოდენ ბევრი ღალატი და მტრობაც არ უნდა გამოსცადონ, ყველაფერს ადვილად გადალახავენ. აქედან გამომდინარე, ისინი აუცილებლად გაიმყარებენ სოციალურ სტატუსს. შესაძლოა, მოულოდნელი საჩუქარი, მოგება ან მემკვიდრეობაც კი მიიღონ. ■

დასაწყისი იხ. გვ. 56

უყვარდათ და პატივს მიაგებდნენ ივერიელნი. მაგრამ მიწიერი დიდება არაფრად უღირდა და მიაჩნდა, მისთვის მთავარი, ზეციური დიდება — ღვთის წინაშე გამართლება, მართლად წარდგომა იყო, თუმცა თავს უდიდეს ცოდვილად მიიჩნევდა. ამიტომაც ღამეებს მუხლმოდრეკით და ცრემლთა ღვრით, ლოცვაში ატარებდა: „ხშირად ტიროდა ლოცვის დროს. ერთხელ შემთხვევით მოვხვდი მის ოთახში. მუხლი მოეყარა, ხელები აღეპყრო და ტიროდა, სახე სულ დასველებული ჰქონდა ცრემლით“, — იგონებდა იღუმენი გრიგოლი (ჩხეიძე).

ასაკის მატებასთან ერთად წმინდა ეპისკოპოსს სნეულებაც მოუმრავლდა — თითქმის მთელი ცხოვრება აწუხებდა კუჭის ტკივილი, ხანდაზმულობისას — რევმატიზმი, წელის ტკივილს სისხლნაკლებობაც დაემატა. უძილობაც აწუხებდა; თუ წათვლემდა, სიზმრები არ ასვენებდა. ხშირად ცხვირიდან სისხლდენაც ჰქონდა. ავადმყოფობამ დააუძლურა და დაასუსტა. ავადმყოფი რაჭაში წაიყვანეს — იქნებ, მოაკეთოს მთის ჰაერმაო, — მაგრამ — ამაოდ. თუმცა, რაჭაში ყოფნისას, მაინც სცადა სოფელ ჭიბრევში ტაძრის კურთხევა. აკურთხა კიდეც. მაგრამ როდესაც ჯერი ქადაგების დაწყებაზე მიდგა, ფერი წაუვიდა და ერთიანად აკანკალდა — „სახარება“ დიაკვანს გადასცა...

კვლავ ქუთაისში დააბრუნეს. მალე ბორჯომში წაიყვანეს. ჰაერის გამოცვლამ ოდნავ მოაკეთა, მაგრამ იქ გაძლება უჭირდა, რადგან მონასტერში, ბერებთან ყოფნა სურდა: აქ გაძლება არ შემიძლია! ყოველთვის ჩემი ერთგული იყავი, ნურც ახლა მიღალატებ, წამიყვანე გელათშიო, — სთხოვდა თანმხლებ მღვდელს, მარკოზ სხირტლაძეს.

გელათში ჩასვლისთანავე, მამა გაბრიელს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა. მაგრამ ლოცვა არ მიუტოვებია, განუწყვეტლივ ლოცულობდა. თან, გულამომჯდარი ტიროდა ლოცვის დროს. როდესაც ამის მიზეზს ეკითხებოდნენ, პასუხობდა — ჩემი ცოდვების გამო ვტირი. ჭეშმარიტად მეშინია ღვთისო... ბოლოს ისე დასუსტდა, ლოცვის სიტყვებსაც ვეღარ წამოთქვამდა, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: „უფალო, უფალო“. 1896 წლის ზამთარში წმინდა მღვდელმთავარმა მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

იმ წელს იმერეთში ხანგრძლივი, უხვთოვლიანი ზამთარი დადგა, ამიტომ დაკრძალვაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სამღვდელოთა თუ ერისკაცთა ჩასვლა შეუძლებელი გახდა. ღვაწლმოსილ ბერს კი უბრალოდ და ნაჩქარევად მინას ვერ მიაბარებდნენ, ამიტომ მისი დაკრძალვა გაზაფხულამდე გადაიდო. მანამდე მისი წმინდა ცხედარი, 46 დღის განმავლობაში ქუთაისის საკათედრო ტაძარში ესვენა. ამ ხნის მანძილზე, არ გახრწნილა, ოდნავაც კი არ შეცვლილა მისი წმინდა სხეული. გაზაფხულზე კი, მამა გაბრიელის დაკრძალვაზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩავიდნენ მღვდელმსახურნი თუ კარისკაცნი, რათა გამოსთხოვებოდნენ წმინდა მღვდელმთავარს. მისი ნეშტი ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან გელათში გადააბრძანეს და ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში დაკრძალეს. ■

დასაწყისი იხ. გვ. 14

დანიელ პატარებს ტროლას (ის ხის სულს ასახიერებს) თათებში ჩამალულ სათამაშო ნაძვის ხეს ჩუქნიან.

ისლანდიელ ბავშვებს კი მტკიცედ სჯერათ, რომ თოვლის ბაბუას მათთან მისვლა 1-ლიდან 24 დეკემბრამდე ნებისმიერ დღეს და სრულიად მოულოდნელად შეუძლია. ამიტომაც, იქაური პატარები ცდილობენ, კარგად მოიქცნენ, რათა სასურველი საჩუქრის ნაცვლად, ფეხსაცმელში კარტოფილის ბოლქვი არ დახვდეთ.

ფინეთშიც „საკუთარი“ თოვლის ბაბუა — Joulupukki ჰყავთ და იმასაც ამბობენ, რომ ადრე მას, საჩუქრებთან ერთად, წკეპლაც თან დაჰქონდა და ოჯახში შესვლისას კითხულობდა — აქ ურჩი ბავშვები ხომ არ ცხოვრობენო?.. თუმცა, ფინელები ირწმუნებიან, რომ თანამედროვე ფინელი თოვლის ბაბუები განკეპვლით ნამდვილად აღარ იმუქრებიან.

სამხრეთ ინდოეთში ბავშვებს ახალი წლის დილას თვალებს უხვევენ და საჩუქრებით სავსე ხონჩასთან ასე მიჰყავთ. იქაურ პატარებს კუთვნილ საჩუქრებს მხოლოდ ამ რიტუალის დასრულების შემდეგ ურიგებენ.

ჩინეთში ბავშვები კედლებზე წინდებს კიდებენ და სჯერათ, რომ იქ საჩუქრებს დუნ ჩე ლაო რენი (შობის ბაბუა) აწყობს.

იტალიაში დღემდე, ძველ ტრადიციას მისდევენ და საახალწლოდ ერთმანეთს წითელ თეთრეულს მიართმევენ, რადგან მიაჩნიათ, რომ წითელი — სიახლის ფერია. იტალიელ ბავშვებს კი, უფროსები ნაირნაირი საჩუქრებით ანებივრებენ, ოღონდ, ისინი თოვლის ბაბუას კი არა, ლა ბეფანად წოდებულ ქალბატონს „მოაქვს“.

ესპანელები ახალ წელს ერთმანეთს შამპანურიან კალათსა და ნუგის ნატეხს მიართმევენ. ხოლო სანუკვარი სურვილის ასასრულებლად, საათის 12 ჩამოკვრამდე ყურძნის 12 მარცვლის შეჭმას ცდილობენ.

საბერძნეთში ერთმანეთს შამპანურიან და ღვინიან კალათს და აგრეთვე, ბანქოს ახალ შეკვრას(?) უძღვნიან.

აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში მთავარი საახალწლო საჩუქარი ხისგან დამზადებული თოჯინა დარუმაა. ასევე კარგი საჩუქარია ხამაუმიც — თეთრფრთიანი ბლაგვწვერიანი ისარი, რომელიც ბოროტი ძალების განდევნის სიმბოლოდაა მიჩნეული.

იაპონიაში სათამაშოებით, სუვენირებითა და ახალი წლის შესაბამისი ცხოველისგამოსახულებიანი ღია ბარათებით ასაჩუქრებენ. ■

„თეთრი განგი“ თუ დიადი „დერჟავა“?

ასე სვამს საკითხს რუსეთში გამომავალი გაზეთი — The Exile და ნახევრად ხუმრობით თუ ნახევრად სერიოზულად, მკითხველს რუსეთის მუსლიმანურ სახელმწიფოდ გადაქცევას სთავაზობს. არ ვიცი, როგორ აღიქვა ეს შავი იუმორით გვარიანად გაჯერებული პუბლიკაცია რუსეთის მრავალფეროვანმა და მრავალსარწმუნოებიანმა მკითხველმა საზოგადოებამ — უშნო წინასაახალწლო ხუმრობად თუ სერიოზულ პირად შეურაცხყოფად, — ქართველ მკითხველს კი, გულით ვეურჩევ, დარდი „გაუშვას“ და თვალი „ასეიროს“...

მასლიმანური პროექტი

(The Exile, რუსეთი)

საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული დღემდე, რუსეთი ჯიუტად ცდილობს საკუთარი ეროვნული იდეის პოვნას. ამ მხრივ, საჭირო პროექტებზე მუშაობა ადრევე დაიწყო და მათში ინტელექტუალები და პოლიტიკოსებიც აქტიურად ჩაებნენ. მაგრამ მათ მიერ წამოყენებულმა ვერც ერთმა წინადადებამ — იქნებოდა ეს რუსეთის დასავლურ სახელმწიფოდ გადაქცევის თუ მისი „სუვერენულ დემოკრატიად“ გამოცხადების ცდები — მხარდაჭერა ვერაფრით პოვა. მართალია, ყველა ამ იდეას რაღაც საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ აღაფრთოვანებდა, რადგან ამ წინადადებების ფარგლებში, რუსეთი საკუთარი „დერჟავის“ სიდიადეს ვერაფრით დაიბრუნებდა.

რადგან კარგად ვხედებით და ვხედავთ, თუ ამ საქმეში რუსეთს რა სირთულეებთან უწევს შებმა, გადავწყვიტეთ, ჩვენი საკუთარი და ყოვლისმომცველი ეროვნული იდეა წამოგვეყენებინა, რომელიც ამ ქვეყანას კვლავ დიად „დერჟავად“ გადაქცევაში ნამდვილად დაეხმარება. ჩვენი წინადადება ასე ჟღერს: პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთი ისლამურ სახელმწიფოდ უნდა გადააქციოს!

კარგად დაუფიქრდით ამ წინადადებას: ისლამს დღეს მილიარდზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ეს კი სიმდიდრის, დემოგრაფიული უპირატესობისა და აგრეთვე, ბრძოლის ჟინისა და შესაძლებლობის ბუნებრივი წყაროა. ისლამური სამყაროს მოსახლეობა სწრაფად იზრდება, თუმცა კულტურული და ინტელექტუალური ჩამორჩენილობის გამო, ძალიან იტანჯება. ამიტომ, ერთადერთი, რაც ისლამურ სამყაროს ახლა ძალზე სჭირდება, ესაა მოწინავე ქვეყანა, რომელიც მას წინ გაუძღვება. თუ მთლად პირდაპირ და შეულამაზებლად ვიტყვით, ისლამურ სამყაროს, თეთრკანიანი ადამიანებით დასახლებული სახელმ-

წიფო აკლია. როცა დღეს ისლამზე ფიქრობ, თვალწინ პირველ რიგში, მესამე სამყაროს ქვეყნების ადამიანთა უბადრუკი ყოფა, ქანცგაწყვეტილი ახალგაზრდობა, სიღატაკე, კორუფცია, ქაოსი და... დიახ, დიახ, მუქკანიანთა მთელი ურდოები წარმოგიდგება. რუსეთში კი თეთრი მოსახლეობის პროპორცია ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაზე მაღალია, თუმც, ევროპას ის მაინც გარიყული ჰყავს და საკუთარი ცივილიზაციის ნაწილად არაფრით აღიარებს — ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თეთრი ზანგის“ პირობებში ამყოფებს. მაგრამ საკმარისია, რუსებმა ისლამი მიიღონ, რომ ისინი იმწამსვე, ისლამური სამყაროს თეთრი ღმერთები და მილიარდიანი მოსახლეობის წინამძღოლები გახდებიან.

გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე სერიოზული მიზეზი, რომლის გამოც, რუსეთმა ისლამი უნდა მიიღოს, კერძოდ:

■ რუსული ბირთვული იარაღი, ბოლოს და ბოლოს, ისევ შიშის მომგვრელი გახდება. არადა, ეტყობა, ბოლო ხანებში დასავლეთი სერიოზულადაც კი აღარ აღიქვამს და მხოლოდ იმისღა ეშინია, რომ ეს იარაღი მუსლიმანთა ხელში არ აღმოჩნდეს. მაგრამ თუ რუსეთი ისლამს მიიღებს, მაშინ მთელი ეს იარაღი მუსლიმანთა ხელში თავისთავად აღმოჩნდება. ასეთ პირობებში, ისლამური სამყარო თავისი ჯვაროსან-სიონისტი მტრისგან გათავისუფლებას, ზედიზედ რამდენჯერმეც სულ თავისუფლად მოახერხებს. ამერიკელი მრჩევლები კი, საქართველოდან კისრისტეხით გაცვივდებიან და ყველა კმაყოფილი დარჩება;

■ რუსული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები, რომლებსაც დღეს მხოლოდ აბუჩად იგდებენ, უმალ დიადი ისლამური ცივილიზაციის სამაგალითო მიღწევებად გადაიქცევა;

■ რუსეთში არსებული დემოგრაფიული კრიზისი სიმწვავეს სწრაფად დაკარგავს, რადგან ჩვენი ქვეყანა მილიარდიანი მოსახლეობის სათავეში აღმოჩნდება;

■ მაშინ, როცა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, რუსეთი სანახევროდ ბარბაროსულად მოჩანს, მუსლიმანურ ქვეყნებს შორის, ის ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ნამდვილ ლამპრად იქცევა.

■ რუსული ანტისემიტიზმიც კი, ესოდენ სასტიკი და ფაშისტური აღარ გამოჩნდება და მხოლოდ ებრაული ოკუპაციით მუსლიმანების საერთო უკმაყოფილების კონტექსტში განიხილება.

■ ყოველი მხრიდან — ჩინეთიდან, დასავლეთიდან თუ ისლამური სამყაროდან წამოსული საფრთხის მოგერიების ნაცვლად, რუსეთი ჩინეთს და დასავლეთს თავად დაეუქრება — და იმავდროულად, შიდამუსლიმანურ პრობლემასაც უმტკივნეულოდ გადაჭრის.

■ ისლამის მიღების შემთხვევაში, ყოველ რუს მამაკაცს ერთდროულად ოთხი ცოლის ყოლის უფლება ექნება და ეს მაშინ, როცა რუსეთს სექსუალური კუთხით შეჭირვებული ქალების მსოფლიოში ყველაზე დიდი არმია ჰყავს.

ერთი სიტყვით, რუსეთი, როგორც ისლამური სახელმწიფო, მისწრება იქნებოდა როგორც რუსეთისთვის, ისე მთელი ისლამური სამყაროსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით Exile-ის, უფრო სწორად კი — ალ Exile-ისთვისაც“... ■

დასაწყისი იხ. გვ. 62

მინდა, ყველამ გაიგოს, რომ რუსთაველი დათო სიგიუმდე მიყვარს. მას კი ვეტყვი, რომ ჩვენს შვილს უკვე 2 კიჭი აქვს, შენ კი ის საერთოდ არ გინახავს. „პუპსიკა“.

გინდა, აგიხსნა, ვინ ხარ?/ მთვარე ხარ, ჩემი, მზე ხარ!/ მსოფლიოს 7 საოცრება ხარ/ კიდევ გეტყვი, რომ ძალიან კარგი ადამიანი და საუკეთესო მეგობარი ხარ. ნინ, ეს შენ! შოკა-17.

როგორ მინდა, მოგეფერო, შენ რა ლამაზი ხარ! ნონიკო, დამიმესიჯე, თორეეემ...

„მისტერ გონსალეს“, მე 15 წლის ვარ. შენ? კარგია, რომ გიპოვე.

ხევსური ვარ. ყველა ხევსურს ნამდვილ ხევსურობას ვუსურვებ. თუ შეგიძლია, შემეხმიანე. რა გვარი ხარ? ხევსურეთში სოფელი გაქვს? „უიღბლო“.

მარი, ძალიან გთხოვ, „გადარეული-17“-ის ნომერი მომეცი. განა ისეთს რამეს ვითხოვ?

ვკითხულობ დაორთქლილ მინაზე/ პატარა თითებით მინაწერს,/ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ/ მიყვარხარ სულ ყველას ჯინაზე. პატარა ზურას, პატარა ლელასაგან.

დალი — ჩემი ოცნების ქალი! ერთ დროს სიხარულით აღსავსე ქალბატონო, რატომ დადიხარ ნაღვლიანი? ნუთუ შენზე კარგი ბათუმში „დაბატონობს“? ვერ დავიჯერებ, დამეცეს ელდა, რამდენ ვაჟკაცს იმედი გაუცრუე, რომ სიყვარული არისო, სიცრუე, შენს ლამაზ, ცრემლიან თვალებს შესცქერიან, სიყვარული მართლაც რომ ძლიერი შეგძლებია. „დადუ“.

არავის ვეძებ, აქეთ მეძებენ, მე უბრალოდ ველოდები. თუ შენი ოცნების ადამიანს შეხვდი, ე.ი. მისი ოცნება ასრულდა. გვჯერათ, რომ ასეა? მოდით, ვიკამათოთ. „ელეგანსე“.

ვარ 24 წლის, 176 სმ. სიმაღლის, კაპპიროვსკის თვალებით. გავიცნობ 34 წლამდე მამაკაცს.

სიყვარულში იმედგაცრუებული გოგო, გავიცნობ 28 წლამდე, სიმპათიურ მამაკაცს. მსურველი გამომეხმაუროს. ნათკა.

Q და შენი ტრფობით მე ვარ სნეული,
შენა ხარ ჩემი გულის რჩეული.

Q მონანიების სურვილი აქვს ჩემს დაღლილ სხეულს/ და სახე, სევდით დაფარული, ისევ გაფითრდა,/ მე რა ვიცოდი, თუ ოცნება ასე დამღლიდა/ შენზე ოცნება, შენზე ფიქრი, ალბათ არ ღირდა,/ ავ ღიმილს ინვევს გახსენება, შენი სახისა,/ ცოტა მაცალე, საკუთარი სისხლი დავისხა,/ შენს სადღეგრძელოს ირონიით იტყვის „სატირა“.

მსურს გავიცნო 25 წლის მამაკაცი.

ვეხმაურები 25 წლის „ზიკოს“. მე ნანა ვარ, 25 წლის. ვმუშაობ, ვარ მხიარული. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. ნომერს თუ დატოვებ, მარის დავურეკავ და მეტყვის.

მარი, გამარჯობა, პირველად ვამესიჯებ. მარიიიი, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი რაც შეიძლება დიდი ასოებით დაბეჭდე. ჩემო სიხარულო, ჩემს გონებაში რომ ჩაგახედა და მოგესმინა, თუ როგორ მიყვარხარ, მერე აღარ მეტყოდი, მე უფრო მიყვარხარო. წავედი, სიხარულო და იცოდე, რაც უნდა მოხდეს, მაინც მეყვარები.

ჩემი რომ იყო, მოფერებით დაგაძინებდი,/ ჩემი რომ იყო, დილით კოცნით გაგაღვიძებდი,/ ჩემი რომ იყო, მუდამ გვერდით მეყოლებოდი,/ ჩემი რომ იყო, არასოდეს მიგატოვებდი. თათა.

გთხოვთ, გამაგებინოთ 34 წლის, „სამხედრო“ ბაჩოს ნომერი.

პირველად ვამესიჯებ. ვარ 22 წლის, მშვენიერი გოგონა. სამეგობროდ ვეძებ 35 წლამდე სიმპათიურ მამაკაცს. ფინანსურად შეძლებულს. ჩემს გაცნობას არ ინანებთ. ანი.

„გადარეული-17“-ს, რომელიც გიჟურ სიყვარულს ეძებს, უთხარით, რომ გამომეხმაუროს. არ ინანებ.

ვარ 30 წლის, მაქვს ჩემი ბიზნესი და მსურს გამომეხმაუროს წესიერი, მხიარული და სიმპათიური მამაკაცი. ელო.

მოგესალმებით ყველას. ვარ ქერა, თეთრი, მწვანეთვალება, რომელსაც სჭირდება sms მეგობარი. მსურველები გამომეხმაურეთ. სალი-15.

ლილოელო მაიკო ერაძევ, 3 წელია, გეძებ. გიგა ვარ, სამგორიდან. იმედია, გამიხსენებ. დაამესიჯე „გზაში“.

მეც ჩემი მეგობრისგან მალულად, მისივე ტელეფონით გწერთ. ის 42 წლისაა, გაუთხოვარი, ძალიან კარგი ადამიანია და ბედნიერების ღირსია. იმედია, გამოეხმაურებით.

22 წლის ვარ და სიცოცხლე უკვე მომბეზრდა. ბედნიერებისთვის ყველაფერი მაქვს. როგორც იტყვიან, ჩემნაირი ქალი სიკვდილისთვისაც ცოდვაა და მონაზონობისთვისაც.

ვეხმაურები სალონიკში მცხოვრებ მამაკაცს, რომელსაც გოგოს გაცნობა უნდა. სიამოვნებით გავიცნობ, თუ საბერძნეთში წამიყვანს. ვარ ლამაზი და მხიარული, 20 წლის გოგო. მია.

გუუჯ! ერთხელ მითხარი, ვერ იყვირებ, რომ გიყვარვარო. ახლა ყველას გასაგონად ვიტყვი, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ მეც ცუდად ვარ. ქეთ.

მე ამ ახალ წელს მონყენილი ვიყავი და თურმე ვცდებოდი. მგონი, ამ 24 წლის საყვარელ გოგონას ახალი და საინტერესო ნაცნობები სჭირდება. ნატუცა.

მინდიხართ, ლამაზებო!

რეზი, სად ხარ? ძალიან ვნერვიულობ. თუ რამე გაწყენინე, მაპატიე. მაია.

რატომაა ყველა ბიჭი იდიოტი? ჰოდა, მაგიტომაც არ მყავს შეყვარებული. თეკა.

მარი, გაიხარე, კარგი ადამიანი ხარ, ყოველთვის იცი, რით გაახარო მკითხველი. ოჯახი მყავს, მაგრამ თავს მარტოსულად ვგრძნობ და არ ვიცი, რა ვქნა.

ვარ 17 წლის, მაღალი და საკმაოდ სიმპათიური გოგო. ძალიან მორიდებული ვარ. სამეგობროდ გავიცნობდი 25 წლამდე ბიჭს. გვანცა.

სულში მეფინება 19 წლის დღენი, მშვენიერი, და ვარ მეოცნებე ქალი, მშვენიერი. მიყვარს შენი კალთა და ვარ ბედნიერი. „მონატრებული ფერია“. ■

გიყვართ თუ არა ხალხმრავალი, ხმაურიანი თავყრილობები?

1. სად ამჯობინებთ ახალი წლის შეხვედრას?

ა) შინ — 2 ქულა;

ბ) სამთო-სათხილამურო კურორტზე — 2;

გ) რესტორანში — 3.

2. ვისთან ერთად ისურვებდით ახალი წლის შეხვედრას?

ა) ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად — 3 ქულა;

ბ) ხალხმრავალ კომპანიაში, სადაც უცხო ადამიანებიც იქნებიან — 4;

3. როგორი მუსიკის მოსმენა გირჩევნიათ?

ა) იმასაც სჯერდებით, რასაც სამთო-სათხილამურო კურორტის რესტორანში გთავაზობენ — 1 ქულა;

ბ) აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების საკუთარი კოლექცია გაქვთ და უპირატესობას სწორედ მათ მოსმენას ანიჭებთ — 2;

გ) თავად მღერით და სხვადასხვა ინსტრუმენტზეც უკრავთ — 3.

4. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საახალწლო სუფრა?

ა) სუფრა კერძების მრავალფეროვნებითა და სიუხვით უნდა გამოირჩეოდეს — 4 ქულა;

ბ) ზომიერება ყველაფერში საჭიროა. ასე რომ, ზომიერების დაცვა საახალწლო სუფრაზეც მისასალმებელია — 2;

გ) სადღესასწაულო სუფრაზეც სისადავის მომხრე ვარ, ოღონდ, ჩემი აზრით, სუფრის წევრების გემოვნების გათვალისწინებაც აუცილებელია — 1.

5. უყურებთ თუ არა საახალწლო ტელეპროგრამებს?

ა) ვუყურებ თავიდან ბოლომდე — 1 ქულა;

ბ) ვუყურებ მხოლოდ იმას, რაც საინტერესოდ მომეჩვენება — 2;

გ) საერთოდ არ ვუყურებ — 1.

6. საახალწლოდ აგზავნით თუ არა მისალოცბარათებს?

ა) უამრავ ნაცნობ-მეგობარსა თუ ნათესავს ვუგზავნი მისალოცს — 3 ქულა;

ბ) ვუგზავნი მხოლოდ ძალზე ახლობლებს — 3.

7. საახალწლოდ უძღვნით თუ არა ახლობლებს საჩუქრებს?

ა) არა — 1 ქულა;

ბ) ტრადიციისამებრ, ყველა ახლობელს ვასაჩუქრებ — 3;

გ) მხოლოდ ოჯახის წევრებს — 2.

ტესტის შედეგები:

10 ქულის ჩათვლით: თავმდაბალი და მორიდებული ადამიანი ბრძანდებით. უპირატესობას მეგობრების ვიწრო წრეში მოლხენას ანიჭებთ და არ გიხიბლავთ ხალხმრავალი, ხმაურიანი თავყრილობები.

11-19 ქულა: „ოქროს შუალედური“ ხასიათითა გამოირჩევით. უპრეტენზიო, საკმაოდ კომუნიკაბელური და კარგი თანამოსაუბრე ხართ; არც თავის გართობა გიჭირთ და არც სხვების გამხიარულება, მაგრამ ყოველივე ამას გონიერების ფარგლებში აკეთებთ.

20 და უფრო მეტი ქულა: ნებისმიერი კომპანიის სასურველი სტუმარი ბრძანდებით. კონტაქტში ძალზე იოლად შედიხართ, გიყვართ მუსიკა და გონებამახვილობითაც გამოირჩევით. უკიდურესობამდე გულწრფელი, არაპრაქტიკულობამდე კეთილი და საოცრად გულისხმიერი ხართ.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	4	2	8	9	6	5	3	1
3	9	8	7	5	1	6	4	2
5	1	6	3	4	2	7	8	9
1	5	7	9	8	4	2	6	3
2	3	4	6	1	7	9	5	8
8	6	9	5	2	3	4	1	7
9	2	5	4	3	8	1	7	6
6	8	1	2	7	5	3	9	4
4	7	3	1	6	9	8	2	5

7	3	2	9	6	4	1	8	5
8	6	5	7	2	1	9	3	4
1	4	9	5	8	3	7	2	6
3	1	6	4	9	8	5	7	2
5	7	4	2	1	6	8	9	3
2	9	8	3	5	7	6	4	1
9	2	7	6	3	5	4	1	8
4	5	1	8	7	2	3	6	9
6	8	3	1	4	9	2	5	7

5	6	9	7	4	8	3	1	2
2	7	4	3	6	1	8	9	5
3	8	1	5	2	9	6	7	4
8	3	6	2	1	7	4	5	9
1	4	5	9	3	6	7	2	8
7	9	2	8	5	4	1	3	6
6	2	7	4	9	3	5	8	1
4	5	3	1	8	2	9	6	7
9	1	8	6	7	5	2	4	3

* მარტივი

	9			5			8	
	3	6		9	8	4		
	8				7		6	9
3		7	8	1			5	
	6				4		7	
	5		6			3		8
4	1		2				9	
		5	9	6		2	1	
	2			4			3	

** საშუალო

5		8			4		6	
		2			8	1		
		4		1		9		
9				5				6
2	4		6				9	3
3								8
		7		2		8		
		9	8			3		
	2		4			6		1

*** რთული

		2						7
6			3			8		
	4		2					
	6							8
3				7				2
8					6		4	
					5		1	
		7			8			3
5						4		





1 ფარისეველი
2 ლორად გამოყენილი ზეთხის გვერდი
3 საბუთების საცავი
4 ღარიბული სახლი
5 საწვიმარი
6 გულის ქინძისთავი
7 პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
8 ყვავის ბარტყი
9 რკინიგზის ბოლო სადგური
10 ჩრდილო-ამერიკული დათვი
11 მსრბობელა გველი
12 დიდი სიზუსტე
13 ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი
14 იტალიელი ტენორი
15 ბატკანი
16 ხეროთ-მოძღვრების ძეგლი კახეთში
17 დიდი შალაშინი
18 დიდი, ღრმა კოვზი
19 საახალწლო ხე გურიაში
20 ტყის მსხალი
21 ერქომა-იშვილი
22 სასიმინდე
23 შავყურძნი-ანი ვაზის ჯიში
24 ხვლიკის სახეობა
25 ძალიან ბევრი, უთვალავი
26 ქიქოსის კაკლის გული
27 თბილისის ძველი უბანი
28 კოქტე-ილის დასა-მაზღებელი ჭურჭელი
29 საახალწლო ტკბილეული
30 ჭრილობა
31 დაფი
32 თაქთაქიშვი-ლის ოპერა
33 წარწერა ქინოფილმის კადრზე
34 ზღვის დიდი კიბო
35 ვაზის სარი
36 ეგვიპტის დედაქალაქი
37 ამრიკული ჩოგბურთელი
38 სირაქლემის სახეობა
39 მსახიობი ... ბერიმორი
40 ზღვასანთა კუნძულები
41 დიდი ქვა
42 ფიფა, რაც ცეკვა
43 ესპანელი ფერმწერი
44 უდედმამო

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მწირი; 2. ჭიგო; 3. ქიზიყი; 4. ზვირთი; 5. იუტა; 6. რული; 7. ნიორი; 8. რაჯა; 9. ყველი; 10. ილიონი; 11. ჯინჯილა; 12. ფილა; 13. ეთიკა; 14. ვანი; 15. ღატავრა; 16. ნეი; 17. ჯებირი; 18. ლომოური; 19. კოლტი; 20. ბრბო; 21. სკა; 22. ჯემი; 23. ფიდე; 24. შნო; 25. მი; 26. ასო; 27. რაული; 28. ღისაბონი; 29. ლელო; 30. სოფოკლე; 31. მუჯირი; 32. იდილია; 33. უფალი; 34. ყოჩი; 35. მარსელი; 36. კაფე; 37. სილვა; 38. ფისი; 39. დიანა; 40. დარიკო; 41. ლამბი; 42. კიპი; 43. ბუცეფალი; 44. ლონდონი; 45. იკებანა; 46. პიკასო; 47. ნეპალი; 48. იდიოტია.

სურათზე: მონიკა ბელუჩი; ჯორჯ კლუნი.

იტალიაში საშობაო სიმღერა იკრძალება

იტალიელმა კათოლიკე პოლიტიკოსებმა ხელისუფლებას საშობაო ტრადიციების დაცვის თხოვნით მიმართეს. ეს სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონის დაწყებით სკოლაში ის საშობაო სიმღერები აიკრძალა, რომლებშიც იესო ქრისტეა ნახსენები. ქალაქ ბოლცანოს პატარა სკოლის პედაგოგებმა ბავშვებს პოპულარული საშობაო სიმღერის — Tu Scendi Delle („შენ ვარსკვლავებიდან დაეშვი") შესრულება აუკრძალეს, რომ მაჰმადიანმა ბავშვებმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნონ. „ვფიქრობ, ამგვარი შემთხვევები, ბოლცანოს სკოლის კათოლიკე მოსწავლეებისთვის შეურაცხმყოფელია", — განაცხადა იტალიის უდიდესი კონსერვატიული პარტიის — Forza Italia წარმომადგენელმა, იზაბელა ბერტოლინიმ.

კათოლიკური იტალია, სადაც ვატიკანი უდიდესი გავლენით სარგებლობს, აფრიკელ იმიგრანტთა, მათ შორის, მაჰმადიანთა დიდ ნაკადს იღებს. ქვეყანაში მაჰმადიანთა რაოდენობამ 1 მლნ-ს გადააჭარბა. ბოლცანოს იმამმა განაცხადა, რომ მაჰმადიანი ბავშვების გამო, საშობაო სიმღერების აკრძალვა საჭირო არ იყო. „იესოს ფიგურა მათთვისაც წმინდაა, ვინც „ყურანს" აღიარებს", — ამბობს იმამი. ■

ცნობამ, ქვეყნის დაშლის შესახებ, ბელგიელები შოკში ჩააგდო

13 დეკემბერს, ბელგიის სახელმწიფო ტელეარხის — RTBF საღამოს ახალი ამბების გამოშვებაში, სენსაციური განცხადება გავიდა: ფლანდრიის პარლამენტმა ამ რეგიონის დამოუკიდებლობას კენჭი უყარა და ამიერიდან, ქვეყანა ორ ნაწილად: ფლანდრიად (ბელგიის ჩრდილოეთი, ჰოლანდიურენოვანი ნაწილი) და ვალონიად (სამხრეთი, ფრანგულენოვანი ნაწილი) დაიყო. გადაცემას უწყვეტად ახლდა წვრილშრიფტიანი მორბენალი სტრიქონი, რომელიც განმარტავდა, რომ გადაცემა მთლიანად ჟურნალისტური გამონაგონია, მაგრამ დიქტორებისა თუ კომენტატორების სახის სერიოზულმა გამომეტყველებამ და დამაჯერებელმა ტონმა მოსახლეობა, მათ შორის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, ჟურნალისტები შეცდომაში შეიყვანა — მათ „ახალი ამბავი" სიმართლედ მიიჩნიეს. გადაცემას დამაჯერებლობას მატებდა მრავალრიცხოვანი „პირდაპირი" ჩართვები, რომლის დროს, ჟურნალისტები ამ სენსაციურ ამბავს ბელგიის ცნობილ პოლიტიკოსებს, ხელოვან ადამიანებსა და საზოგადო მოღვაწეებს ამცნობდნენ და შემდეგ, მათ კომენტარებს ისმენდნენ. ტელეარხის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ხერხით, მათ იმ ნეგატიური შედეგების ჩვენება სურდათ, რაც ქვეყნის შესაძლო დაყოფას შეიძლება მოჰყვეს. ამგვარი სცენარი კი, სხვადასხვა დონეზე, უკვე დიდი ხანია, რაც სერიოზულად განიხილება. ეს იდეა ფლამანდიელ პოლიტიკოსებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ისინი ირწმუნებიან, რომ ფედერალური პროგრამების დაფინანსებაზე, მდიდარი ფლანდრია გაცილებით დიდ თანხებს ხარჯავს. ამ გადაცემის რეზონანსი იმდენად დიდი იყო, რომ ბელგიის პრემიერ-მინისტრმა, გი ვერხოფსტადტმა ოფიციალური განცხადება გააკეთა. მან RTBF-ის პროგრამას „უპასუხისმგებლო" უწოდა, სადაც ცნობა „ბელგიის დაშლის შესახებ, რეალურ ახალ ამბად იყო გამოცხადებული". ■

პრინცი უილიამის მეგობარი გოგონა დედოფლის მიპატიჟებას არ იღებს

პრინცი უილიამის რჩეული

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელიზაბეტ II-მ პრინც უილიამის მეგობარი გოგონა — კეიტ მიდლტონი შობის სამეფო ოჯახთან ერთად შესახვედრად სასახლეში მიიწვია. გოგონამ მიპატიჟებაზე უარი განაცხადა. პრინცის 24 წლის რჩეული ამბობს, რომ დღესასწაულებს დედოფალთან ერთად მხოლოდ მაშინ აღნიშნავს, როდესაც სამეფო ოჯახის ოფიციალური წევრი გახდება ანუ როცა პრინცს ცოლად გაჰყვება! მანამდე კი, მიდლტონი შობას შოტლანდიაში, ნათესავებთან ერთად იზეიმებს. The Daily Mail იუწყება, რომ კეიტმა სასახლეში მიწვევა ჯერ კიდევ ნოემბერში მიიღო, მაგრამ სამეფო ადმინისტრაციაში მხოლოდ ახლახან შეიტყვეს, რომ მიდლტონი ნორფოლკში, სენდრინგემის მამულში ტრადიციულ ზეიმზე მისვლას არ აპირებს. გამოცემა აღნიშნავს, რომ კეიტ მიდლტონი ალბათ ერთადერთია სამეფო ოჯახის წევრების სატრფოთა შორის, რომელსაც სენდრინგემში მიწვევის პატივი ერგო წილად. ყოველ შემთხვევაში, ის ნამდვილად ერთადერთი გოგონაა, რომელმაც მიწვევაზე უარი განაცხადა. მისი ერთ-ერთი მეგობარი აცხადებს: „შობის ღამეს კეიტს უილიამთან ერთად ყოფნა ძალიან უნდა, ამგვარი მიწვევა მისთვის უდიდესი პატივია, მაგრამ ის საკუთარ ოჯახზეა მიჯაჭვული და დღესასწაულს მათთან ერთად შეხვდება". სხვათა შორის, 2005 წლის 26 დეკემბერს, ე.წ. „საჩუქრების დღეს", მიდლტონი სენდრინგემში ჩავიდა და პრინცის ოჯახთან ერთად რამდენიმე დღე გაატარა. ■

პატივცემულო მკითხველო!

როგორც თქვენ მიერ შევსებულმა გამოკითხვის ანკეტებმა ცხადყო, დიდი უმრავლესობა, რომანისა და დეტექტივის აქტიური მკითხველი ბრძანდება, რაც გვახარებს. მაგრამ გვსურს, ამ სფეროში თქვენს შეხედულებებს უფრო ახლოს გავეცნოთ, ამიტომ გთხოვთ, გვიპასუხოთ: რომელ ნაწარმოებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ. არ დაიზაროთ, აკრიბეთ ტელეფონის ნომერი — 37-50-03 ან 37-75-33 და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ზაზა ვაჩნაძის „ველური წაბლის ხეივნისა" და გოჩა მანველიძის „თეთრი სიკვდილის" შესახებ. თქვენს მოსაზრებებსა და შენიშვნებს ჩვენი ავტორები ამ ნაწარმოებებშიც გაითვალისწინებენ და „გზის" ფურცლებზე მომავალში დასაბეჭდად მზადების დროსაც მიიღებენ მხედველობაში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ფოტოკუთხეები



საშობაო აქცია 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე

Premier

by Dead Sea Premier

მკვდარი ზღვის ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა

1 + 1

იყიდე ერთი სასურველი და მიიღე საჩუქრად განსხვავებული

Il. Premier - თქვენი ჯანის მომხიბვლელობა

www.il-premier.ge

GTC ვეკუას ქ. №3 II სართული

სახალხო აფთიაქი

მარჯანიშვილის ქ. №16

GOODWILL ფარნავაზ მეფის გამზირი № I